

მარინე ღუდუშაური

თბილისის ეკონომიკური  
ბანკოთარება XIX საუკუნეში

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მ. ლუდუშაური

თბილისის ეკონომიკური  
ბანკითარება XIX საუკუნეში



თბილისი  
2009

ნაშრომის – “თბილისის ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნეში” კვლევის ობიექტია XIX ს. და XX ს. დასაწყისის თბილისის გუბერნიისა და უშუალოდ ქალაქ თბილისის ეკონომიკა, რომელიც საქართველოსა და არა მხოლოდ საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. აღნიშნული პერიოდის საქართველოს ქალაქების, განსაკუთრებით კი თბილისის ეკონომიკური ცხოვრება არნახულ დინამიზმს იძენს, ჩამოყალიბებას იწყებს კაპიტალისტური წარმოება. საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებიც სწორედ თბილისის მაგალითზეა განხილული.

წარმოდგენილ ნაშრომში ასახულია ის ძირითადი თავისებურებები და ეკონომიკური განვითარების ტენდენციები, რომლითაც ხასიათდება საქართველოში კაპიტალისტური წარმოების წარმოშობა. შესწავლილია საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პერიოდში თბილისში არსებული იმ სამრეწველო ობიექტების ეკონომიკური განვითარების თავისებურებები, შრომისა და დასაქმების პირობები, რომლებმაც ძირითადად განსაზღვრეს არა მხოლოდ თბილისის, არამედ ზოგადად საქართველოს ეკონომიკური განვითარების თავისებურებები.

წარმოდგენილია ხელოსნური წარმოების ტრანსფორმაცია, წვრილი საწარმოების წარმოქმნა და განვითარება, ვაჭრობის გააქტიურება და საფინანსო ინსტიტუტების აღმოცენება.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უცხოური კაპიტალის და ზოგადად უცხოელთა როლს თბილისის ეკონომიკურ განვითარებაში. საკვლევი პერიოდში ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა უცხოური (განსაკუთრებით ევროპული) კაპიტალის როლს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისათვის. ეს საკითხი, აქტუალური იყო, რადგან ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა, მწირი ადგილობრივი კაპიტალის პირობებში ეკონომიკის სწრაფი დაწინაურება ვერ მოხერხდებოდა.

ავტორს დამუშავებული და გამოყენებული აქვს მდიდარი საარქივო და სტატისტიკური დოკუმენტაცია, ასევე მასალები ეკონომიკის ისტორიიდან.

წიგნი განკუთვნილია ეკონომისტთა საზოგადოებისთვის, ეკონომიკური პროფილის სტუდენტთათვის და ზოგადად, ყველა დაინტერესებულ მკითხველისთვის.

რეცენზენტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის დეპარტამენტის  
ასოცირებული პროფესორი **ზ. ვაშაკიძე**

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009

ISBN 978-9941-14-772-2

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

შინაარსი

შესავალი ----- 4

თავი I კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში ----- 6

1.1 კაპიტალიზმის წარმოშობის თავისებურებანი საქართველოში ----- 6

1.2 თბილისის ეკონომიკური განვითარება რეფორმამდელ პერიოდში ----- 29

1.3 რეფორმის შემდგომი საქართველის ეკონომიკური განვითარება ----- 51

თავი II ადგილობრივი კაპიტალი თბილისის ეკონომიკაში

XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ----- 64

თავი III უცხოური კაპიტალი თბილისის გუბერნიაში XIX ს.-

სა და XX ს. დასაწყისში ----- 115

3.1 გერმანული კაპიტალი თბილისის გუბერნიაში ----- 115

3.2 სხვა ევროპული ქვეყნების კაპიტალი თბილისში ----- 140

დასკვნა ----- 154

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ----- 160

## შესავალი

წარმოდგენილი კვლევის ობიექტია XIX ს. და XX ს. დასაწყისის თბილისის გუბერნიისა და უშუალოდ ქალაქ თბილისის ეკონომიკა, რომელიც საქართველოსა და არა მხოლოდ საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ქალაქების, განსაკუთრებით კი თბილისის ეკონომიკური ცხოვრება არნახულ დინამიზმს იძენს. საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებიც სწორედ თბილისის მაგალითზეა განზოგადებული.

ამ ნაშრომში შესწავლილია საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პერიოდში თბილისში არსებული იმ სამრეწველო ობიექტების ეკონომიკური განვითარების თავისებურებები, შრომისა და დასაქმების პირობები, რომლებმაც ძირითადად განსაზღვრეს არა მხოლოდ თბილისის, არამედ ზოგადად საქართველოს ეკონომიკური განვითარება.

ცნობილია, რომ XX ს. დასაწყისში კომუნისტური გატარიალების შედეგად ჩამოყალიბების სტადიაზე მყოფი საქართველოს ეკონომიკის კაპიტალისტური განვითარება შეწყდა და საბაზრო ურთიერთობები შეცვალა სრულიად ახალმა, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტულმა ეკონომიკურმა მოდელმა, რომელიც უარყოფილ იქნა ჩვენს ეპოქაში და ეკონომიკური განვითარების პროცესები კვლავ საბაზრო ურთიერთობათა ჩარჩოებში დაბრუნდა – ამჯერად დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის პირობებში. ამ მხრივ, თბილისის, როგორც საქართველოს ეკონომიკის ფლაგმანის, ეკონომიკურ წარსულში ჩაღრმავება, გამოცდილების გათვალისწინება და თანამედროვე პირობებში ეკონომიკური პროცესების სწორი გზით წარმართვა ფრიად აქტუალურია.

ნაშრომში განხილული პერიოდის საქართველოში სავაჭრო კაპიტალი გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე სამრეწველო, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ადგილობრივი მსხვილი სავაჭრო კაპიტალი თანდათან იჭრება მრეწველობაში, მისმა სამრეწველო კაპიტალად გარდაქმნამ კი ძლიერი ბიძგი მისცა საქართველოს და განსაკუთრებით თბილისის ეკონომიკას. ამასთან, საკვლევ პერიოდში ისევე, როგორც თანამედროვე ეტაპზე, ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა უცხოური (განსაკუთრებით ევროპული) კაპიტალის როლს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისათვის. ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა, რომ მწირი ადგილობრივი კაპიტალის პირობებში ეკონომიკის სწრაფი დაწინაურება ვერ მოხერხდებოდა.

კვლევისას დადგინდა, რომ კაპიტალისტები, განსაკუთრებით კი მსხვილი კაპიტალისტები, ყოველთვის კარგად უღებდნენ ალღოს ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებებს, და თითქმის ყოველთვის პოულობდნენ ბაზარზე წარმოქმნილი დაბრკოლებების, ან გამძაფრებელი კონკურენციის დაძლევის

გზებს. მეწარმეები წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტსა და ხარისხს მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის გათვალისწინებით, მისი გემოვნებითა და ტრადიციებისადმი ერთგულებით განსაზღვრავდა, რამაც დიდად განაპირობა მათი წარმატებები არა მხოლოდ საქართველოს ბაზარზე, არამედ რუსეთის საიმპერიო სივრცეშიც. კვლევისას გამოვლინდა, რომ ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით კვალიფიციური კადრების მომზადების, პროფესიული და ზოგადი განათლების სფეროში მომხდარი ცვლილებები, დროული და აუცილებელიც იყო, რადგან სპეციალისტებისა და კვალიფიციური მუშათა კადრების დეფიციტმა დიდად შეაფერხა მსხვილ საწარმოთა სრული დატვირთვით მუშაობა, ამასთან, საწარმოებში ძვირადღირებული უცხოელი მუშებისა და სპეციალისტების დაქირავებით იზრდებოდა საწარმოო ხარჯები და მცირდებოდა მოგება.

საგანგებო ყურადღება ეთმობა უცხოელების სამეწარმეო საქმიანობის ანალიზს. იმჟამინდელი ხელისუფლების ვარაუდით, თბილისში უცხოური, განსაკუთრებით კი გერმანული კაპიტალის (როგორც საფინანსო, ასევე ადამიანური) შემოსვლას ადგილობრივი მეურნეობის ტრანსფორმაცია და სამეურნეო წინსვლა უნდა მოჰყოლოდა. თუ გავითვალისწინებთ ხელისუფლების მხრიდან უცხოელთა დასამკვიდრებლად გაწეულ სახაზინო ხარჯებს და სამეწარმეო ხელშეწყობას. ვთვლით, რომ ეს მოლოდინი შედეგიანი აღმოჩნდა, მაგრამ ნაკლებად ეფექტიანი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკას საფუძველი კოლონიურ მდგომარეობაში ყოფნის პირობებში ეყრებოდა, სწორად განხორციელებული მენეჯმენტისა და მარკეტინგის მეშვეობით არასახარბიელო პოლიტიკურსა თუ სოციალურ ვითარებაშიც კი შესაძლებელი გახდა მიეღწიათ შედეგების მაქსიმიზაციისათვის.

აღნიშნული ნაშრომის სამეცნიერო-პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ გამოვლინდა სამეწარმეო და ადმინისტრაციული ხარვეზები და პრობლემები, რომლებიც დღემდე ერთ უწყვეტ ზოლად გასდევს ქართულ პოლიტიკურსა თუ ეკონომიკურ სინამდვილეს; უპირატესად კი წარმოჩინდა ის დადებითი სამეწარმეო გამოცდილება, რომელიც დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას.

## თავი I

### კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში

#### 1.1 კაპიტალიზმის წარმოშობის თავისებურებანი საქართველოში

საქართველოს ეკონომიკასა და კერძოდ, ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებისათვის სათანადო პირობები XIX ს.-ში იქმნება. ეკონომიკის საერთო აღმავლობის პირობებში თანდათან რღვევას იწყებს ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა, ვითარდება ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. წარმოების ფეოდალური ურთიერთობის წიაღში ჩნდება წვრილი კაპიტალისტური სახელოსნოები, მანუფაქტურები, ასევე საფაბრიკო-საქარხნო ტიპის სამრეწველო საწარმოები.

20-იანი წლებიდან საქართველოში შესამჩნევი გახდა საქალაქო ცხოვრების შედარებით გააქტიურება. ყველაზე მეტად ეს თბილისს დაეცო, რომელიც იმ პერიოდში არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცენტრად იქცა. ქალაქის მოსახლეობის ძირითად მასას წარმოადგენდნენ ხელოსნები და ვაჭრები. ვაჭარ-ხელოსნები იყვნენ თავისუფალნიც (მოქალაქეები) და არათავისუფალნიც. ქალაქებში ასევე იყო მცდელობა, რომ დაენერგათ კაპიტალისტური წარმოება, მაგრამ ბატონყმური ურთიერთობის სიმტკიცის გამო ეს მცდელობები ხშირად მარცხით მთავრდებოდა.

რუსეთთან შეერთების პირველივე წლებიდან რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც მის ინტერესებს შეესაბამებოდა, კერძოდ, მას სურდა საქართველო გადაექცია იაფი ნედლეულის წყაროდ, რუსული საქონლის გასაღების ბაზრად და მისივე საქონლის აღმოსავლეთის ქვეყნებში გასატან სატრანზიტო გზად.

რუსეთის ეკონომიკური მიზნების განხორციელებას საქართველოში ხელს უშლიდა აქ ტრადიციულად დაკანონებული საბაჟო სისტემა. ადგილობრივ

ხელისუფლებას ჰქონდა მცდელობა, რომ ქართული შიდა ბაჟები გაუქმებულიყო, ამასთანავე გაგრძელებულიყო საერთო-საიმპერიო კანონები, თუმცა საბოლოოდ მათ საკმარისად მიიჩნიეს ბაჟების აკრძალვა საქართველოში შემოტანილ რუსულ საქონელზე, ხოლო შიდა ბაჟები გააუქმეს სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა ინტერესებიდან გამომდინარე მხოლოდ კვების პროდუქტებზე. რუსეთისთვის შემოერთებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინტერესები, რომლისთვისაც შიდაბაჟების სისტემა ერთ-ერთი ძირითადი ხელშემშლელი გარემოება იყო, დღის წესრიგში არც კი ყოფილა დასმული.

რუსულ საქონელზე ბაჟების გაუქმებას დისკრიმინაციული ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან ასეთივე ღონისძიება არ გატარებულა რუსეთში იმპორტირებულ ქართულ საქონელზე. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ეკონომიკის, კერძოდ, ვაჭრობის მნიშვნელოვანი აღმავლობა შეიმჩნევა XIX ს. დასაწყისიდანვე, რაც ძირითადად განპირობებული იყო ქვეყანაში მშვიდობის დამყარებით. ამ განვითარების მნიშვნელოვან შემაფერხებელ გარემოდ კვლავ რჩებოდა შიდა ბაჟების ტრადიციული სისტემა, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ მაშინდა გააუქმა, როცა ამ სისტემამ მის ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას XIX ს. 20-იან წლებში დაბრკოლება შეუქმნა.

ამიერკავკასიის ბაზარზე რუსული საქონელი ძალზე მცირე როლს თამაშობდა. ამას შედეგად მოსდევდა მმართველობისა და აქ განლაგებული ჯარის შესანახად გამოყოფილი ფულის ნიშნების გადინება ირანსა და ოსმალეთში. ოსმალებმა, ჩაკეტეს რა შავი ზღვა, საქართველო მოწყვეტილი აღმოჩნდა ევროპისაგან. ამავე დროს ირანი გაბატონდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და საქართველოში ირანისა და ოსმალეთის საგაჭრო მონოპოლია დამყარდა. ევროპული საქონელი აქ ირან-ოსმალეთის გზით შემოდის. XIX ს-ის პირველი 20 წლის განმავლობაში რუსეთმა ვერ შეძლო ამიერკავკასიის ბაზრის მომარაგება პირველი მოთხოვნების საგნებით და საქართველოს ბაზარსაც კვლავ აღნიშნული ქვეყნებიდან შემოსული საქონელი ავსებდა. ფულის ნიშნებიც სხვადასხვაგვარი იყო. ამგვარ ვითარების შედეგი ის იყო, რომ ამიერკავკასიაში განლაგებული ჯარის და მმართველობის შესანახად გამოყოფილი ფული ირან-ოსმალეთში გაედინებოდა. ეს რა თქმა უნდა დიდად



აზიანებდა რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიზნებს ახლო აღმოსავლეთში, რომლის ბაზარიც იმ პერიოდში ინგლისს ეკყრა ხელთ. ამის გამო რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში გზა გაეხსნა ფრანგულ-გერმანული საქონლისათვის და ამით შეესუსტებინა ყარსი-არზრუმის გზით მომავალი ტრანზიტი, რომელიც ინგლისის ხელთ იყო.

1821 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ამიერკავკასიაში შეღავათიანი ტრანზიტი დააწესა. კანონი ტრანზიტის შესახებ 1822 წლიდან შევიდა ძალაში. ამ კანონით უცხოეთიდან საქართველოში შემოტანილი ყოველგვარი საქონელი შეღავათიანი – 5%-იანი ბაჟით იბეგრებოდა.<sup>1</sup> ვაჭრებს კი, რომლებიც ათი წლის განმავლობაში საქართველოში სავაჭრო სახლებს მოაწყობდნენ და ბითუმად ივაჭრებდნენ, შესაბამისი გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ. ტრანზიტის მთელ გზაზე – შავიდან კასპიის ზღვამდე ტრანსპორტირების უსაფრთხოებას მთავრობა კისრულობდა. ამავე დროს, კანონის ძალით ბითუმად მოვაჭრეები თავისუფლდებოდნენ გილდიური გადასახადებისაგან და საბინაო ბეგარისაგან. შეღავათები ეძლეოდათ ადგილმამულის შექენაში, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებების მოწყობაში.

აღნიშნული ტრანზიტით რუსეთის ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ ამიერკავკასიის გზით მოახერხებდა კონტინენტური ევროპის ფაბრიკული საქონლის ირანში მიზღვავებას, იქ კონკურენციულ ბრძოლაში ინგლისის საქონლის დამარცხებას და ამავე დროს ამიერკავკასიის ბაზრის გაწმენდას ადგილობრივი და აღმოსავლური საქონლისაგან.

1822 წ. საქართველოში უცხოური საქონლის შემოტანა წინა წელთან შედარებით დაახლოებით 120%-ით გაიზარდა, ხოლო 1823 წელს 1821 წელთან შედარებით დაახლოებით 217%-ით. მიუხედავად ამგვარი გააქტიურებისა, უცხოელ კომერსანტებს ამ სატრანზიტო მაგისტრალისადმი ნდობა უნელდებოდათ, ვინაიდან ხშირი იყო ძარცვა-ყაჩაღობა, გარდა ამისა, მათ მიერ შემოტანილ საქონელს დაკანონებულზე გაცილებით მაღალი ბაჟით ბეგრავდნენ; კერძოდ, უცხოელი ვაჭრები ირანში ჩასვლამდე იბეგრებოდნენ: ნავსადგურში –

---

<sup>1</sup> ვუგუშვილი პ. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, გვ.12, თბ. 1941

5%-ით, სამეგრელოსა და იმერეთში – 3%-ით და ბოლოს თბილისში – 3%-ით.<sup>2</sup>

ამგვარმა დამოკიდებულებამ უცხოელ ვაჭართა ინტერესი გაანელა, თუმცა ამასობაში ევროპასთან ვაჭრობით დაინტერესდა ადგილობრივი, ქართული სავაჭრო კაპიტალი. გარდა ამისა, იმის გამო, რომ უცხოელებს საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალული ჰქონდათ საცალო ვაჭრობა, ეს სფერო ადგილობრივი ვაჭრების ხელში რჩებოდა და მათი მნიშვნელოვანი მოგების წყაროდაც გადაიქცა. საცალო ვაჭრობაში მიღებულმა გამოცდილებამ ქართველ ვაჭრებს უფრო ფართო კომერციისკენ უბიძგა. თბილისელი ვაჭრები ევროპის ბაზარზე გავიდნენ. მაგ. 1828 წ. 23 თბილისელი ვაჭრის მიერ ევროპიდან შემოზიდულმა პროდუქციამ 4 400 000 მანეთს მიაღწია და მთლიანად საქართველოში შემოტანილი საქონლის 67% შეადგინა.<sup>3</sup> ტრანზიტმა ადგილობრივი ვაჭრები რუსულ ბაზარს ჩამოაცილა. ქართველი ვაჭრები რუსულ ბაზარზე ადგილობრივ საქონელს ყიდდნენ, ხოლო ამოღებული ფულით რუსულ საქონელს კი არ ყიდულობდნენ, არამედ ლითონის ფული გაჰქონდათ საზღვარგარეთ და იქიდან ევროპული პროდუქცია შემოჰქონდათ.

ამიერკავკასიის გზით ირანში შესულმა დიდძალმა ევროპულმა იაფფასიანმა და ხარისხიანმა საქონელმა შეაფიწროა რუსული და არა ანგლისური საქონელი, როგორც ამას რუსეთის ხელისუფლება ვარაუდობდა. ინგლისური საქონელი კი, არამცთუ ირანის ბაზრიდან არ იდევნებოდა, არამედ ამიერკავკასიის ბაზარსაც იპყრობდა. 1831 წელს რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის მოთხოვნით შეღავათიანი ტრანზიტი ვადაზე 6 თვით ადრე გაუქმდა.<sup>4</sup>

XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოში სამრეწველო კაპიტალი ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ პერიოდში და განსაკუთრებით XIX ს. მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად განვითარდა ვაჭრობა, მოწინავე ქვეყნებიდან მზა პროდუქციის იმპორტმა დიდად გაზარდა მასზე ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა. გარდა ამისა, 30-იან წლებში საქართველოში და ზოგადად ამიერკავკასიაში შემოღებულ იქნა ზომა-წონისა და ფულის რუსული

<sup>2</sup> იქვე, გვ.15

<sup>3</sup> გუგუშვილი პ., ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ამიერკავკასიაში მე-19 საუკუნეში, თბ. 1937

<sup>4</sup> სეხნიაშვილი ც. ეკონომიკის ისტორია, ნაწ. I, თბ. 2000 წ., გვ.342.

სისტემა, რომელიც ერთი მხრივ, რუსეთს უადვილებდა ერთიანი ბაზრის ფორმირებას, ათვისებას და ამიერკავკასიაში დამკვიდრებას; მეორეს მხრივ კი საქართველოში ხელი შეეწყო ფულად-სასაქონლო ურთიერთობებისა და ვაჭრობის გააქტიურებას. მიმოქცევის განვითარებამ და ამასთანავე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების სფეროს გაფართოებამ გაზარდა გლეხობის ფულზე მოთხოვნაც. სოფლის მეურნეობა სულ უფრო დებულობდა სასაქონლო წარმოების ხასიათს. შედეგად გლეხები სულ უფრო მეტად გახდნენ დამოკიდებულნი გასაღების პირობებზე და შესაბამისად ვაჭრობასა და ვაჭრებზე. ამ ვითარებაში, კერძოდ, კრედიტის არარსებობისა და ქვეყანაში სუსტი კოოპერაციის პირობებში მევახშეობას განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები ექმნებოდა. მევახშეებისაგან სესხს ძირითადად არასაწარმოო მიზნით იღებდნენ. ხელოსნები ფულს სესხულობდნენ ძირითადად გადასახადების გასასტუმრებლად და საკუთარი მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ე.ი. იღებდნენ დასახარჯად და არა წარმოებაში დასაბანდებლად. სავაჭრო კაპიტალიც სავაჭრო კაპიტალის გავლენას განიცდიდა. საქართველოში განვითარების ამ ეტაპზე სავაჭრო ოპერაციებში დაბანდებულ კაპიტალს უფრო მაღალი მოგება ჰქონდა უზრუნველყოფილი, ვიდრე ქალაქის, ან სოფლის წარმოებაში, ან თუნდაც ვაჭრობაში მოთავსებულ კაპიტალს, რადგან სესხზე არსებობდა სარგებლის შედარებით მაღალი დონე. მევახშეობა აღნიშნულ პერიოდში ფულადი კაპიტალის დაგროვების და კონცენტრაციის ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო, მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა, მევახშის კაპიტალი წარმოებაში არ მიდიოდა, ან თითქმის არ მიდიოდა. ამ მხრივ რაიმე თვალსაჩინო პროგრესი წარმოების წესში, ან მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში არ შეინიშნება.

მიუხედავად იმისა, რომ მევახშეობა იმ პერიოდის უახლეს მოვლენად ვერ ჩაითვლება (საქართველოში მევახშეობა მანამდეც არსებობდა), სავაჭრო კაპიტალს არასოდეს ჰქონია საქართველოში ასეთი უსაზღვრო და თვითნებური თარეშის შესაძლებლობა. ქალაქის ხელოსანთა გარდა მათ ხელში ვარდებოდნენ გლეხებიც; მევახშეები საკუთრივ მევახშეობის გარდა ვაჭრობასაც მისდევდნენ. მაგალითად, თბილისის სირაჯებს „ერთმანეთთან შეთანხმებული მოქმედების

მიზნით შექმნილი ჰქონდათ გილდია. ისინი ინაწილებდნენ ღვინის წარმოების რაიონებს . . . . ხშირ შემთხვევაში ისინი გლეხებს ფულს წინდაწინ აძლევენ; ყიდულობენ აგრეთვე მომავალი წლის ყურძნის მოსავალს მათ მიერვე დაწესებული ფასით. პროდუქციის უდიდეს ნაწილს ღებულობენ ზომიერად სასარგებლო სახით”<sup>5</sup>

საქართველოში ბურჟუაზიის მხრიდან კლასობრივი ბრძოლა არ წარმართულა. ამის მთავარი მიზეზი კი სავარაუდოდ სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლების ეროვნული სიჭრელე უნდა ყოფილიყო, აქ საკმაოდ დიდი ადგილი ეროვნებით თუ რელიგიით სომხებს ეჭირათ. ეს ფაქტი იმით იქცევა ყურადღებას, რომ ქართველი ფეოდალური ზედაფენა მათ მიმართ აშკარად მტრულად იყო განწყობილი. ისინი სომხური ბურჟუაზიისადმი შეურიგებელ მტრობას იჩენდნენ არა მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის ანტაგონიზმის გამო, არამედ იმის გამოც, რომ სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები – ახლადწარმოქმნილი ბურჟუაზია – უკვე აქტიურდ იმკვიდრებდა ფეოდალური არისტოკრატის ადგილს. ბრძოლა ფეოდალური შეზღუდულობის წინააღმდეგ კი ეროვნულ სამოსში იყო გახვეული.

აქვე აღსანიშნავია, რომ ვაჭრები პოპულარობით და სიმპათიებით ვერც მოსახლეობის დანარჩენ ფენებში სარგებლობდნენ. ამ პერიოდის არაერთი სავაჭრო-სამრეწველო პუნქტის აღწერაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ქართველები მუშაობენ, ამზადებენ პროდუქციას, სომხები კი მათი ნაწარმით ვაჭრობენ, ანუ ეწვეიან მათს ექსპლოატაციას; რომ ქართველები ღარიბები არიან და სომხები მდიდრები. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სარწმუნოებით მართლმადიდებელი და კათოლიკე ქართველიც იყო ვაჭრობაში ჩაბმული, თვით სომხური წარმოშობის ბურჟუაზიის ნაწილი კი თითქმის გაქართველებული იყო, ეს გაღვივებულ ნაციონალურ გრძნობებს ვერ ანელებდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ვაჭართა ბურჟუაზიულ კლასად ჩამოყალიბების პროცესში, მათი კლასობრივი ინტერესების დაცვისათვის აქტიურ ბრძოლას ნიადაგი ჰქონდა გამოცლილი, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვაჭართა ეროვნული სიჭრელე და ასევე ქვეყნის მძიმე

---

<sup>5</sup> გაზ. „ივერია,” №146, 1899

პოლიტიკური მდგომარეობა განაპირობებდა იმას, რომ მათი სოციალური ინტერესები ხშირად არ ემთხვეოდა ქართულ ეროვნულ ინტერესებს.

აღნიშნულ საკითხთა ირგვლივ პოლემიკაში აქტიურად იყო ჩაბმული სხვა ქართული პერიოდული გამოცემებიც. გაზ. “დროების” ერთ-ერთ კორესპონდენციაში ქართველ ინტელიგენციას მიმართავენ: “გაუმართეთ ხალხსა იმისთანა საზოგადო რამეები, სადაც ის ყიდულობდეს ყველაფერს, რაც მისთვის შეადგენს უსაჭიროეს საგანსა და რასაც თითონ აკეთებს! გაუმართევით იმისთანა რამეები, სადაც ის სარგებელი, რომელიც ეხლა მიაქვს სომეხს, ურიასა, ნემეცსა, ფრანგსა და სხვას, დარჩეს თვითონ ხალხსა!”<sup>6</sup>

ცხადია, რომ საქართველოში, განსაკუთრებით კი საზოგადოების განათლებულ წრეებში მევახშეობა საფუძვლიან გულისწყრომას იწვევდა. ისინი ცდილობდნენ, რომ ამ პრობლემას გამსესხებელი საღაროების და გამსაღებელი ამხანაგობების დაარსებით შებრძოლებოდნენ. ამ გულისწყრომას ის უფრო ამძაფრებდა, რომ როგორც აღვნიშნეთ, მევახშეობას უმთავრესად უცხო ტომის წარმომადგენლები ეწეოდნენ.

საქართველოს სინამდვილეში ინტელიგენციის მეოხებით დაარსდა კიდევ სხვადასხვა ამხანაგობა, მაგრამ ისინი ნაკლებად სიცოცხლისუნარიანნი აღმოჩნდნენ. ამგვარი პროექტებით ნაციონალურ ეკონომიკას რომ ბევრს ვერაფერს უშველიდნენ, კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული იმ პერიოდის ქართველ მოღვაწეთა დიდ ნაწილს და პრესის ფურცლებზე ქილიკობდნენ კიდევ. მაგ. იგივე “დროების” ფურცლებზე სტ. ჭრელაშვილი აბუჩად იგდებს ამგვარი ამხანაგობის იდეას და უსუსურობად მიიჩნევს: “გამართეთ ქალაქელებო, დიდი ძმური საზოგადოება ქართველებისა, შეადგინეთ თანხა, გახსენით ტფილისში დიდი სავაჭრო ბინა, გამოიწერეთ ევროპის ფაბრიკებიდგან და ქარხნებიდგან საქონელი იაფად, ჰყიდეთ ზოგი ტფილისშივე და ზოგიც გამოგვიგზავნეთ სხვა ქალაქების და სოფლების დეპოებში, სადაც გავაჩაღებთ საამხანაგო ვაჭრობასა და ამით ბოლოს მოვუღებთ უცხო თემის უღმერთობას, ძარცვასა და გლეჯას.”<sup>7</sup>

<sup>6</sup> გაზ. “დროება”, № 110, 1875.

<sup>7</sup> გაზ. “დროება”, № 42, 1883.

იმ პერიოდის გაზეთი “დროების” აზრით, ამგვარ საფუძველზე დამყარებული ამხანაგობები სიცოცხლისუნარიანობას იყო მოკლებული. მუშა კვლავ მეპატრონეზე რჩებოდა მიჯაჭვული და ამიტომაც ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ამხანაგობები, რომლებიც მატერიალურ სიკეთეს ქმნიან, სარგებლობა კაპიტალისტებისთვის მოაქვს. “დროება” აღნიშნავს, ასოციაციის პირობებში, რაც უნდა იყოს, მუშა დამოკიდებულია მეპატრონეზე, მეპატრონე დღეს აძლევს მუშას მოგებაში მონაწილეობას, ხვალ შეუძლოა წაართვას, მუშას ფეხი მაგრად არ უდგას, რაც კარგად ესმით მუშებსო. შემდეგ იქვე კვითხულობთ, რომ ბევრ მუშას დაუწესებია ამხანაგობა, რომლის პატრონებიც თავადვე ყოფილან. ამისთანა ასოციაცია პირველად 1830 წ. დურგლებს დაუარსებიათ ბუშეს ხელმძღვანელობით. “დროებას” სიტყვა-სიტყვით მოჰყავს მათი სტატუსი: “ქვემო ხელის მომწერნი შევერთდით ასოციაციაში კაპიტალის უქონლობის გამო და დამოუკიდებლობისათვის. მეპატრონეები, რა საქმეც უნდა იყოს, ყოველთვის სხაგრავენ მუშა კაცებს. ჩვენი შრომა იმათ მიაქვთ. შრომის განცალკევება ყველაზე მომეტებულად ავნებს მუშების ინტერესს და მეპატრონეებს უმონავებს. ამ განცალკევებას შეუდგება კონკურენცია მუშებისა, და მაშასადამე ის ამცირებს სამუშაო ფასს. არავითარი იმედი არ არის საქმის გაუმჯობესებაზედ, მუშებისაგან ფულის შეძინებაზედ, რომ იმან სწეულებასი და მოხუცებაში ხელი შეუწყოს.”<sup>8</sup>

კაპიტალიზმის განვითარების პროცესში კაპიტალისტურ საწარმოთა დონე არ იყო თანაბარი. კაპიტალიზმი ვითარდებოდა სამუშაო ძალის “სასაქონლო ფორმის” ჩამოყალიბებით. სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმას კი, განვითარების პროცესში გააჩნდა სხვადასხვა საფეხური და ხარისხი. ამის მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ კაპიტალისტური საწარმოები. ამ განვითარების საფეხურებისა და ხარისხის დონეს განსაზღვრავდა კაპიტალისტურ საწარმოებში ჩაბმული მუშახელის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სხვადასხვაობა, ანუ, საწარმოები თავისი განვითარების დონით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიის სამუშაო ძალა ჰყავდა მას: მიწერილი ყმა-გლეხი, ბატონისგან გაქცეული

---

<sup>8</sup> გაზ. “დროება”, №17 1866.

ნებითდაქირავებული ყმა-გლეხი, ბატონის ნებართვით წასული დაქირავებული ყმა-გლეხი, დამოკიდებულებისგან თავდასხნილი დაქირავებული გლეხი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მოწყვეტილი საკუთარ მეურნეობას, თუ სავსებით ექსპროპრირებული, თავისუფალი მუშა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაქირავებულ შრომას გააჩნდა განვითარების სხვადასხვა დონე და ხარისხი ისევე, როგორც კაპიტალისტურ საწარმოებს გააჩნდათ განვითარების სხვადასხვა ხარისხი, ანუ, საწარმოს (მანუფაქტურის, ფაბრიკის) კაპიტალისტური ხარისხის სიდიდე დამოკიდებული იყო სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმის, დაქირავებული შრომის ხარისხზე. ბატონემური დამოკიდებულებისაგან თავდასხნილი, თავისუფალი გლეხების და ხელოსნების ნებითდაქირავებულ შრომაზე დამყარებული საწარმოს კაპიტალისტური ხარისხი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ყმა-გლეხების ნებითდაქირავებულ შრომაზე დაფუძნებული საწარმოსი. მაგალითად, თბილისში არსებული ზუბალაშვილის შაქრის ქარხნის კაპიტალისტურად მოწყობის ხარისხი უფრო მაღალი იყო, ვიდრე თბილისის აბრეშუმსახვევი საწარმოსი, ან იგივე ალავერდის, ახტალის და შამბლუდის სამთო ქარხნების, რადგან ზუბალაშვილების ქარხანაში მხოლოდ ნებითდაქირავებული შრომა იყო გამოყენებული, ხოლო აბრეშუმსახვევ, ასევე ახტალის, ალავერდისა და შამბლუდის ქარხნებში ნებითდაქირავებულ შრომასთან ერთად, იძულებით შრომასაც იყენებდნენ. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გარემოება წარმოებას არ უკარგავდა ჩანასახოვანი კაპიტალისტური საწარმოს ხასიათს, რადგან კაპიტალისტური წარმოება არ გამორიცხავდა იძულებითი შრომის გამოყენებას. მაგალითად, იძულებითი შრომის გამოყენებისგან კაპიტალისტური წარმოება მის კლასიკურ ქვეყანაში – ინგლისშიც კი არ ყოფილა თავისუფალი. იძულებით შრომას მანუფაქტურულ პერიოდში – XVII-XVIII სს-ში ფართოდ იყენებდნენ როგორც ინგლისში, ასევე საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთში (XX ს-მდე) და სხვა ქვეყნებშიც.

წარმოების ის სტრუქტურა, რომელიც XIX ს-ის საქართველოში არსებობდა, განსაკუთრებით საფეიქრო წარმოებაში, ყველა იმ ნიშნის მატარებელია, რითაც მანუფაქტურა ხასიათდება. ამგვარად, ამ პერიოდში

მანუფაქტურები არა მარტო არსებობდა, არამედ მნიშვნელოვნადაც იყო გავრცელებული.

ზოგიერთი მკვლევარი უარყოფს საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის მანუფაქტურულ საფეხურს, მაგ. პროფ. გ. ბაქრაძე. მისი მოსაზრებით, “წვრილი კაპიტალისტური საწარმოსგან და წვრილი მრეწველის სახელოსნოსგან მანუფაქტურა განსხვავდება არა მარტო შრომის დანაწილებით, არამედ წარმოებაში დასაქმებული მუშების რაოდენობითაც.”<sup>9</sup> კაპიტალისტურ მანუფაქტურას იგი აკუთვნებს ისეთ საწარმოს, სადაც დასაქმებულია 15 და მეტი მუშა.

პროფ. დ. გოგოლაძის მოსაზრებით, მანუფაქტურულ საწარმოდ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი საწარმოც, სადაც დაქირავებული მუშების რაოდენობა 4-5 კაცს, ან მეტს აღწევს და არსებობს შრომის დანაწილება. ე.ი. მანუფაქტურის განსაზღვრებისთვის აუცილებელი არის ის, რომ არსებობდეს შრომის დანაწილება და ამის შედეგად დამზადებული პროდუქცია გადიოდეს ბაზარზე; ხოლო მუშების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მსხვილია მანუფაქტურა. ამგვარი მიდგომა უფრო მართებულია, ვინაიდან სხვადასხვა სახის მანუფაქტურული საწარმოსათვის განისაზღვრება მუშათა რაოდენობის სხვადასხვა მინიმუმი, რაც დამოკიდებულია შრომის დანაწილებაზე – წარმოების ფაზათა რაოდენობაზე, ე.ი. მუშათა რაოდენობა და ამ რაოდენობის მინიმუმი განისაზღვრება შრომის არსებული დანაწილების (სადეტალო ოპერაციების ოდენობის) ინტენსივობით.

პროფ. გ. ბაქრაძე მიუთითებს საქართველოში “წარმოების მრავალ დარგში ფაბრიკების ერთბაშად გაჩენის შესახებ წვრილი საქონლური წარმოებისა და მანუფაქტურის საფეხურის წინასწარ გავლის გარეშე”<sup>10</sup> ეს პროცესი მას მიაჩნია მასობრივ მოვლენად.

საქართველოში მანუფაქტურების შედარებით მცირე ნაწილი გადაიქცა ფაბრიკა-ქარხნებად, რა თქმა უნდა, ყველა წვრილი კაპიტალისტური საწარმო ვერ გარდაიქმნებოდა ფაბრიკად, ან ქარხნად და ეს არც იყო სავალდებულო.

<sup>9</sup> გ. ბაქრაძე – საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების ზოგიერთი საკითხის სწორი გაგებისათვის – თსუ შრომები. ტ. 100, გვ. 243, 1963.

<sup>10</sup> იქვე – გვ. 249.



მანუფაქტურების ნაწილში ინერგებოდა ორთქლის ძრავები და მანქანური სისტემები და ამგვარად გარდაიქმნებოდა ფაბრიკა-ქარხნებად; ხშირად კი ფაბრიკების მოწყობა-დაარსება ხდებოდა არა არსებული მანუფაქტურული საწარმოების გარდაქმნით, არამედ სრულიად დამოუკიდებლად. მრეწველობის განვითარების მანქანური პერიოდი უკანასკნელი საფეხურია მისი ხანგრძლივი განვითარების პროცესში. ასე, რომ მრეწველობის ახალი დარგი, ან ქვედარგი ბუნებრივია, უნდა მოწყობილიყო ახალ ტექნიკურ, ანუ მანქანურ ბაზაზე, და არ იყო აუცილებელი, რომ იგი მაინცდამაინც მანუფაქტურის ევოლუციის მომდევნო საფეხური ყოფილიყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მანუფაქტურული წარმოების არსებობის მტკიცებისათვის სრულიად არ არის აუცილებელი ყოველი მანუფაქტურული საწარმო ფაბრიკა-ქარხნებად გადაქცეულიყო.

უნდა აღინიშნოს, რომ მანუფაქტურული სტადია, ისევე, როგორც კაპიტალისტური წარმოება და ზოგადად კაპიტალიზმი ყველა ქვეყანაში ერთნაირი სიმძლავრით ვერ ვითარდება და სხვადასხვა ქვეყანაში იგი განვითარების მეტ-ნაკლები დონით და თავისებურებით არის წარმოდგენილი.

საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობა და განვითარება, როგორც ირკვევა, გამდიდრებული გლეხების, ოსტატ-ხელოსნების და ვაჭრების მიერ კაპიტალისტური საწარმოების (მანუფაქტურების, ფაბრიკა-ქარხნების) უშუალოდ, პირდაპირი მოწყობის გზით ხდებოდა. XIX ს.-ში არსებული კაპიტალისტური საწარმოები, ძირითადად სწორედ ამ გზით არის წარმოშობილი, ეს იყო მასობრივი მოვლენა საქართველოში კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის გზაზე. იმასაც უნდა შევხვით, რომ კაპიტალისტურ მრეწველობაზე გადასვლის სხვაგვარი გზაც არსებობს. ეს არის ვაჭართა მიერ წარმოების თანდათანობით დაუფლება. ეს პროცესი იწყება ვაჭარ-შემსყიდველის მიერ ნედლეულის, მაგალითად ბამბის შესყიდვით, რომელსაც დასამუშავებლად განსაზღვრულ ფასად მპენტავეს ურიგებდა, ამის შემდგომ კი გაპენტილი ბამბა გადაეცემოდა სამღებრო და საჩითავ სახელოსნოებს. ცნობისათვის, გვიან შუასაუკუნეებში წარმოების ასეთივე წესი იყო ძირითადად დამკვიდრებული იტალიის ქალაქ-რესპუბლიკებში, მაგ. ფლორენციაში.

ზემოაღწერილი პროცესი წარმოდგენას იძლევა სავაჭრო კაპიტალის პირველ ნაბიჯებზე კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობის პროცესში და წვრილი მწარმოებლების (ე.წ. შინამრეწველების) დაქვემდებარების გზაზე. თუმცა ამ მოვლენას კაპიტალიზმის აღმოცენება-დამკვიდრება არ მოჰყოლია. ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ვაჭარ-შემსყიდველები მოაწყობდნენ სართავ, ან საქსოვ საწარმო-მანუფაქტურებს, სადაც თავს მოუყრიდნენ მანამდე სახლებში მომუშავე დაქსაქსულ ხელოსნებს. ვაჭარ-შემსყიდველებს სამუშაოს სახლებში ჩამორიგებასთან ერთად და ამ საქმესთან უშუალო კავშირით არ მოუწყიათ შრომის დანაწილებაზე დაფუნდებული მანუფაქტურები. ამგვარი მოწყობით იგი მრეწველი კაპიტალისტი გახდებოდა და შეიქმნებოდა კაპიტალისტური წარმოება მრეწველობაში.

არსებობდა კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობის სხვა გზებიც, როგორც იყო სახაზინო წარმოების მოწყობა, ან მთავრობის ცალკეული მოხელის და ზოგიერთი თავადაზნაურის მიერ სამრეწველო საწარმოს გახსნა და ა.შ.

გვიანი ფეოდალური ხანის საქრთველოს ეკონომიკის ისტორიის შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხელოსანთა და წვრილ ვაჭართა საქმიანობა, ვინაიდან ხელოსნობა საქალაქო მეურნეობის წამყვან ძალას წარმოადგენდა. პოლიტიკური ვითარებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილების შესაბამისად ხელოსნობაც განიცდიდა მეტამორფოზას. კაპიტალისტურ ურთიერთობათა გააქტიურების ფონზე ხელოსნურ-ამქრული წარმოება (ტრადიციული სახით) რღვევას იწყებდა და ადგილს უთმობდა წვრილ კაპიტალისტურ წარმოებას.

მიუხედავად იმისა, რომ ამქრული ხელოსნობის დაშლის პროცესი 30-40-იანი წლებიდან შეინიშნება, XIX ს. პირველი ნახევრის საქრთველოს მრეწველობაში უპირატესობას მაინც ხელოსნობა ინარჩუნებდა, თუმცა მისი ხვედრითი წილი კაპიტალისტური წარმოების წესის აქტიური დამკვიდრების შედეგად თანდათან მცირდებოდა. ქალაქად ხელოსნური წარმოების ამქრული ფორმა მნიშვნელოვნად აბრკოლებდა მრეწველობის განვითარებას. ხელოსნური კორპორაცია ზღუდავდა წარმოების განვითარებას; ამქრის შიგნით

კონკურენციის ზრდა ბევრ ხელოსანს ყმის მდგომარეობაში აყენებდა, ხოლო წარმოებას ამუხრუჭებდა.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების კვლევისას ამქარსა და ზოგადად ხელოსნობის განვითარებაზე აქცენტის გაკეთება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქალაქო და განსაკუთრებით თბილისის ეკონომიკაში მას საკმაოდ მოზრდილი ადგილი ეკავა, არამედ იმის გამოც, რომ ამ სფეროშიც გამოვლინდა კაპიტალიზმის წარმოშობის თავისებურებები. მაგალითად, წარმოების კაპიტალისტური ევოლუციის კვლდკვალ, თბილისის წვრილ მწარმოებელთა საზოგადოების ორ კატეგორიად გათიშვა, პირველ კატეგორიას მიეკუთვნებოდა ამქრულ ორგანიზაციაში გაერთიანებული ხელოსნობა, ხოლო მეორეს – ამქარსგარეშე ხელოსნური წარმოება, რომლის ზრდა-განვითარება სავსებით კანონზომიერ მოვლენად იქცა. ამ ტიპის სახელოსნოები იმ პერიოდის სტატისტიკურ ცხრილებში ფაბრიკა-ქარხნების გვერდით აღინუსხებოდა. გარდა ამისა, ამქრული ხელოსნობა ზემოაღწერილ პერიოდში თბილისის ეკონომიკის ერთგვარ იმიჯს წარმოადგენდა.

მნიშვნელოვანია ცვლილებები, რომელიც რუსეთში სამოციან წლებში გატარებულ ფინანსურ რეფორმას და საკრედიტო სისტემის კაპიტალისტურ რეორგანიზაციას მოჰყვა. ეს რეფორმა საქართველოზეც გავრცელდა. კერძოდ, დაიწყო კაპიტალისტური კრედიტის განვითარება, თუკი საქართველოს ერთიან საფინანსო სისტემაში ჩართვამ ერთის მხრივ დააჩქარა საქართველოს რუსეთთან ეკონომიკური ინტეგრაცია, მეორეს მხრივ, კრედიტზე მოთხოვნის ზრდამ საკითხი დააყენა საკრედიტო დაწესებულებათა დაარსებაზე. ეს პროცესი კი მევახშეთა პოზიციებს საკმაოდ ასუსტებდა.

1866 წელს თბილისში დაარსდა სახელმწიფო ბანკის განყოფილება, ამავე პერიოდს უკავშირდება სააქციო-კომერციული საკრედიტო დაწესებულებების აღმოცენება როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. დაარსდა წვრილი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები, აგრეთვე საკრედიტო სახლები, რომლებიც თუმცა პრიმიტიულ ფორმებში, მაგრამ საკმაოდ რაოდენობით ეწეოდნენ სასესხო ოპერაციებს. ამ საკრედიტო დაწესებულებებში ათეულ მილიონობით სასესხო კაპიტალი ტრიალებდა და დიდ ძალას წარმოადგენდა

საქართველოს კაპიტალისტური განვითარების გზაზე. რაც შეეხება საბანკო-საკრედიტო სისტემას, მისი დაწინაურება ოდნავ მოგვიანებით ხდება.

XIX ს. მეორე ნახევარი თბილისის ეკონომიკის ისტორიაში მისი ბურჟუაზიულ ქალაქად ჩამოყალიბების პერიოდია. მისი მრეწველობა განვითარების კაპიტალისტურ სტადიაზე გადავიდა. კაპიტალისტური წარმოების წასის დამკვიდრებისა და მრეწველობის განვითარების მაჩვენებელია XIX ს. 70-იანი წლებიდან XIX ს. ბოლომდე საქართველოში ურბანიზაციის ტემპის დაჩქარება. ურბანიზაციასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ ფ. გოგიჩაიშვილი წერდა: „სავაზმო კაპიტალის მიერ გლეხობის შევიწროება, ისევე, როგორც მიწის და ნიადაგის ნაკლებობა, აიძულებს გლეხობას, რომ მთლიანად, ან ხანგრძლივი დროით გაწვევით კავშირი სოფლის მეურნეობასთან და წავიდნენ ქალაქებში მუშებად . . . . რომლებსაც მხოლოდ დაქირავებულ მუშებად შეუძლიათ არსებობა და ამის გამო მძიმედ განიცდიან ქვეყანაში კაპიტალისტური წარმოების სუსტ განვითარებას.“<sup>11</sup>

ფ. გოგიჩაიშვილის გამოანგარიშებით, 1886 წლიდან 1897 წლამდე საქართველოს სოფლებიდან ქალაქებში გადავიდა დაახლოებით 89 890 კაცი, ე.ი. წელიწადში საშუალოდ მიედინებოდა 8 170 კაცზე მეტი. აღნიშნულ პერიოდში ქალაქის მოსახლეობა მთლიანად 123,3 ათასი კაცით (182,5 ათასიდან 305,8 ათასამდე) გაიზარდა. ეს ზრდა კი ძირითადად სოფლიდან წამოსული მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა.

საქართველოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დინამიკა საგლეხო რეფორმის შემდგომ პერიოდში მოცემულია № 1.1 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ირკვევა, 1873 წლიდან 1897 წლამდე პერიოდში საქართველოში აშკარა ხდება ურბანიზაციის ტემპის ზრდა, ანუ, ქალაქის მოსახლეობა უპირატესად სოფლიდან წამოსული მოსახლეობის ხარჯზე იზრდებოდა. ეს ტენდენცია კი ზოგადად კაპიტალისტური ეკონომიკის გააქტიურებას ახასიათებს. მთლიანი მოსახლეობა გაიზარდა 696,0 ათასი კაცით, ანუ 54,7 %-ით. მათ შორის ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა 158,5 ათასი

---

<sup>11</sup> გოგიჩაიშვილი ფ. ხელოსნობა საქართველოში, თბ. 1976, გვ. 148

ცხრილი №1.1

საქ. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დინამიკა რეფორმის შემდგომ პერიოდში. (ათ. კაცი)<sup>12</sup>

წლები	საქართველოს მოსახლეობა (ათასი კაცი)			ქალაქის წილი საქართველოს მოსახლეობაში %	თბილისის მოსახლ. (ათასი კაცი)	თბილისის წილი ქალაქის მოს-ში %
	სულ	მათ შორის				
		ქალაქის	სოფლის			
1873	1272,8	147,3	1125,5	11,6	89,5	60.8
1886	1731,4	182,5	1548,9	10,6	78,4	42.9
1897	1968,8	305,8	1663,0	15,5	160,6	52.2

კაცით, ანუ 107,6 %-ით, სოფლის მოსახლეობა კი 537,5 ათასი კაცით, ანუ 47.7 %-ით. მონაცემები ცხადყოფს, რომ, ქალაქის მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე სოფლის.

საქართველოში მოცემული პერიოდის დემოგრაფიულ ტენდენციაში გამონაკლისი 1886 წელია, რაც იმით აიხსნება, რომ ამ კონკრეტულ ცნობებში შევიდა საქართველოსთან შემოერთებული ისტორიული ტერიტორიების –

<sup>12</sup> Dr. Gagitshaiswili, *Das Gewerbe in Georgien (under besondere Berücksichtigung der primitiven Betriebsformen. Tübingen, 1901, s. 120* \*1873z. *Сборник сведений о Кавказе, т. VII, Тифлис, 1880. 1886z. \_Свод статистических данных о населении Закавказского края, Тифлис, 1893. 1897z. \_Сборник стат. сведений по закавказскому краю, часть I, Тифлис, 1902.*

ყარსის, ბათუმისა და ართვინის ოლქების მოსახლეობა, სადაც მნიშვნელოვნად ჭარბობდა სოფლის მოსახლეობა. ამიტომ 1873 წელთან შედარებით ქალაქის მოსახლეობის აბსოლუტური - 35.2 ათ. კაცით ზრდის მიუხედავად, 1886 წელს მისი წილი საქართველოს მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში 1%-ით მცირდება.

არაზუსტი ცნობებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ 1886-დან 1897 წლამდე პერიოდში სოფლებიდან ქალაქში მიგრირებულთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 89,9 ათასი კაცია, ხოლო ანალოგიურ პერიოდში ქალაქის მოსახლეობა მთლიანად 123,3 ათასი კაცით გაიზარდა (182,5 ათასიდან 305,8 ათასამდე). აქედან გამომდინარე, ქალაქის მოსახლეობის 123,3 ათ. კაცით ზრდის ძირითადი ფაქტორი, ანუ 73% – სოფლიდან წამოსული მოსახლეობაა, ხოლო ზრდის დანარჩენი წილი – 33,4 ათასი კაცი, ანუ 27% მოდის ქალაქის მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე და ასევე იმპერიის სხვადასხვა გუბერნიებიდან იმიგრირებულ პირებზე.

ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ 1873-1897 წწ. თბილისის მოსახლეობა გაიზარდა 74,4 %-ით, ხოლო მისი წილი საქართველოს ქალაქის მოსახლეობაში შემცირდა 60,8 %-დან 52,5 %-მდე, ხოლო დანარჩენი ქალაქების წილი 39,2 %-დან 47,8 %-მდე გაიზარდა. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს დანარჩენ ქალაქებშიც შეინიშნება კაპიტალისტური ეკონომიკის გააქტიურება.

განსახილველ პერიოდში (1886–1897 წწ.) არ მოიპოვება ცნობები მოსახლეობის შობადობასა და სიკვდილიანობის შესახებ. 1902 წელს გამოცემულ სტატისტიკურ ცნობარში უკვე მოცემულია აღნიშნული ინფორმაცია თბილისის შესახებ 1894-1898 წლებისთვის. ამ ოთხი წლის განმავლობაში თბილისში დაიბადა 22 162 ადამიანი, ხოლო გარდაიცვალა – 17 818. მატება არის 4 344 ადამიანი. ანალოგიური მონაცემები უფრო ვრცელ პერიოდზე რომ არსებობდეს, უფრო კონკრეტულ წარმოდგენას შეგვიქმნიდა, თუ რამდენად განაპირობა მოსახლეობის ესოდენ სწრაფი მატება შობადობის გააქტიურებამ და რა წილი ჰქონდა მოსახლეობის მატებაში გარე მიგრაციებს. საფიქრებელია, რომ ორივე ფაქტორი იყო მნიშვნელოვანი. მშვიდობიანობისა და ზოგადად

ეკონომიკური აღმავლობის დროს შობადობაც აქტიურდება და ასევე დიდი იყო მოსახლეობის მეზობელი ქვეყნებიდან, განსაკუთრებით კი სომხეთიდან საქართველოსკენ მიგრაციის პროცესიც, რაც განსაკუთრებით თურქეთის მიერ სომხების შევიწროებას მოჰყვა და რის შემდეგაც რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო ამ მოსახლეობის მასიური ჩამოსახლება საქართველოში.

ზოგადი კანონზომიერება, რაც ნათლად იკვეთება ზემოთ მოყვანილ სტატისტიკურ მონაცემებში, არის ის, რომ ქალაქის მოსახლეობის განსაკუთრებით სწრაფი ზრდა მას შემდეგ შეიმჩნევა, რაც დასრულდა რკინიგზის მშენებლობა და გაიხსნა მოძრაობა ტრანსკავკასიურ სარკინიგზო მაგისტრალზე ბათუმიდან ბაქომდე თბილისის გავლით. ამ მოვლენამ ხელი შეუწყო მოსახლეობის მოძრაობის გააქტიურებას და განაპირობა განაპირა რაიონებიდან და მიყრუებული კუთხეებიდან სოფლის მოსახლეობის ქალაქებისკენ მიდინების პროცესი.

თბილისის დემოგრაფიული ვითარება წარმოდგენილია №1.2 ცხრილში.

1886-1897 წწ. მოსახლეობის განსაკუთრებით მაღალი ტემპებით – 104,8 %-ით ზრდა აღინიშნა. თბილისში 1886 წლის მონაცემები აღებულია საოჯახო აღწერის მიხედვით, ხოლო 1897 წლის კი – საყოველთაო ერთდღიანი აღწერით. თუ საბაზო პერიოდად ავიღებთ 1858 წლის მონაცემებს და შევადარებთ დანარჩენი წლის მონაცემებს, აღმოჩნდება, რომ თბილისის მოსახლეობა 1858 წლიდან 1886 წლამდე გაზრდილა 16 854 კაცით, ანუ 27,4%-ით, მათ შორის მამაკაცთა რაოდენობა – 5 362-ით, ანუ 13,9 %-ით, ხოლო ქალთა რაოდენობა – 11 492-ით, ანუ 49,7 %-ით, 1897 წლისთვის გაიზარდა სულ – 99 054-ით, ანუ 160,8 %-ით; მამაკაცთა – 57 639-ით, ანუ 150 %-ით და ქალთა – 41 415-ით, ანუ 179 %-ით. 1901 წლისთვის კი შესაბამისად: 173 240-ით, ანუ 281,3 %-ით, 99 561-ით, ანუ 258,9 %-ით და 73 679-ით, ანუ 318,5 %-ით.

ორმოცდასამი წლის განმავლობაში თბილისის მოსახლეობის ზრდის მასშტაბი შთამბეჭდავია, კერძოდ, 1858 წლიდან 1901 წლამდე პერიოდში სულ თბილისის მოსახლეობა გაიზარდა 173 240 კაცით, ანუ 3,8-ჯერ. ეს კი გარდა შობადობის გააქტიურებისა, განაპირობა როგორც უკვე აღვნიშნეთ, ურბანიზაციის ტემპის დაჩქარებამ და იმიგრაციებმა.

თბილისის მოსახლეობის დინამიკა 1886-1901 წწ.<sup>13</sup>

ცხრილი №12

წლები	სულ	მათ შორის	
		მამაკაცი	ქალი
1858	61 591	38 460	23 131
1886	78 445	43 822	34 623
1897	60 645	96 099	64 546
1901	234 831	138 021	96 810

არსებული მონაცემებით (1858-1901 წლებში) მოსახლეობის საშუალო წლიური მატება თბილისში იყო 4028,8 კაცი; მათ შორის მამაკაცთა საშუალო წლიურმა მატებამ აღნიშნულ პერიოდში შეადგინა – 2315,3, ხოლო ქალთა მატებამ – 1713,4. ე.ი. მამაკაცების მატება აღნიშნულ პერიოდში საგრძნობლად ჭარბობდა ქალებისას. ეს გამოწვეული, იყო თბილისში საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაში მამაკაცთა დასაქმების უპირატესობით.

ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქალაქი იყო თბილისი. 1897 წლის მონაცემებით 1 კვადრატულ ვერსზე (1 ვერსი–1,06 კმ.) მოდიოდა 57,5 კაცი. საქართველოში დასახლების სიმჭიდროვით მას მხოლოდ ქუთაისი უსწრებდა, სადაც 1 კვ. ვერსზე 71,2 კაცი მოდიოდა.

<sup>13</sup> Сборник статистических сведений по Закавказскому краю, часть I, Тифлис 1902.



1897 წლისთვის საქართველოში ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის საერთო რაოდენობა იყო 305,8 ათასი. ქალაქებში მცხოვრებთა უმრავლესობა – 52,5 % თბილისში იყო თავმოყრილი. ამავე პერიოდში ქუთაისის მოსახლეობა იყო – 32 492, ბათუმის მოსახლეობა კი – 28 5123. საქართველოს ქალაქებში მცხოვრებთა საერთო რაოდენობიდან ქუთაისში ცხოვრობდა 10,6%, ხოლო ბათუმში – 9,3 %. საქართველოს ამ სამ ყველაზე მსხვილ ქალაქში თავს იყრიდა ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის 72,4 %, ხოლო დანარჩენი 27,6 % შედარებით მცირე ზომის ქალაქებზე მოდიოდა. შესაბამისად, ამ სამ ქალაქში იყო ყველაზე მეტად განვითარებული მრეწველობა.<sup>14</sup>

კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების შედეგად თანდათან ხდება ფეოდალური ტრადიციების განდევნა და თბილისი ყალიბდება ბურჟუაზიულ ქალაქად განვითარებული ინფრასტრუქტურით. აღნიშნულ პერიოდში დაიწყო ქალაქის გეგმიანი რეკონსტრუქცია და განაშენიანება, გაიყვანეს ფართე, მოკირწყლული ქუჩები, აშენდა რამდენიმესართულიანი ქვის შენობები, გაჩნდა ახალი სახის საქალაქო ტრანსპორტი – კონკა, ტრამვაი, მომრავლდა ეტლების რაოდენობა; ინტენსიურად შენდებოდა ევროპული ტიპის სასტუმროები, ბიბლიოთეკა-მუზეუმები, კლუბები, თეატრი, მაღაზიები, ეწყობოდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მანქანების გამოფენები; ამ პერიოდში გაჩნდა ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი; გარდა ამისა, თბილისს გააჩნდა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობაც, რაც ხელს უწყობდა მის გადაქცევას კავკასიის ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრად. ეს ინფორმაცია დაწვრილებით აქვს გადმოცემული გენერალ მაჯდ-ოს-სალტანეს, რომელმაც თბილისში 1894 წელს იმოგზაურა. “ორი წელი იქნება, რაც თბილისში მცხოვრებთა კომუნიკაციის გაადვილების მიზნით, აშენდა ტელეფონის სააგენტო. ეს სააგენტო დიდი შენობის მესამე სართულზე მდებარეობს. მთელი ქალაქის სატელეფონო ხაზები ცენტრშია თავმოყრილი. სახელმწიფო დაწესებულებები, სხვადასხვა პუნქტები, მაღაზიები, სასტუმროები და აბანოები დაქსელილია სატელეფონო ხაზებით. თითოეული აბონენტი ამ მომსახურებისთვის იხდის ყოველწლიურად 85 მანეთს.

<sup>14</sup> Сборник статистических сведений по закавказскому краю, часть I. Тифлис 1902. გვ. 260-27

. . . ამჟამად თბილისში ბევრ ბინაზეა გაყვანილი ტელეფონის ხაზი,

. . . თბილისის ყველა ცნობილი ქუჩა დაქსელილია ტრამვაის ხაზით, ამას ემატება სამი ათასი გასაქირავებელი მსუბუქი ეტლი, საგვარეულო ეტლები და კარეტები.

. . . აბანოს გასახდელში არის ელექტრონის ზარი მომსახურე პერსონალის გამოსაძახებლად. ორბელიანის აბანოს დირექციას თითოეული ნომრიდან საათში 2 თუმნამდე შემოსავალი აქვს.”<sup>15</sup>

საქართველოში საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ზრდამ, მასთან დაკავშირებულმა ტექნიკური სიახლეების დანერგვამ, ევროპული ცივილიზაციის შემოჭრამ, (განსაკუთრებით ქალაქებში), საჭირო გახადა ხელოსნობის ახალი დარგების აღმოცენება. იგი დღის წესრიგში აყენებდა ზოგადი ტექნიკური განათლების აუცილებლობას. ტექნიკური პროგრესი სათანადოდ მომზადებულ მუშახელს მოითხოვდა. მართალია, რუსეთიდან და უცხოეთიდან ინტენსიურად მოდიოდნენ ერთეული ოსტატები, თუ დახელოვნებული ხელოსნები, ასევე მანუფაქტურების მუშაკები და მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერ-ტექნიკოსები, მაგრამ ისინი ტექნიკურ კადრებზე არსებულ მოთხოვნილებას სანახევროდაც კი ვერ აკმაყოფილებდნენ.

თუკი კაპიტალისტური ურთიერთობების გადრმავება საწარმოთა მფლობელებს ინტერესს უღრმავებდა საკუთარი ეკონომიკის გასაუმჯობესებლად, მოსახლეობის დარბ ფენას ფულის შოვნის ახალ პერსპექტივას უშლიდა. ამ მხრივ იგი ისე ძლიერ იყო დაინტერესებული თავისი და საკუთარი შთამომავლობის შესაფერისი პროფესიული სწავლა-განათლებით – რაიმე სახის ხელობის შესწავლით, რომ სახსრებს არ იშურებდა. ამგვარი მოთხოვნა დიდად ზრდიდა მოთხოვნას სასწავლო დაწესებულებებსა და კვალიფიციურ ოსტატებზე, რომელთა დეფიციტი უკვე აშკარა იყო.

60-70-იანი წლებისათვის საქართველოში და ზოგადად ამიერკავკასიაში მომწიფდა პროფესიულ-ხელოსნური სწავლების დანერგვის აუცილებლობა და რუსეთის ხელისუფლებამ დასაშვებად მიიჩნია ზოგიერთი დარგის

---

<sup>15</sup> მაჯღღ-ოს-ხალტანე, “ქალაქ თბილისის აღწერა”, თბ. 1971.

სპეციალისტების მომზადება.

1870 წლისთვის თბილისში – კუკიაზე, ზუბალაშვილის სახლში გაიხსნა ე.წ. სახელოსნო სკოლა, რომელიც ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ დააარსა. 1872 წლისთვის. ამ სკოლაში 25 მოსწავლე ირიცხებოდა, რომლებიც წერა-კითხვის გარდა ეუფლებოდნენ დურგლობას, მჭედლობას და სხვა ხელობებს, მათ სხვადასხვა ოსტატები ასწავლიდნენ და კარგი ანაზღაურებაც ჰქონდათ. აქ 8-დან 16 წლამდე ასაკის მოსწავლეები მიიღებოდნენ. ამ სასწავლებელში არსებობდა საკვირაო კურსებიც, რომლის მოსწავლეთა კონტიგენტის წლოვანება არ იყო განსაზღვრული, კურსებზე დასწრებისათვის კი გადასახადი იყო თვეში 65 კაპ.<sup>16</sup>

გარდა სასწავლებლისა, რომელიც კუკიაზე მდებარეობდა, ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილება დაინტერესებული იყო აგრეთვე სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ხელოსნების მომზადებით. ლოჭინში დაარსდა სამეურნეო სკოლა, სადაც ძირითადად სოფლის მეურნეობის გაძღოლას და სხვადასხვა ხელობას ასწავლიდნენ.<sup>17</sup> მას უნდა უზრუნველყო სასოფლო-სამეურნეო პროფესიული განათლების გავრცელება სოფლად და უშუალოდ მწარმოებელი გლეხებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მკეთებელი და შემკეთებელი ხელოსნების მომზადება.

1872 წ. ქალაქის თვითმმართველობამ განიზრახა დიდი მთავრის – მიხაილის სახელობის სახელოსნო-სასწავლებელი დაეარსებინა. მას მხარდაჭერა ჰქონდა ხელოსანთა საზოგადოებაშიც, კერძოდ, თბილისის ამქრებმა სკოლის შენობის ასაგებად გამგეობას 6 ათასი მანეთი გადასცეს და სურვილი გამოთქმეს უსასყიდლოდ ემუშავათ მშენებლობაზე (ისევე, როგორც ეკლესიებისა და სხვა საკულტო შენობების აგების დროს იქცეოდნენ).<sup>18</sup> ეს სახელოსნო სასწავლებელი 1880 წელს გაიხსნა და საზოგადოების ყველა წოდებისა და სოციალური ფენის წარმომადგენლებს შეეძლოთ სწავლა. ამ პერიოდისთვის განსაკუთრებით შეინიშნება არისტოკრატისა და სასულიერო წოდების დაინტერესება პროფესიული განათლებით. სასწავლებელი ექვემდებარებოდა

<sup>16</sup> *Кавказский календарь на 1872 год, с. 105.*

<sup>17</sup> *სახელოსნო სკოლა ტექნიკური საზოგადოებისა – ნ. ყოფიანი – გაზ. “დროება” №3, 1872.*

<sup>18</sup> *Кавказский календарь на 1872 год, с. 105*

თბილისის თვითმმართველობას.

დამოუკიდებელი სახელოსნო-პროფესიული სკოლების მოწყობა ფულადი სახსრების სიმწირის გამო, მეტნაკლებად სირთულეებთან იყო დაკავშირებული, მასთან შედარებით პრაქტიკული იყო ერთ, ან ორკლასიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან სახელოსნო კლასების გახსნა. ამ მხრივ კი ის დაბრკოლება არსებობდა, რომ ჭირდა რუსულენოვანი თავისუფალი და კვალიფიციური ხელოსანი-პედაგოგების მოძიება (სწავლება უნდა წარმართულიყო რუსულ ენაზე).

სახელოსნო-პროფესიული განათლების დანერგვის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა თბილისის საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომელიც 1859 წელს დაარსდა. მისი მთავარი მიზანი იყო “უფასოდ ესწავლებინათ ღარიბი ოჯახის შვილებისათვის წერა-კითხვა, ხელსაქმე, საოჯახო საქმე და რაიმე ხელობა...<sup>19</sup> ამ საზოგადოებას მფარველობდა იმპერატორის მეუღლე – ოლგა. საქველმოქმედო საზოგადოების სკოლებში ბავშვებს ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას, წერა-კითხვას, რუსულს, არითმეტიკას, ხელსაქმეს, საოჯახო საქმეს, გუნდურ სიმღერებს. გარდა ამისა, “ბავშვებს კოლუჩებალკინსკის და ხარფუხის მაგნინსკის სკოლებში ასწავლიდნენ საამკინძაო ხელობას და დურგლობას ვაჟთა სკოლაში”<sup>20</sup>

1873 წლის მიხედვით, კავკასიის ოკრუგის უწყებაში შემავალ სასწავლებლებში მოსწავლეთა საკმაოდ მოზრდილი რაოდენობა დაფიქსირდა. თბილისის სასწავლებლებში, სადაც არსებობდა პროფესიულ-ხელოსნური სწავლება, მოსწავლეთა რაოდენობა ასე გამოიყურება: ვაჟთა ერთკლასიან და 3 ორკლასიან სასწავლებელში სწავლობდა – 236 მოსწავლე; ქალთა ქალაქის სასწავლებლებში – 672 მოსწავლე; კერძო პანსიონებსა და სკოლებში – 1006 მოსწავლე (რომლის მოსწავლეთა უდიდესი წილი ეროვნებით ქართულ მოსახლეობაზე მოდიოდა); წმინდა ნინოს სასწავლებელში – 490; საქველმოქმედო საზოგადოების სკოლებში კი 534;<sup>21</sup> ამ მონაცემებით ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ სწავლის მსურველთა საკმაოდ დიდი

<sup>19</sup> *Кавказский календарь на 1875 год, с. 96.*

<sup>20</sup> *იქვე*

<sup>21</sup> *იქვე, გვ. 170.*

რაოდენობა, არამედ ამ რაოდენობაში ქალთა მოზრდილი წილი. ქალთა წილის ზრდა კი პროგრესულ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური თვალსაზრისით.

XIX ს. 90-იანი წლებიდან, კაპიტალიზმის განვითარების მკვეთრ აღმავლობასთან დაკავშირებით საიმპერიო ხელისუფლება იძულებული გახდა ანგარიში გაეწია დროის მოთხოვნებისათვის და ფინანსური თვალსაზრისით ხელი შეეწყო სპეციალური სკოლების დაარსებისთვის. მაგალითად, 1882 წ. თბილისში ქალაქის თვითმმართველობის სახსრებით გაიხსნა ქალთა პროფესიული სასწავლებელი, სადაც მხოლოდ ხელსაქმე ისწავლებოდა და მას სახელოსნოს უწოდებდნენ. ამ კურსებზე მიიღებოდნენ 18 წლიდან ზევით ასაკის მოსწავლე-ქალები.<sup>22</sup>

ხელისუფლების ხელშეწყობით სახელოსნო სასწავლებლები არა მარტო თბილისში იხსნებოდა, არამედ ეკონომიკურად მზარდ ქალაქებშიც, მაგალითად, ბათუმში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში.

---

<sup>22</sup> ეძგვერაძე ლ. სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ბურჟუაზიული ევოლუცია საქართველოში, გვ. 84. თბ. 1986.

## 12 თბილისის ეკონომიკური განვითარება 1864 წლის საბლანო რეფორმამდე პერიოდში

რეფორმამდელი საქართველოს მრეწველობაში თანდათან აღმოცენდა და განვითარდა კაპიტალისტური საწარმოები. ამ პერიოდში ჯერ კიდევ გაბატონებული იყო წარმოების მარტივი ფორმები: საოჯახო შინამრეწველობა და ხელოსნობა. ამასთანავე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ ჩნდება მრეწველობის მაღალი ფორმებიც – კაპიტალისტური მანუფაქტურა და ფაბრიკები. მრეწველობაში დაქირავებული შრომის გამოყენების გახშირება, ასევე, ქვეყანაში სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდა კაპიტალისტური ურთიერთობების გაღრმავებას გულისხმობდა.

გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკის ისტორიის შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხელოსანთა და წვრილ ვაჭართა საქმიანობა, ვინაიდან ხელოსნობა საქალაქო მეურნეობის წამყვან ძალას წარმოადგენდა. პოლიტიკური ვითარებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილების შესაბამისად ხელოსნობაც განიცდიდა მეტამორფოზას. კაპიტალისტურ ურთიერთობათა გააქტიურების ფონზე ხელოსნურ-ამქრული წარმოება (ტრადიციული სახით) რღვევას იწყებდა და ადგილს უთმობდა წვრილ კაპიტალისტურ წარმოებას.

მიუხედავად იმისა, რომ ამქრული ხელოსნობის დაშლის პროცესი 30-40-იანი წლებიდან გააქტიურდა, XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს მრეწველობაში უპირატესობას მაინც ხელოსნობა ინარჩუნებდა, თუმცა მისი ხვედრითი წილი კაპიტალისტური წარმოების წესის აქტიური დამკვიდრების შედეგად თანდათან მცირდებოდა. ქალაქად ხელოსნური წარმოების ამქრული ფორმა მნიშვნელოვნად აბრკოლებდა მრეწველობის განვითარებას. ხელოსნური კორპორაცია ზღუდავდა წარმოების განვითარებას; ამქრის შიგნით კონკურენციის ზრდა ბევრ ხელოსანს ყმის მდგომარეობაში აყენებდა, ხოლო წარმოებას ამუხრუჭებდა.

ვინაიდან XIX ს. დასაწყისისთვის ამქრული ხელოსნობის რღვევა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, ანუ მისი რეგრესი არც თუ ისე თვალსაჩინო იყო.

საქალაქო მეურნეობაში იგი მოზრდილ წილს ინარჩუნებდა, ამიტომაც მიზანშეწონილი იქნება მიმოვიხილოთ, თუ როგორი იყო მისი არსი და სტრუქტურა.

ამქარი თავისი არსით იყო ამხანაგობა, რომელიც ერთი რომელიმე განსაზღვრული სახის სახელოსნო სამუშაოს ასრულებდა, ან ერთი რომელიმე სახის საქონლით ვაჭრობდა და ერთ რომელიმე კორპორაციას წარმოადგენდა. ამქარს ხელმძღვანელობდა არჩეული პირი. იგი ამქრის წევრთა რაოდენობას არ ზღუდავდა და აერთიანებდა ყველა იმ პირს, ვინც მოცემულ საქმიანობას ეწეოდა. ამქრის წევრობისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, პიროვნება საზოგადოების რომელ ფენას მიეკუთვნებოდა, რა ეროვნების, ან რომელი რელიგიური აღმსარებლობის იყო. ერთადერთი მოთხოვნა ის იყო, რომ დამორჩილებოდნენ ამქრის მიერ არჩეულ ხელმძღვანელს, ე.წ. უსტაბაშს (სიტყვა-სიტყვით – ხელოსანთა თავს – თურქულად). უსტაბაში ამ კორპორაციის შინაგან მეურნეობაში ახორციელებდა სრულ მმართველობას, ამქრის წევრების მიმართ სასამართლო-პოლიციურ ზედამხედველობას და ითვლებოდა კორპორაციის წარმომადგენლად საგარეო ურთიერთობებში. მიუხედავად იმისა, რომ უსტაბაშს ირჩევდნენ განუსაზღვრელი დროით, თუკი იგი არ გაამართლებდა ამქრის მოლოდინს, ან მიიღებდა მიკერძოებულ გადაწყვეტილებას, არანაირი დბრკოლება არ არსებობდა მისი გადარჩევისათვის. იყვნენ ასევე უსტაბაშები, რომლებიც 15-20 წლის განმავლობაში და სიკვდილამდე ასრულებდნენ თავის ფუნქციას. უსტაბაშის დაუძღურების, ან ავადმყოფობის შემთხვევაში იგი თავად იხსნიდა უფლება-მოვალეობებს და ახალ უსტაბაშს ირჩევდნენ, ხანდახან მისივე რეკომენდაციით.

ცალკეულ ამქარს თითო უსტაბაში ჰყავდა. უსტაბაშს ჰყავდა ორი ასისტენტი, ე.წ. აღსაკალი, რომლებსაც ასევე ამქრის წევრები ირჩევდნენ. ისინი უსტაბაშის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებდნენ. აღსაკლის თანამდებობაზე, რომლის ვადაც ასევე განუსაზღვრელი იყო, ხანდახან ყოფილ უსტაბაშებსაც ირჩევდნენ.

ამქარს ჰყავდა ასევე მოლარე, ანუ ხაზინადარი, რომელსაც აბარებდნენ ამქრის ფულს. ხაზინადარი კრებდა გადასახადებს და ჯარიმებს, რომელიც

განკუთვნილი იყო ამქრის სალაროში შესატანად. იგი სავსებით დამოუკიდებელი იყო უსტაბაშისა და უხუცესებისაგან. ხაზინადარი უნდა ყოფილიყო გამჭრიახი გონების, წიგნიერი ადამიანი, რომელსაც მთელი ამქარი ენდობოდა. სალაროდან თანხის განაწილება-გაცემა უსტაბაშის მითითებით ხდებოდა, რომელიც თავის მხრივ გადაწყვეტილებას ამქრის წევრებთან წინასწარი თათბირის შედეგად იღებდა. უსტაბაშის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ამქრის წევრებს აცნობდა და შეიძლება ითქვას, მდივნის ფუნქციებს ასრულებდა ე.წ. იგიღბაში, რომელიც ყველა ამქარს ჰყავდა.

XIX ს. მეორე ნახევრიდან ქალაქის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ხელოსნურ ნაწარმზე მოთხოვნაც, შესაბამისად გარკვეული კატეგორიის ამქრის წევრთა რაოდენობა მკვეთრად იზრდებოდა. ამქრის სამეწარმეო არეალი და მასშტაბები ფართოვდებოდა. ქალაქის მოშორებულ უბნებში გაფანტულ ამქარს უსტაბაში სრულფასოვნად ვეღარ განაგებდა, ვინაიდან ვერ ასწრებდა ქალაქის სხვადასხვა მხარეს გადაადგილებას, საჭირო განკარგულებების გაცემას და მათ მეთვალყურეობას. ამქართა ნაწილმა საჭიროდ ჩათვალა, რომ ცალკეულ განაყოფებად დანაწილებულიყვნენ. განაყოფი ცალკე ამქრად ყალიბდებოდა და თავისთვის უსტაბაშსაც ირჩევდა. მაგალითად, კალატოზები თავდაპირველად დაიყვნენ ორ, ხოლო შემდგომ ხუთ ამქრად; ხუროები – სამ ამქრად. ამავე მიზეზით, ანუ გამსხვილების გამო, სხვა ამქრებსაც სჭირდებოდათ დაყოფა, თუმცა მათ ამგვარი გზით დანაწევრება არ ისურვეს და ჩამოაყალიბეს ე.წ. თაბუნები, რომლებსაც კვლავ საერთო უსტაბაში ჰყავდათ. თითოეული თაბუნისათვის ერთ, ან ორ აღსაკალს ირჩევდნენ, რომლებიც თაბუნის საქმეებს განაგებდნენ უსტაბაშის მიერ დადგენილი წესებით. საორგანიზაციო საქმეების, ან პრობლემების მოსაგვარებლად ისინი თათბირობდნენ უსტაბაშთან. ამგვარი სახით მესანთლეთა ამქარი დაიყო ორ თაბუნად, დურგლების – ოთხ თაბუნად, თითოეული ორ-ორი აღსაკლით. მარკიტანტების ამქარი დაიყო რვა თაბუნად თითო აღსაკლით.

ასე, რომ ამქრის მმართველობა ძირითადად შედგებოდა ოთხი საფეხურისაგან: უსტაბაშის, აღსაკალის, ხაზინადარის და იგიღბაშისაგან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მზარდი კაპიტალისტური მრეწველობის



გააქტიურების პარალელურად მიმდინარეობდა ხელოსნური წარმოების ტრანსფორმაცია. ამ პროცესს აჩქარებდა ხელოსნურ წარმოებაში დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდის ტენდენცია, ასევე ამქრისგარეშე ხელოსნობის წარმოქმნა და ბაზრისათვის საქონლის წარმოებაზე გადასვლა.

ამქარი ერთგვარად ძლიერი და შეკრული ორგანიზაცია იყო. იგი არ ცნობდა ხელისუფლების მიერ გამოცემულ კანონებს და ტრადიციული ადათ-წესებითა და დაუწერელი კანონებით მოქმედებდა. ამ მხრივ იგი სახელმწიფოში სახელმწიფოს ემსგავსებოდა. XIX ს. 50-იანი წლებისთვის

რუსეთის ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ გაეტარებინა რიგი ბურჟუაზიული რეფორმებისა, რომლის არსიც იყო ამქრული ორგანიზაციისთვის შეერყია საფუძველი და ქალაქის მოსახლეობა საკანონმდებლო კონტროლისათვის დაექვემდებარებინა, ამასთანავე ხელი შეეწყო ბურჟუაზიული გარდაქმნებისთვის. ერთ-ერთი ამგვარი მცდელობა იყო 1856 წ. მიღებული კანონი, რომლის მიხედვითაც უცხოელი და რუსი ხელოსნები ქალაქის მმართველობას დაუმორჩილეს, ასევე, უსტაბაშებს ჩამოერთვათ ამქრის წევრთა შორის სადავო საკითხების გარჩევის უფლება. ამ კანონით ხელისუფლებამ სცადა გაეძლიერებინა ამქრისგარეშე ხელოსნობა, რასაც შემდგომ თანდათან უნდა მოჰყოლოდა ხელოსნური წარმოების კაპიტალისტურზე გადასვლა. ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა ამქრის შიგნით მიმდინარე ორ ურთიერთგამომრიცხავ ტენდენციას: ერთნი ყოველმხრივ ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ამქარი ფეოდალური, ტრადიციული გაგებით, ხოლო მეორენი – ესწრაფვოდნენ თავი დაეხსნათ ამქრის მარწუხებიდან და წამოეწყოთ საკუთარი, თავისუფალი წარმოება. ხელისუფლების მხრიდან ამგვარი ღონისძიება 50-იან წლებში შედეგიანი აღმოჩნდა. სწრაფად გაიზარდა დამოუკიდებლად მომუშავე არა მხოლოდ რუსი და ჩამოსახლებული უცხოელი ხელოსნების რაოდენობა, არამედ ადგილობრივი ხელოსნებისაც, რომლებიც აარსებდნენ საკუთარ, ამქრისგარეშე სახელოსნოებს.

მომდევნო ეტაპი, ამქრული ხელოსნობის შეზღუდვისა ხელისუფლების მხრიდან იყო 1865 წ., როდესაც ამქარმა საპროტესტო გამოსვლებით სცადა წინ აღდგომოდა საგადასახადო პოლიტიკას. ხელისუფლებამ ამის საპასუხოდ

დააყენა საკითხი ამქრული ორგანიზაციის გაუქმების შესახებ, თუმცა ეს გადაწყვეტილება ნაადრევი აღმოჩნდა ქვეყანაში რეალურად არსებული ეკონომიკური ვითარების გამო. ახალფეხადგმული კაპიტალისტური მრეწველობის პირობებში ამქრობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. აქ ერთ საგულისხმო რეალობასაც უნდა შევეხოთ, კერძოდ, ამ პერიოდისთვის რუსეთში საკმაოდ იყო მომწიფებული ამქრების ლიკვიდაციის საკითხი, ამისგან განსხვავებით, საქართველოში ეს საკითხი მწვავე წინააღმდეგობას ხვდებოდა. ჯერ ერთი, ჯერ კიდევ შედარებით მცირე იყო მსხვილ საწარმოთა წილი ეკონომიკაში (ჭარბობდა წვრილი საწარმოები); გარდა ამისა, ქართულ ამქარში რუსულ და თუნდაც ევროპულ მსგავსი ტიპის ორგანიზაციებისგან განსხვავებით ამქრის მოწყობის შედარებით დემოკრატიული პრინციპები ჭარბობდა. რაც შეეხება ამქარში გაერთიანებას და ამქრის სტატუსებს, იგი ქონებრივ ცენზს არ მოითხოვდა. ეს ფაქტორი დიდად განაპირობებდა იმას, რომ ადგილობრივი ხელოსნები, განსაკუთრებით კი ღარიბი ხელოსნები არ იყვნენ ანტაგონისტურად განწყობილნი წარმოების ამგვარი სისტემის მიმართ და არც მისი ტრანსფორმაციის სურვილი გააჩნდათ.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, უსტაბაში ტრადიციისამებრ განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა. არცერთი საკითხი, ეს ეხებოდა ოსტატის მიერ თავის ნაწარმზე ფასის დაწესებას, შემკვეთსა და ოსტატს შორის დამოკიდებულებას, ან წარმოების ორგანიზაციის რეგლამენტაციას, უსტაბაში გარეშე არ წყდებოდა. ამის გარდა, ქარგალს უფლება არ ჰქონდა თავისი სურვილით მიეტოვებინა სახელოსნო და გადასულიყო სხვა ოსტატთან სამუშაოდ, ასევე ამქრის დაუწერელი კანონის ძალით არავის შეეძლო სხვისი ნაშეგირდალი მიეღო მისსივე ყოფილი ოსტატის ნებადაურთველად – ამ ყველაფრის გათვალისწინებით და მიუხედავად ამქრის პოტენციალის თანდათანობით შესუსტებისა, მას ჯერ კიდევ შეეძლო დადებითი როლის შესრულება, მაგალითად, ქალაქის ღარიბი ხელოსნების დიდი ნაწილი გადაერჩინა სრული გაჩანაგებისაგან – პაუპერიზაციისაგან.

ამ ფაქტორთა გამო დღის წესრიგიდან მოიხსნა ხელოსანთა ამქრის გაუქმების საკითხი, თუმცა ისინი იძულებულნი გახდნენ შეგუებოდნენ

ცხოვრების ახალ პირობებს; კერძოდ, 1867 წელს დამტკიცდა დებულება “წესდება ქ. თბილისის სახელოსნო ამქრებზედ და მათ გამგებლობაზედ”. ამ დებულებით მოისპო ვაჭართა ამქრები და დარჩა მხოლოდ ხელოსანთა ამქრები. ამავე დებულებით ამქრობამ სრული დამოუკიდებლობა დაკარგა. ის დაუქვემდებარეს თბილისში გახსნილ სახელოსნო სამმართველოს, რომელსაც ქალაქის მმართველობასა და ხელოსნებს შორის ერთგვარი შუამავლის როლი ეკისრებოდა და ყველა ამქარს განაგებდა. მას დაევალა გადასახადების დროულად და სრული აკრეფა, ოსტატებისა და ქარგლების წოდების დამტკიცება და ა. შ. ამ დებულების მიხედვით, ამქრის ხელმძღვანელად კვლავ უსტაბაში რჩებოდა, თუმცა მას აღარ ჰქონდა სასამართლო უწყებანი და ჩამოერთვა ახალი ოსტატის აყვანის უფლება. იმ ხელოსნებისთვის კი, რომლებიც ამქარსგარე სახელოსნოს დაარსების სურვილს გამოთქვამდნენ, სახელოსნო სამმართველოს შეძლებისდაგვარად ხელი უნდა შეეწყო; ასევე, უსტაბაშის არჩევის ვადები განისაზღვრა სამი, ხოლო მოღარისა – ერთი წლის ვადით (მანამდე, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, უსტაბაშს განუსაზღვრელი დროით ირჩევდნენ, თუ რა თქმა უნდა, ხელოსანთა ყრილობა მას არ გადაირჩევდა); ქარგლებისა და შეგირდების ვადები ხუთი წლის ვადით განისაზღვრა (მანამდე მათი დაოსტატების ვადები არ იზღუდებოდა და საკმაოდ ხანგრძლივი იყო); ამქართა უსტაბაშებს, ასევე კრებას აკრძალათ ხელოსნის ხელფასის, ან ნაკეთობის ფასის თვითნებური დაწასება; ამ აკრძალვის დარღვევა ისჯებოდა ჯარიმით 50-დან 200 მანეთამდე იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც უშუალოდ თვითონ არ ყოფილიყო მისი მონაწილე.<sup>23</sup> თვით სახელოსნო სამმართველო ხელოსნობასთან დაკავშირებულ საქმეებში ექვემდებარებოდა საქალაქო მმართველობას. იგი 1917 წლამდე არსებობდა და ქალაქის ყველა სახელოსნოს საქმიანობას აკონტროლებდა.

XIX ს. მიწურულს არსებული, ტრადიციული ხელოსნობის დარგების გარდა დაწინაურდა ხელოსნობის ისეთი დარგები, რომელიც ჩამოსულმა უცხოელმა და რუსმა ხელოსნებმა შემოიტანეს საქართველოში და გარდა უცხოელებისა, ადგილობრივმა ხელოსნებმაც შეითვისეს, მათ შორის

<sup>23</sup> სცხა, ფ. 416, აღ. 3, ხაქ. 800

აღსანიშნავია: ლუდის დამზადება, კონდიტერობა, მეფუნთუშეობა, მეძებეობა, მეთუნუქეობა, მეშუშეობა, მკინძაგობა, მეცეტლეობა, მეკასრეობა, და სხვა.<sup>24</sup> ამავე პერიოდისათვის ხელოსნური საქმიანობა უმეტესდ საყოფაცხოვრებო საგნების დამზადების სფეროს მოიცავდა. ახალ ხელოსნურ დარგად ყალიბდება სამშენებლო ქვის დამუშავება (შადრევნები, წისქვილის დოლაბები და სხვა), რეწვის ეს სახეობები ძირითადად თბილისში იყრიდა თავს.<sup>25</sup>

გაფართოვდა ამქარსგარე ხელოსნობის მასშტაბი, გაიზარდა ხელოსნურ წარმოებაში ჩაბმული თავისუფალი, დაქირავებული მუშების რაოდენობა. მაგალითად, ევროპული ფეხსაცმლის მკეთებელი ხელოსნები ფორმალურად ამქრებში იყვნენ გაერთიანებულნი, მაგრამ ამქრულ რეგლამენტაციას და შეზღუდვას არ ექვემდებარებოდნენ. საბაზები და მეფუნთუშეები ამქარს არ განეკუთვნებოდნენ, მესპილენძეები, მკალავეები და ლამპის მკეთებლები ასევე არ განეკუთვნებოდნენ ამქარს.<sup>26</sup>

სტატისტიკური მონაცემებით 1883 წელს თბილისში 59 ხელოსნური ამქარია დაფიქსირებული, რომლებშიც გაერთიანებულები იყვნენ: ხუროები – 500 კაცი, დურგალი და ხარატი – 450, მამაკაცის ევროპული ტანსაცმლის მკერავი – 350, მეპურე – 150 კაცი, ხარაზი – 300, ზეინკალი და მექანიკოსი – 116, დამჭედი (ნალის) – 40, აზიური წაღების მკერავი – 90, ევროპული ფეხსაცმლის მკერავი – 350, ბორბლების მკეთებელი – 140 და ა.შ. სულ ოსტატი – 2 782, ქარგალი – 2 002 და შევირდი – 1 091, სულ – 5 875 ხელოსანი.<sup>27</sup>

ამ პერიოდის ქართული პრესა საკმაო ყურადღებას უთმობდა სახელოსნო ურთიერთობებს, მათ შორის ყურადღებას ამახვილებდა სახელოსნოების მოწყობასა და სანიტარიულ მდგომარეობაზე. როგორც ირკვევა, ხელოსნური წარმოების უბნები იყო საკმაოდ მოუწყობელი და იქ ანტისანიტარია სუფევდა, უამინდობის დროს კი ვიწრო და ბნელი ქუჩები ძნელად გასავლელი ყოფილა. სახელოსნოების უმრავლესობა ძველ და ავარიულ შენობებში იყო

<sup>24</sup> სცსა, ფ. 12, რ. 1, საქ. 1460, ფ. 29.

<sup>25</sup> А.Г. Гнедич, *Обзор промышленности фабрично-заводской, кустарной и горнозаводской губерний и областей Кавказского края, составлено в 1900 году*, с. 4.

<sup>26</sup> სცსა, ფ. 7, საქ. 2 229, ფურც.81-92; ხომტარია ე. დამუშავებითი მრეწველობა საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში. თ. . 1958.

<sup>27</sup> სცსა, ფ. 17, საქ. 2 283, ფურც. 34.

განლაგებული, ხელოსნებს იქვე პატარა ღუქნები ჰქონდათ მოწყობილი. თბილისელი მექეხვეები და მეპურეები უვარგის საქონელს ამზადებდნენ, რომელსაც შედარებით იაფად ღარიბ მოსახლეობაში ასაღებდნენ. მაგ. გაზეთი ივერია წერდა, “თბილისელი მექეხვეები ამზადებენ ძეხვეულს ავადმყოფი საქონლის ხორცისაგან, ბაზარზე გამოაქვთ და გირვანქას შაურიდან 8 კაპიკამდე ჰყიდიან. ასეთი საძაგელი საქონლის მუშტარი არის ღარიბი და საწყალი ხელოსანი ხალხი.”<sup>28</sup>

საქართველოში თითო-ორიღა შედარებით მსხვილი კაპიტალისტური საწარმო XIX ს-ის 20-30-იანი წლებიდან აღმოცენდა. სამრეწველო კაპიტალის ზრდა უკვე შესამჩნევი ხდება, გახშირდა კერძო პირების მიერ ფაბრიკა-ქარხნების დაარსების მცდელობა. მართალია ამ წამოწყებათა უმრავლესობა არ იყო წარმატებული, მაგრამ მაინც იმსახურებს ყურადღებას, რადგან იგი ახალი, კაპიტალისტური წარმოების წესის დამკვიდრებას უწყობდა ხელს.

XIX ს. 30-იან წლებში საქართველოში იყო მცდელობა დაენერგათ შაქრის წარმოება. შაქრის ლერწამი ნედლეულის სახით შემოდის კასპიის სამხრეთი სანაპიროებიდან, სპარსეთის მაზანდარანიდან. მაზანდარანის შაქრის ლერწამი შეიცავდა 80% შაქრის კრისტალს და 1 ფუთის ღირებულება იყო 1,5 მან.

პირველად შაქრის წარმოების აწყობის მცდელობა ეკუთვნით ძმებს – ალექსი და გაბრიელ შადინოვებს. მათ მიმართეს საქართველოს მთავარმმართველს – ბარონ როზენს რაფინირებული შაქრის ქარხნის მშენებლობის თაობაზე, თუმცა ის შეღავათები, რომლებსაც ისინი ითხოვდნენ, ხელისუფლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.<sup>29</sup>

ორიოდე წლის შემდეგ საქართველოში იქმნება შაქრის წარმოების თაოსანთა მეორე, უფრო ძლიერი კომპანია იაკობ ზუბალაშვილის მეთაურობით. ზუბალაშვილები ჯერ კიდევ მანამდე, მთელს საქართველოში იყვნენ დაწინაურებულები სავაჭრო და სამრეწველო ასპარეზზე და სახელიც ჰქონდათ განთქმული. ისინი სავაჭროდ დადიოდნენ სპარსეთში, თურქეთში, რუსეთში, ინდოეთში და სხვ. განსაკუთრებით დაწინაურდნენ ერეკლე II-ის მეფობისას – XVIII ს-ის მეორე ნახევარში. ამ პერიოდის თბილისის ვაჭართა და მოქალაქეთა

<sup>28</sup> გაზ. “ივერია”, №66. 1888.

<sup>29</sup> საქ. ცნსა, ფონდი 2, აღ. 1, საქმე 3109.

შორის ერთ-ერთი მოწინავეთაგანი იყო ივანე ზუბალაშვილი. მისი შვილი – იაკობ ზუბალაშვილი (1792–1865 წწ.) XIX ს. სავაჭრო და სამრეწველო ასპარეზზე ყველაზე მეტად დაწინაურდა.<sup>30</sup> პირველ ხანებში იგი საზღვარგარეთ ეწეოდა მასშტაბურ სავაჭრო ოპერაციებს. საქართველოდან მას გაჰქონდა მატყლი, ბამბა, ბზის ხე, ხილი და სხვა, ხოლო შემოჰქონდა ფართლეული, შაქარი, ჩაი, ყავა, ძაფეული, მინისა და ბროლის ნაკეთობანი და სხვა.

XIX ს. 30-იან წლებში ი. ზუბალაშვილთან სავაჭრო საქმიანობაში ერთგებიან ვაჭრები: ენიბეკოვი, ლორის-მელიქოვი, თამამშევი და სხვანი.<sup>31</sup> გარდა ამისა, იაკობ ზუბალაშვილი არმიის მომარაგებისთვის ყიდულობდა პურსა და ქერს, ეწეოდა საიჯარო საქმეებსაც. დიდ სავაჭრო ოპერაციებს ეწეოდა ასევე იაკობის ძმა – იაგორ ზუბალაშვილი. მასთან თანამოსაქმეობდა მსხვილი თბილისელი ვაჭარი – მირიმანოვი. ზოგადად, XIX ს. დასაწყისიდან ზუბალაშვილები სავაჭრო-კომერციულ ასპარეზზე თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ და ამ გზით მათ მსხვილი ფულადი კაპიტალის დაგროვება შეძლეს.

1936 წ. შაქრის წარმოების ასამუშავებლად შადინოვებთან შედარებით მოკრძალებული საშელავათო პირობებით ხელისუფლებას წინადადებით მიმართეს ი. ზუბალაშვილმა, დ. თამამშევმა და ტერ-გუკასოვმა. 1837 წ. 22 ივლისს მათ ნება მიეცათ კასპიისა და შავი ზღვის სანაპიროებზე 500 დესეტინა სახაზინო მიწებზე გაეშენებინათ შაქრის ლერწამი, მათვე მიეცათ უფლება, რომ აეშენებინათ ქარხანა და იმპორტირებული ნედლეულის ბაზაზე გამოეხადათ შაქარი. ამასთანავე, მეწარმეებს მიეცათ შეღავათები: ქარხნის არსებობის პირველ სამ წელს 120 000 ფუთ შაქრის ფხენილზე არ გადაიხდიდნენ გადასახადებს, ხოლო მომდევნო სამ წელს შეეძლოთ ამავე ოდენობის შაქრის ფხენილზე გადაეხადათ გადასახადის მხოლოდ ნახევარი, ანუ ფუთზე 70 კაპ.

მეწარმეები გაეცნენ რა კასპიისა და შავიზღვისპირეთის რეგიონების პირობებს, ხელისუფლებას ახალი შუამდგომლობით მიმართეს, რომ ქარხანა აეშენებინათ არა ამ ზღვისპირა რაიონებში, არამედ თბილისში, სადაც მათ გაცილებით უკეთესი პირობები ექნებოდათ. ამის შემდეგ მათ გამოეყოთ საჭირო

<sup>30</sup> იქვე, საქმე 1043.

<sup>31</sup> იქვე, საქმე 2605.

ადგილი და ქარხანა ამუშავდა. საწარმოში მუშათა რაოდენობა 50 კაცს აღწევდა (ადგილობრივ მცხოვრებთაგან). აქვე იყო ათამდე გამყიდველი და ზედამხედველი. საწარმოს მაქსიმალური გამომუშავება 40-იანი წლების დასაწყისში 186 000 მანეთს შეადგენდა. ქარხნის ამუშავების შემდეგ მიიღეს დამატებითი შეღავათები იმ სახით, რომ ექვსი წლის განმავლობაში მათ შეეძლოთ 240 000 ფუთი ნედლეული შემოეტანათ უცხოეთიდან შემდეგი საგადასახადო შეღავათებით: მთელი შემოტანილი ნედლეულის ნახევარზე არ გადაეხადათ გადასახადი, ხოლო მეორე ნახევარზე გადაეხადათ გადასახადის მხოლოდ ნახევარი. აღსანიშნავია, რომ ეს შეღავათები რეალურად ექვს წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. გარდა ამისა, მათ მიეცათ უფლება, რომ იმ დაშვებული 240 000 ფუთი შაქრიდან 6 000-მდე ფუთი საკუთარი შეხედულებისამებრ საცდელად გამოეყენებინათ ქართული ხილის დასაკონსერვებლად, რომელიც გამიზნული იყო როგორც ადგილობრივი, ასევე რუსეთის ბაზარზე გასატანად.<sup>32</sup> მიუხედავად ამ საკმაოდ ხელსაყრელი შეღავათებისა, მეწარმეთა ამხანაგობა ბოლომდე სერიოზულად არ მიუდგა ამ საქმეს, მათ არც უცდიათ კასპიისა და შავიზღვისპირეთში გაემყენებინათ შაქრის ლერწმის პლანტაციები, მხოლოდ ისარგებლეს იმ შეღავათებით, რასაც სახელმწიფოსაგან ღებულობდნენ და იმ საშეღავათო ვადის გასვლის შემდეგ კომპანიამ შეაჩერა მუშაობა.

რაც შეეხება ხილის დაკონსერვების საქმეს, მიუხედავად საქართველოში ხეხილის მრავალფეროვნებისა და ხილის სიუხვისა, იგი თითქმის არ არსებობდა. არ არსებობდა გამაგრილებელი სასმელების, ან თუნდაც ხილისაგან დამზადებული ბურახის წარმოება, რაც რუსეთში დიდად პოპულარული იყო. ეს იმ პირობებში, როცა სოფლის მოსახლეობა მოჭარბებული ხილისაგან ხშირად უმწეო მდგომარეობაში ვარდებოდა. ხილი, ისიც მხოლოდ მაღალი ხარისხის, იყიდებოდა მხოლოდ თბილისში, საქართველოს სხვა რეგიონებში მას ფასი თითქმის არ ჰქონდა.

მოგვიანებით, 90-იანი წლების დასაწყისში გორში, კ. შეპუვის აფთიაქში წარმოადგინეს ხილის მაღალი ხარისხის ვაჟინები და ესენციები. ჰქონდათ ასევე

---

<sup>32</sup> *Гулишамбаров СТ. ОФЗ Т губернии, Тифлис, 1888*

ხილის მშრალი, გრანულირებული ესენციები წვენების დასამზადებლად. წვენებს აწარმოებდა თბილისელი ვინმე ყაზაროვი, თუმცა რაიმე სახის სერიოზული წარმოება არ ჩამოყალიბებულა. ანალოგიური პროდუქტები ძირითადად უცხოეთიდან შემოდის.

რაც შეეხება შაქრის ჭარხლის წარმოებას, მისი გამართვის მორიგი მცდელობა ჰქონდათ ძმებს ანანოვებს. მათ ჩაატარეს რა ქუთაისის გუბერნიაში შაქრის ჭარხლის მოყვანის ექსპერიმენტი და დარწმუნდნენ მის ხარისხიანობაში, თბილისში შაქრის ქარხნის აშენება მოინდომეს. ხელისუფლებას ისინი სთხოვდნენ საგადასახადო შეღავათებს და უცხოური ნედლი შაქრის შემოტანას გადასახადის გარეშე. შემოტანილ ნედლეულზე შეღავათები ხელისუფლების მხრიდან მთლიანად იქნა უარყოფილი, ხოლო სააქციზო გადასახადზე შეღავათები 1870 წ. 9 თებერვალს ამგვარად ჩამოყალიბდა: 1) ქარხნის აშენებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში აქციზისგან მთლიანად უნდა გათავისუფლებულიყვნენ; 2) მომდევნო ორი წლის განმავლობაში უნდა გადაეხადათ აქციზის ნახევარი; 3) კიდევ მომდევნო ორი წლის განმავლობაში აქციზის 2/3. მთლიანი სააქციზო გადასახადის გადახდა მათ უნდა დაეწყოთ ქარხნის ამოქმედებიდან ექვსი წლის შემდეგ. ძმებმა ანანოვებმა ეს შეღავათები საკმარისად არ მიიჩნიეს და უარი თქვეს ამ საქმეზე. როგორც ჩანს, ადგილობრივი შაქრის გადამამუშავებელთათვის, ან გადამამუშავების მოსურნეთათვის გაცილებით იოლი გამდიდრების საშუალება იყო შეღავათიან პირობებში შემოტანილ ნედლეულზე მუშაობა, ვიდრე ადგილობრივი სანედლეულო ბაზის შექმნა და ამ ნედლეულის გადამამუშავება. ეს მათ სარისკოდ ეჩვენებოდათ.<sup>33</sup>

5–6 წლის შემდეგ თბილისელი კომერსანტები კვლავ შეეცადნენ წამოეწყოთ შაქრის წარმოების საქმე, ხელისუფლება კვლავ დაპირდა გარკვეულ შეღავათებს, თუმცა მიუხედავად ხელისუფლების სერიოზული დაინტერესებისა, ეს საქმე ადგილიდან ვერ დაიძრა. სოლიდური საფაბრიკო წარმოება ვერა და ვერ გაიმართა, თუმცა არსებობდა რეალური შანსი იმისა, რომ შაქრის წარმოება ადგილობრივ სანედლეულო ბაზაზე ყოფილიყო

<sup>33</sup> Гулишамбаров Ст. ОФЗТ губернии, Т 1888 გვ. 107-108



დაფუძნებული, რადგან შაქრის ჭარხლის აკლიმატიზაციამ თბილისის გუბერნიაში წარმატებით ჩაიარა. ამის დასტურად არსებობს სპეციალისტების მიერ ჩატარებული ადგილობრივი შაქრის ჭარხლის დაწვრილებითი ლაბორატორიული ანალიზის პასუხები, რომელიც მოწმობს, რომ უმაღლესი ხარისხის შაქრის ჭარხლის მოყვანა თბილისის მიდამოებში შესაძლებელი იყო.

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ზემოაღწერილ ვითარებას შევადარებთ თანამედროვეს. შეიძლება ითქვას, რომ ნავსი შაქრის ჭარხლის წარმოებაში არ ტყდება, თუმცა, XX ს. 50-70-იან წლებში კახეთისა და ქართლის რეგიონებში იყო მცდელობა, რომ მოეყვანათ შაქრის ჭარხალი და ამ ნედლეულით ადგილობრივი შაქრის გადამამუშავებელი ქარხანა მოემარაგებინათ. ეს მცდელობაც წარუმატებელი აღმოჩნდა. ადგილობრივი უმაღლესი ხარისხის შაქრის ჭარხლის წარმოება, რომელიც თავისი სარგებლიანობით შაქრის ლერწამს აღემატება, საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი შაქრის ქარხანა მომარაგდება იაფი ნედლეულით, ხოლო სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფილი იქნება დამატებით სამუშაო ადგილებით.

ყურძნისა და ღვინის ტრადიციულ ქვეყანაში ლუდის წარმოებამ კარგა ხანს ვერ მოიკიდა ფეხი. მცირე ზომის ლუდსახარშები თბილისში არაერთხელ გაიხსნა, თუმცა მალევე წყვეტდა არსებობას. მაგალითად: XIX ს. 30-იანი წლებისთვის თბილისში 4 ლუდსახარში არსებობდა. ლუდსახარშების დამკვიდრებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლება, რომლებიც ძირითადად თბილისის გუბერნიაში სახლდებოდნენ. ლუდის წარმოების ხელშემწყობ პირობად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ღვინის მწარმოებელ ქვეყანაში მისი ექსპორტირების გააქტიურებასთან ერთად იზრდებოდა მისი ფასიც. ფუთი ღვინო, რომელიც 30-40 კაპ. ღირდა, 1,5-2 მანეთამდე გაძვირდა.<sup>34</sup> ამასთან, თვალშისაცემი იყო მისი ხარისხის ვარდნა ფალსიფიცირების გამო. ლუდის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულს – ქერს თბილისის ქარხნები ყარსის ოლქიდან და ერევნის გუბერნიიდან

<sup>34</sup> *Ст. Гулишамбаров \_ ОФЗТ губернии, . Т. 1888 გვ. 35-39*

საკმაოდ იაფად იძენდნენ. ფუთის ღირებულება საშუალოდ 20-30 კაპ. იყო.<sup>35</sup> ლუდის დასამზადებლად, ნელგულად იყენებდნენ ქერს, რომელიც ძირითადად მთაგორიან ადგილებსა და ზეგანებზე მოჰყავდათ, მაგალითად, ახალქალაქში, ალექსანდრაპოლში, გორის მაღლობებზე, გოგჩის ტბის მიდამოებში და სხვა ადგილებში. აქ ძირითადად ორი სახის ქერი მოჰყავდათ: ე.წ. “ახალთესლი” და “ძველთესლი”, მათ შორის პირველი ორჯერ უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე მეორე, სწორედ ამ სახეობებს გამოიყენებდნენ ლუდის საწარმოებლად. 90-იან წლებამდე მისი ღირებულება ფუთზე 25 კაპ. იყო, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისისთვის მისი ფასი გაორმაგდა. საშუალოდ 1 ფუთი “ახალთესლის” ჯიშის ქერის თბილისამდე მოწოდება 80 კაპიკამდე ჯდებოდა. იგი ქარხნებს ძირითადად ჩენჩოიანად მიეწოდებოდათ, სადაც შემდეგ ხდებოდა მათი გასუფთავება. ხარისხიანი ქერის გასუფთავების შემდეგ რჩებოდა 70% ალათ, ხოლო 1 ფუთი ალათსგან მიიღებოდა 4,5 ვედრო საშუალო ხარისხის ლუდი. რაც მეტი ლუდი გამოიხდებოდა, თავისთავად, მით უფრო წყალწყალა იქნებოდა და პირიქით, 4 ვედროზე ნაკლების გამოხდით კარგი ხარისხის ლუდი მიიღებოდა.<sup>36</sup>

საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ლუდის წარმოების ერთ-ერთი თბილისელი სპეციალისტის – კკირიშჩევის მიერ თბილისის გარეუბანში ლუდსახარშის გახსნა. ასევე წარმატებული იყო ლორთქიფანიძის მიერ გერმანელი გუტბროდის ლუდსახარშის შექმნა. ეს მეწარმეები გამოიყენებდნენ ძრავებს, რომლებიც მოძრაობაში ცოცხალი გამწვევი ძალის (ცხენის) მეშვეობით მოდიოდნენ. ლორთქიფანიძის წარმოებაში დასაქმებული იყო 16 კაცი, ხოლო კირიშჩევთან – 3. ამ უკანასკნელის წარმოება შესაბამისად ნაკლებად მასშტაბური იყო.

აღსანიშნავია ლორთქიფანიძის ნოვაცია, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი თბილისში ლუდის პროკლარიაციას. მან ქალაქის ბაღში მოაწყო როტონდა (ღია პავილიონი), სადაც დაიწყო ლუდის გაყიდვა. თბილისური ზაფხულის სიცხეებში ბაღში მოსეირნეებსა და ლუდის მოყვარულებს საშუალება ეძლეოდათ ლუდხანების მაგივრად ცივი ლუდი პირდაპირ ღია სივრცეში

<sup>35</sup> *ст. Гулишамбаров, ОФЗТ губернии, Т 1888 г.к 35-39.*

<sup>36</sup> *Сборник стат. сведении по Зак. краю. Часть 1, г.к 238*

დაეგემონებინათ. გარდა ამ სიკეთისა, ხალხს მუსიკითაც იზიდავდნენ. ამ სიახლემ განსაკუთრებით საშუალო და დაბალი ფენა მიიზიდა, რომლებიც უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ როტონდისკენ. ამგვარად, ლორთქიფანიძემ უზარმაზარი მოგება მიიღო და მას თანდათან ლუდის სხვა მწარმოებლებს შორის მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ.

თბილისური წარმოების ვედრო ლუდის ღირებულება მიუხედავად მისი არაღამაკმაყოფილებელი ხარისხისა, საკმაოდ სოლიდური იყო, 1,2-დან 1,6 მანეთამდე მერყეობდა მისი ხარისხის მიხედვით და ძირითადად თბილისშივე საღებოდა. ბოთლის ლუდი უფრო ძვირად ფასობდა, იგი 10-12 კაპიკით მეტი ღირდა ბოთლის ღირებულების ჩათვლელად.<sup>37</sup> აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი ლუდის მწარმოებლები რაიმე სახის სერიოზულ კონკურენციას არ განიცდიდნენ. მაგალითად, რუსეთიდან ძნელდებოდა ლუდის შემოტანა იმის გამო, რომ სარკინიგზო ფრახტი ძლიერ მაღალი იყო. მხოლოდ როსტოვიდან და ოდესიდან შემოდებოდა გარკვეული რაოდენობის ლუდი, რომელმაც ბაზრის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი დაიკავა ფოთში, ბათუმსა და ქუთაისში.

თბილისური ლუდი გაჰქონდათ ბორჯომში აბასთუმანსა და ქუთაისშიც, სადაც როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადად მოიხმარდნენ ოდესის, როსტოვისა და ვარშავის ლუდს. ამ ლუდის ნაწილი გარდა ქუთაისისა, მცირე რაოდენობით თბილისშიც იყიდებოდა. იგი გაცილებით ძვირად ფასობდა და ადგილობრივ წარმოებულ ლუდს ხარისხითაც ჯობდა, თუმცა შემოტანილი ლუდი თბილისის ბაზარზე ადგილობრივს რაიმე მნიშვნელოვან კონკურენციას ვერ უწევდა.

ლუდასახარშებში დასაქმებული მუშახელი საკმაოდ მძიმე პირობებში, ამავე საწარმოს ტერიტორიაზე სახლობდა და თვიურად 15-25 მან. ანაზღაურებას იღებდა<sup>38</sup> მძიმე პირობები იყო ასევე თვით ლუდასახარშებშიც, განსაკუთრებით ლორთქიფანიძის ლუდასახარშში, რომელიც იმდენად მოძველებულ შენობაში და ჭუჭყიან გარემოში იმყოფებოდა, რომ ანტისანიტარია მომხმარებლის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიდა და ხელისუფლებას ამის გამო მისი დახურვა რამდენჯერმე უცდია. ამავე დროს, გერმანელი კოლონისტების

---

<sup>37</sup> იქვე  
<sup>38</sup> იქვე

ლუდსახარშებში სანიმუშო წესრიგი და ჰიგიენური პირობები არსებობდა.

ზოგადად, როდესაც გერმანელი კოლონისტების წარმატებული საწარმოები მიმოიხილება, ქართველი მკვლევარები მუდამ ამახვილებენ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ მათ ხელისუფლებისგან დიდი ხელშეწყობა ჰქონდათ როგორც ფინანსური, ასევე ადმინისტრაციული თვალსაზრისით. ეს ფაქტი მართლაც დიდად განაპირობებდა მათ დაწინაურებას, თუმცა ამასთან ერთად იმ ფაქტს ვერსად გავიქცევით, რომ გერმანელები გაცილებით დისციპლინირებულები, აკურატულები და გულმოდგინენი იყვნენ, ვიდრე ქართველი მეწარმეები. ამის მაგალითად არა მხოლოდ გერმანული ლუდსახარშების და ლორთქიფანიძის ლუდსახარშის შედარება გამოდგება, არამედ მირზოევის მიტკლის ფაბრიკაც, სადაც ისეთი ანტისანიტარია სუფევდა, რომ მისი შემოწმებისას იჟინერ-ტექნოლოგი გულიშამბაროვი შემფოთებას გამოთქვამს და ვარაუდობს, რომ ამ ფაბრიკის მუშები ასე ხშირად სწორედ ამგვარი პირობების გამო ავადმყოფობდნენ.

XIX ს. 60-იან წლებამდე ამიერკავკასიის და განსაკუთრებით საქართველოს ქალაქთა შორის ყველაზე სწრაფი ტემპით თბილისი ვითარდებოდა. იგი მთელი კავკასიის არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ და სამხედრო, არამედ ეკონომიკურ ცენტრად იქცა.

აღნიშნულ პერიოდში ევროპასა და ასევე რუსეთში ტექნიკური პროგრესი ხელოსნურ და შინამრეწველურ წარმოებაში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა. ამ პროცესებს კი შეუძლებელი იყო გავლენა არ მოეხდინა საქართველოს სამრეწველო განვითარებაზე. საქართველოში დაარსებულ პირველსავე შედარებით მსხვილ საწარმოებში გამოიყენებდნენ უცხოეთიდან და რუსეთიდან შემოტანილ მანქანა-დანადგარებს (დაზგებს, ღუმელებს, ქვაბებს და სხვა), თუმცა ტექნიკური სიახლეები მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენებოდა, პრიორიტეტული ჯერ კიდევ ხელით შრომა იყო. ამასთანავე, წარმოების მექანიზაციას ისიც დიდად აბრკოლებდა, რომ ადგილობრივი კადრები არ იყო სათანადოდ მომზადებული, იქმნებოდა წინააღმდეგობა ტექნიკის, მექანიზაციის დონესა და მუშათა დაბალ კვალიფიკაციას შორის. ცალკეული წარმატებების მიუხედავად, მანქანური ტექნიკის დანერგვის გზაზე არსებული დაბრკოლებანი

(დანადგარების შემოტანის ხარჯი, კვალიფიციურ მუშათა კადრების სიმცირე და სათანადო ენერგეტიკული ბაზის არარსებობა) განაპირობებდა ხელით შრომის პრიორიტეტულობას. დაზგების ასამოძრავებლად იყენებდნენ ცოცხალი გამწვევი ძალის (ცხენის, ხარის) და წყლის ენერგიას, მოელ რიგ საწარმოებში კი დაზგები ხელით მოჰყავდათ მოძრაობაში და ორთქლის ძრავა იშვიათობას წარმოადგენდა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან სხვადასხვა მანქანა-დანადგარებთან ერთად ასევე იწერდნენ კვალიფიცირებულ ოსტატებსა და მუშებს.

თბილისში საქალაქო ცხოვრების განვითარებამ და განსაკუთრებით სამხედრო საჭიროებამ ჯერ კიდევ XIX ს. პირველსავე ათეულ წლებში წარმოქმნა მექანიკურ სარეწოთა არსებობის აუცილებლობა. ამგვარ სარეწოთა შორის რეფორმამდელ პერიოდში აღსანიშნავია სახაზინო საწახნაგო ფაბრიკის მოწეობა თბილისში. ეს ფაბრიკა ამუშავებდა ძვირფას ქვებს: იასპს, მეწამულ ქვას, ობსიდიანს, მარმარილოს და სხვ. ფაბრიკა 1849 წელს მოეწყო.<sup>39</sup> 1850 წელს კი მოეწყო კარტონის ქვის ფაბრიკა, რომელიც სხვადასხვა სამოქალაქო და საეკლესიო არქიტექტურულ ნაკეთობებს ამზადებდა. ეს ფაბრიკა ხუთიოდე წლის განმავლობაში ასე, თუ ისე ფუნქციონირებდა, 1855 წელს კი შეკვეთების სიმცირის გამო დაიხურა, თუმცა მალევე, 1856 წელს იგი აღადგინეს და შეუერთდა საწახნაგო ფაბრიკას. ფაბრიკა ძირითადად ამუშავებდა ალგეთის ქვას, ადგილობრივ და შემოტანილ მარმარილოს, ობსიდიანს და სხვ. იგი ასევე ამზადებდა საეკლესიო, უპირატესად კი სამოქალაქო არქიტექტურის ნაკეთობებს შენობებისთვის, თეატრისთვის.

საწარმოში დასაქმებულები იყვნენ დაქირავებული მუშები და ოსტატები, ასევე სამხედრო უწყებისა და სამთო უწყების ხალხი. ფაბრიკა იყო სახაზინო და მას განაგებდნენ ჯერ ინჟინერი ლემკული, შემდეგ ივანიცკი, აკადემიკოსი არქიტექტორი – სიმონსონი და სხვები. ფაბრიკას ჰყავდა ასევე ტექნიკური ზედამხედველები. წარმოების გაუმჯობესებისა და გაფართოების მიზნით, ეკატერინბურგის მექანიკურ ქარხანას შეუკვეთეს ოთხი ორთქლის მანქანა. 1854 წელს ამ ქარხანამ თბილისის საწახნაგო ფაბრიკისათვის დაამზადა ოთხი

<sup>39</sup> საქ. ცხსა, ფონდი 10, საქმე 1835. ფურც. 13.

ძლიერი მანქანა, რომელიც 1700 მანეთამდე დაჯდა.<sup>40</sup> ეს მანქანები თბილისში ჩამოიტანეს და ფაბრიკაში იგი ინჟინერ-ტექნოლოგმა ლემკულმა 1857 წელს დაამონტაჟა,<sup>41</sup> რომლის მონტაჟიც 1000 მანეთამდე დაჯდა.<sup>42</sup> მანქანებს ამუშავებდნენ შემთ, ფაბრიკაში მუშაობდა მანქანების შემკეთებელი – მექანიკოსი ზომერი, ხოლო თუჯის საჭირო დეტალები და ნაკეთობანი შტიუსეს მექანიკური ქარხნიდან მოჰქონდათ.<sup>43</sup> ფაბრიკაში სულ უფრო მეტად იყენებდნენ დაქირავებულ შრომას და ბოლოს იგი გაბატონდა კიდევ. საწარმოში ჰყავდათ მოწაფეები და ქარგლები.

საწახნაგო ფაბრიკის შესახებ ნაწილობრივ წარმოდგენას იძლევა ცხრილი №13, სადაც ასახულია ამ ფაბრიკის მიერ თხუთმეტი წლის განმავლობაში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა.

წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით საწახნაგო ფაბრიკის მუშაობის შეფასება, განსაკუთრებით პირველი ათი-თერთმეტი წლის განმავლობაში საკმაოდ რთულია, რადგან 1850-1860 წლების ინტერვალში მონაცემები პრაქტიკულად არ მოიპოვება. სავარაუდოა, რომ საწარმო პირველი ათი წლის განმავლობაში არათანაბარი წარმატებით (ან, სულაც წარუმატებლად) მუშაობდა. ამგვარი ვარაუდის მიზეზი ის არის, რომ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა 1860 წლიდან 1861 წლამდე 3 000-დან მხოლოდ 3 020 მანეთამდე იზრდება, ხოლო 1850-დან 1860 წლამდე 3 400-დან 3 000 მანეთამდეც შემცირებულა; ამავე დროს, წარმოდგენილი ინფორმაციით, 1857 წ. საწარმოში დაინერგა ტექნიკური სიახლეები, როგორც იყო ეკატერინბურგის ქარხანაში დამზადებული ორთქლის მანქანები. ობიექტურად, ამ სიახლეებს ორიოდე წელიწადში წარმატებაც უნდა მოეტანა და ეს პროდუქციის გამოშვების რაოდენობრივ მაჩვენებელზეც უნდა ასახულიყო. ორთქლის მანქანების დამზადება და შემდგომ მისი მონტაჟი საკმაოდ სოლიდური თანხები დაჯდა და მეწარმეებს მეტი მოტივაცია ჰქონდათ აქტიურად ეზრუნათ უკუგებისთვის. გარდა ამისა, ბაზარზე საწახნაგო ფაბრიკის პროდუქციაზე მოთხოვნა

<sup>40</sup> საქ. ცხსა, ფონდი 10, საქმე 1823, ფურც. 1-2.

<sup>41</sup> იქვე.

<sup>42</sup> იქვე, საქმე 1835, ფურც. 13.

<sup>43</sup> იქვე, საქმე 810, ფურც. 97.

ცხრილი №13

საწახნაგო ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქცია

წლები	პროდუქციის რაოდენობა (მან.)
1850	3 400 <sup>44</sup>
1860	3 000 <sup>45</sup>
1861	3 020 <sup>46</sup>
1862	7 500 <sup>47</sup>
1863	12 000 <sup>48</sup>
1864	12 000 <sup>49</sup>
1865	15 000 <sup>50</sup>

არსებობდა და მას ზრდის ტენდენცია ჰქონდა, ასევე, როგორც ცნობილია, 1856 წ. მას შეუერთდა კარტონის ქვის ფაბრიკა. ამიტომ ბუნდოვანია, 1857-დან 1862 წლამდე რატომ არ აისახა ეს გამოშვებული პროდუქციის რაოდენობაზე. 1862 წლიდან უკვე თვალსაჩინო ხდება ფაბრიკის წარმატებები, როცა გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა ერთბაშად 3 020 –დან 7 500 მან.-მდე გაიზარდა. ეს ბუმი სავარაუდოდ რუსეთიდან დამატებითი შეკვეთების მოპოვებასთან არის დაკავშირებული. ზრდის ტენდენცია გაგრძელდა მომდევნო წლების განმავლობაშიც. გამომუშავებული პროდუქციის ნაწილი ადგილობრივი

<sup>44</sup> ЦГИАЛ, ф.1268, он.10. 1860. Д. 170

<sup>45</sup> იქვე 1861. Д.228

<sup>46</sup> იქვე 1862. Д.134

<sup>47</sup> იქვე 1863. Д. 108

<sup>48</sup> იქვე 1864. Д. 137

<sup>49</sup> იქვე 1865. Д. 127

<sup>50</sup> იქვე 1866. Д. 142

მოხმარების გარდა პეტერბურგს, იმპერატორის სასახლეში იგზავნებოდა.<sup>51</sup> საგლეხო რეფორმის შემდეგ თბილისში ამ პროფილის სხვა საწარმოებიც წარმოიშვა, ხოლო ეს საწახნაგო ფაბრიკა 1868 წელს კერძო პირს გადაეცა.<sup>52</sup>

ამ პერიოდის საქართველოს საწარმოებსა თუ სარეწებში ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა აქტიურად არ მიმდინარეობდა. ამ ფონზე ყურადღებას იქცევს ინჟინერ-ტექნოლოგი ლემკული, რომელიც საწარმოებში არა მხოლოდ საწარმო-ტექნოლოგიურ პროცესებს მეთვალყურეობდა, არამედ საინტერესო ტექნიკურ პროექტებსაც ახორციელებდა. 1853 წელს მან შეადგინა გაზის სანათი აპარატურის პროექტი, რომლის გამოცდამაც წარმატებით ჩაიარა. მომდევნო წელს ამ სისტემის 20 სანათი ლამპა უკვე ერთ თბილისის ცენტრალურ – გოლოვინის პროსპექტზე სამი საათის განმავლობაში. სამ საათში იწვებოდა 450 საუენი გაზის მარაგის ნახევარი, რის შემდეგაც მაღალი წნევის გამო სახიფათო იყო ერთდროულად გაზის მიღება და გაშვება, მას შეიძლება ავარია მოჰყოლოდა. ამგვარი სანათი მოწყობილობის შეკვეთა მისცეს ასევე შტიუსეს საწარმოდან.<sup>53</sup>

ლემკულმა ყორღანაშვილის ხის სახერხისთვის დაამზადებინა ახალი სახერხი, რომელიც დღეში 20-25 ცალ 4 საუენი სიგრძის მორს, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე 30 მორს ხერხავდა. ამ სახერხმა ყორღანაშვილთან 30-36 მუშა შეცვალა, თუმცა მას უფრო მეტის, 50კაცის შეცვლის პოტენციალიც გააჩნდა.

საქართველოში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება და ამის კვალდაკვალ საქალაქო ცხოვრების გააქტიურება მოითხოვდა შრომის საშუალებათა დამამზადებელი წარმოების მოწყობას. ეს განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან იგრძნობოდა. ამ საქმეში თვალსაჩინოა უცხოელების, მეტადრე გერმანელების აქტიურობა.

რეფორმამდელ საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში მრავალი სხვადასხვა სახის საწარმო მოქმედებდა. მათ შორის რაოდენობრივი თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს აგურის სარეწები, რომელთა

<sup>51</sup> ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 1860 д. 170, л. 63

<sup>52</sup> Ст. Гулишамбаров – ОФЗ Тифлисской губернии, 1888 г., ст. 3, 20.

<sup>53</sup> გუგუშვილი პ. საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში, თსუ შრომები. 1940, ტ. XVI, გვ. 140-141.



რაოდენობაც თბილისში საქალაქო მშენებლობის გააქტიურების კვალდაკვალ იზრდებოდა.

1858 წლისთვის თბილისში არსებული “ფაბრიკა-ქარხნები” და მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა წარმოდგენილია №1.4 ცხრილში.

ეს ცხრილი წარმოდგენას იძლევა რეფორმამდელ თბილისში სამეწარმეო საქმიანობაზე. თუ გავითვალისწინებთ იმ პატრიარქალურ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, რაც იმ პერიოდის რუსეთის იმპერიაში და შესაბამისად, საქართველოშიც სუფევდა, ამ ფონზე თბილისის ეკონომიკა საკმაოდ მრავალფეროვნად გამოიყურება.

საწარმოთა განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა აგურის სარეწები, რომელთა რაოდენობაც ქალაქში ყველაზე მეტი, 48 იყო. მის განვითარებას საქალაქო ცხოვრების და შესაბამისად მშენებლობის გააქტიურებამ უბიძგა.

საკმაოდ იყო მომრავლებული საპნის სარეწები, რომელთა რაოდენობაც 8 იყო. მისი პროდუქცია მაღალი ხარისხით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ამ სარეწებში წარმოებულ საპონზე მაინც დიდი მოთხოვნა არსებობდა. რკინიგზის არარსებობის პირობებში ადგილობრივი პროდუქცია აქტიურ კონკურენციას არ განიცდიდა და მომხმარებელსაც ალტერნატიული არჩევანი თითქმის არ ჰქონდა. უკვე ოციოდე წლის შემდეგ, რკინიგზის გაყვანამ ქართველი მეწარმეებისთვის პირობები აშკარად შეცვალა და მეტი ძალისხმევაც დასჭირდათ, რომ მომრავლებული უცხოური პროდუქციის კონკურენცია დაეძლიათ. იგივე შეიძლება ითქვას სანთლის წარმოებაზეც, რომელიც ცხრილში საკმაოდ სოლიდურად – 4 სარეწით არის წარმოდგენილი და რომელიც 13 990 მან. პროდუქციას უშვებდა. დაბალი ხარისხის მიუხედავად, ამ სარეწებს არ ჰქონდათ გასაღების პრობლემა, მაგრამ ეს მხოლოდ იმ დრომდე, სანამ მოგვიანებით, როსტოვიდან შემოსული მაღალი ხარისხის სტეარინის სანთლები არ გაუწევდა მას სერიოზულ კონკურენციას.

წარმოდგენილი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ ტყავის წარმოება ლიდერობს (66 150 მან). მას მცირედ ჩამოუვარდება აგურის წარმოება, სადაც

## თბილისში არსებული საწარმოები (1858წ.)

№	საწარმოთა დასახელება	რაოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (მან.)
1	საწახნაგო და მასთან ერთად აგურის	1	3 400
2	აბრეშუმსახევევი	1	4 800
3	თუჯსამსხმელო	1	10 000
4	ქალაღდის	1	1 500
5	სპილენძის ჭურჭლის	1	4 200
6	არეისსახდელი	1	10 000
7	ლუღსახარში	2	4 050
8	ტყავის	1	66 150
9	სანთლის	4	13 990
10	საპნის	8	31 250
11	სახერხი	2	3 000
12	კრამიტის	1	11 000
13	აგურის	48	58 080
14	მაუდის	1	4 000

<sup>54</sup> Сборник стат. сведений по закавказскому краю, часть 1, Т. 1902.

58 080 მანეთის პროდუქცია იწარმოებოდა. საკმაოდ მსხვილი სარეწები არსებობდა კრამიტისა და არცისსახედელ წარმოებაში.

### 1.3 რეფორმისშემდეგომი საქართველოს ეკონომიკური ბანკოთარება

1861 წლიდან რუსეთში გატარდა საგლეხო რეფორმა, სადაც მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული მემამულეთა ინტერესები. ასევე მოხდა საქართველოშიც 1864 წლიდან, რამაც რეფორმისშემდგომ პერიოდში ბატონყმური გადმონაშთების სიუხვე განაპირობა. 1864-1971 წლების საგლეხო რეფორმას დიდად არ შეუცვლია ფეოდალური მიწათმფლობელობა. მიწის ფონდის დიდი ნაწილი კვლავ ფეოდალთა უშუალო მფლობელობაში რჩებოდა. ამავე დროს რეფორმა უშედეგო არ ყოფილა, ბატონყმური ურთიერთობებისაგან საქართველოში გლეხთა 75 565 კომლი გათავისუფლდა<sup>55</sup> და იმის მიუხედავად, რომ გათავისუფლებულ გლეხთა მატერიალური მდგომარეობა გარკვეულწილად გაუარესდა კიდევ, ამ რეფორმას მაინც უაღრესად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ერთი საგლეხო კომლი რეფორმამდე საშუალოდ 5,9 დესეტინა მიწას ფლობდა, ხოლო რეფორმის შემდგომ მათი მფლობელობა საშუალოდ 3,9-მდე შემცირდა. დასავლეთ საქართველოს გლეხობამ რეფორმის შედეგად საშუალოდ მიწის 1/3 დაკარგა. საქართველოში უმიწოდ გათავისუფლდა 7 051 გლეხური კომლი.<sup>56</sup> მიწის უკმარისობამ განაპირობა ის, რომ გლეხები იძულებულები გახდნენ მიწა იჯარით აეღოთ, ან თავის სარჩენად საცხოვრებლად ქალაქად გადასულიყვნენ და იქ ეძებნათ სამუშაო. ამ დროს წარმოიშვა გლეხების დროებითვალდებული დამოკიდებულება ფეოდალებისადმი. მანამ, სანამ ისინი საბოლოოდ გამოისყიდინენ სანადელო მიწებს და გადაეცემოდათ მუდმივ მფლობელობაში, ფეოდალებისთვის უნდა ეხადათ ფეოდალური გადასახადები, რომლებიც რეფორმამდე ზე ერთიორად მეტი იყო. გარდა ამისა, მოუწესრიგებელი იყო საძოვრებისა და ტყეების, ასევე სოფლის ადგილობრივი მიწათსარგებლობის საკითხები.

მიუხედავად იმისა, რომ საგლეხო რეფორმა მემამულეთა ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით გატარდა, გლეხობას მაინც ეძლეოდა საშუალება, რომ შედარებით უკეთეს პირობებში წარემართა თავისი სამეურნეო

<sup>55</sup> Бендианишвили А. *Аграрные отношения в Грузии в 1890-1917 гг.* Тб. 1965. стр. 6

<sup>56</sup> იქვე, გვ. 6

საქმიანობა, არ იყო რა ძველებურად შეზღუდული. კერძოდ, მას მიეცა უფლება შეეძინა ქონება და სურვილისამებრ განეკარგა, წამოეწყო ვაჭრობა, ან მეწარმეობა. ქედან გამომდინარე, გაძლიერდა გლეხის პირადი დაინტერესება და მისი შრომის ნაყოფიერება.

რაც შეეხება რენტას, XIX-ს. 40-იანი წლებიდან სახელმწიფო გამოსაღების გადახდა ხდებოდა მხოლოდ ფულით, ხოლო მემამულეთა მიმართ გადასახადები ძირითადად პროდუქტებით გადაიხდებოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ დროთა განმავლობაში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ ეს გადასახადებიც ფულადი გადასახადებით იცვლებოდა. ეს ძირითადად ხდებოდა გლეხსა და მემამულეს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მაგ. 1874 წ. თბილისის გუბერნატორის ანგარიშში ნათქვამია, რომ “305 კომლი დროებითვაღდებული გლეხი საკუთარი ნებით, მემამულესთან შეთანხმდა, რომ გადასახადებს სამიწათმოქმედო მოსავლის მაგივრად გადაიხდიან ფულად გადასახადს.”<sup>57</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ მეთამბაქოეობაში, საიჯარო ურთიერთობებში მხოლოდ ფულადი ანგარიში არსებობდა. ცხადი იყო, რომ მემამულურ მეურნეობას ნიადაგი ეცლებოდა.

ფულად-სასაქონლო ურთიერთობების გააქტიურება, ასევე გლეხთა ექსპლოატაციაზე მონოპოლიური უფლების დაკარგვა სხვა გზას არ უტოვებდა არისტოკრატიას გარდა იმისა, რომ მემამულური მეურნეობა კაპიტალისტურ ყაიდაზე გარდაექმნა. ამ პროცესს აბრკოლებდა ფეოდალის ხელში დარჩენილი ე.წ. “ჩამოჭრილი მიწები” – ტყეები, მდელოები, საძოვრები, სარწყავები, ანუ, გლეხური მეურნეობები საბოლოოდ არ იყო გამიჯნული მემამულურისგან. მემამულეს გლეხი ხსენებული მიზეზის გამო მაინც ჰყავდა ერთგვარ დამოკიდებულებაში.

თერგდალეულები კარგად ხედავდნენ კაპიტალისტური განვითარების პროგრესულობას, ამასთან, ცდილობდნენ ეკონომიკური პოლიტიკის მიღმა, უკანა პლანზე არ დარჩენილიყო სოციალური საკითხები, მაგალითად, ილია ჭავჭავაძე საკუთრების საკითხების გადაჭრას საკმაო ყურადღებით ეკიდებოდა. მიწების უთანაბრო განაწილების გამო იგი მიზანშეწონილად მიიჩნევდა მის ხელახალ

<sup>57</sup> ЦГИАГ, ф. 31, д. 888, л.24-34.

დაყოფას სოფლის თვითმმართველობის მიერ. ამ საკითხის გადაწყვეტას სჭირდებოდა სწორი, სამართლიანი, მეთოდოლოგიური მიდგომა. ასეთად კი ილიას ესახებოდა საკუთრების კერძო და საზოგადო ფორმებს შორის სწორი, ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა, ანუ, ურთიერშეთანხმება, ინტერესთა ყოველმხრივი გათვალისწინებით.

ბატონყმური ვალდებულებებისგან გათავისუფლებული უმიწო გლეხობა ქალაქებისკენ მიემართებოდა, განსაკუთრებით კი თბილისისაკენ, ამ პროცესს სტიმულს აძლევდა ქალაქებში ეკონომიკური განვითარების დაჩქარება. მიგრაციული პროცესები ქალაქებისკენ არა მხოლოდ სოფლებიდან იყო მიმართული, არამედ რუსეთის გუბერნიებიდან და ასევე საზღვარგარეთიდან (მაგალითად გერმანელების ჩამოსახლება). რუსეთის გუბერნიებიდან ასახლებდნენ რუს და ებრაელ ხელოსნებს, აგრეთვე სამხედრო ვალდებულებამოხდილ ჯარისკაცებს. კავკასიის არმიაში სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ, ამ ჯარისკაცებს შეეძლოთ ესარგებლათ ხელისუფლების მიერ 1867 წლის ბრძანებულებით მათთვის მინიჭებული შედაგათით, სურვილისამებრ დასახლებულიყვნენ კავკასიაში და ხელი მოეკიდათ რაიმე ხელობისათვის.<sup>58</sup>

საქართველოში კაპიტალისტური სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გააქტიურებამ რუსული და ევროპული – უმეტესად ფაბრიკული ნაწარმის შემოტანამ შეცვალა მოსახლეობის გემოვნება და შესაბამისად მოთხოვნაც. ეს ცვლილებები ქალაქში გაცილებით მეტად იგრძნობოდა, ვიდრე სოფლებში, მაგრამ ეკონომიკური ვითარების ცვლილება სოფელზეც აისახებოდა და ზეგავლენას ახდენდა მწარმოებელ საზოგადოებაზე. მაგალითად, სოფლად ვაჭრების (ე.წ. ჩარჩ-ვაჭრების) გაჩენამ ქალაქის ხელოსნური წარმოება სოფლის მოთხოვნებს უფრო მჭიდროდ დაუკავშირა. სოფელს გაუჩნდა ახალი სტილის პირველადი მოთხოვნილებების მზამზარეული და შედარებით იაფი საოჯახო საქონელი და პირიქით, სოფლის ნედლეულს – ბაზარი ფაბრიკის სახით.

---

<sup>58</sup> ლ. ებგვერაძე, *სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ბურჟუაზიული ევოლუცია საქართველოში*, გვ. 21, თბ. 1986.

მოსახლეობის მოთხოვნების ზრდის შესაბამისად ცვლილებები ხდებოდა ხელოსნობის დარგებში როგორც ქალაქად, ასევე სოფლად. სოფლად კაპიტალიზმის თანდათანობით დამკვიდრების კვალდაკვალ აუცილებელი გახდა ახალი ტიპის სამუშაო იარაღების დანერგვა, მდორედ, მაგრამ მაინც დაიწყო ინფრასტრუქტურული ცვლილებები სამეურნეო და პოლიტიკური გარდაქმნების შესაბამისად, კერძოდ, რკინიგზებისა და შარავზების მშენებლობა; ქალაქად ახალი ბურჟუაზიული ყოფის ჩასახვას მოჰყვა რამდენიმესართულიანი ბინების მშენებლობა, ქუჩების გაფართოება, ხიდების მშენებლობა, მთლიანად ქალაქის რეკონსტრუქცია; გაჩნდა ახალი ტიპის განათება, საქალაქო ტრანსპორტი (ეტლი, კონკა), შეიცვალა საცხოვრებელი ინვენტარი, საოჯახო ნივთების ნომენკლატურა და ფორმები და ა.შ.

ყოველივე ამ გარდაქმნების შედეგად, დაქვეითება დაიწყო, ან საერთოდ გაქრა ხელოსნობის მრავალი ისეთი დარგი, რომელიც XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში წამყვან როლს ასრულებდა, მათ ადგილს იკავებდა ხელოსნობის ახალი დარგები. განსაკუთრებით დაწინაურდნენ მშენებლობასთან, ტრანსპორტთან, პირადი მოხმარების საგნების წარმოებასთან, ან ხელსაწყო-იარაღების შეკეთებასთან დაკავშირებული სახელოსნოები და საწარმოები. რაც შეეხება სახელოსნოებს, რომელიც მისი კლასიკური გაგებით იყო წარმოება დამკვეთისათვის, ნელ-ნელა გარდაიქმნებოდა წარმოებად ბაზრისათვის. ამ სტატუსით მათ გაცილებით მეტი საქონლის წარმოება შეეძლოთ და კერძო დამკვეთთან უშუალო დამოკიდებულებით აღარ იზღუდებოდნენ, ანუ მათ უკვე შეეძლოთ საქონლის წარმოება მომხმარებელთა ფართო მასისთვის. ამგვარ მოდერნიზებულ სახელოსნო-საწარმოში დაქირავებულ მუშათა რაოდენობა აღემატებოდა ჩვეულებრივ, ტრადიციულ სახელოსნოებში არსებული ქარგლებისა და შეგირდების რაოდენობას. ამასთანავე, სახელოსნოს პატრონი მრეწველად ყალიბდებოდა.

ამ პერიოდისთვის, კერძოდ, XIX ს. მეორე ნახევრისათვის უკვე მყარად გამოიკვეთა წვრილ სახელოსნოთა ნაწილის მაგივრად მსხვილი სახელოსნოების აღმოცენების ტენდენცია, გაიზარდა დაქირავებული შრომის მასშტაბი და მოხდა შრომის ნატურალურიდან ფულად ანაზღაურებაზე გადასვლა.

რეფორმის შემდგომი პერიოდის დასაწყისშივე 1866 წლიდან ქართველმა განმანათლებლებმა დაიწყეს ზრუნვა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ასოციაციებისა და ამხანაგობების მეშვეობით. ცნობილია, რომ ასოციაციების დაარსებისთვის მოძრაობა ინგლისში დაიწყო და ფართოდ გავრცელდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, შემდეგ კი – რუსეთსა და საქართველოში. ასოციაციებისა და სხვა ამხანაგობების გზით ინგლისის პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციას სურდა მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება. ქართველი განმანათლებლები აღიარებდნენ ასოციაციების მნიშვნელობას, მაგრამ არა გადაჭარბებულად. ისინი არც ერთ უკიდურესობას არ ემხრობოდნენ. აღიარებდნენ, რომ კაპიტალიზმის პირობებში ასოციაციებს შეუძლიათ შეასრულონ პროგრესული როლი და ხელი შეუწყონ ხალხის მატერიალური მდგომარეობის ერთგვარ გაუმჯობესებას, დაიცვან ისინი ვაჭარ-მევახშეთა უღმობელი ძარცვისაგან; მათი აზრით საჭირო იყო არსებული ეკონომიკური ურთიერთობების ძირეული გარდაქმნა.

გაზეთი “დროების” პუბლიცისტები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეწეოდნენ ასოციაციებისა და ამხანაგობების პოპულარიზაციას. ასოციაციების გავრცელების შესახებ არსებული ისტორიული მასალების ანალიზის საფუძველზე მათ შეძლეს ხელი შეეწყოთ სხვადასხვა ამხანაგობების დაარსებისათვის საქართველოში. ასოციაციის გავრცელების საჭიროებას ისინი მუშების მძიმე მდგომარეობას უკავშირებენ “1843 წელს ანგლიაში ქ. როჩდელში მოგროვდნენ რამდენიმე მუშა კაცები, რომელთაც მოისურვეს შეერთებულის ღონისძიებით გაესწორებინათ თავისი მდგომარეობა მატერიალური, ზნეობითი და გონებითი. – ამ მიზეზით დააფუძნეს საზოგადოება.”<sup>59</sup>

გაზეთი “დროება” ყველა სახის ასოციაციებს არ უწევდა აგიტაციას, არამედ იმ სახის ასოციაციებს, რომლებიც ღარიბი ხალხის მიერ არის დაარსებული. “მხოლოდ ამ გვარის ასოციაციებს შეგვიძლიან მივცეთ წარმატება. . . . ასოციაციების დასაფუძნებლად კაპიტალი საქართველოში ყოველთვის მოგროვდება, საჭიროა მხოლოდ მომატებული ენერჯია, რაც შეეხება ჩვენი ხალხის ნიჭიერებას, გონებას, მე ვგონებ, ამით საქართველო სხვა ხალხზე

<sup>59</sup> გაზ. «დროება», №24 1869.



დაბლა არ დგას. იქნება პირველად შევხედეთ რომელიმე დამაბრკოლებელ მიზეზს, მაგრამ ჩვენ ამას არ უნდა შეუშინდეთ, და არც იქნება, რომ სრულიად მშვიდობიანად მოხდეს. . . . ყოველ საქმეს მოზღვევს თავისი მოწინააღმდეგე.”<sup>60</sup>

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების გააქტიურება უპირატესად უკავშირდება XIX ს. 70-იან წლებში სარკინიგზო მშენებლობას. საქართველოს მრეწველობაში დაიწყო ახალი ხანა, შეიძლება ითქვას – ნამდვილი სამრეწველო გადატრიალება. სარკინიგზო მშენებლობის კვალდაკვალ სწრაფად ვითარდებოდა ფაბრიკა-ქარხნები, სამთამადნო მრეწველობა, საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ძირითადად სახსრების უქონლობის გამო, სარკინიგზო მშენებლობა 1867 წ. გადააბარა ინგლისელ კონცესიონერებს. ამ საზოგადოებამ 1871 წ. საქსპლოატაციოდ გადასცა ფოთი-ყვირილას ხაზი. 1872 წლიდან კი ყვირილადან ხაზი გაგრძელდა თბილისამდე. 1877 წ. ფოთი-თბილისის მაგისტრალს შეუერთდა ქ. ქუთაისი ცალკე შტოს სახით. 1883 წ. დამთავრდა რკინიგზის ხაზის მშენებლობა ბათუმსა და სამტრედიას შორის. იმავე წლის მაისში კი გაიხსნა რეგულარული მიმოსვლა ბაქო-თბილისის მაგისტრალზე. ამრიგად, ამიერკავკასია ტრანსკონტინენტური მაგისტრალით გადაისერა. შავი და კასპიის ზღვების სარკინიგზო ხაზით დაკავშირების შემდეგ სწრაფი ტემპით დაიწყო ქვეყნის შიდა რეგიონების ერთიან სარკინიგზო სისტემაში ჩართვა. 1887 წ. გაიყვანეს რკინიგზა ქუთაისიდან ტყიბულში, 1894წ. – ხაშურიდან ბორჯომში, 1895წ. – შორაპნიდან ჭიათურამდე, ხოლო 1904 წ. – საჩხერემდე.<sup>61</sup>

რკინიგზა გარდა იმისა, რომ თავისთავად უმსხვილესი კაპიტალისტური სარეწია, მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კაპიტალისტური საწარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას. 90-იანი წლებისათვის ქვეყნის უმთავრესი სამიწათმოქმედო და სამრეწველო რაიონები მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს რკინიგზის მეშვეობით. შეიქმნა პირობები საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრეთა სარგებლიანი ექსპლოატაციისათვის. ამგვარ პირობებში რუსეთის

<sup>60</sup> იქვე

<sup>61</sup> პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოში და ამიერკავკასიაში. თბ.1941, გვ. 81.

ხელისუფლება ვერ შეეგუა, რომ რკინიგზა სხვის ხელში ყოფილიყო და 1889 წ. იგი სახელმწიფო ხაზინას გადაეცა. შედეგად, იმპერიულ ხელისუფლებას მეტი შესაძლებლობა გაუჩნდა საქართველოს და ზოგადად ამიერკავკასიის სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრება მეტად დაექვემდებარებინა და თავისი ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად წარემართა.

საგლეხო რეფორმის შემდგომ მოვლენათა მსვლელობამ გამოიწვია თავადაზნაურული მიწათმფლობელობის რღვევა და კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება, ანუ დაახქარა ეკონომიკის ტრანსფორმაცია.

1874 წ. მაისში გაიხსნა თბილისის სათავადაზნაურო სამიწათმოქმედო ბანკი. საქართველოს პროგრესული ინტელიგენცია მაქსიმალური ძალისხმევით ცდილობდა რომ ბანკის საქმიანობა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების სამსახურში ჩამდგარიყო. ბანკი კაპიტალისტური ეპოქის დაწესებულება იყო და მისი საქმიანობის გაფართოებაც ეპოქის შესაბამისად მიმდინარეობდა. ამასთანავე, ბანკის საქმიანობას დიდი დადი დაასვა ქვეყანაში სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის არსებულმა გართულებულმა ურთიერთობებმა. საზოგადოების ყველა ფენა ცდილობდა ბანკის საქმიანობა საკუთარი ინტერესების შესაბამისად წარმართულიყო, ჰყოლოდა საკუთარი წარმომადგენელი ბანკის ხელმძღვანელობაში. საბოლოოდ, სხვადასხვა კლასის ინტერესთა დაპირისპირება საბანკო პოლიტიკის განხორციელებაში გამოვლინდა.

ქართული პროგრესული ინტელიგენცია მიზნად ისახავდა თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო სამიწათმოქმედო ბანკების გაერთიანებას. ამ ორი ბანკის შეერთება გამოიწვევდა საბანკო კრედიტის გამსხვილებას და ცენტრალიზაციას, რაც დიდად მნიშვნელოვანი იყო საბანკო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მუშაობის მეთოდების ურთიერთგაზიარების და მეტი ნდობის მოპოვებისათვის. გარდა ამისა, საკრედიტო საქმის ცენტრალიზაცია ნაკარნახევი იყო არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, კერძოდ, კაპიტალიზმის განვითარება მოითხოვდა სამეურნეო საქმიანობის საფინანსო უზრუნველყოფას და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებს შორის ვაჭრობის გაფართოებას.

ქვეყნის ეკონომიკურ დაწინაურებას შედეგად მოჰყვა მსხვილი ბანკების წარმოშობა. თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები ერთნაირი ტიპის და რუსეთის საადგილმამულო ბანკების (რომელთა გავლენითაც შედგა თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების წესდება) იდენტური საკრედიტო ორგანიზაციები იყო, მაგრამ საქართველოში არსებულ საკრედიტო დაწესებულებებს გააჩნდათ ის თავისებურება, რაც მათ პრინციპულად განასხვავებდა რუსეთსა და სხვა ქვეყნებში მოქმედ საკრედიტო დაწესებულებებისგან; კერძოდ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ის იყო, რომ საქართველოში მოქმედი საადგილმამულო ბანკების მიერ მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი საქმეებისთვის და ქველმოქმედებისთვის გამოიყენებოდა. ამდენად, ბანკის დამფუძნებელ თავადაზნაურთა პირადი შემოსავლის ზრდა, ანუ მათი გამდიდრება ბანკის შემოსავლიდან გამორიცხული იყო. ამ თვალსაზრისით, თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები, როგორც კომერციული დაწესებულებები არსებითად განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპის ამავე ტიპის კომერციული დაწესებულებებისგან.

ი.ჭავჭავაძე თბილისის ბანკის თავისებურებას ამგვარად ახასიათებს: “მისი ნიშანდობლივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებისაგან განარჩევს, ის არის, რომ ბანკის მოგება, იმის გარდა, რაც სხვადასხვა თანხას უნდა მიემატოს, ჰხმარდება ამერთის არა მარტო მიწათმფლობელთა, ესე იგი თავადაზნაურთა, არამედ მიწათმოქმედთა საერთო საჭიროებას. ამ სახით, ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ისეთი ერთადერთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულიად უარყოფილია კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის.”<sup>62</sup>

ქართული საადგილმამულო ბანკების, როგორც საკრედიტო დაწესებულებების ამგვარი თავისებურება კონკრეტული გარემოებებით იყო განპირობებული. პირველ რიგში, იმ ისტორიული სინამდვილით, რომელსაც

<sup>62</sup> ი. ჭავჭავაძე, *თხზ., სრ. კრ. ტ. IX, 1957, გვ. 310*

მიუსადაგა საბანკო პოლიტიკა პროგრესულად მოაზროვნე ქართულმა ინტელიგენციამ. კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთი საკუთარი კოლონიური ინტერესებიდან გამომდინარე ზღუდავდა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას. გარდა ამისა, რუსეთს თავად არ გააჩნდა განვითარებული ეკონომიკა და სამეურნეო კულტურა და აქედან გამომდინარე, ვერც თავისი კოლონიების განვითარებაზე მოახდენდა პროგრესულ ზეგავლენას. საქართველოს ეკონომიკის, განათლების და კულტურის განვითარებაზე ზრუნვა ქართული პატრიოტულად განწყობილი ელიტის ინტერესებში იყო. ამ გარემოებას ისიც ემატებოდა, რომ საგლეხო რეფორმის შემდგომ პერიოდში მიმდინარე მტკივნეული აგრარული გარდაქმნები კიდევ უფრო მწვავედებოდა სამეფო ხელისუფლების ბიუროკრატიული აპარატის მიერ, რომლებიც აჭიანურებდნენ და ხელს უშლიდნენ ქვეყნის ეკონომიკაში რეფორმის ეფექტურად ჩატარებას. ამ გარემოებათა გამო ქართული საზოგადოების პროგრესულმა ფენამ თავად ითავა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებზე ზრუნვა.

საბანკო საქმიანობა საზოგადოების ინტერესების შესაბამისად წარიმართა. ბურჟუაზიული საკრედიტო აპარატი გამოყენებულ იქნა მათი სამეურნეო და კულტურული-საგანმანათლებლო დონის ასამაღლებლად. მხოლოდ ბურჟუაზია ამ მისიას ვერ შეასრულებდა, ვინაიდან საამისოდ ნაციონალური ბურჟუაზია უადრესად სუსტი იყო, დიდ კაპიტალს კი ფლობდა ქართული ბურჟუაზიის სომხური და ებრაული ნაწილი, ასევე ევროპელები, რომლებიც საქართველოში ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას და რომლებიც სრულიად ინდიფერენტულნი იყვნენ საქართველოს საზოგადოებრივი და ეროვნული ინტერესების მიმართ.

ი. ჭავჭავაძეს და მის თანამოაზრეებს ზუსტად ესმოდათ, რომ განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებოდა საზოგადოების განათლების დონის ამაღლებას და საბანკო ფინანსების დიდი ნაწილი სწორედ ამ საქმეს ხმარდებოდა. თუმცა არსებობდა ქართველი თავადაზნაურობა, რომელთაც ამგვარი საბანკო პოლიტიკა საკამათოდ, ან სულაც მცდარად მიაჩნდა. ამის მაგალითია ერთ-ერთი თავადის გულისწყრომა ი. ჭავჭავაძის მიმართ: “სასწავლებელს წამოსჩხირავენ ხოლმე წინ, იმ სასწავლებელს, რომელსაც

მაგდენი სარგებლობაც არა მოაქვს რა, და ბანკის აგარგინობას სასწავლებლის სიკეთის კვალობაზედ სწონავენ . . . . ნახევარი მილიონი ფული ჩავეარეთ და აბა რა სიკეთე დაგვეყარა მაგ სასწავლებლიდან, რომ ეხლა კიდევ მაგის გულისათვის მსესხებლები შემოვიფრთხოთ. რა საჭიროა სასწავლებელი, თუ თავადაზნაურობა სიძვირის გამო შემოსატანს ვალს ვერ შემოიტანს და უმამულოდ, უმიწაწყლოდ დარჩება.”<sup>63</sup>

1881 წლიდან საადგილმამულო ბანკების საქმიანობაში ერთგვარი ცვლილებები ხდება, რომლის საფუძველიც გახდა წოდებრივი ხასიათის შეზღუდვების გაუქმება. კაპიტალისტური ურთიერთობების ზრდის კვალობაზე საბანკო საქმიანობა თანდათან ფართოვდებოდა და მატულობდა მსესხებელთა რაოდენობა. მსესხებლებს (მათ შორის არათავადაზნაურული წარმოშობის) ამ ცვლილებების შედეგად მიენიჭათ დამფუძნებელთა თანაბარი უფლებები. ბანკიდან ფეოდალური არისტოკრატის გამოდენის საშიშროება სულ უფრო აშკარა ხდებოდა, ვინაიდან ვაჭრები და კაპიტალისტები სულ უფრო მეტად ეუფლებოდნენ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას. საქართველოს ფეოდალური არისტოკრატია, რასაკვირველია ზრუნავდა პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნებაზე. უკვე თვალსაჩინო გახდა, რომ მსესხებელთა რაოდენობა საგრძნობლად იზრდებოდა, ხოლო სოციალურად ნიადაგამოცლილი თავადაზნაურობა ეკონომიკურადაც სუსტდებოდა. თავადაზნაურთა მიერ ბანკიდან გატანილი ფულის გამოყენების შესახებ გაზეთი “დროება” წერდა: “ჩვენი თავადაზნაურობა, ამ ბანკებიდან ფულის ამღებნი, ისეთ მდგომარეობაში არიან ამჟამად ჩავარდნილნი, რომ ათასში ერთს არ შეუძლია, მართლა ნამდვილად იმ ადგილ-მამულს მოახმაროს ბანკიდან ნასესხები ფული, რომლის გირაოთაც სესხულობს და რომლის შემუშავების გასაუმჯობესებლადაც ვარდება ვალში. ათასში ერთი აძლევს ბანკიდან აღებულ ფულს თავის ნამდვილ დანიშნულებას; დანარჩენი ან ძველ ვალებს იხდიან ამ ნასესხები ფულით, ან ახალ ქეიფებს ეწევიან.”<sup>64</sup>

ქართული ფეოდალური არისტოკრატია ვერ ახერხებდა სოციალურ ტრანსფორმაციას. საბოლოოდ, ეს პროცესები ხელს უწყობდა თავადაზნაურული

<sup>63</sup> გაზ. “ივერია”, №111 1891.

<sup>64</sup> გაზ. «დროება», №88 1881.

მიწათმფლობელობის რღვევას და კაპიტალისტური ურთიერთობების საყოველთაოდ (როგორც ქალაქად, ასევე სოფლად) დამკვიდრებას.

1994 წ. თბილისის საადგილმამულო ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება საბანკო კრების რეორგანიზაციის შესახებ იმ მიმართულებით, რომ დამფუძნებელ თავადაზნაურთა ინტერესები მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული. ფინანსთა სამინისტროც მხარს უჭერდა, რომ საადგილმამულო ბანკებს შეენარჩუნებინათ წოდებრივი ხასიათი. 1899 წლიდან დაწესდა დამფუძნებელთა და მსესხებელთა გარკვეული თანაფარდობა. წარმომადგენლებს ირჩევდნენ სამი წლის ვადით. არჩევა ხდებოდა მაზრების მიხედვით, იქ მოსახლე თავადაზნაურთა რაოდენობისა და მათი კუთვნილი ქონების გათვალისწინებით. ამ პრინციპის მიხედვით თბილისის მაზრაში 357 სათავადაზნაურო კომლიდან ირჩევდნენ 15 რწმუნებულს.

ქართული ფეოდალური არისტოკრატია პირველ ხანებში კმაყოფილი იყო (მიუხედავად იმისა, რომ ბანკმა მათი იმედები არ გაამართლა) და ბანკიდან ხალისით გაჰქონდათ ფული. 1898 წ. მათზე გაცემული სესხების შესახებ წარმოდგენას იძლევა სტატისტიკური მონაცემები, რომელიც №15 ცხრილშია მოცემული.

ორი ბანკის – თბილისის სათავადაზნაურო და თბილისის საკრედიტო საზოგადოების მიერ გაცემული სესხები საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება, განსაკუთრებით საკრედიტო საზოგადოების, რომელმაც 1898 წელს 14 016 800 მანეთის ღირებულების სესხი გასცა. სამივე საფინანსო ორგანიზაციაში გირაოდ ჩადებული იყო 2886 ერთეული უძრავი ქონება, ხოლო მათ მიერ გაცემული სესხების ჯამური რაოდენობა 22 240 234 მანეთს აღწევდა. საქართველოს (ასევე კონკრეტულად თბილისის) ეკონომიკაში ამ რაოდენობის ინვესტიციების განხორციელებას სავარაუდოდ საკმაოდ უკუგებაც ექნებოდა და ფეოდალური არისტოკრატიაც ნაკლებად მტკივნეულად გადაიტანდა რეფორმის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს, მათ უმრავლესობას სესხად აღებული ფულის ინვესტირება რომ მოეხდინა და მეურნეობის გაუმჯობესება – გაძლიერებისთვის მოეხმარა. ამის ნაცვლად სესხად აღებული ფული არარაციონალურად იხარჯებოდა, რის გამოც ვეღარ ახერხებდნენ სესხის

ცხრილი №1.5 <sup>65</sup>

ქ. თბილისის უძრავი ქონების მფლობელთა დავალიანება 1898 წ.

1 იანვრისთვის

ბანკები	ჩადებული უძრ.ქონება	გირაოს შეფასება	გაცემული სესხი
თბილისის სათავადაზნაურო	1 150	16 661 900	8 210 034
მიხაილის სათავადაზნაურო	1	24 900	13 400
თბილისის საკრედ. საზოგადოება	1 735	22 655 388	14 016 800

გასტუმრებას, მათი დავალიანება იზრდებოდა და ბანკი იძულებული ხდებოდა მემამულეთა დაგირავებული მამულები საჯარო ვაჭრობით გაეყიდა.

სწორედ ამ ნიადაგზე დაიწყო ქართული საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა. 80-იანი წლების პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა თავადაზნაურული ოპოზიცია, რომელმაც პრესის საშუალებით სასტიკი ბრძოლა გაუმართა თბილისის ბანკის ხელმძღვანელობას. როგორც ცნობილია, ამ ოპოზიციას სათავეში ჩაუდგა დ. ყიფიანი, ხოლო დემოკრატიული ინტელიგენციის სახელით მას წინ აღუდგა ი. ჭავჭავაძე.

<sup>65</sup> Сборник статистических сведений по Зак. краю, часть 1, Тифлис 1902, стр. 262

ამრიგად, 80-იანი წლების პირველი ნახევრიდან მოვლენათა მსვლელობამ გამოააშკარავა საადგილმამულო ბანკებში ინტერესთა დაპირისპირება, აშკარა გახდა ბურჟუაზიის გაძლიერება. ახლად აღორძინებული ბურჟუაზია თანდათანობით ფულადი კაპიტალის მფლობელი გახდა და საკრედიტო დაწესებულებებში პრიორიტეტული მდგომარეობა დაიკავა, მათ შირის საადგილმამულო ბანკებშიც. ქართულმა თავადაზნაურობამ ალლო ვერ აულო ახალი ცხოვრების მოთხოვნებს, სამეწარმეო გულმოდგინების ნაცვლად იგი საკუთარი ტრაგედიის წყაროდ ხან ცალკეულ პიროვნებებს მიიჩნევდა და ხან უცხოელებს. ამ ურთიერთბრალდებებში ვაჭართა და მრეწველთა ფენა სულ უფრო მეტად ძლიერდებოდა და ხელში უვარდებოდა გაკოტრებული და სოციალურად დეგრადირებული არისტოკრატის მამულები.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიური ვითარების ზოგადი მიმოხილვა წარმოდგენას იძლევა საქართველოში კაპიტალისტური წარმოების განვითარების იმ ძირითად ტენდენციებზე და ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელიც ჩამოყალიბდა რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ XIX საუკუნის 60-იან წლებში გატარებული რეფორმების შედეგად და რომელმაც ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში საფუძვლიან ცვლილებებს. აღნიშნული ცვლილებები მეტ-ნაკლებად მანამდეც იყო დაწყებული, მაგრამ განხილულმა საკანონმდებლო რეფორმებმა მას სტიმული მისცა და ლეგიტიმური გახდა.



## თაზო II

### ადგილობრივი კაპიტალი თბილისის ეკონომიკაში XIX ს-ის ბოლოსა და XX ს. დასაწყისში

XIX ს. ბოლოსთვის თბილისში უპირატესად წვრილი სამრეწველო საწარმოები ვითარდებოდა, თუმცა ქალაქის ეკონომიკური განვითარება აშკარად კაპიტალისტური ხასიათის იყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით საწარმოო ძალები გაცილებით ნელი ტემპით ვითარდებოდა, რომლის ძირითადი მიზეზი იყო საქართველოს კოლონიური მდგომარეობა და ფეოდალური ურთიერთობების გადმონაშთები, რაც მძიმე ტვირთად აწევებოდა საწარმოო ძალებს და არ აძლევდა მას სწრაფი ტემპით განვითარების საშუალებას. ამ პერიოდში თანდათან შესამჩნევი ხდება შედარებით მსხვილი საწარმოების აღმოცენება, რომელიც ძირითადად ადგილობრივი კაპიტალის მეშვეობით ფუნქციონირებდა.

განვიხილოთ ის ძირითადი საწარმოები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აღნიშნული პერიოდის საქართველოს ეკონომიკური განვითარების საქმეში.

თბილისში ტრადიციულად არსებობდა წვრილი და უწვრილესი შინამრეწველური ტიპის სარეწები, რომლებიც ტყავს ამზადებდნენ. ისინი ძირითადად წვრილი სარეწების, ან ხელოსნური ტიპის იყო. XIX ს-ის 60-იანი წლებიდან თბილისში ჩნდება რამდენიმე შედარებით მსხვილი სარეწი, ანუ ისეთი სახელოსნო, სადაც 4–10, ან უფრო მეტი (ოსტატები, ქარგლები და შევირდები) შრომობდნენ ერთად. ამგვარ სარეწებში თანდათან ხდებოდა შრომის დანაწილება და მანუფაქტურების წარმოშობა. აქ ძირითადად სახარაზო ტყავეული მზადდებოდა. თბილისის ტყავის სარეწთა თავისებურება ის იყო, რომ ეს სარეწები განლაგებულნი იყვნენ მტკვრის სანაპიროზე, გოგირდის თბილ წყაროებთან, რაც მათი არსებობის ძირითადი პირობა იყო.

ტყავის “ქარხნების” დიდი ნაწილი ე.წ. აზიური ხერხებით მუშაობდა, ამასთან, 70-იანი წლებიდან თბილისში რუსი კოლონისტების ე.წ. მოლოკნების “ქარხნები” დაარსდა, მათი ტყავის სარეწები საცხოვრებელი ბინის ეზოში იყო

მოწყობილი და 4-5 კაცი მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაწარმიც კუსტარული ხერხით მზადდებოდა, ტყავის ღებვაში უფრო დაწინაურებულნი იყვნენ და ამ მხრივ მოლოკნების მიერ დამზადებული ტყავის ნაწარმი ჯობნიდა “ახიური წესით” ნაწარმებს ტყავს. ტყავი მოლოკნების სარეწებშიც უპირატესად ხელით გამოჰყავდათ, მაგრამ ასევე პრიმიტიულ ტექნიკასაც იყენებდნენ. მაგალითად, ყველა მათგანს ჰქონდა ერთგვარი საცეხვი (საფქვავე), რომელიც ცხენის გამწვევი ძალის მეშვეობით მოდიოდა მოძრაობაში. ამ მოწყობილობით იცეხებოდა მუხის ქერქი, რომელიც ტყავის გამოსაყვანად იყო საჭირო. სარეწებში ჰქონდათ წყალამწე ტუმბოები, რომლის მეშვეობითაც სარეწს ჭიდან წყალი მიეწოდებოდა.

ცხრილი №2.1 –ში მოცემული მასალა წარმოდგენას იძლევა აღნიშნული სარეწების მასშტაბებზე.

#### ცხრილი №2.1 <sup>66</sup>

რუსი კოლონისტების (მოლოკნების) სარეწებში წარმოებული პროდუქცია.  
(1884 წ.)

სარეწები	გამოყვანილი ტყავის რაოდ. (ცალი)	მუშათა რაოდენობა	წარმოებული პროდუქცია (მან.)
მინიაევა	800	4	4 000
პონომარიოვი	700	4	3 500
მინევა	500	5	3 000

ამ ცხრილში არ არის წარმოდგენილი წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ისინი მხოლოდ სახარაზო

<sup>66</sup> Гулишамбаров СТ. ОФЗТ губернии. Тб. 1888 გვ.38

ტყავს ამზადებდნენ, რომელიც შემდგომ სახელოსნოებს მიეწოდებოდა, სახელოსნოებში კი მას საბოლოო პროდუქციის სახე ეძლეოდა.

მოცემული ცხრილი ცხადყოფს, რომ აღნიშნული ტიპის ტყავის სარეწების მასშტაბებს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ არსებობდა, თუმცა მაინც შეიძლება გამოვეყნოთ მინიაევას სარეწი, რომელმაც ოთხი მუშის პირობებში შეძლო 4 000 მანეთის ღირებულების 800 ტყავი გამოეშვა. შედარებით უარესი მაჩვენებელი აქვს მინევას, რომლის სარეწიც ნაკლებად მწარმოებლურია, ვიდრე ორი დანარჩენის; კერძოდ, დასაქმებული იყო 5 მუშა, ანუ მეტი, ვიდრე მინიაევასა და პონომარიოვთან, რასაც ლოგიკურად მეტი პროდუქციის დამზადება უნდა უზრუნველყო, რეალურად კი მინევამ მათზე ნაკლები რაოდენობისა (500 ც.) და შესაბამისად ნაკლები ღირებულების ტყავი (3 000 მან.) აწარმოა.

ამ ტიპის “ქარხნებში” შრომა დანაწილებული იყო, წარმოება 3–4 ოპერაციად იყოფოდა; მაგ. ლეშის გატყავება, ტყავის დამარილება, ქატოში დაღობვა, ბეწვის გაცლა, ტყავის მოქნა–გამოყვანა და შემდეგ კვლავ გაფხეკა. მართალია, ზოგიერთი მუშა 2-3 ოპერაციაში იყო დახელოვნებული, მაგრამ ამ წარმოებაში მუშათა სულ უფრო მეტი რაოდენობა იყრიდა თავს და უფრო მეტად ხდებოდა მათი დასპეციალება ერთ რომელიმე ოპერაციაზე.

აზიური ხერხით ტყავის დამმუშავებელი “ქარხნები” დამხმარე მასალად იყენებდნენ კირს, მარილს, თრიმლს, შაბს, ქატოს, ქერს, სიმინდის ფქვილსა და სხვ. სამუშაო მასალებიდან მთავარი იყო გეჯა, ანუ როფი, რომელიც სარეწის სარდაფებში მიწაში იყო ჩადგმული, მასში მილით გადიოდა გოგირდის წყალი. ერთ გეჯაში საშუალოდ 3-5 მუშა იდგა წელამდე ტყავის შმორიან წუმპეში, სადაც ხელებითა და ფეხებით ხდებოდა ტყავის მოქნა. ამგვარად გამოყვანილი ტყავისგან ძირითად მზადდებოდა ფეხსაცმელები, აზიური ჩექმები, ხოლო მთლიან (უნაკერო) ტყავს იყენებდნენ სასირაჯო წარმოებაში, მაგ. ტიკების დასამზადებლად, ამზადებდნენ ასევე ტყავის ნაირგვარ ნაწარმს: კარეტების, ეტლების, ცხენის აღკაზმულობისთვის და სხვა საჭიროებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ტყავის წარმოება სხვა დარგებს გაცილებით ჩამორჩებოდა და აშკარად ნელი ტემპებით ვითარდებოდა. შრომის პირობებიც ამ სფეროში

განსაკუთრებით მძიმე იყო. “ქარხნების” უმნიშვნელო ნაწილი როგორც აღვნიშნეთ, პრიმიტიულ ტექნიკას იყენებდა, ხოლო დანარჩენ უმრავლესობაში ეს ტექნიკაც არ გააჩნდათ და ტყავის გამოყვანის პროცესი მთლიანად ხელით შრომას ეფუძნებოდა.

70-იანი წლებიდან ტყავის ღებვაში მცენარეული საღებავების ნაცვლად თანდათან დაიწყო მინერალური საღებავების – ანილინისა და ალიზარინის გამოყენება. მინერალური საღებავების დამკვიდრებით “აზიურმა ტყავებმა” დაკარგეს უწინდელი სიმტკიცე და ფერადოვნება, ხოლო ამ სიახლის დანერგვის შედეგად გამსხვილებულ სარეწებს უფრო გაუადვილდათ წვრილი სარეწების შევიწროება.

1875 წლიდან წარმოების ამ სფეროში მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თბილისში კერძო მეწარმემ – გ. ადელხანოვმა ტყავის საკმაოდ მსხვილი ქარხანა გახსნა. იგი ამ საქმეში საკმაოდ კარგად იყო ჩახედული და საჭირო ფულადი სახსრებიც გააჩნდა. წარმოება ადელხანოვმა იმ დროისათვის მაღალ ტექნიკურ დონეზე მოაწყო და ტყავის წარმოების მოწინავე ტექნოლოგია დანერგა. ტყავის საქარხნო წესით წარმოებისათვის აუცილებელ ნედლეულს ქარხნის პატრონი კერძო შესყიდვების გზით, საკმაოდ დიდი ოდენობით ღებულობდა საქართველოს მეცხოველეობის ძირითადი (მაღალმთიანი) რაიონებიდან, ხოლო ნაწილს იგი უმთავრესად იღებდა ჩრდილოეთ კავკასიიდან და საქართველოს ფარგლებს მიღმა რაიონებიდან, ხანდახან ამერიკიდანაც (სალანჩე ტყავს). ეს ქარხანა ტყავის ერთადერთ და ყველაზე მსხვილ საწარმოდ ითვლებოდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. იგი ტიპური კაპიტალისტური საწარმო იყო თავისი ყველა მახასიათებლით.

ფაბრიკამ, სადაც დაარსებისას 30 მუშა მუშაობდა, პირველსავე წელს შეძლო 60 000 მან. ღირებულების ცხვრისა და თხის ტყავი დაემზადებინა. ორი წლის შემდეგ ფაბრიკამ დაიწყო მსხვილფეხა პირუტყვის ტყავის გადამუშავება – მაგ. ცხენის ტყავის. ამზადებდა: თალათინს (რბილ ტყავს), სალანჩე ტყავს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრიკა ამუშავებისთანავე მხოლოდ ადგილობრივ შრომით პოტენციალს ეყრდნობოდა და არ დასჭირვებია

უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტების დახმარება, მაგრამ იმის გამო, რომ ეს პოტენციური შეზღუდული იყო, ფაბრიკას მუდმივად უწევდა თავადვე მოემზადებინა ოსტატები.

1879 წლისთვის ფაბრიკა შესამჩნევად გაიზარდა და სრულად გამოავლინა საკუთარი შესაძლებლობანი. მას უკვე მიეცა საშუალება, რომ ევაჭრა მოსკოვთან, ასევე, სწორედ ეს ფაბრიკა იყო კავკასიაში ერთადერთი, სადაც საფაბრიკო წესით (და არა კუსტარულად) დაიწყო ჩექმების კერვა. აქ წარმოებული ჩექმების საუკეთესო ხარისხის გამო მან საკმაოდ მსხვილი სახელმწიფო შეკვეთები მიიღო კავკასიის სამხედრო ოლქისაგან, რომ მოემარაგებინა ჯარი 360 000 მანეთზე მეტი ღირებულების ჩექმებით. ასრულებდა რა ხარისხიანად და დაუბრკოლებლად სამხედრო ოლქის შეკვეთებს, 1881 წლიდან ადელხანოვის ფაბრიკას კვლავ გაუგრძელეს ხელშეკრულება. სამხედრო შეკვეთების მთლიანი ღირებულება 400 000 მანეთს აღწევდა. ამ ღირებულებაში არ იგულისხმება მსხვილი შეკვეთები იმ სამხედრო ამუნიციასზე, რომელსაც იგი ასევე ჯარებს აწვდიდა.<sup>67</sup> ადელხანოვის ტყავის ქარხნის წარმატებები დიდად იყო დამოკიდებული მსხვილსა და გარანტირებულ შეკვეთებზე. ჯარისათვის საჩექმე და საამუნიციო ტყავის შეკვეთები საკმაოდ მსხვილი და სტაბილური იყო და ამის საფუძველზე 80-იანი წლებიდან ხდება წარმოების გაფართოება, სადაც 300-მდე კაცი დასაქმდა. მომდევნო პერიოდში მათმა რაოდენობამ 500-ს მიაღწია. დასაქმებულთა შორის იყვნენ მოზარდებიც, რომლებიც ძირითადად მშობლებს მიჰყავდათ სამუშაოდ და გარდა იმისა, რომ წერა-კითხვის უცოდინარები რჩებოდნენ, ჯანმრთელობაც უკიდურესად ჰქონდათ შელახული.

1884 წელს ფაბრიკა კაპიტალურად გადაიარაღდა, რომლის დროსაც დიდი ყურადღება მიექცა სანიტარულ - ჰიგიენური პირობების მკვეთრ გაუმჯობესებას; მომდევნო 1885 წლისთვის ტყავის ფაბრიკასთან გაიხსნა ფეხსაცმელების მსხვილი მექანიზებული სამკერვალო. თავდაპირველად აქ დასაქმებული იყო 60 კაცი და კვირაში 300 წყვილ ჩექმას ამზადებდნენ. იმის გამო, რომ სამხედრო შეკვეთები აქ რეგულარული იყო, სახელოსნო მსხვილდებოდა. სახელოსნო

<sup>67</sup> *Ст. Гулишамбаров ОФЗ по Закавказскому краю. Тиф. 1894, гл. 209-210.*

შეკვეთებს იღებდა სახელმწიფოსგანაც, ყოველწლიურად 50 000 წყვილი ფეხსაცმლის ოდენობით. ამ სამკერვალოში ათი წლის შემდეგ, 1895 წლისთვის 250-მდე კაცი მუშაობდა, ხოლო XIX ს-ის მიწურულს უკვე 600-მდე კაცი.<sup>68</sup>

სამკერვალო სახელოსნო თანდათან გამოეყო ტყავის ფაბრიკას და სრულიად დამოუკიდებელ, ფეხსაცმლის მსხვილ მექანიკურ ფაბრიკად ჩამოყალიბდა. ეს ფაბრიკა ტყავისა და ჩუღუელის ფაბრიკების მახლობლად მდებარეობდა. ამ გამოყოფილ საწარმოში მხოლოდ სახელმწიფო შეკვეთები სრულდებოდა, თუმცა მას გაცილებით დიდი პოტენციალი გააჩნდა და ამიტომ იქვე მოეწყო საგანგებო საამქრო, სადაც კერძო შეკვეთებს იღებდნენ ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმელებზე, ჩემოდნებზე, უნაგირებზე, ცხენის თვალსაფარებზე, რომლის სარეალიზაციოდაც ადელხანოვმა თბილისის გარდა, ვლადიკავკასსა და ბაქოშიც გახსნა საკუთარი საწყოები და მაღაზიები. ამ საწარმოებში 1893 წლისთვის მუშაობდა 220 მუდმივი მუშა, რომლებიც წელიწადში 120 000 მანეთის საქონელს აწარმოებდნენ.<sup>69</sup>

1889 წ. ადელხანოვის ტყავის ფაბრიკა ტექნიკური თვალსაზრისით საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. ქარხნის წარმოების საშუალებები იყო 55 ცხენის ძალის 3 ორთქლის მანქანა ორთქლის სამი ქვაბით, ბეტონის 42 აგზი, შაბის 18 როფი, ნაცრის 34 როფი, 34 სათრიმლაგი როფი წყალსადენი ფილტრებით, ხელოვნური წვევის ჰიდროექსტრაქტორი მატყლის რაციონალური შრობისათვის. ხის სათრიმლაგი როფები ბეტონის როფებით შეიცვალა. ამის შედეგად ის საყოველთაოდ გამეფებული ანტისანიტარია, რაც ზოგადად ტყავის კუსტარულ წარმოებას ახასიათებს, აქ მთლიანად მოისპო. გარდა ამისა, ამოქმედდა შიდასაქარხნო სალიანდაგო ტრანსპორტი, რომელიც ასევე მისი მწარმოებლურობის ზრდას და საწარმოო პროცესის რაციონალიზაციას უწყობდა ხელს.

ფაბრიკის საშუალო წლიური სიმძლავრე ამ პერიოდში ასე გამოიყურება: ამზადებდა 11 600 ცალ სალანჩე ტყავს, 14 000 ცალ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უხეშ სქელ ტყავს, 36 000 ცალ გათრიმლულ ტყავს და სხვა. ფაბრიკის წლიური ბრუნვა 1889 წელს იყო დაახლოებით 700 ათასი მანეთი,

<sup>68</sup> იქვე

<sup>69</sup> იქვე

ხოლო მომდევნო, 1890 წლისთვის – 741,9 ათასი მანეთი.<sup>70</sup> იმის გამო, რომ ამიერკავკასიაში იმ პერიოდში არ არსებობდა ტყავის რამდენადმე გამართული წარმოება გარდა ადელხანოვის წარმოებისა, მას უწევდა ყველა სახის ტყავის ნაწარმის გამოშვება და მისი ვიწრო სპეციალიზაცია არ ხერხდებოდა.

90-იანი წლების დასაწყისში აქ კრაველის ტყავისაგან დაიწყო ე.წ. ლაიკის დამუშავება, რისგანაც საწარმოსთან არსებულ პროფესიულ სკოლაში ხელთათმანებს კერავდნენ.

ქეჩის წარმოება ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და გავრცელებული იყო ამიერკავკასიის მაღალმთიან რაიონებში მცხოვრებ ხალხთა შორის, რომელიც მატყლის გადამუშავებაზე იყო დამყარებული. მეჩუღეობის პროდუქტად ითვლება: ქეჩა, ნაბადი, სხვადასხვა სახისა და ფორმის ნაბდის ქული და სხვა რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანია ნაბდის წარმოება. ნაბადი მთელს ამიერკავკასიაში ერთობ გავრცელებული წამოსასხამი იყო. გარდა ამისა, იგი იყო კავკასიაში არსებული ჯარის სამხედრო ამუნიციის ატრიბუტიც.

ადელხანოვის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ქეჩის (ჩულის) შინამრეწველური წარმოების საფაბრიკოდ გადაქცევაც. 1889 წელს ადელხანოვმა გაითვალისწინა რა ბაზარზე არსებული ნაბადზე დიდი მოთხოვნა, ხელი მოჰკიდა მისი მასობრივი წარმოების ორგანიზებას. თბილისში ჩამოაყალიბა სააქციო საზოგადოება, რომელმაც გახსნა ჩუღეულის ფაბრიკა. ეს ფაბრიკა ძირითადად ორიენტირებული იყო კაზაკთა ჯარებისათვის ნაბდის მიწოდებაზე. იმის გამო, რომ რუსეთში ტყავისა და ქეჩის წარმოება სუსტად იყო განვითარებული, ადელხანოვის მიერ წარმოებული პროდუქცია კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა.

საწარმომ ორ წელიწადში დაამტკიცა, რომ წარმატებული საწარმო იყო, მისი წარმადობა იყო 100 000 ცალი ნაბადი წელიწადში. ფაბრიკა მეწარმეს 70 000 მან. დაუჯდა. საჭირო ტექნიკა, ასევე ოსტატები გერმანიიდან გამოიწერა, მხოლოდ მუშები იყვნენ ადგილობრივი მცხოვრებნი. შავი სანაბდე მატყლი შემოდოდა დაღესტნიდან ფუთი – 6-6,5 მანეთად. მისი თბილისამდე

---

<sup>70</sup> იქვე

ტრანსპორტირება ჯდებოდა ფუთი 1,5 მან. რეცხვისა და ჭუჭყის გაცლის შემდეგ ვარგისი იყო მთლიანი მასის მხოლოდ 50%. ასე, რომ გამზადებული მოუქნელი მატყელი ფაბრიკანტს რეცხვის ხარჯის ჩათვლით ფუთი 14-17 მან. უჯდებოდა.<sup>71</sup>

ადელხანოვის ჩუღეულის ფაბრიკაში მზადდებოდა ყველა სახის ქეჩის ნაწარმი, როგორცაა: ქუდები (თუშური), ფაფახები (ოსური), ფაჩუჩები, ნაბდის მაღალყელიანი ფეხსაცმელი (დადესტნური, ე.წ. ვალინკები) და სხვ. ეს პროდუქცია იწარმოებოდა მსხვილ პარტიებად, საფაბრიკო წესით, ორთქლის ენერჯის გამოყენებით.

ადელხანოვის ჩუღეულის ფაბრიკამ დაარსების დღიდან, საგუშაგო რაზმებისათვის დაამზადა 40 000 ნაბადი. 1892 წლისთვის ეს ნაბდები შინელებით შეიცვალა, თუმცა მეწარმეს შინელების წარმოებასთან ერთად არც ნაბდის წარმოება შეუწყვეტია, მას კერძო გაყიდვებისთვის აწარმოებდა. გამოშვებული ნაბდის სიგრძე იყო 2,5 არშინი, სიგანე ქვედა ნაწილში – 5 არშინი, ხოლო ზემო ნაწილში – 1 არშინი. თითოეული ნაბდის წონა 6 ფუთს უტოლდებოდა. ყოველდღიურად ამზადებდნენ 40 ნაბადს, ყოველწლიურად – დაახლოებით 12 000 ცალს. ნაბდები იღებებოდა უცხოეთიდან შემოტანილი ეგზოტიკური ხის ექსტრაქტებით, რომლის ღირებულებაც თბილისში იყო 1 ფუთი – 12 მანეთი.<sup>72</sup> ნაბდის ღებვა შემდეგი ტექნოლოგიით ხდებოდა: თავდაპირველად ქეჩას ალბობდნენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შარდში შაბიამანთან და სოდასთან ერთად. ამის შემდეგ კი მას ღებავდნენ მექსიკური ე.წ. კამპეჩეს ხის ექსტრაქტის ხსნარში, რომელიც გერმანიიდან შემოჰქონდათ 1 ფუთი 12 მანეთად.<sup>73</sup>

ფაბრიკულად დამზადებულ ქეჩას მოიხმარდნენ არა მხოლოდ ფეხსაცმლის, თავსაბურავის, ან სხვადასხვა სახის სამოსის საწარმოებლად, არამედ აქტიურად იყენებდნენ ნესტის საწინააღმდეგოდაც. მაგ: აკრავდნენ კედლებზე, ახვევდნენ იმ ბოძებისა და კოჭების ბოლოებზე, რომლებიც ნესტიან ნიადაგში იყო ჩასარჭობი. ქეჩას ხმარობდნენ ასევე ფიცრის იატაკის ქვეშ დასაგებად. იატაკს ამგვარი წესით აგებდნენ როგორც ნოტიო, ასევე მშრალ

<sup>71</sup> იქვე, გვ. 251

<sup>72</sup> იქვე

<sup>73</sup> იქვე, გვ. 252



ადგილებშიც სითბოს შესანარჩუნებლად. საწარმოო ნედლეულად გამოიყენებოდა ასევე ცხვრის დაბალბეწვიანი მატყლი, რომლისგანაც ამზადებდნენ ფაჩუჩებს და სხვადასხვა ნაწარმს. მატყლით ადელხანოვის ტყავის ფაბრიკიდან მარაგდებოდნენ. ამ ბეწვის გადამუშავება ხდებოდა საჭირო ზომების მიხედვით, წელიწადში 5 000 ფუთის ოდენობით.<sup>74</sup>

ჩუღეულის ფაბრიკაში ბეწვის გადასამუშავებლად წყლის მაგივრად იყენებდნენ ორთქლს მაღალი წნევით, რაც იმის გარანტიას იძლეოდა, რომ ყოველგვარი პარაზიტი და მისი კვერცხები, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო ამ ბეწვში, განადგურდებოდა. ქეჩის მოქნის შემდგომ ხდებოდა მისი ხელახალი მოქნა ორთქლის ენერჯიაზე მომუშავე საბეგვით, საბოლოოდ კი მას ავლებდნენ გოგირდმჟავას სუსტ ხსნარში. ამგვარი ტექნოლოგიით დამუშავებული ბეწვი საიმედოდ ჰიგიენური და ხარისხიანი იყო, ნაწარმს პარაზიტებისაგან გაფუჭება აღარ ემუქრებოდა.

90-იან წლებში ფაბრიკაში მრავალი სახის საჭირო მასალა და ნედლეული შემოჰქონდათ საკმაოდ შორეული ტერიტორიებიდან. მაგ. ტყავის გასათრიმლაგად ყოველწლიურად 130 000 ფუთ სხვადასხვა სახის სათრიმლავ მასალას მოიხმარდნენ: მუხის ქერქს მოიხმარდნენ როგორც ადგილობრივს, ასევე შემოჰქონდათ ტვერიდან. ტირიფისა და ვაზის ქერქი შემოჰქონდათ ვოლგის დაბლობიდან, ალჟირული მუხის ქერქი – მარსელიდან, მარსელიდანვე შემოჰქონდათ ე.წ. კეებრაკო და გარული, სმირნადან – ვოლონე, ხოლო თუთუბო და კერმეკი – ელიზავეტპოლის გუბერნიიდან, მირაბელი – ინდოეთიდან, მექსიკური კამპეჩეს ხის ექსტრაქტი – გერმანიიდან, სათრიმლავი ექსტრაქტები შემოჰქონდათ ასევე უნგრეთიდან და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მასალების უმრავლესობის მოპოვება საქართველოს ტყის მასივებიდანაც იყო შესაძლებელი, მაგრამ მისი მოპოვება-დამუშავება არ იყო ორგანიზებული. ამის გამო ადგილობრივი მასალის მოძიება და მოგროვება იმდენ უხერხულობასთან და დაბრკოლებასთან იყო დაკავშირებული, რომ მეწარმეს არ უღირდა აწყობილი წარმოება შეფერხების საფრთხის ქვეშ დაეყენებინა.

აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე აღშფოთებული იყო იმ ფაქტით, რომ

---

<sup>74</sup> იქვე

საქართველოს ტყეები საესე იყო თრიმლით, და მისი შეგროვების არაორგანიზებულობის გამო ტყავეულის საწარმოთა მესვეურებს ერჩინათ ყველა ზემოჩამოთვლილი მასალა ძვირად, მაგრამ საიმედო წყაროებიდან და დაუბრკოლებლად უცხოეთიდან შემოეტანათ.

1890 წლისთვის ადელხანოვის ტყავის ფაბრიკის მიერ გამოშვებული ნაწარმის ასორტიმენტი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, რაზეც წარმოდგენას იძლევა ცხრილი №2.2.

### ცხრილი №2.2 <sup>75</sup>

#### ადელხანოვის ტყავის ფაბრიკის მიერ გამოშვებული ნაწარმი (1890წ.)

ნაწარმის სახეობა	რაოდენობა (ცალი)	ღირებულება (მან.)
ტყავი (გათრიმლული)	50 000	300 000
სალანჩე ტყავი	17 400	261 000
ქეჩა	13 700	137 000
უხეში ტყავი	4 300	38 700
თალათინი	2 600	5 200
სულ	88 000	741 900

როგორც ცხრილიდან ირკვევა, გათრიმლული ტყავის გამოშვება ფაბრიკისთვის პრიორიტეტული იყო და ყველაზე სოლიდური რაოდენობით სწორედ მას უშვებდნენ. მისი ღირებულება – 300 000მან. მთლიანი პროდუქციის ღირებულების (741 900 მან.) 40,4%-ს შეადგენდა. ასევე სოლიდური იყო სალანჩე ტყავის (261 000 მან.) გამოშვება, რომელიც შეადგენდა მთლიანი პროდუქციის

<sup>75</sup> *Краткий очерк истории возникновения, развития и современ. положения акц. общества кожевенного и войлочного производства на Кавказе – Г.Г. Адельханова. Тифлис 1901, გვ. 8-9.*

ღირებულების 35,2%-ს.

ყურადღებას იპყრობს ქეჩის წარმოების მასშტაბები, ვინაიდან მისი მასობრივი წარმოება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადელხანოვა 1889 წელს დაიწყო და ერთ წელიწადში სერიოზული მასშტაბებიც შეიძინა. ცხრილიდან თვალსაჩინო ხდება, რომ უკვე 1890 წლისთვის გამოშვებული ქეჩის ღირებულება მთლიანად გამოშვებული პროდუქციის ღირებულების 18,5 %-ს შეადგინა.

1891 წლიდან ადელხანოვის ფაბრიკაში პირველად, ტყავის გათრიმელა დაიწყო ელექტრობის მეშვეობით. 1891 წელს მთლიანად თბილისის ტყავის ქარხნებში დასაქმებული იყო 361 კაცი, ხოლო მათი საერთო ბრუნვა იყო 871 550 მან. აქედან ადელხანოვის წილად მოდიოდა 791 900 მან. და მუშაობდა 240 კაცი. მის წარმოებაში დამონტაჟებული იყო სამი ორთქლის მანქანა და ქვაბი. ამ წელს წარმოებულ იქნა 88 000 ერთეული ტყავის ნაწარმი. საგულისხმოა, რომ მის მიერ წარმოებული მაღალი ხარისხის ტყავით მზადდებოდა ფეხსაცმელი, რომელიც თავისი ხარისხით ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციას უწევდა ვარშავის ფეხსაცმელს.<sup>76</sup>

1901 წ. თბილისში მოეწყო საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავისადმი მოძღვნილი ”კავკასიის საიუბილეო გამოფენა.” ამ გამოფენაზე გ. ადელხანოვის ფირმას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა, როგორც კავკასიაში კაპიტალისტური მრეწველობის დანერგვის ფლაგმანს. ამ გამოფენიდან ირკვევა, რომ ადელხანოვის ტყავის ქარხანას 1882 წ. სრულიად რუსეთის სამრეწველო გამოფენაზე მოსკოვში მიენიჭა ბრინჯაოს მედალი. 1889წ. თბილისში სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენაზე – ოქროს მედალი, ასევე ოქროს მედალი 1890წ. ფინანსთა სამინისტროსგან და რუსეთის ტექნიკური საზოგადოებისაგან. 1896 წელს კი ოქროსა და ვერცხლის მედლები ნიჟეგოროდის გამოფენაზე. ამავე გამოფენაზე საზგასმით იყო აღნიშნული, რომ ადელხანოვის საწარმოებში 1500-ზე მეტი კაცი მუშაობს (ამ რაოდენობაში შედიოდა ქეჩის, ე.წ. ჩუღეულის ფაბრიკული წარმოებაც), ხოლო საშუალო წლიური პროდუქციის მოცულობა 2 მლნ. მანეთს აღემატება. ადელხანოვის

<sup>76</sup> როდონია ნ. თბილისის მრეწველობა XIX ს. მეორე ნახევარში. თბ. 1961.

საფაბრიკო-საქარხნო წარმოება ქებას იმის გამოც იმსახურებდა, რომ იგი ითვლებოდა პიონერად ამიერკავკასიის მსხვილ სამრეწველო საწარმოებს შორის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბაქოს ნავთობის ქარხნებს.<sup>77</sup>

1893 წლისთვის დედაქალაქის მრეწველობაში წამყვანი ადგილი ტყავისა და თამბაქოს ფაბრიკებს ეკავათ. ამ დროს თბილისში ტყავის დამამუშავებელი 8 საწარმო არსებობდა.<sup>78</sup>

XIX–XX სს. მიჯნაზე თბილისში არსებობდა სამრეწველო აქციონერთა ამხანაგობები, რომლებიც პროდუქციის წარმოების გარდა მათი გასაღებითაც იყვნენ დაკავებულები. 1897 წელს ჩამოყალიბდა „ტყავისა და ქეჩის წარმოების კავკასიის სააქციო საზოგადოება“, რომელიც ადელხანოვის საწარმოთა ბაზაზე იყო შექმნილი და წლიურად 2 083 760 მან. პროდუქციას უშვებდა. ამ დროისათვის მისი ძირითადი კაპიტალი 1,5 მლნ. მანეთს შეადგენდა, ხოლო სააქციო საზოგადოების წმინდა მოგება მარასრული ცნობებით 1901 წ. – 152 170 მან., ხოლო 1915 წ. – 171 743 მან. შეადგინა.<sup>79</sup>

აღნიშნულ პერიოდში სააქციო საზოგადოება სამხედრო უწყებასა და ამიერკავკასიის სახაზინო რეინიგზას დიდი როდენობით აწოდებდა ფარაჯებს, ბლუზა-შარველებს, სხვადასხვა სახის თბილი ნაბდის ფეხსაცმელს, ქუდებს, ყაბალახებს, რითაც ჯარი და რეინიგზის მომსახურე პერსონალი იმოსებოდა. ბაზარზე გადიოდა ამავე საზოგადოების მიერ დამზადებული ქალის პალტოები, ხალიჩები, ნაბდები და სხვა. გარდა ამისა, მას გააჩნდა სასირაჯო, უნაგირების, ჩემოდნების და სამგზავრო ნივთების მწარმოებელი საამქროებიც.<sup>80</sup>

ადელხანოვი გარდა იმისა, რომ დააარსა მსხვილი ტყავის წარმოება, იყო ასევე „საურთიერთო კრედიტის საზოგადოების“ თავმჯდომარე.

საქართველოში საფაბრიკო-საქარხნო წარმოების განვითარების სათავეებთან, გარდა ადელხანოვის წარმოებისა, საინტერესო ძვრები შეინიშნება საფეიქრო წარმოებაშიც. მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რომელსაც მეტროპოლია უქმნიდა თავის დაქვემდებარებულ ქვეყნებს (ამის დასტურად

<sup>77</sup> იქვე.

<sup>78</sup> საქ. ცხია, ფ.17, აღ.1, საქ. 3574, ფურც. 32

<sup>79</sup> WGBF CCCH, a 22 jg 4 c 89 c 429 a 23 jg 28 c 963

<sup>80</sup> სსცია, ფ. 271, ანაწ. 1, საქ. 2

გამოდგება თუნდაც კასტელას მიერ ფაბრიკის დაარსებასთან დაკავშირებული პერიპეტეები), ამ დარგში მაინც ეყრება საფუძველი საფაბრიკო წამოწყებას. რუსეთის კვლავინდებურად სუსტ ეკონომიკას ძალა არ შესწევდა სრული კოლონიური დიქტატი დაემყარებინა თავის უზარმაზარ იმპერიაზე, ამისი მცდელობაც კი მას მეტად ძვირი უჯდებოდა.

ამ სფეროში ამგვარი ვითარება იყო: რუსეთის სახელმწიფო საბჭომ მიზანშეწონილად ცნო ევროპიდან საქართველოში შემოტანილ ნარმასა და საერთოდ, ბამბის ქსოვილებზე დაწესებული ბაჟი გაეზარდა. 1868 წლიდან გირვანქა ევროპულ უბრალო ბამბის ქსოვილზე ათკაპიკიანი ტარიფის ნაცვლად დააწესა 15 კაპიკი, რაც ამ ქსოვილების ღირებულების 18%-ს შეადგენდა. ამ გარემოებამ სერიოზულად შეაფერხა ევროპის ქვეყნებიდან ბამბის ქსოვილების შემოტანა.

ბამბეულის ყველაზე მსხვილი სართავი და საქსოვი ფაბრიკა საქართველოში, რომელიც წმინდა კაპიტალისტურ საწყისებზე აღმოცენდა, იყო თბილისელი ვაჭრის – გ. მირზოევის მიერ 1870 წელს გახსნილი ფაბრიკა. ფაბრიკის დაარსებამდე ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბამბეულის ქსოვილებით ვაჭრობდა, შედეგად საკმაოდ მსხვილი ფულადი კაპიტალი დააგროვა, რომლის მეშვეობითაც მან შეძლო ბამბეულის სართავი და საქსოვი წარმოება მოეწყო. მირზოევმა თავისი სავაჭრო კაპიტალის უდიდესი ნაწილი სამრეწველო კაპიტალად აქცია.

მირზოევმა 1868 წელს მანამ, სანამ საქართველოში ყველაზე მსხვილ ბამბეულის სართავ-საქსოვ ფაბრიკას შექმნიდა, მტკვრის სანაპიროზე მატყლის სარეცხი მსხვილი სარეწი მოაწყო. მატყლის სარეცხის მოწყობამდე, ადგილობრივ ვაჭრებს გასაყიდად უცხოეთში გაურეცხავი მატყლი გაჰქონდათ და იმის გამო, რომ მატყლი ამ სახით ნაკლებს ფასობდა, ზარალსაც ნახულობდნენ. ამ პირობებში მირზოევის ინიციატივა მომგებიანი აღმოჩნდა, რადგან გასუფთავებული მატყლი ბაზარზე სარფიანად გაიყიდა. მირზოევმა მატყლის სარეცხ სარეწი დაამონტაჟა წყალსაქანი მოწყობილობა, რომლითაც მტკვრიდან წყალი იქაჩებოდა და სარეწს წყლით უზრუნველყოფდა.

მირზოევის მიერ 1870 წელს გაიხსნა ფაბრიკა, რომელიც წმინდა

კაპიტალისტურ საწყისებზე იყო აღმოცენებული. მეწარმემ მანქანა-დანადგარები ინგლისიდან გამოიწერა. იმის გამო, რომ ადგილობრივ მუშახელს ამ მანქანა-დანადგარების ასამოქმედებლად და სამეთვალყურეოდ კვალიფიკაცია არ ჰყოფნიდა, მეწარმემ წარმოების სპეციალისტებიც ინგლისიდან მოიწვია.

ფაბრიკა შედგებოდა ორი ძირითადი – სართავი და საქსოვი საამქროსგან. აქ უპირატესად ქსოვდნენ მიტკალს, ასევე რიფსს, ფანელს, ტილოს. 1870 წელს, მუშაობის დაწყების პირველსავე თვეებში, ამ ფაბრიკაში 400-მდე მუშა ითვლებოდა, ხოლო 1871 წელს აქ უკვე 450 კაცი მუშაობდა.<sup>81</sup> 1872 წლისთვის ეს რაოდენობა 500 კაცამდე გაიზარდა.<sup>82</sup>

მირზოევის ფაბრიკაში მოწვეულმა ინგლისელებმა, რომლებიც კარგად ერკვეოდნენ ფაბრიკის მანქანა-დანადგარებთან მუშაობის სპეციფიკაში, საკმაოდ მაღალი ანაზღაურება მოითხოვეს. მირზოევმა ჩათვალა, რომ თანხები, რომელსაც ის ინგლისელებს უხდიდა, მძიმე ტვირთად აწევებოდა მის წარმოებას და ამ მიზეზით მან ინგლისელებთან კავშირი თანდათან გაწყვიტა. 1872 წლისთვის წარმოებას მხოლოდ ხუთი ინგლისელი შემორჩა.

უცხოელი სპეციალისტების სიმცირესთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, მირზოევის ფაბრიკა საკმაოდ წარმატებული და მასშტაბური წარმოება იყო და ბუნებრივია, იმ დროის თბილისის პერიოდულ გამოცემათა ყურადღებას იპყრობდა. განსაკუთრებით დაინტერესებული იყო გაზეთი „დროება“. 1871-1872 წლებში ცნობილმა პუბლიცისტებმა და საზოგადო მოღვაწეებმა – ნ. ნიკოლაძემ და პ. უმიკაშვილმა არაერთი სტატია მიუძღვნეს ამ ფაბრიკას და მიუხედავად იმისა, რომ იგი პირადად არ ჰქონდათ ნანახი, იქ მომუშავეებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდნენ. ამ მაღალი შეფასების მიუხედავად, ორივე ავტორი ყველა სტატიაში უკმაყოფილებას ვერ ფარავს იმის გამო, რომ ფაბრიკის მუშაობა გარეშე პირთათვის სრულიად დაფარული იყო, ანუ უცხო პირები მიუხედავად მათი სოციალური და საზოგადოებრივი სტატუსისა, ფაბრიკაში არ დაიშვებოდნენ. თავად მირზოევი ამის ოფიციალურ მიზეზად იმას

<sup>81</sup> ნ. ნიკოლაძე – მირზოევის მიტკალის საქსოვი ფაბრიკა თბილისში. გაზ. „დროება“, №24, 1872

<sup>82</sup> სტ. გულიშამბაროვი – ზოგიერთი რამ ჩვენს ეკონომიკურ მდგომარეობაზედ. გაზ. „დროება“ №24, 1872.

ასახელებდა, რომ დამთვალეიერებლები ფაბრიკაში არსებული სივიწროვის გამო მუშებს მუშაობაში ხელს შეუშლიდნენ. ნ. ნიკოლაძე ამ აკრძალვას პარადოქსად მიიჩნევდა, რადგან მეწარმე ამგვარი ქმედებით საკუთარი წარმოების რეკლამირების შანსს უშვებდა ხელიდან.<sup>83</sup>

პ. უმიკაშვილის ხელთ არსებული ასევე არაპირდაპირი ინფორმაციით, ფაბრიკის ამუშავების პირველ ეტაპზე აქ 400 კაცამდე მუშაობდა, ხოლო 1872 წლისთვის მომუშავეთა რაოდენობა 800 კაცამდე გაზრდილა. ეს რაოდენობა ზემოთ მოყვანილ ციფრს ბევრად აღემატება. მისივე ინფორმაციით, მუშები საკმაო სივიწროვეში მუშაობდნენ. მათი შრომის ანაზღაურება ხდებოდა გამომუშავეების მიხედვით კვირაში 2-დან 10 მანეთამდე, ანუ იმის მიხედვით, თუ რამდენ თოფ ქსოვილს, ან რამდენ გირვანქა ქსელს (ნართს) გამოუშვებდნენ.<sup>84</sup>

მირზოევმა სცადა, რომ მუშებისთვის ფიქსირებული ჯამაგირი დაენიშნა, მაგრამ ანაზღაურების ამ მეთოდმა არ გაამართლა. მუშებმა დაკარგეს რა გაწეული შრომის მიხედვით მეტი ჯამაგირის მიღების სტიმული, ნაკლებად ეფექტურად შრომობდნენ. ამის გამო, ფაბრიკანტი კვლავ დაუბრუნდა გამომუშავეების მიხედვით ანაზღაურების სისტემას.

ფაბრიკაში მზადდებოდა უმაღლესი ხარისხის ქსოვილი, ე.წ. “ამერიკა”, რომელიც საუკეთესო იყო ადგილობრივ ბაზარზე არსებულ ანალოგიურ ნაწარმს შორის. მიუხედავად იმისა, რომ კარდაკარ მოსიარულე ხელზე მოვაჭრეები აქტიურად ავრცელებდნენ ხმას მისი უხარისხობის შესახებ, მაინც ყველაზე უკეთ სალდებოდა, თანაც საკმაოდ სოლიდურ ფასად. “ამერიკა” იყიდებოდა არა ზომით, არამედ თოფებად, გირვანქობით. ერთი გირვანქის ფასი იყო – 3 აბაზი.<sup>85</sup>

ფაბრიკის საწარმოო საქმიანობა თავდაპირველად საკმაოდ კარგად მიდიოდა, მაგრამ მოგვიანებით, საბრუნავი კაპიტალის ნაკლებობისა და მუშებთან ურთიერთობის გამწვავების გამო წარმოება საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდა. გაზ. “დროების” ინფორმაციით, აქ

<sup>83</sup> ნ. ნიკოლაძე – მირზოევის მიტკლის საქსოვი ფაბრიკა თბილისში. გაზ. “დროება” № 48, 1871.

<sup>84</sup> პ. უმიკაშვილი – რამდენიმე სიტყვა მირზოევის ფაბრიკაზე – გაზ. “დროება” №3 1872 \* პ.

უმიკაშვილი – რამდენიმე სიტყვა მირზოევის ფაბრიკაზე. გაზ. “დროება” №3, 1872

<sup>85</sup> იქვე

საუკეთესო მუშებს კვირაში 7–8 მანეთზე მეტს არ უხდიდნენ. ქალთა შრომა კი ამ ფაბრიკაში, როგორც საზოგადოდ ყველგან, ძლიერ იაფად ფასობდა. ფაბრიკის პატრონს კი რასაკვირველია, ხელს აძლევდა დაბალანაზღაურებადი ქალებისა და მცირეწლოვანების დაქირავება. მუშებს დღეში 12 საათზე მეტს ამუშავებდნენ და ამისათვის ქალებს მხოლოდ ერთი აბაზი დღიური ქირა ეძლეოდათ. ზემოხსენებული გაზეთის კორესპონდენტის ავტორი აღნიშნავს: “ფაბრიკის პატრონმა კარგად იცის, რომ ქალს თითქმის ყოველი გზა საცხოვრებელი საშუალების მოპოვებისა მოსპობილი აქვს და ძალა-უნებურათ ნაკლებ ფასად უნდა იმუშაოს, ვიდრე კაცმა. ის სარგებლობს ქალის ამ გვარი მდგომარეობითა და მხოლოდ იმდენს აძლევს, რამდენიც ლუკმა პურისათვის ძლივს ჰყოფნის. ამის გამო აგრეთვე მუშა-კაცის ქირაც თან და თან ჰკლებულობს. ერთის სიტყვით, ამ ჩვენს ახალს ფაბრიკაზე სწორეთ იმნაირათ მიდის მუშა ხალხის საქმე, როგორც იმ ქვეყნებში (მაგ. ინგლისში, საფრანგეთში და სხვ.), სადაც სხვა და სხვა წარმოება ძლიერ გავრცელებულია. განსხვავება ის არის, რომ ამ გარემოებას ჯერ ჩვენში იმდენი ვნება არ მოაქვს, რამდენიც ზემოხსენებულ ქვეყნებში, რადგან ჩვენში ერთის მხრით ფაბრიკები და ქარხნები ნაკლებად არის, და მეორეს მხრით, არც იმდენი უმიწაწყლო ხალხი არ მოიპოვება.”<sup>86</sup>

გაზეთი “დროება” საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევდა ეკონომიკური საკითხების მიმოხილვას. მისი ყურადღება მიიპყრო მირზოევის ფაბრიკაში მომხდარმა გაფიცვამაც და იქ არსებული პრობლემები მისი განხილვისა და განზოგადების საგნად იქცა. მეტიც, მის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებში შრომასა და კაპიტალს შორის არსებული ურთიერთობის გამწვავებაზე მსჯელობისას დასავლური ეკონომიკური თეორიების გავლენა იგრძნობა. “დროება” წერს: “საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებაში ნათლად დამტკიცებულ ჭეშმარიტებად ითვლება ის აზრი, რომ მუშა-კაცის დღიური ქირა არც მატულობს და არც კლებულობს. კაცობრიობის ცხოვრება იმნაირათაა ახლა გამართული, რომ მუშა ხალხს საზოგადოთ თითქმის იმდენი დღიური ქირა ეძლევათ, თავისი შრომისათვის, რამდენიც იმის აუცილებელი საჭიროების

<sup>86</sup> სტ. გულიშამბაროვი – ზოგიერთი რამ ჩვენს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. “დროება”, 1872, № 24.



დასაკმაყოფილებლად საჭიროა”.<sup>87</sup> გარდა ამისა, სტატიაში გრძელდება ეკონომიკაზე თეორიული მსჯელობა: “ცხადია, რომ მუშა-ხალხი ყოველთვის იმ ქვეყანაში მიდის სამუშაოდ, სადაც მისი შრომა უკეთ იქნება დასახუქრებული, ე.ი. სადაც იმას მომატებული ქირის აღება და უკეთ ცხოვრება შეეძლება . . . განხდება ის სოციალური სენი, რომელსაც “კონკურენციას” ეძახიან, ე.ი. შეიქმნება ქიშპობა. ფაბრიკანტი ან მამულის პატრონი მხოლოდ იმ მუშებს დაიქირავებს, რომელნიც დღეში, თხუთმეტი შაურის მაგივრად ათ შაურათ იმუშავენ. მუშებმა, რასაკვირველია, თუ სულ ულუკმა – პურით არ უნდათ დარჩენა, უთუოდ უნდა დაუკლონ ქირას.”<sup>88</sup> მთელი ეს მსჯელობანი გაზეთის ფურცლებზე მირზოევის ფაბრიკაში არსებული გამწვავებული ვითარების გასაანალიზებლად გახდა საჭირო.

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ფაბრიკანტმა ის ორიოდ ინგლისელი ტექნიკოსიც დაითხოვა, რომლებიც მასთან ჯერ კიდევ მუშაობდნენ. ფინანსური ვითარების გამწვავებას პერიოდულად თან ერთვოდა ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, ადგილობრივი მუშების საწარმოო ტრავმები, რომლებიც ზოგჯერ ტრაგიკულადაც სრულდებოდა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო მანქანა-დანადგარებთან მუშაობის სპეციფიკის გაუთვალისწინებლობით, უცოდინარობით და უსაფრთხოების ნორმების დაუცველობით. ფაბრიკამ თანდათან შეფერხებებით იწყო მუშაობა. ეს შეფერხებები უფრო და უფრო ხანგრძლივი ხდებოდა. მირზოევი უუნარო მუშაობის შედეგად პროდუქციის თვითღირებულება იზრდებოდა, გაძვირებული ნაწარმის გაიაფებას კი მეწარმე მუშათა ხელფასების შემცირებით ცდილობდა, რაც მუშების მხრიდან დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. წარმოქმნილი პრობლემების მოუგვარებლობის გამო 1880 წელს იგი იძულებული გახდა სამრეწველო საწარმო 6 წლის ვადით იჯარით გადაეცა ფრანგი რიშარისთვის.

რიშარი საფეიქრო საქმის სპეციალისტი იყო. საფრანგეთიდან ჩამოიტანა ახალი მანქანა-დანადგარები, წარმოება დააკომპლექტა კვალიფიციური მუშებით და ფაბრიკა წარმატებით აამუშავა. რიშარმა ფაბრიკისთვის სტაბილური დაკვეთებისა და რენტაბელობის უზრუნველსაყოფად კავკასიის არმიის

<sup>87</sup> “დროება”, 1871 №22

<sup>88</sup> იქვე

ადმინისტრაციასთან მიტკლის მიწოდებაზე საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებას მიაღწია. არმია მანამდე რუსეთის საფეიქრო ფაბრიკებიდან მარაგდებოდა.

80-იანი წლების პირველი ნახევრის მიწურულს ფაბრიკის ტექნიკური ბაზა ამგვარად გამოიყურებოდა: 3 ც. 80 ცხენისძალიანი ორთქლის მანქანა, 4 ორთქლის ქვაბი, 11 000 თითისტარი, 300 საქსოვი დაზგა. ფაბრიკა მარაგდებოდა მხოლოდ კავკასიის (ერევნის) ბამბის ნედლეულზე. ამგვარი ტექნიკური აღჭურვის პირობებში წელიწადში გადაამუშავებდა 25-30 ათას ფუთ ბამბას და უშვებდა მხოლოდ მიტკალს. ამ წლებში ფაბრიკის პროდუქციის საშუალო წლიური ღირებულება 0,5 მლნ. მანეთს აღწევდა.<sup>89</sup> ფაბრიკაში მომუშავე ზოგიერთი ფეიქარი ისე იყო დაოსტატებული, რომ ზოგჯერ ერთდროულად ორ და მეტ დაზგაზეც ახერხებდა მუშაობას. აქ 300 საფეიქრო დაზგაზე 140 ფეიქარი მუშაობდა. სამუშაო დრო დღის 7 საათიდან საღამოს 8 საათამდე გრძელდებოდა, შუადღის შესვენებით.<sup>90</sup>

1880 წელს თბილისის გუბერნიაში ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობამ 722-ს მიაღწია. მათი წლიური ბრუნვა იყო 6 361 733 მანეთი, ეს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3 275 617 მანეთით აღემატებოდა. ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობა შესაბამის პერიოდში 8 ერთეულით, ხოლო მუშათა რაოდენობა 6 798 კაცით გაიზარდა.<sup>91</sup>

ფაბრიკა-ქარხნების წარმოების ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა (3 მლნ. მანეთზე მეტით) უპირატესად იმის შედეგი იყო, რომ რიშარის მეოხებით განახლდა მირზოევის კუთვნილი ფაბრიკა. საწარმო იმდენად წარმატებული გახდა, რომ თბილისის და არა მარტო თბილისის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი დაიკავა. თბილისის გუბერნატორი თავის მოხსენებაში აღნიშნული პერიოდის საწარმოებს შორის საგანგებოდ გამოყოფდა ამ ფაბრიკას, ხოლო სხვა საკმარის მოზრდილ საწარმოებს ის თავის მოხსენებაში ახასიათებს, როგორც “სხვა დანარჩენს”: “. . . *За тем из числа прочих действующих фабрик обращают на себя внимание 21 табачная фабрика, обороты которых простираются до 1 214 335 руб.*

<sup>89</sup> Ст. Гутишамбаров \_ ОФЗТ губернии, к. 85, 86, 87, 88. Тифлис 1892.

<sup>90</sup> იქვე, გვ. 87

<sup>91</sup> საქ. ცხობა, ფ 17, აღ. 1, საქ. 9004, ფურც. 2

*9 полных заводов \_ 350 000 руб., и 2 шёлкомотальных фабрики, сработавших год на 20 400 руб.*

*Остальные затем фабрики и заводы не обращают свою деятельность осового внимания.*”<sup>92</sup>

იჯარის ვადის გასვლის შემდეგ (1886წ.) ფაბრიკის მესაკუთრემ – მირზოევმა აღარ განაახლა რიშართან ხელშეკრულება და გადაწყვიტა, რომ რიშარის მიერ გამოცოცხლებულ წარმოებას კვლავ საკუთარი ძალებით გაძღვოდა. თავდაპირველად მან მოლაპარაკება დაიწყო ადგილობრივ მუშებთან, მაგრამ შრომისა და ანაზღაურების პირობებზე ვერ მიაღწია შეთანხმებას, რის გამოც იძულებული გახდა ქ. ლოძიდან (პოლონეთი) მოეწვია გამოცდილი გერმანელი ფეიქრების 30 ოჯახი (სულ 94 კაცი). თბილისში მათი ჩამოსვლის შემდეგ გაირკვა, რომ მირზოევის აგენტს მათთვის მუშაობის პირობების შესახებ მცდარი ინფორმაცია მიუწოდებია. თუკი ისინი ლოძში კვირაში ხელფასის სახით 7-8 მანეთს ღებულობდნენ, მირზოევმა მათ კვირაში 1 მანეთამდე ანაზღაურება შესთავაზა.<sup>93</sup> მუშები ფრიად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ღია ცის ქვეშ დარჩენილ მუშებს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ, მირზოევმა მაინც ვერ დაითანხმა თავის პირობებზე და ამრიგად, ეს მცდელობაც მარცხით დამთავრდა.

მირზოევის წარმოებას არც იმან უშველა, რომ წარმოებაში დამატებით 75 000 მან. ინვესტირება განახორციელა. იგი მალე იძულებული გახდა, რომ ფაბრიკა, რომელიც 800 000 მანეთზე მეტი დაუჯდა, 210 000 მანეთად თავისი კრედიტორის – ი. ჩითახოვისთვის მიეყიდა, რომელიც ადგილობრივი ბანკირი იყო და მსხვილი ფულადი კაპიტალიც გააჩნდა. მან ფაბრიკა ისეთ ფასად ჩაიგდო ხელში, რომელიც ოდნავ თუ აღემატებოდა მისი ფაქტიური ღირებულების მეოთხედს.

ახალმა მფლობელმა – ჩითახოვმა, რომელიც საკმაო რაოდენობით ფლობდა თავისუფალ კაპიტალს, წარმოება მნიშვნელოვნად გააფართოვა, მუშებთან თანხმობას მიაღწია, დროულად იძენდა ნედლეულს და

<sup>92</sup> საქ. ცხია, ფ 17, აღ. 1, საქ. 640, ფურც. 20

<sup>93</sup> გუგუშვილი პ. კაპ. წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ. 1941, გვ.363

დაუბრკოლებლად ამარაგებდა ფაბრიკას, რის შედეგადაც ეს ფაბრიკა კვლავ ამოქმედდა. იგი ამუშავდა ამიერკავკასიის (ერევნის) ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. ჩითახოვის ხელში ბამბის საქსოვ-სართავი ფაბრიკა კვლავ მომგებიანი გახდა და წარმატებით იწყო განვითარება, წარმოების მოცულობა იმდენად იზრდებოდა, რომ ფაბრიკა ძლივს აუდიოდა მოძალებულ შეკვეთებს.

ბამბის გადამამუშავებელი საწარმო ერთადერთი იყო ამიერკავკასიაში და წარმოებული პროდუქცია მთელ ამიერკავკასიაში საღებოდა.

ფაბრიკის მიერ გამოშვებული წლიური პროდუქციის მოცულობა და მასში მომუშავეთა რაოდენობა ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცვალებადი იყო, ანუ განუხრელად არ პროგრესირებდა. 1874-1898 წლებში ამ მაჩვენებლების შესახებ წარმოდგენას იძლევა ცხრილი №2.3 .

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ცხრილში მოცემული გასაანალიზებელი წლები რაიმე კანონზომიერებით არ არის აღებული, არამედ მხოლოდ იმ წლების მაჩვენებლებია მოცემული, რომლის მოპოვებაც გახდა შესაძლებელი.

ცხრილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 1874 წლისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისიდან მოწვეული კვალიფიციური მუშების უმრავლესობა მირზოვეს უკვე გაშვებული ჰყავდა, გარდა ამისა, ადგილობრივ მუშებთანაც პერიოდულად უმწვავდებოდა ურთიერთობები, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა მაინც საკმაოდ სოლიდურად (500 000 მან.) გამოიყურება, აქვე აღსანიშნავია, რომ მუშათა რაოდენობაც ფაბრიკის ამოქმედების პირველ წლებთან შედარებით საკმაოდ გაიზარდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოების ამოქმედებისას – 1870 წელს იქ 400 კაცამდე მუშაობდა, 1873 და 1874 წლებისთვის კი მომუშავეთა რაოდენობა 600 კაცამდე გაიზარდა. შეიძლება ითქვას, რომ მირზოვეს ფაბრიკა საკმაოდ წარმატებით მუშაობდა.

ინტერესს იწვევს 1875 წელი, როდესაც მუშახელის შემცირების პირობებში 1 000 000 მანეთის პროდუქციის გამოშვებაა დაფიქსირებული. ასეთი ნახტომის განმაპირობებელი მიზეზები კი სრულიად უცნობია. ამ წლის სტატისტიკური მონაცემები საფუძვლიან ეჭვს ბადებს იმიტომ, რომ არსებულ მასალებში არსად ჩანს არც მსხვილი ინვესტირების კვალი, რაც ფაბრიკის

ცხრილი №2.3 <sup>94</sup>

მირზოევის მიტკლის ფაბრიკის მიერ წარმოებული პროდუქცია

(1871-1898წწ.)

წლები	გამოშვებული პროდუქცია (მან.)	მუშათა რაოდენობა
1871	500 000	500
1872	400 000	500
1873	500 000	600
1874	500 000	600
1875	1 000 000	500
1876	508 000	680
1884	1 200 000	415
1891	350 000	404
1896	560 000	395
1897	560 000	440
1898	530 000	460

გადაიარაღებას უზრუნველყოფდა და ამის საფუძველზე მუშახელის გამოთავისუფლება გახდებოდა შესაძლებელი, არც რაიმე სახის მსხვილი დაკვეთა, რაც შესაძლებელს გახდიდა მოკლე პერიოდში გამოშვებული

<sup>94</sup> *Ст. Гулишамбаров \_ ОФЗ по ЗК, Т. 1992; როდონია ნ. თბილისის მრეწველობა XIX ს. მეორე ნახევარში, თბ.1961.*

პროდუქციის რაოდენობა გაეორმაგებინა. ამასთან, მომდევნო წელს ასეთი ნახტომის კვალიც კი არსად ჩანს.

მირზოევის წარმატებებს საკმაოდ აუფერულებს 1884 წლის მაჩვენებლები, იგულისხმება პერიოდი, როდესაც ფაბრიკის მეიჯარე მფლობელმა – რიშარმა მუშათა შედარებით მცირე რაოდენობით რეკორდულად დიდი ოდენობის – 1 200 000 მანეთის პროდუქცია გამოუშვა. ეს მან აბსოლუტურად სწორად განხორციელებული მენეჯმენტის მეშვეობით შეძლო, კერძოდ: 1. წარმოების გადაიარაღება ტექნიკური სიახლეების მიხედვით; 2. კვალიფიციური მუშების შერჩევა და 3. კავკასიის არმიის ადმინისტრაციასთან დადებული კონტრაქტი, რომლის სახითაც მოიპოვა რეგულარული დამკვეთი და წარმოებული მიტკლის მუდმივი მომხმარებელი. 1884 წლის შემდგომ პერიოდში, სავარაუდოდ 1886 წლიდან (მონაცემები 1884-1891 წლამდე აღარ მოიპოვება), როდესაც ფაბრიკის მესაკუთრემ – მირზოევმა აღარ განაახლა ხელშეკრულება რიშართან და გადაწყვიტა საკუთარი ძალებით გაძღოლოდა ფაბრიკას, კვლავ შემცირდა გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა 1884 წლის 1 200 000 მანეთიდან 1891 წლის 350 000 მანეთამდე მუშების თითქმის იგივე რაოდენობის პირობებში.

მომდევნო წლების მიხედვით (როდესაც ფაბრიკას ახალი პატრონი გამოუჩნდა ჩითახოვის სახით), შედარებით წარმატებულად გამოიყურება 1896 წელი. ამ წელს ფაბრიკამ 560 000 მან. პროდუქციის გამოშვება შეძლო 395 მუშის პირობებში, რასაც ვერ ვიტყვით მომდევნო ორ წელზე, ამ პერიოდში ცხადი ხდება შრომის ნაყოფიერების ვარდნა. ბოლო ორ წელიწადში მომუშავეთა რაოდენობის დამატებით 45-65 კაცამდე გაზრდის მიუხედავად, ჩითახოვმა არა თუ ვეღარ შეძლო გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის გაზრდა, არამედ 1898 წლისთვის 30 000 მანეთით შეამცირა კიდევ.

ამ პერიოდში ფაბრიკის ნაწარმი მთელ ამიერკავკასიაში საღებოდა. ნართი იყიდებოდა გორგლებად, რომლის ფასი იყო 23 მანეთი. პირველი ხარისხის ბამბა ღირდა 9 მან. და 50 კაპ., მეორე ხარისხის – 8 მან., ხოლო მიტკალი (ბიაზი), წარმოების ძირითადი საგანი – არშინი 10,5 მანეთიდან 21,5 მანეთამდე, სიგანის მიხედვით. 15 გოჯი სიგანის მიტკალი იყიდებოდა 10,25 მანეთად; 16 გოჯი – 11,5 მან; 18 გოჯი – 12,5 მან; 20 გოჯი – 13,5 მან; 22 გოჯი

– 15,5 მან; 24 გოჯი – 17,5 მან; 26 გოჯი – 19,5 მან; 28 გოჯი – 20,5 მან, ხოლო 30 გოჯი – 21,5 მანეთად. საუკეთესო ხარისხის არშინი მიტკალი 1 კაპიკით ძვირად იყიდებოდა.<sup>95</sup>

XX ს. დამდეგიდან თბილისში ბამბის სართავი და საქსოვი და ზოგადად საფეიქრო ფაბრიკული წარმოება კარგა ხნის განმავლობაში თითქმის შეწყდა. 1900 წლისთვის თბილისში არსებობდა ორი ძაფსახვევი საწარმო, რომელთა წლიური ბრუნვა იყო 16 000 მან., ხოლო დასაქმებული იყო 9 კაცი.<sup>96</sup> იგი კონკურენციას ვერ უწევდა რუსეთიდან შემოტანილ საქონელს. მოგვიანებით ძმებმა მაჭმუდბეგოებმა აამუშავეს თბილისში ბამბის საქსოვი შედარებით მცირე ზომის ფაბრიკა, რომელიც I მსოფლიო ომამდე მუშაობდა. მეურნეობის ახალი დარგებიდან (როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე მრეწველობის), რომლებმაც კაპიტალისტური მეწარმეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, ყველაზე უფრო გავრცელებული და ხელისუფალთაგან ხელშეწყობილი იყო მეთამბაქოეობა. მეთამბაქოეობას საქართველოს სოფლის მეურნეობაში მე-19 ს. მეორე ნახევრიდან ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა, 80-იანი წლებისთვის კი ისეთ მაღალ საფეხურს მიაღწია, რომ მათმა დიდმა ნაწილმა სასაქონლო სახე მიიღო. ფეოდალურ – ბატონყმური სისტემის პირობებში თამბაქოს მოყვანას საქართველოში ყურადღება არ ექცეოდა, მხოლოდ მე-19 ს. 40-იანი წლებიდან მთავრობამ, რომელიც ძირითადად მეტროპოლიის თამბაქოს ფაბრიკებისათვის საჭირო იაფფასიანი ნედლეულის მიწოდებით იყო დაინტერესებული, გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები ამ კულტურის განვითარებისთვის. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა 1845-1846 წლებში აშშ-ში თამბაქოს საუკეთესო ჯიშები შეიძინა და საქართველოში გამოავზავნა.<sup>97</sup>

ამ ფაქტთან დაკავშირებით 1845 წლის 12 სექტემბერს ქუთაისის მაზრის უფროსი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს – საფონოვს წერდა: *“Прислания вами семена табаков: Виргинского, Мерилендского, Кентукского, и Албанского розданы для посева жителям Вакинского, Кутайсского и Сабекского участков. Всходы и*

<sup>95</sup> Гулишцамбаров Ст. \_ ОФЗТ губернии, Тифлис 1892.

<sup>96</sup> С. Jhybr Cnfn Cdtlybb gj Pfr rhf. Xfcm I N 1902 c 236

<sup>97</sup> საქ. ცხოვ., ფ. 4, აღ. 5, საქ. 2, ფურც. 1.

*произрастание означенных табаков, по сведе означенных табаков, по сведениям, мною полученным в настоящее время довольно удовлетворительный, и если погода будет благоприятствовать, то можно надеяться на хороший урожай.*”<sup>98</sup>

ამ საგულისხმო ცნობაში სავარაუდოა, რომ თამბაქოს თესლი, რომელიც აშშ-ის სამხრეთის შტატებიდან შემოიტანეს, ალბანეთი შეცდომითაა მოხსენიებული, ვინაიდან ევროპის ამ ქვეყანაში, რომელიც მოცემულ პერიოდში სახელმწიფოდ არც კი იყო ფორმირებული, მეთამბაქოეობა არ არსებობდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ალბანეთის ნაცვლად აშშ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთი შტატი – ალაბამა იგულისხმება, სადაც სხვადასხვა ჯიშის თამბაქო მოჰყავდათ. 1854 წლისთვის მთავრობამ უკვე საკუთარი სახსრებით გამოიწერა ამერიკიდან თამბაქოს თესლი და ასევე თამბაქოს წარმოების სპეციალისტები. ეს სპეციალისტები და სათესლე მასალა დაიგზავნა ძირითადად სამეგრელოში, იმერეთსა და თბილისის გუბერნიაში.<sup>99</sup> ხელისუფლების მხრიდან ესოდენი ზრუნვა აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ მათთვის დიდად მნიშვნელოვანი იყო იმპერიის განაპირა მხარეებში მოწყობილიყო თამბაქოს დამამუშავებელი საწარმოები, ან შეექმნათ სანედლეულო ბაზა იმპერიის ფაბრიკებისათვის მათთვის ხელსაყრელი პირობებით. რუსეთი გამოსავალს ეძებდა თავი დაეღწია იმ დიდი ფინანსური ხარჯებისათვის, რაც საზღვარგარეთიდან თამბაქოს იმპორტს სჭირდებოდა.

საქართველოში თამბაქოს სახელოსნოების წარმოშობა უფრო ადრეულ – XIX-ის პირველ ნახევარშიც ფიქსირდება. მაგ. ისტორიკოსი ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ თბილისში მრავლად იყო თამბაქოს სავაჭროები და მისი ქარვასლაც კი არსებობდა.<sup>100</sup> საქართველოში თამბაქოს კულტურის გაშენებას ხელი მოჰკიდეს ბურჟუაზიული მეურნეობების პიონერებმა: სოლომონ გურგენიძემ, დიმიტრი აფხაზმა, სოლომონ ანდრონიკაშვილმა, ნიკო ჩიჯავაძემ და სხვებმა. მოგვიანებით, გარდა ამერიკული თამბაქოსი, ხელი მოჰკიდეს თურქული თამბაქოს მოყვანასაც. მაგ. 1860-იან წლებში თავადმა ანდრონიკაშვილმა კახეთში, სოფელ ბაკურციხესთან გააშენა თამბაქოს

<sup>98</sup> *Акты, т. X, გვ. 160.*

<sup>99</sup> *«Кавказ», 1854, № 17, стр. 66*

<sup>100</sup> *საქ. ცხია, გვ. 240, აღ. 1, საქ. 1291, ფურც. 1-5.*



პლანტაცია. ამ მეურნეობაში პირველად სცადეს თურქული თამბაქოს მოყვანა. მან კონტრაქტით მოიწვია ერთი ოსტატი და ორი მუშა. თურქი ოსტატის განცხადებით კი მოყვანილი თამბაქო იმდენად კარგი ხარისხის იყო, რომ არაფრით ჩამოუვარდებოდა თურქულს.<sup>101</sup>

1859 წელს თბილისის გუბერნიაში მიიღეს 11 772 ფუთი, ხოლო გაყიდეს 7 944 ფუთი თამბაქო. ამ დროისათვის თბილისის გუბერნიაში თამბაქოს მოყვანით დაკავებული იყო 1 600-ზე მეტი კაცი.<sup>102</sup> აღსანიშნავია, რომ თამბაქო ძნელად მოსაველედი, შრომატევადი კულტურაა და მისი დამზადების ტექნოლოგია მუშების დასპეციალებას მოითხოვდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მე-19 ს. 80-90-იან წლებამდეც კი სამრეწველო პლანტაციებში მოწვეული სპეციალისტები მუშაობდნენ – ძირითადად თურქები, ან მუშაობდნენ ადგილობრივი მუშები სპეციალისტთა ზედამხედველობით.

მეთამბაქოეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო როგორც პოლიტიკური გარემოება, ასევე ეკონომიკური პოლიტიკაც. მაგალითად: იმპორტირებულ თამბაქოზე საბაჟო გადასახადი იყო 25 კაპიკი, ხოლო 1872 წლიდან მთავრობამ ეს გადასახადი 2 მანეთამდე გაზარდა.<sup>103</sup> 1877 წლისთვის კი 1 ფუთ იმპორტირებულ თამბაქოზე დაწესდა საბაჟო გადასახადი 14 მანეთის (ოქროთი) ოდენობით. გარდა ამისა, დაიწყო ომი თურქეთთან, რამაც მეფაბრიკებს საზღვარგარეთიდან თამბაქოს შემოტანის გზა მოუჭრა.

ზემოაღნიშნული ფაქტორები ხელს უწყობდა სამრეწველო პლანტაციების გამრავლებას. ზოგიერთმა მეფაბრიკემ თავად მიჰყო ხელი საკუთარი თამბაქოს პლანტაციების გაშენებას. მაგალითად, თბილისელმა ერთ-ერთმა მსხვილმა მეფაბრიკემ – ა. ენფიანჯიანცმა სამსუნიდან (თურქეთი) მოიწვია გამოცდილი სპეციალისტები და ხელი მოჰკიდა თამბაქოს პლანტაციების გაშენებას. უკვე 1873 წლიდან ენფიანჯიანცი ფაბრიკაში საკუთარ პლანტაციებში მოყვანილ თამბაქოს ამუშავებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ფუთი თამბაქოს დამზადება შემოტანილზე ძვირი ჯდებოდა, ვინაიდან მოწვეული ოსტატები დიდ გასამრჯელოს თხოულობდნენ.

<sup>101</sup> ЦГИАЛ. Ф. 225, д. 1479, л. 66-69.

<sup>102</sup> "Кавказ", 1875, № 116, გვ. 1.

<sup>103</sup> ზ. ჭიჭინაძე, მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში, თბ.1909, გვ. 23

80-იან წლებში ადგილობრივ თამბაქოზე მოთხოვნა გაიზარდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. 1884 წელს თბილისის გუბერნიიდან ადგილობრივი თამბაქო რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებშიც გაიტანეს.<sup>104</sup> 1887წ. კი საქართველოდან საუკეთესო ჯიშის თამბაქო უკვე საზღვარგარეთ გაიტანეს. <sup>105</sup>

თბილისში თამბაქოს გადამამუშავებელი ფაბრიკები XIX ს. 50-იან წლებში ჩნდება. ამ პერიოდის თამბაქოს დამამუშავებელ საწარმოებს შორის ყურადღებას იქცევს ამბარცუმ და ბენიამინ ენფიანჯიანცების ფაბრიკები. ა. ენფიანჯიანცს საკმაოდ კარგად ჰქონია აწყობილი წარმოება და მწვავედაც რეაგირებდა არაჯანსაღ კონკურენციაზე. 1859 წ. 22 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში იგი მიმართავს მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს კრუზენშტერნს: “8 წლის წინათ თბილისში გავხსენი თამბაქოსა და პაპიროსის ფაბრიკა, მე მუდამ ვცდილობდი ჩემი ნაწარმისათვის საუკეთესო ხარისხი და ზომიერი ფასები შემენარჩუნებინა. თურქეთის კომპანიის დროსაც კი, როცა თამბაქოს ფასი 2-3-ჯერ გაიზარდა, მე იმავე ფასებში ვყიდდი, როგორც მანამდე. ამით შევძელი კავკასიის და ამიერკავკასიის პუბლიკის ნდობის მოპოვება. მე გამოვიგონე ჩემი ნაწარმისთვის სხვადასხვა იარლიყი, რომელიც მალე ცნობილი გახდა ამიერკავკასიასა და კავკასიაში, როგორც ნიშანი ჩემი ნაწარმის საუკეთესო ხარისხისა. ახლა ჩემმა ძმამ – ბენიამინმა, რომელიც სხვასთანაა კომპანიაში, გადაიღო ჩემი იარლიყები და ზედ თავისთან ერთად ჩემი სახელიც მიაწერა, რაც ყოველად დაუშვებელია.”<sup>106</sup>

1863 წლისთვის თბილისში 7 თამბაქოს ფაბრიკა მუშაობდა, რომელიც 21 000 მანეთის პროდუქციას უშვებდა.<sup>107</sup> 1864 წელს თამბაქოს 8 ფაბრიკა უშვებდა 24 000 მანეთის,<sup>108</sup> ხოლო 1865 წელს თამბაქოს 10 ფაბრიკა უშვებდა 30 000 მანეთის პროდუქციას.<sup>109</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ 60-იან წლებში თამბაქოს ფაბრიკების შესახებ სრული ინფორმაცია არ მოიპოვება, რაც ამ

<sup>104</sup> ЦГИАЛ Ф. 1263, Оп. I, д. 4525, лист.30.

<sup>105</sup> “Кавказский Календарь”, 1887. ст.. 187.

<sup>106</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, R- S 2513–16.

<sup>107</sup> ЦГИАЛ, ф. 1268, Оп.10, д. 137, л. 64.

<sup>108</sup> საქ. ცნობა, ფ. 414, აღ. I, საქ. 10, ფურც. 237.

<sup>109</sup> ЦГИАЛ, ф. 1268, Оп. 11, д. 142, л. 70.

პერიოდის თანამიმდევრულ განხილვას ხელს უშლის. არსებობს აგრეთვე გუბერნატორთა ანგარიშების უწყებანი, სადაც მოცემულია ცნობები საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის შესახებ და აქაც თამბაქოს ფაბრიკები იშვიათად მოიხსენიება.<sup>110</sup>

1871 წელს თბილისში არსებობდა თამბაქოს 29 ფაბრიკა, სადაც დასაქმებული იყო 210 კაცი და უშვებდა 51 000 მანეთის პროდუქციას.<sup>111</sup> ამ ფაბრიკების მიერ გამოშვებული მზა პროდუქცია ძირითადად საქართველოში და ასევე ამიერკავკასიის სხვადასხვა გუბერნიებში სადღებოდა.

1871 წელს ხელისუფლების გადაწყვეტილებით დაიწყო მუშაობა სააქციზო სისტემის შემოღების პროექტზე. ამავე წლის 13 თებერვალს იმპერატორმა დაამტკიცა ახალი რეფორმის პროექტი, ამავე თვეში შეიქმნა ამიერკავკასიის სააქციზო სამმართველო და ექვსი სააქციზო სამმართველო, რომელთაც თავდაპირველად მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნების აღწერა ევალებოდათ. ფაბრიკების გახსნა მხოლოდ კავკასიის ხელისუფლების ნებართვით გახდა დასაშვები.

საქართველოში დაარსდა სააქციზო სამმართველოს ორი ოკრუგი: პირველში შედიოდა თბილისის გუბერნია, ხოლო მეორეში – ქუთაისის გუბერნია, სადაც შედიოდა სოხუმი და ბათუმი. სააქციზო ღონისძიების გატარებიდან პირველი სამი წლის მანძილზე, 1879 წლის ივლისის დასაწყისამდე, ფაბრიკებს ეძლეოდათ მთავრობისაგან შეღავათი ბანდეროლების დამზადებისთვის, მაგრამ ამ პერიოდში აღნიშნული შეღავათებით სარგებლობა არ მოხერხდა. სააქციზო სისტემის შედგენად გაზრდილი გადასახადი ძირითადად მომხმარებლის კისერზე გადადიოდა და რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878წწ.) შედეგად ისედაც გაძვირებული ცხოვრების პირობებში მას მძიმე ტვირთად აწვებოდა. გარდა ამისა, სააქციზო ღონისძიებას ნაკლიც აღმოაჩნდა, რაც ძირითადად ფოთლოვანი თამბაქოს მიმოქცევას, დაცვასა და გადამუშავებას შეეხებოდა.

ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა თამბაქოს აქციზის ახალი პროექტი, რომელიც 1882 წელს დამტკიცდა და მომდევნო წლის 1 იანვრიდან გატარდა.

<sup>110</sup> საქ. ცხი, ფ. 17, აღ. 1, საქ. 8954.

<sup>111</sup> იქვე, საქ. 8977.

“1882 წ. წესდებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა კონტროლი ფოთლოვანი თამბაქოს მიმოზიდვაზე, დააწესა საწყობებსა და ფაბრიკებში მისი შენახვის მოწესრიგებული აღრიცხვა, ხოლო ფოთლოვანი თამბაქოს გადამუშავების, მისი მზა ნაკეთობის ფაბრიკიდან გამოშვებისა და გაყიდვის მთელი პროცესი დაუმორჩილა აღრიცხვისა და კონტროლის ახალ წესებს. ზუსტად განისაზღვრა, რომ თამბაქოს სახაზინო შემოსავალი შეადგენს: 1. თამბაქოს მზანაწარმის აქციზი, რაც აიღება თამბაქოს ნაკეთობაზე დადებული ბანდეროლის სახით; 2. თამბაქოს ფაბრიკების და ფოთლოვანი თამბაქოს და თამბაქოს ნაკეთობის გასაყიდ დაწესებულებათა (ადგილთა) მფლობელობის პატენტის მოსაკრებელი და 3. შემოზიდული ფოთლოვანი და მზანაწარმი თამბაქოს ბაჟი.”<sup>112</sup>

ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიება მთავრობის სასარგებლოდ იყო მიმართული, რათა მეტი შემოსავალი მიეღოთ თამბაქოზე არაპირდაპირი გადასახადისაგან.

სააქციზო სისტემის დამკვიდრებამ მრავალი წერილი თამბაქოს ფაბრიკის დახურვა გამოიწვია, შედარებით მსხვილები კი განაგრძობდნენ არსებობას. ამ სისტემის შემოღების წელს საქართველოში 17 თამბაქოს ფაბრიკა იყო, აქედან თბილისის გუბერნიაში – 15. ამ ფაბრიკებიდან წლიური პროდუქციის ღირებულებით გამოირჩეოდნენ ა. ენფიანჯიანცის და ნ. ბოზარჯიანცის ფაბრიკები.

1873 წელს თბილისში ამუშავდა პ. საგოიანცის თამბაქოს ფაბრიკა<sup>113</sup> 1880 წლის მონაცემებით ამ ფაბრიკაში გადაამუშავეს 1 250 ფუთი თამბაქო და გამოუშვეს 4 025 000 ცალი პაპიროსი. მთლიანად ამ წელს ფაბრიკამ 51 000 მანეთის პროდუქცია გამოუშვა. მუშათა რაოდენობა იყო 40 კაცი. მათ შორის არ იყო სპეციალისტი-ოსტატი.<sup>114</sup> სამუშაო დრო გრძელდებოდა 12 საათს. დღიური ხელფასი კი იყო საშუალოდ 60 კაპ. 1886 წლის მონაცემებით, ფაბრიკაში მუშაობდა 8 თამბაქოს საჭრელი. ერთი წლის განმავლობაში აქ

<sup>112</sup> პ. გუგუშვილი – საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს., ტ. IV, წ. 1, თბ., 1965, გვ. 15–16.

<sup>113</sup> საქ. ცხია, გვ. 204, აღ. 1, საქ. 654, ფურც. 72.

<sup>114</sup> საქ. ცხია, გვ. 17, აღ. 1, საქ. 486, ფურც. 68.

გადაამუშავებდნენ 2 091 ფუთ ადგილობრივსა და 641 ფუთ რუსეთიდან შემოტანილ თამბაქოს. მზა პროდუქცია საღებოდა ამიერკავკასიაში.<sup>115</sup>

1873 წლიდან არსებობდა თბილისში გ. აზნაუროვის ფაბრიკა. ამ ფაბრიკაში 1880 წლისთვის მუშაობდა თამბაქოს საჭრელი 13 დაზგა და 1 დასაქმებელი მანქანა, დასაქმებული იყო 50 კაცი, რომელთაგანაც 20 ოსტატი იყო და 30 – მუშა. ნედლეული ფაბრიკაში შემოდიოდა ფეოდოსიდან, იალტიდან, ნოვოროსიისკიდან, ბათუმის ოლქიდან, ალბულახიდან, კახეთიდან, ქუთაისიდან, ასევე საზღვარგარეთიდანაც. ამ წელს ფაბრიკაში გადაამუშავდა 1 497 ფუთი და 33 გირვანქა ადგილობრივი და 102 ფუთი საზღვარგარეთული თამბაქო. 1 ფუთ ადგილობრივ თამბაქოს მეწარმე 15 მანეთად იძენდა, ხოლო იმპორტულს – 65 მანეთად. ამ წელს ფაბრიკამ გამოუშვა 5 540 000 ც. პაპიროსი, 221 000 ც. სიგარა და 1 030 ფუთი თუთუნი. აზნაუროვის ფაბრიკის წლიური ბრუნვა იყო 100 000 მან<sup>116</sup>.

ი. ფირალიშვილის (ფირალოვის) თამბაქოს ფაბრიკა თბილისში 1879 წელს, იანვარში გაიხსნა. 1880 წლისთვის აქ 64 მუშა მუშაობდა, ამათგან 34 იყო ოსტატი, ხოლო 30 – მუშა. ამ წელს ფაბრიკაში მუშაობდა 12 დაზგა, რომელიც ხელით მოჰყავდათ მოძრაობაში. ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 24 338 მან. და 70 კაპ.-ს შეადგენდა.<sup>117</sup> 1881 წელს აწარმოეს 7 269 000 ცალი პაპიროსი და 881 ფუთი თუთუნი,<sup>118</sup> ხოლო 1884 წელს – 2 144 500 ც. პირველი ხარისხის და 4 083 400 ც. მეორე ხარისხის პაპიროსი.<sup>119</sup> 1885 წელს საწარმომ 42 295 მან. ღირებულების პროდუქცია გამოუშვა, მათ შორის 5 277 000 ც. 26 467 მან. ღირებულების პაპიროსი და 1 137 ფუთი 15 828 მან. ღირებულების თუთუნი. მომდევნო 1886 წელს ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ 50 441 მან. და 50 კაპ.-ს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 8 146 მანეთით აჭარბებდა. ფაბრიკაში დამზადდა 4 948 300 ც. სხვადასხვა ხარისხის პაპიროსი და 1 188 ფუთი თუთუნი. 1883 წლიდან აქ დამონტაჟდა 2 დაზგა, რომელიც მოძრაობაში

<sup>115</sup> საქ. ცხია, ფ. 204, აღ. 1, საქ. 654, ფურც. 72.

<sup>116</sup> საქ. ცხია, ფ. 17, აღ. 1 საქ. 486, ფურც. 40.

<sup>117</sup> იქვე ფურც. 66.

<sup>118</sup> საქ. ცხია, ფ. 370, აღ. 1 საქ. 150, ფურც. 31.

<sup>119</sup> Гулишамбаров Ст., ОФЗТ губернии 1888 г. стр. 27.

ცხენის გამწევი ძალის მეშვეობით მოდიოდა.<sup>120</sup> 1886 წელს საწარმოში სამუშაო დროის ხანგრძლივობა 12 საათი იყო, მუშათა ყოველკვირეული ხელფასი კი 3 მანეთიდან იწყებოდა და 10 მანეთს აღწევდა. ფაბრიკის მიერ გამოშვებული მზა პროდუქცია ამიერკავკასიაში სადღებოდა.<sup>121</sup>

1873 წლიდან თბილისში არსებობდა მეორე გილდიის ვაჭრის – ს. დავლიანიძის (დავლიანოვის) თამბაქოს ფაბრიკა.<sup>122</sup> 1880 წლის მონაცემებით საწარმოში დამზადდა 8 413 000 ც. პაპიროსი და 31 630 გირვანქა თუთუნი; სულ აწარმოეს 20 112 მან. და 30 კაპ. ღირებულების პროდუქცია. ფაბრიკაში ნედლეული შემოჰქონდათ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან, აგრეთვე ნოვოროსიისკიდან და ყუბანის ოლქიდან. 1880 წელს ნოვოროსიისკში ერთი ფუთი თამბაქოს შესყიდვა ჯდებოდა 8 მან. და 50 კაპ., იმერეთში – 8 მან, ხოლო კახეთში – 8 მან და 30 კაპ. მზა პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად ამიერკავკასიაში და თერგის ოლქში ხდებოდა. დავლიანიძის ფაბრიკაში დასაქმებული იყო 50 მუშა. საწარმოს ჰქონდა თამბაქოს საჭრელი 5 დაზგა, რომელიც მოძრაობაში ხელით მოდიოდა.<sup>123</sup>

ასევე 1873 წელს დაარსდა თბილისში ჯიმშეროვისა და “კ”-ს თამბაქოს ფაბრიკა. 1880 წლისთვის აქ თამბაქოს საჭრელი 6 დაზგა იდგა და 40 საჭრელი დანა იყო. მუშაობდა 69 კაცი, აქედან 44 ოსტატი და 25 მუშა. ფაბრიკა ნედლეულით მარაგდებოდა გურიიდან, იმერეთიდან, ბორჩალოდან და ნოვოროსიისკიდან. საწარმოსათვის საჭირო მასალას ადგილზევე, თბილისში იძენდნენ. ნაწილობრივ თბილისში იძენდნენ ნედლეულსაც. სტატისტიკურ დოკუმენტებში არ არის მითითებული, თუ რამდენი მან. ღირებულების პროდუქცია გამოუშვა აღნიშნულ წელს ამ ფაბრიკამ. მზა პროდუქციას კი ასაღებდნენ ბაქოში, შემახაში, სალიანში, გროდნოში, ყიზლარში, ახალციხეში, გორში, თბილისში და სხვაგან.<sup>124</sup>

1880 წელს თბილისში მოქმედებდა ტ. აკოპჯანიანცისა და გ. ზოხრობიანცის თამბაქოს ფაბრიკა. ამ ფაბრიკის დაარსების თარიღი

<sup>120</sup> საქ. ცხია, გ. 370, აღ. 1, საქ. 207, ფურც. 46.

<sup>121</sup> საქ. ცხია, გ. 204, აღ. 1, საქ. 654, ფურც. 76.

<sup>122</sup> საქ. ცხია, გ. 17, აღ. 1, საქ. 486, ფურც. 44.

<sup>123</sup> იქვე.

<sup>124</sup> იქვე, ფურც. 105.

დოკუმენტებში არ არის მითითებული, ცნობილია, რომ ამ წელს ფაბრიკაში ჰქონდათ თამბაქოს ხელით საჭრელი 5 დაზგა და დასაქმებული იყო 15 კაცი. წლის განმავლობაში ფაბრიკაში დამზადდა 4 200 000 ც. პაპიროსი და 26 000 გირვანქა თუთუნი, სულ 62 000 მან. ღირებულებისა, ფაბრიკა ძირითადად თურქულ ნედლეულზე მუშაობდა, ხოლო მზა პროდუქციას ამიერკავკასიაში ასაღებდა.<sup>125</sup>

70-იანი წლების ბოლოსათვის თამბაქოს ფაბრიკებში ხელის დაზგების, ხოლო ცოტა მოგვიანებით ხელის მექანიკური დაზგების გამოჩენა შესაძლებელია მიჩნეულ იქნას, როგორც მომავალი სამრეწველო-ტექნიკური გადატრიალების დასაწყისი, მაგრამ ე. წ. სრული სამრეწველო გადატრიალების შემდეგაც თამბაქოს ფაბრიკაში ხელით შრომა მაინც დიდხანს გამოიყენებოდა. ამას კი ძირითადად თამბაქოს დამუშავების სპეციფიკა განაპირობებდა.

თამბაქოს ფაბრიკებში წარმოების პროცესი ასეთი თანმიმდევრობით ხორციელდებოდა: თამბაქოს ფოთლის დახარისხება, დაჭრა, აწონვა, ყუთებში ჩაწობა, პაპიროსის დამზადება და მისთვის ტარის გაკეთება, კოლოფში ჩაწობა და ბოლოს ბანდეროლის გაკეთება. ამ ფაბრიკების მომუშავეთა შორის წამყვანი ადგილი ეკავათ დამხარისხებლებს და მათი კვირის ხელფასი 4-დან 6 მანეთამდე იყო. მუშათა შემდეგი კატეგორია იყო თამბაქოს მჭრელები. ისინი მძიმე შრომისთვის ხელფასს კვირაში 5-დან 7, ზოგჯერ კი 9 მანეთამდეც კი იღებდნენ. ჩამწობი მუშების მოვალეობა იყო თამბაქოს აწონვა და მისი ყუთებში ჩალაგება. მათი კვირეული ხელფასი კი 4-დან 6 მანეთამდე მერყეობდა. მეპაპიროსე მუშები ამზადებდნენ პაპიროსს და 1 000 ც. პაპიროსის დამზადებაში 50 კაპ. ეძლეოდათ.<sup>126</sup> ჩამოთვლილი კატეგორიის მუშების გარდა ფაბრიკებში მუშაობდნენ მზა პროდუქციისთვის ბანდეროლების მკეთებლები და მტვირთავები, მაგრამ ისინი სპეციფიკურ სამუშაოს არ ასრულებდნენ.

ფაბრიკებში თამბაქოს დახარისხების (ფოთლების დაცალკეებისას) სპეციფიკა მოითხოვდა, რომ ნედლეული ნოტიო ყოფილიყო, რომ ცალკეულ საწარმოო ოპერაციას ფოთლების მსხვრევა არ გამოეწვია. ამ სპეციფიკის გამო მიღებული მეთოდი იყო, რომ დამხარისხებელს პირში ჩაეგუბებინა წყალი და

<sup>125</sup> იქვე, ფურც. 70.

<sup>126</sup> *Ст. Гулишамбаров, ОФЗТ губернии, Тиф. 1888, გვ. 30*

პირიდან გამოფრქვევით დაენამა თამბაქოს ფოთლები. ეს პროცედურა ჰიგიენური თვალსაზრისით ფრიად არასახარბიელოდ გამოიყურებოდა. შემდგომ ეს მეთოდი შეიცვალა იმით, რომ დამხარისხებელს დაუდგეს წყლით სავსე თასი და ცოცხი, რომლის მეშვეობითაც ინამებოდა თამბაქოს ფოთლები. თუმცა არც ეს მეთოდი იყო პირველზე ბევრად უკეთესი, რადგან ხშირად მოძველებული და ლპობადი ცოცხები იხმარებოდა (მას არ ცვლიდნენ რეგულარულად) და ამის გამო თასში წყალი ბინძურდებოდა. თბილისის 2-3 ფაბრიკაში ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად დაიწვეს პულვერიზატორების გამოყენება და ამით ჰიგიენასთან დაკავშირებული პრობლემები გვარდებოდა, მაგრამ მსხვილმა თამბაქოს მწარმოებელმა – ბოზარჯიანცმა აღმოაჩინა, რომ პულვერიზატორით დანამვისას თამბაქოს ფოთლები სინესტეს არათანაბრად იღებდა. მისი გადაწყვეტილებით ფაბრიკა აღიჭურვა ორთქლის ქვებით, რომელიც თამბაქოს ორთქლის მეშვეობით თანაბრად ატენიანებდა.

თბილისის და ზოგადად კავკასიის თამბაქოს ფაბრიკებში სხვა სახის ტექნიკური პრობლემებიც არსებობდა. მაგალითად პაპიროსის გადახვევის ტექნოლოგია. თავდაპირველად ფაბრიკებში თუთუნს ქაღალდთან ერთად ახვევდნენ, რომლის კიდევსაც სახამებლით აწებებდნენ. ამგვარი გადახვევის გამო, თუთუნი ვერ ნაწილდებოდა თანაბრად და შესაბამისად კარგად არ იწეოდა. გაცილებით ეფექტური მეთოდი აღმოჩნდა პაპიროსის დამზადება მასრების მეშვეობით. ამ მეთოდმა თანდათან გამოდევნა პაპიროსის გადახვევის მანამდე არსებული პრიმიტიული მეთოდი.

გარდა ამისა, თამბაქოს დაქუცმაცების პროცესი ფაბრიკანტებს საკმაოდ ძვირი უჯდებოდათ. მუშას ერთი ფუთი თამბაქოს დაქუცმაცებისთვის 1,5 მან.-ს უხდიდნენ. ამ პროცესის გაიაფებისთვის 80-იანი წლების დასაწყისში რამოდენიმე მეთამბაქოემ სცადა გამოეყენებინა ჩარხები, რომელიც ცხენის გამწვევი ძალის მეშვეობით მოდიოდა მოქმედებაში. თუმცა პრობლემა აქაც იყო, ვინაიდან ცხენის შეძენა, შენახვა და მისი მეთვალყურის ანაზღაურებაც საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. ამ მეთოდის შეცვლა მოხდა ბენზინის ძრავის (რომელიც ოტომ გამოიგონა) მეშვეობით. ეს ძრავა პირველად თბილისში ენფიანჯიანცმა გამოიყენა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი კარგა ხანს



უმოქმედოდ ედგათ, რადგან ალლო ვერ აუღეს. მოქმედების შედეგად ოთხცხენისძალიანი ოტოს სისტემის ძრავამ ოცი დამქუცმაცებელი მუშა შეცვალა, ამასთანავე, თუკი მანამდე თუთუნის დაქუცმაცება 1,5 მან. ჯდებოდა, ახალი ძრავის მეშვეობით ეს პროცესი მკვეთრად გაიფა და 45-50 კაპ. გახდა. ბოზარჯიანცმა დაამონტაჟა ანალოგიური, 2-3 ცხენისძალის სიმძლავრის ძრავა, რომელიც დღიურად ნახევარ ფუთ ბენზინს მოიხმარდა. მან შეცვალა ათი დამქუცმაცებელი მუშა, რომლებზეც დღიურად 8 მან. გაიცემოდა.<sup>127</sup> ამ ძრავების უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ მათი სოლიდური ღირებულების მიუხედავად ის მესამე თბილისელმა მეთამბაქოემ – საფაროვმაც შეიძინა, ოღონდ არა ბენზინზე, არამედ ნავთზე მომუშავე, რაც რა თქმა უნდა უფრო სარფიანი იყო.

თამბაქოს ფაბრიკებში არსებობდა კვალიფიციური სპეციალისტების, კერძოდ დამხარისხებლების მწვავე პრობლემა. დამხარისხებელს, რომლის კვალიფიკაციაზეც ღიდად იყო დამოკიდებული ფაბრიკის წარმატება, სათანადოდ არ აფასებდნენ და მეორეხარისხოვნად თვლიდნენ. მისი დღიური ანაზღაურება 70-90 კაპიკს არ აღემატებოდა. ამ ფასად კი კარგი ოსტატების მოზიდვა ჭირდა. კვალიფიციური დამხარისხებელი კარგად ართმევდა თავს ამა თუ იმ ხარისხის თამბაქოს დახარისხებას, ანუ დამხარისხებელ სპეციალისტს მოეთხოვებოდა თამბაქოს ხარისხების ზუსტი ცოდნა და მათი ერთმანეთისაგან გარჩევა. თამბაქო უნდა დახარისხებულიყო ისე, რომ დაეკმაყოფილებინა სხვადასხვა კატეგორიის მოთხოვნები. ადგილობრივი ფაბრიკანტები კი რატომღაც სწორედ იმ სფეროში ცდილობდნენ ხარჯების შემცირებას, რომელშიც სახსრები არ უნდა დაეზოგათ. ფაბრიკაში 2-3 კვალიფიციური დამხარისხებლის ყოლა, თუნდაც მათი ხელფასი 100 მანეთი ყოფილიყო, მეწარმეებს გაცილებით მეტ მოგებას მოუტანდა, ვიდრე მათ გაუმართლებელ მომჭირნეობას მოჰქონდა.

თამბაქოს წარმოების განვითარების სერიოზულ ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა ქალაქში ერთობ მომრავლებული ე.წ. “პაპიროსნიკები”, რომლებიც არალეგალურად ამზადებდნენ პაპიროსებს იმ თუთუნისაგან,

---

<sup>127</sup> იქვე, გვ. 31

რომელზეც უკვე იყო გადახდილი სააქციზო გადასახადი. ისინი შედარებით იაფად ყიდულობდნენ ძირითადად რუსეთიდან შემოტანილ თამბაქოს (ეს ადგილობრივ თამბაქოზე იაფი უჯდებოდათ), ყიდულობდნენ ასევე მეორე ხარისხის, ანუ მდარე ხარისხის თუთუნს, რომელსაც მცირე დოზით უმატებდნენ მაღალი ხარისხის, სურნელოვან თუთუნს, მაგალითად “შვარს”. ამ ნაზავს ასაღებდნენ, როგორც პირველი ხარისხის პაპიროსს. ამგვარ საქმიანობასთან ბრძოლა ხშირად არ იყო შედეგიანი, ვინაიდან პაპიროსნიკების საქმიანობით სახელმწიფოს ფისკალური ინტერესები არ ზარალდებოდა, ხაზინა თავისას თუთუნის სააქციზო გადასახადისაგან მაინც იღებდა, ხოლო ზარალდებოდნენ როგორც მეწარმეები, ასევე თამბაქოს მომხმარებლები, რომლებიც პაპიროსს ყიდულობდნენ როგორც პირველხარისხოვანს, სინამდვილეში კი იყო მეორეხარისხოვანი. მომხმარებელთა დიდი უმრავლესობა ვერ ერკვეოდა თამბაქოს ხარისხებში და მათ ერჩივნათ ის პაპიროსი შეეძინათ, რომელიც საფაბრიკო ნაწარმზე იაფი ღირდა.

იმპორტირებული როგორც პაპიროსი, ასევე თუთუნი ეწყო მოსახერხებელ კოლოფებში და ლამაზად იყო შეფუთული. შეფუთული ნაწარმის იარღიეებზე მითითებული ხარისხი ყოველთვის ემთხვეოდა მასში მოთავსებული ნაწარმის ხარისხს. კავკასიაში წარმოებული თამბაქოს ნაწარმი კი მყიდველს ყოველთვის უცრუებდა იმედს. გარდა ამისა, რუსი თამბაქოს მეფაბრიკეები როგორც ჩანს, უკეთესად ერკვეოდნენ მარკეტინგში, კერძოდ, ისინი მნიშვნელოვან ფასდაკლებას სთავაზობდნენ წვრილ ვაჭრებს და ამის მეშვეობით მათ შეძლეს თითქმის მთლიანად დაეპყროთ ამიერკავკასიის ბაზარი. ვაჭრობას ამგვარი სახე ჰქონდა: მაგალითად, თუკი ვაჭარი, რომელიც როსტოვიდან პირველი ხარისხის კუშნარევის თამბაქოს გამოიწერდა, დაწესებული იყო 22% შეღავათი, მეორე ხარისხზე – 18 %, მესამეზე კი 14-დან 15%-მდე. ამასთან, აქციზი მაშინვე იხდებოდა, ხოლო საქონლის ღირებულების გადახდა შესაძლებელი იყო სამ თვემდე ვადაში. საქონლის გადაზიდვის ხარჯებს იხდიდა ვაჭარი, რომელსაც შემოჰქონდა თამბაქო. გარდა ამ შეღავათებისა, კუშნარევი ვაჭრებს უწესებდა პრემიებს: თუკი ის გამოიწერდა 50 ათასი მანეთის ღირებულების თამბაქოს, ეძლეოდა შეღავათი 2%-ის ოდენობით; 100 ათასი მანეთის საქონელზე – 3%-ის,

ხოლო 150 ათასი მანეთის ზევით – 4%-ის ოდენობით.<sup>128</sup>

ბაზარზე არსებულმა ამგვარმა ვითარებამ ადგილობრივი თამბაქოს მსხვილი ფაბრიკანტები ერთგვარად გამოაცოცხლა და საკმაოდ გააქტიურეს ბრძოლა იმპორტირებული მზა ნაწარმის შესავიწროებლად. ისინი უკვე ცდილობდნენ მყიდველისათვის მიმზიდველი გაეხადათ საკუთარი საქონელი, კერძოდ, წინა პლანზე წამოსწიეს თამბაქოს შეფუთვის საკითხი, რომელსაც მანამდე დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ. პაპიროსის კოლოფი მომხმარებლისთვის მიმზიდველი უნდა ყოფილიყო, გარდა ამისა იზრუნეს მისი ხარისხის გაუმჯობესებაზეც. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მეთამბაქოეობის ნაწარმი მხოლოდ პროვინციებში საღებოდა, ხოლო ქალაქებში ძირითადად შემოტანილი პაპიროსი იყიდებოდა. გარდა ამისა, რუსი მეფაბრიკეების მიერ ვაჭრებისთვის დაწესებული ზემოაღნიშნული შეღავათებით სერიოზული საფრთხე ემუქრებოდათ ადგილობრივ ფაბრიკანტებს და ისინი იძულებულნი გახდნენ ვაჭრებისთვის თვითონაც დაეწესებინათ კუშნარევის მიერ შემოღებული შეღავათების ტოლფასი შეღავათები. ეს სტიმული ეფექტიანი აღმოჩნდა, კუშნარევის თამბაქოს შესყიდვა, რომელიც მკვეთრად პროგრესირებდა, თანდათან შენედა და დაიწყო შემცირება. ამ საპასუხო ღონისძიების შედეგად 1890-იანი წლების დასაწყისში როსტოვის თამბაქოზე მოთხოვნა 40%-ით შემცირდა.<sup>129</sup>

გარდა ზემოხსენებული ღონისძიებებისა, ადგილობრივმა ფაბრიკანტებმა რუსეთიდან მოიწვიეს ამ საქმის სპეციალისტები. მენეჯმენტის გაუმჯობესების შედეგად მსხვილმა ფაბრიკანტებმა, მაგ. ენფიანჯიანცმა და ბოზარჯიანცმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს და მათი ნაწარმი არა მხოლოდ გაუტოლდა რუსეთში წარმოებული საუკეთესო ხარისხის ნაწარმს, არამედ აჯობეს კიდევ მას. ამ ორი მეწარმის მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე არსებობდა დიდი მოთხოვნა არა მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე, არამედ მათ გაუჩნდათ მსხვილი შეკვეთები მოსკოვიდან და პეტერბურგიდან. ამ ცვლილების გამო თანდათან მცირდებოდა რუსეთიდან თამბაქოს შემოტანა.

90-იანი წლების თბილისის მრეწველობის დარგებს შორის შედარებით

<sup>128</sup> Гулишамбаров Ст. ОФЗ по ЗК Тиф.1894. გვ. 144

<sup>129</sup> იქვე 145

წინა პლანზე იდგა ტყავისა და თამბაქოს ფაბრიკები. 1892 წელს მათი წლიური ბრუნვა შესაბამისად შეადგენდა – 777 936-სა და 560 881 მანეთს.<sup>130</sup> თამბაქოს ფაბრიკებს შორის წარმოების ზრდითა და მისი დონით გამოირჩეოდა თბილისელი მეორე გილდიის ვაჭრის – ენფიანჯიანცის ფაბრიკა (ისევე, როგორც ეს წინა წლებში იყო). მან თავის პლანტაციებში გააუმჯობესა თამბაქოს ხარისხი, ფაბრიკაში მოახდინა დამატებითი ინვესტირება, კერძოდ, დამონტაჟდა ახალი მანქანა-დანადგარები, ნედლეული ხარისხდებოდა კვალიფიციურად, რამაც საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო მზა ნაწარმის ხარისხის ამაღლებას და გაფართოვდა პროდუქციის სარეალიზაციო არეალი. მის მიერ წარმოებული პაპიროსი, სიგარა და თუთუნი საღებოდა ამიერკავკასიაში, კასპიისმიდმა ოლქებსა და რუსეთში.

90-იანი წლების თბილისის თამბაქოს წარმოებაში შესამჩნევი ხდება წარმოების გამსხვილების პროცესი. 1895 წელს თბილისელმა პირველი გილდიის ვაჭრებმა – ბაინდუროვმა, ეგიაზაროვმა, ავალიანმა და გოკიელმა დააარსეს სააქციო საზოგადოება “მირი”. მისი ძირითადი კაპიტალი 500 000 მანეთს შეადგენდა, რომელიც დაყოფილი იყო 2 000 აქციად – თითოეული 250 მანეთად.

სააქციო საზოგადოების საქმიანობას სამი კაცისგან შემდგარი საბჭო განაგებდა. მას ყურადღება უნდა მიექცია აქციების ბრუნვისათვის, წლიური ანგარიშის, ბალანსისა და საბუღალტრო საქმეებისათვის. წარმოება უნდა უზრუნველყო საჭირო სპეციალისტებით, თვალყური ედევნებინა ნედლეულის შესყიდვისა და მზა ნაწარმის რეალიზაციისათვის, დაედო ხელშეკრულებები როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ამხანაგობებთან და საზოგადოებასთან. წესდებით სააქციო საზოგადოების არსებობის ვადა არ იყო განსაზღვრული. იმ შემთხვევაში, თუკი საჭირო გახდებოდა საზოგადოების დახურვა, გადაწყვეტილება უნდა მიეღო აქციონერთა საერთო კრებას. სააქციო საზოგადოება “მირი”, აღჭურვილი იყო უახლესი ტექნიკით.

ცხრილი №2.4 ცხადყოფს, რომ სააქციო საზოგადოება მირის მიერ გამოშვებული პროდუქცია საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება. მიუხედავად

<sup>130</sup> ცინცაძე დ. კაპ. მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში, თბ. 1979

იმისა, რომ III ხარისხის თუთუნსაც საკმაოდ მოზრდილი რაოდენობით აწარმოებდა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ეს საწარმო უპირატესობას ძირითადად I და II ხარისხის თამბაქოს წარმოებას ანიჭებდა. ბაზარზე პრიორიტეტულად II ხარისხის თამბაქოს მიწოდება ცხადს ხდის, რომ ფაბრიკას თავისი წარმოება ძირითადად ამ ხარისხის თამბაქოს მომხმარებელზე ჰქონდა გათვლილი. მის მიერ წარმოებული II ხარისხის თუთუნის რაოდენობა 44 837 ფუთით აჭარბებს I ხარისხისას და 153 030 ფუთით III ხარისხის თუთუნის რაოდენობას. იგივე შეიძლება ითქვას პაპიროსის წარმოებაზე: II ხარისხის პაპიროსის წარმოება 13 336 500 ცალი პაპიროსით აჭარბებს I ხარისხისას, III ხარისხის პაპიროსი კი საერთოდ არ იწარმოება ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ თუთუნის წარმოებაში იმპორტის წილი მაინცდამაინც შთამბეჭდავი არ არის. იმპორტშიც II ხარისხის თამბაქო დიდად ჭარბობს I ხარისხის თამბაქოს იმპორტს და ასევე ჭარბობს III ხარისხისას. პაპიროსის იმპორტის ხარისხობრივ სტუქტურაში თითქმის თანაბარია I და II ხარისხის ნაწარმის ოდენობა, I ხარისხის პაპიროსის გატანა დაახლოებით 1 %-ით აჭარბებს II ხარისხისას.

1900 წელს ბოზარჯიანცმა თავისი ფაბრიკა გადააკეთა ფირმად. ფირმის წევრები იყვნენ ნ. ბოზარჯიანცი, მისი სამი ვაჟი და ერთიც ნათესავი. ამ ამხანაგობაში მის თითოეულ წევრს 2 000 მანეთი შეჰქონდა, კაპიტალი მთლიანად 10 000 მანეთს შეადგენდა. ფირმაში გარეშე პირის შეყვანა იკრძალებოდა, ხოლო თუკი ამხანაგობის რომელიმე წევრი მიატოვებდა ფირმას, მას ეკრძალებოდა თამბაქოს ფაბრიკის გახსნა არა მარტო თბილისში, არამედ მთლიანად რუსეთის იმპერიაში. ფირმის გამგებელი იყო ნ. ბოზარჯიანცი და მის საქმიანობასაც ის განაგებდა. ამ სააქციო საზოგადოებას სავაჭრო სახლები ჰქონდა თბილისსა და ბაქოში. მისი

#### ცხრილი №2.4 <sup>131</sup>

სააქციო საზოგადოება “მირის” მიერ წარმოებული პროდუქცია (1906 წ.).

<sup>131</sup> ცინცაძე დ. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში. XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში. თბ. 1979

ნაწარმის დასახე ლება	დამზადებული პროდუქცია (ხარისხების მიხედვით)			იმპორტირებული პროდ. (ხარისხების მიხედვით)			იმპორტის წილი %		
	I	II	III	I	II	III	I	II	III
თუთუნი (გირვან.)	257778	302615	149 585	1738	29825	801 0	0,7	9,8	5,4
პაპიროსი (ცალი)	336785 00	47015000	–	251250 0	310500 0	–	7,5	6,6	–
სულ	339362 78	47317615	149 585	2514238	3134825	801 0	–	–	–

წარმატებები თბილისის ანალოგიურ საწარმოებს შორის თვალსაჩინოა, იგი ბაზარზე აშკარა ლიდერია. მას ადასტურებს ის სტატისტიკაც, რომელიც №2.5 ცხრილშია მოცემული.

თბილისის თამბაქოს ძირითადი მწარმოებლები (1908 წ.)

მეწარმე	წარმოებული პროდუქციის რაოდ. (მან.)		მუშათა რაოდ. (კაცი)	
	1900წ.	1908 წ.	1900 წ.	1908 წ.
ბოზარჯიანცი	731 429	715 661	401	206
“მირი”	518 500	368 000	212	165
ენფიანჯიანცი	515 800	336 053	315	459
სულ სამივე საწ. -ში	1 765 729	1 419 714	928	630
სულ თბილისის თამბ. ფაბრიკებში.	—	1 718 074	—	818

წარმოდგენილი. ცხრილის მიხედვით ბოზარჯიანციების ფირმა თბილისის თამბაქოს წარმოებაში უდავო ლიდერია. მიუხედავად იმისა, რომ ენფიანჯიანცის ფაბრიკისა და “მირის” სააქციო საზოგადოების მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა საკმაოდ მასშტაბურია, ბოზარჯიანცის წარმოება 1900 წელს გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის მხრივ ორივე მათგანს ბევრად უსწრებს, ხოლო 1908 წელს ორივეს მიერ წარმოებული

<sup>132</sup> Варзар, Список фабрик и заводов Российской Империи. 1912

პროდუქციის ჯამსაც კი აჭარბებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუკი ასეთ მასშტაბურ წარმოებას იგი 1900 წელს 401 მუშახელის პირობებში ახერხებდა, 1908 წლისთვის მან ტექნიკური სიახლეთა დანერგვის მეოხებით პროდუქციის თითქმის იგივე რაოდენობის წარმოება 206 მუშახელის პირობებში შეძლო. ტექნიკურ სიახლეებში ორთქლის ძრავების გარდა ბენზინისა და ელექტროენერგიაზე მომუშავე ძრავებიც იგულისხმება. მაგალითად, ბოზარჯიანის ფაბრიკა აღჭურვილი იყო თამბაქოს საჭრელი ელექტროძრავიანი 4 მანქანით და გარდა ამისა, მას გააჩნდა ბენზინზე მომუშავე 3 ძრავა.

მოულოდნელია წარმატებული და დიდი გამოცდილების მქონე ენფიანჯიანცის წარმოების უკუსვლა. მის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა მკვეთრად ეცემა და ამის ფონზე იგი ზრდის მუშახელის რაოდენობას 1900 წლის 315-დან 1908 წლის 459 კაცამდე. რაც შეეხება 1908 წლის შემდგომ პერიოდს, ვარდნის შემდგომ, მომდევნო 7-8 წლის განმავლობაში ენფიანჯიანცი აყალიბებს საკმაოდ მსხვილ სააქციო საზოგადოებას და როგორც მოსალოდნელი იყო, შეძლო ლიდერის პოზიციის დამკვიდრება.

სამივე საწარმოს წილი მთლიანად თბილისის თამბაქოს ფაბრიკების მიერ გამოშვებულ პროდუქციაში 1908 წელს 82,6 %-ია, მხოლოდ ბოზარჯიანცის საწარმოს წილი კი – 41,6 %, რაც საკმაოდ შთამბეჭდავია. “მირის” ფაბრიკამ, მიუხედავად იმისა, რომ მასში კონცენტრირებული იყო ხუთი მეწარმის კაპიტალი (რაც ზემოთ მიმოვიხილეთ), მაინც ვერ შეძლო სერიოზული კონკურენცია გაეწია ბოზარჯიანცების ფირმისათვის. ამის სავარაუდო მიზეზი ჯერ ერთი ის იყო, რომ ბოზარჯიანცებს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გამოცდილება გააჩნდათ ამ სფეროში (ჯერ კიდევ ამბარცუმ ბოზარჯიანცის პერიოდიდან) და გარდა ამისა, აქ უფრო მსხვილი კაპიტალის კონცენტრაცია მოხდა, ვიდრე “მირში”.

წარმოდგენილ სამ ფაბრიკაში თავმოყრილი იყო მთლიანად თბილისის თამბაქოს ფაბრიკებში დასაქმებულ მუშათა 77 %.

მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარების კვალდაკვალ ვითარდებოდა სპირტის, არყისა და კონიაკის სამრეწველო წარმოებაც. არაყო ოჯახურ პირობებში საქართველოში მანამდეც მზადდებოდა, რომელიც



ძირითადად ოჯახის საჭიროებისთვის მოიხმარდნენ, მაგრამ მას სასაქონლო ხასიათი არ ჰქონდა. მდგომარეობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც საქართველო რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა. რუსეთის ჯარის ნაწილების საქართველოში დამკვიდრებამ არაყზე მოთხოვნა გაზარდა. საოჯახო მეურნეობის პირობებში დამზადებული არყით, რაოდენობრივი თვალსაზრისით, რუსეთის ჯარის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. ბაზრის გაფართოებასთან და შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან ერთად ვენახის მფლობელ მწარმოებლებს გამოეყენენ უშუალოდ სასაქონლო პროდუქციის მწარმოებელნი, (რომელთა რაოდენობაც XIX ს. I ნახევარში მცირე იყო) და ვაჭარ-შემსყიდველები, რომლებიც მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის შუამავლის ფუნქცია იკისრეს.

XIX ს. პირველ ნახევარში არყის წვრილი წარმოების გარდა საქართველოში კაპიტალისტური ტიპის არყისა და სპირიტს “ქარხნებიც” არსდება. სპირტის ქარხნებში გამოეყენებდნენ დაქირავებულ შრომას, მანქანა-იარაღებსა და დანადგარებს. მსხვილი კაპიტალდაბანდებების, მეშვეობით უმჯობესდებოდა წარმოება, მაგალითად, ბარბარე იმერლიშვილის (1829წ.), ზუბალაშვილის (1838წ.), კალაინის (1854წ.), ანდრიევსკის (1847წ.) არყის ქარხნები.<sup>133</sup>

60-იან წლებში გაიხსნა და ახალ სააქციო სისტემის შემოღებამდე იარსება კუზმინსკის, ბარიატინსკის, მიკირტიჩევის, იასენის, შტრაუბეს საწარმოებმა. ამ პერიოდის არყის ქარხნებს შორის განსაკუთრების აღსანიშნავია ბარონ ბახის წარმოება, რომელიც 1876 წელს გაიხსნა და წყვეტილებით 900-იან წლებამდე იარსება.<sup>134</sup>

1873 წლამდე სასმელების წარმოება საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში გადასახადით არ იბეგრებოდა. გადასახადს იხდიდნენ ბაზარში გასაყიდად გატანილ სასმელზე. 1873 წელს ახალი სააქციო

<sup>133</sup> სამსონაძე მ. თბილისის სამრეწველო განვითარება საქართველოში XIX ს. რეფორმამდე ხანაში . გვ. 124-131; გოგოლაძე დ. კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდე საქართველოში (1830-1864 წწ.), თბ. 1969, გვ. 151-201. ხოშტარია ე. დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს. 30-60-იან წლებში – ისტორიის ინსტ. შრომები, ტ. III, თბ. 1958, გვ. 153-181.

<sup>134</sup> Гулицамбаров Ст. ОФЗТ губернии, Т. 1888, ст.41-48

კანონმდებლობით დაიბეგრა როგორც ბაზარზე გატანილი არყის სასაქონლო პროდუქტი, ისე მისი წარმოებაც. ერთი ვედრო პურის სპირტის გამოხდაზე დაწესდა სააქციზო გადასახადი 5 კაპ. ოდენობით, ყურძნისა და ხილის სპირტებზე კი – გადასახადი გამოსახდელი მასალის მოცულობისა და მისი ყოველდღიური გამოხდის შესაბამისად (1 ვედრო მოცულობის ქვაბზე დღე-ღამეში 11 კაპ. აქციზი) შემოიღეს. სააქციზო გადასახადისაგან თავისუფლდებოდა ვენახის მფლობელთა ის “ქარხნები”, რომელთა პროდუქტი სასაქონლო ხასიათს არ ატარებდა.

სააქციზო გადასახადების გარდა, დაწესდა ასევე საპატენტო გადასახადი. მისი ოდენობა განრიგების მიხედვით განისაზღვრა. პირველ განრიგში შევიდნენ თბილისში არსებული საწარმოები, რომელთა წლიური საპატენტო გადასახადი დაწესდა 3 მან. ოდენობით. მეორე განრიგისათვის (საგუბერნიო და საოლქო ქალაქები) – 50 მან; მესამე განრიგისათვის (საბაზრობო ქალაქები და პორტები) – 30 მან; მეოთხე განრიგისათვის (სხვა დანარჩენი ქალაქები) – 15 მან. ამასთან, სარდაფებს, სამიკიტნოებს და ღუქნებს არყის პროდუქტებით თავდია ჭურჭლიდან წვრილ-წვრილად ვაჭრობა აეკრძალათ. ამისათვის საგანგებო ნებართვა იყო საჭირო. I განრიგის სავაჭროებს თავდია ჭურჭლიდან არყის პროდუქტებით ვაჭრობისათვის წელიწადში 200 მან. უნდა გადაეხადათ, II თანრიგის სავაჭროებს კი – 100 მან.<sup>135</sup>

სახელმწიფომ ქარხნის წარმოების მიხედვით სპირიტს გამოხდის ნორმა დააწესა. ნორმის ზევით გამოხდილ სპირტზე მწარმოებელი სააქციზო გადასახადს აღარ იხდიდა. ამ შეღავათებმა წარმოებებს ზრდის სტიმული მისცა. პროდუქციის ზრდის საშუალება ქარხნის ტექნიკური დონის ამაღლება იყო. კარგად მოწყობილი ქარხნები დიდ შემოსავალს იღებდნენ. ჭვრილი მწარმოებლები, რომელთაც ქარხნის რეორგანიზაციის საშუალება არ ჰქონდათ, მსხვილი ქარხნების კონკურენციას ვერ უძლებდნენ და იხურებოდნენ. 60-იან წლებში თბილისში არსებული 18 არყის საწარმოდან, ახალი სააქციზო სისტემის შემოღების შემდეგ ცხრამ არსებობა შეწყვიტა.

1879 წ. კანონით სხვადასხვა სახის სპეციალური არყის პროდუქტებზე ე.წ.

<sup>135</sup> სცხა გ.7, აღ. 6, ს. 489, ფურც. 92, იქვე, ს. 437, ფურც. 12-13.

დამატებითი, საბანდეროლო გადასახადი დაწესდა. იგი არყის პროდუქტების ოდენობის მიხედვით ქარხნის პატრონს ერთი, ან ნახევარი წლით ადრე უნდა გადაეხადა, რაც ქარხნის მიერ გამოშვებულ ერთ ვედრო არაყზე 1 მანეთს უდრიდა. არყის ქარხნებისთვის განისაზღვრა აგრეთვე საბანდეროლო თანხა. თბილისის არყის ქარხნებს წელიწადში 2 000 მან. ბანდეროლი უნდა შეესყიდათ, საგუბერნიო ქალაქებს 1 000 მანეთის, ხოლო სამაზრო ქალაქებს – 500 მანეთის. თუ რომელიმე ქარხანა დაწესებული თანხის ბანდეროლს ვერ შეიძენდა, მას ავტომატურად დახურვა ელოდა. არყის პროდუქტები ქარხნიდან მხოლოდ დაბანდეროლებული სახით უნდა გაეტანათ, ბანდეროლზე აუცილებლად აღნიშნული უნდა ყოფილიყო მწარმოებელი ქარხნის, ან ფირმის სახელწოდება, მისი ბეჭედი, ადგილსამყოფელი, სასმელის სახელწოდება და სიმაგრის ხარისხი. არყის პროდუქტების სიმაგრის ნორმა დადგენილი არ იყო, იგი ქარხნებში სასმელის ხარისხის მიხედვით განისაზღვრებოდა. 1890 წლიდან არყის პროდუქტების სავალდებულო სიმაგრე 40 გრადუსით განისაზღვრა.<sup>136</sup>

ამგვარი წესების შემოღებამ თბილისის არყის საწარმოების ხელახალი შეზღუდვა და შესაბამისად შემცირება გამოიწვია. დარჩენილი 9 არყის ქარხნიდან 6 დაიხურა.<sup>137</sup>

ზემოჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტები ხელს უწყობდა მსხვილი წარმოების ჩამოყალიბებას და მათ ხელშეწყობას. წვრილი მწარმოებლები საკანონმდებლო ჩარჩოებს ვერ უძლებდნენ და თმობდნენ პოზიციებს, თუმცა მათ მიერ დამზადებული პროდუქციის სასაქონლო წილი არ მცირდებოდა, ვინაიდან, წვრილი მწარმოებლების მიერ გამოხდილი არაყი მხვილ წარმოებაში ნედლეულად გამოიყენებოდა.

არყისა და სპირტის მსხვილ წარმოებაში 80-იანი წლების ბოლოდან დარგობრივი სპეციალიზაცია გაღრმავდა, ამოქმედდა სპირტის სარეკტიფიკაციო (გამწმენდი), სხვადასხვა სახის არყისა და კონიაკის ქარხნები. სპირტის წარმოებაში გზა გაიკაფეს მსხვილმა მეწარმეებმა, რომლებმაც შეძლეს წარმოების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა უმთავრესად უცხოეთიდან შემოტანილი ძრავებით, მანქანა-დანადგარებით და აპარატურით.

<sup>136</sup> Гулишамбаров Ст. ОФЗТ зур. გვ. 49

<sup>137</sup> იქვე

აღნიშნული დროიდან ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება საქართველოში (იგულისხმება სპირიტს სარექტიფიკაციო, არყისა და კონიაკის წარმოება) ძირითადად სამი მსხვილი მრეწველის – დ. სარაჯიშვილის (სარაჯვეის), მ. ხუბლაროვის და ა. სოგომონოვის ხელში მოექცა. მათ შორის ყველაზე ძლიერი სარაჯიშვილის წარმოება იყო. მათ ეკუთვნოდათ იყო სპირიტს სარექტიფიკაციო არყის და კონიაკის ქარხნები.

ამ საწარმოებში 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში ალკოჰოლური სასმელების წარმოების განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა სხვადასხვა სახის გაუმჯობესებული მანქანა-დანადგარების, კერძოდ: გილიომის, სავალის, ნეიმანის, ბორმანოსა და შვედეს სარექტიფიკაციო, პისტორიუსის, შარანტის, დერუას საკონიაკე სპირტსახდელი აპარატების დანერგვამ, ასევე ორთქლის ძრავის, ორთქლის ქვაბების, ორთქლის საქაჩავების დამონტაჟებამ.

სპირტის რექტიფიკაციის დროს უხარისხო სპირტის, ან არყის გაწმენდა-გასუფთავების, მისი სხვადასხვა სახის მინარევებისაგან გათავისუფლების შედეგად უმაღლესი ხარისხის სუფთა – 95-96 გრადუსის სიმაგრის სპირტს იღებდნენ. სპირტის სარექტიფიკაციო ქარხნების შექმნამდე არყისა და სპირტის გაწმენდა ნახშირისა და სილის ფილტრებში ხდებოდა, რაც უმაღლესი ხარისხის სპირტის მიღებას ვერ უზრუნველყოფდა და არარენტაბელურიც იყო. სპირტის სარექტიფიკაციო წარმოების შექმნა სპირტიანი სასმელების წარმოებაში ერთგვარი გადატრიალების ტოლფასი იყო.

პირველი სარექტიფიკაციო აპარატი ამიერკავკასიაში 1886 წელს თბილისში დ. სარაჯიშვილმა დადგა.<sup>138</sup> სარექტიფიკაციო ქარხნები თბილისში გახსნეს აგრეთვე ივ. სიტოვმა 1886 წ., ნ. სიტოვმა 1887 წ., ა. სოგომონოვმა 1892წ., ნ. ხუბლაროვმა 1893წ. სპირტისა არყის საწარმოებში 1985 წ. ორთქლის ქვაბი დააყენეს სარაჯიშვილმა და ივ. სიტოვმა, 1886 წ. ი. კარაევმა, 1890 წ. ს. მეღვინოვმა, 1891 წ. მ. ხუბლაროვმა, 1892 წ., ა. სოგომონოვმა.<sup>139</sup>

კონკურენციას, რომელიც ალკოჰოლური სასმელების წარმოებაში არსებობდა, სპირტის მწარმოებელთა ნაწილი ვერ უძლებდა. 90-იან წლებამდე წარმოებას ჩამოშორდნენ სიტოვები, კარაევი, 1890 წელს მეღვინოვის ქარხანა მ.

<sup>138</sup> დ. სარაჯიშვილის სახსოვრად. თბ. 1911. გვ.3-6

<sup>139</sup> სცსა, ფ. 370, ს. 409, ფურც. 5. იქვე 204, ს. 563, ფურც. 3, 9, 20, 23, 34, 39, 89, 95

ხუბლაროვის კომპანიონი გახდა. 1897 წლიდან მ. ხუბლაროვის კომპანიონები გახდნენ საკუთარი ძმები, ხოლო მეღვინეოვი ჩამოიშორა. თვით ხუბლაროვის წარმოება 1903 წლიდან დ. სარაჯიშვილის მფლობელობაში გადავიდა.

დ. სარაჯიშვილმა პირველი საბითუმო საწყოები – “ქარხანა” 1884 წ. თბილისში გახსნა. იგი მთელი წლის გამავლობაში მუშაობდა და წლიურად 12 000 ვედრო სპირტს უშვებდა, რომლის ღირებულებაც 48 000 მან. იყო. “ქარხნის” ტექნიკურ აღჭურვილობას შეადგენდა: ერთი სპირტსახდელი აპარატი და 6 ცხენისძალის ორთქლის ქვაბი. ქარხანა მაზუთზე მუშაობდა და ყოველწლიურად 1 000 მან. საწვავს იყენებდა. პროდუქციის გასაღება უმთავრესად თბილისსა და მის შემოგარენში ხდებოდა. ქარხანაში მუდმივად დასაქმებული იყო 8 მუშა, სამუშაო დღის ხანგრძლივობა კი 10 საათს უდრიდა.<sup>140</sup>

ორიოდე წელში სარაჯიშვილმა ქალაქის თავის სააქციზო სამმართველოს და სამედიცინო კომისიის სათანადო დასკვნის შემდეგ 1886 წ. 8 მარტს აამუშავა ახალი დანადგარებით აღჭურვილი ქარხანა.<sup>141</sup> ქარხნის რეკონსტრუქციას მუშახელის შემცირება მოჰყვა, პროდუქციის ოდენობა 12 000 ვედროდან 1886 წ. 25 000 ვედრომდე გაიზარდა.<sup>142</sup>

1892 წ. ქარხნის აღჭურვილობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა. დაიდგა 10 ცხენისძალიანი ორთქლის ქვაბი ნეიმანის, ბორმანოს და შვედეს 17 კოლონიანი საფილტრაციო სავალის ტიპის ორი სარეკტიფიკაციო აპარატი (ერთი 720 ვედროს, ხოლო მეორე – 240 ვედროს ტევადობის). მუშათა რაოდენობა 40 კაცამდე გაიზარდა. ქარხანას დღევამეში 20 000 გრადუსი, ხოლო წელიწადში 6 500 000 გრადუსი სხვადასხვა ხარისხის სპირტის გამოშვება შეეძლო.\* ქარხანასთან არსებობდა სპირტის შესანახი საწყოები, სადაც სპირტის სამი ცისტერნა იდგა. მისი ტევადობა იყო 12 500 ვედრო, იქვე არსებობდა მაღაზიები

<sup>140</sup> სცსა, ფ. 204, ს. 592, ფურც 99

<sup>141</sup> იქვე, ს. 591, ფურც 1-2

<sup>142</sup> იქვე, ს. 654, ფურც. 89

\*გრადუსით აღინიშნება აბსოლუტურად უწყლო სპირტის რაოდენობა, რომელიც 120 მილილიტრს უდრის. საზომ ერთეულად მიღებული იყო 12 ლიტრის ტევადობის ვედრო, რომლის მუხედი ნაწილი არის 120 მილილიტრი.

და სადურგლო სახელოსნო.<sup>143</sup>

1885-1899 წწ. წარმოებული პროდუქციის ზრდაზე შემდეგი მონაცემები მეტყველებს: 1885 წ. სარაჯიშვილის თბილისის ქარხანამ გასაწმენდად 39 463 გრადუსი ნახევარფაბრიკატი მიიღო და 38 034 გრადუსი (4 564 მან.) სუფთა სპირტი გამოუშვა. 1899 წ. გასაწმენდად მიიღო 1 578 532 გრადუსი სპირტის ნედლეული და 1 521 383 გრადუსი (197 775 მან.) რექტიფიცირებული სპირტი დაამზადა,<sup>144</sup> ე.ი. 14 წლის განმავლობაში წარმოება 40-ჯერ გაიზარდა.

1901 წელს სარაჯიშვილის პრეისკურანტში 65 დასახელების სხვადასხვა არაყია დაფიქსირებული, მზადდებოდა ასევე უმაღლესი ხარისხის ლიქიორები: მარასკინი, ბენედიქტინი, შარტრეზი, კაკაო-შუვა, ანანასის და სხვა.<sup>145</sup>

1903 წ. სარაჯიშვილის თბილისის წარმოებას კიდევ ერთი სარექტიფიკაციო საწარმო შეემატა, რომელიც მ. ხუბლაროვისგან იყიდა. შექმნისთანავე სარაჯიშვილმა მისი რეკონსტრუქცია განახორციელა, წარმოება განაახლა და ევროპულ სტანდარტებს გაუთანაბრა. მის მიერ გამოშვებული პროდუქციის 80% უმაღლესი ხარისხის სპირტი იყო. სააქციზო უწყების ზედამხედველები მაღალ შეფასებას აძლევდნენ სარაჯიშვილის სარექტიფიკაციო წარმოებას და აღნიშნავდნენ, რომ იქ სპირტის გაწმენდა მაღალ დონეზე ხდება, იღებენ უმაღლესი ხარისხის სპირტს, შეესაბამება საიმპორტო სპირტების სტანდარტებს და ადვილად უძლებს ამ მიზნით სპეციალურად ჩატარებულ გამოცდას,<sup>146</sup> მაშინ, როდესაც ზოგადად საქართველოს ანალოგიურ პროდუქციას უარყოფით შეფასებას აძლევდნენ.

სარაჯიშვილის სარექტიფიკაციო ქარხნის პროდუქციის გასაღება ამავე ქარხანასთან არსებული სპირტის საბითუმო საწყობიდან ხდებოდა. ეს ნაწარმი დიდი მოწონებით სარგებლობდა როგორც ამიერკავკასიაში, ასევე რუსეთის იმპერიაში. პროდუქციის რეალიზაცია ხდებოდა მოსკოვში, პეტერბურგში, რიგაში, ვარშავაში, ხარკოვში, კიევში, ფეოდოსიაში, სამარაში, ოდესაში, ბაქოში, კიშინიოვში, მერვში, ერევანში, ვლადიკავკაზში და ა.შ., ფირმის მიერ

<sup>143</sup> *Д.З. Сараджев, Тифл. 1901, გვ.5.*

<sup>144</sup> *სცსა, ფ.371, ს. 206, ფურც. 99; ს. 181, ფურც. 22, 23, 60, 150.*

<sup>145</sup> *მირიანაშვილი მ. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში. თბ. 1980, გვ. 65*

<sup>146</sup> *სცსა, ფ. 370, ს. 940, ფურც. 29; ს. 947, ფურც. 21*

გახსნილ სავაჭრობებსა და საწყოებში.<sup>147</sup>

ამავე ტიპის, მაგრამ შედარებით მცირე მოცულობის სარექტიფიკაციო ქარხნები თბილისში ეკუთვნოდათ სოგომონოსა და ხუბლაროს. არსებობის პირველ (1892 წ.) წელს სოგომონოს ქარხანამ 27 363 გრ. (3 150 მან.) სპირტი გამოუშვა, ხუბლაროს ქარხანამ კი 1893 წ. 34 484 გრ. (4 137 მან.). 1899 წლისთვის სოგომონოს ქარხნის პროდუქციის ოდენობა 1 083 833 გრადუსამდე (140 798 მან.), ხოლო ხუბლაროს – 1 407 850 გრადუსამდე (183 020 მან.-მდე) გაიზარდა.<sup>148</sup> ორივე ქარხანაში იდგა სავალის სისტემის სარექტიფიკაციო აპარატი. ქარხანასთან არსებობდა სპირტის შესანახი რეზერვუარები, ასევე სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები. 1895-1903 წწ. მონაცემებით, სოგომონოს ქარხანაში 24 მუშა მუშაობდა, ხუბლაროს ქარხანაში – 22.<sup>149</sup>

აღნიშნული ქარხნები პროდუქციას საკუთარი საწყოებიდან და მალაზიებიდან ამიერკავკასიასა და რუსეთში ასაღებდნენ. ხუბლაროს საწყოები ჰქონდა: თბილისში, ბაქოში, ერევანში, შუშასა და როსტოვში, ხოლო სააგენტოები – მოსკოვში, ვარშავაში, როსტოვსა და დვინსკში.<sup>150</sup>

სარაჯიშვილის სარექტიფიკაციო ქარხნის პროდუქციის ოდენობა თითქმის ყოველთვის ჭარბობდა ხუბლაროსსა და სოგომონოს ქარხნის წარმოებას, ხოლო ხუბლაროსის წარმოების მიერთების შემდეგ სარაჯიშვილის წილად მოდიოდა თბილისში რექტიფიცირებული სპირტის 85%. გარდა ამისა, ტექნიკური აღჭურვის დონის მიხედვით სარაჯიშვილის ქარხნებს ისინი ბევრად ჩამოუვარდებოდნენ. არ ჰქონდათ სააღდგომო კოლონები, მუშაობდნენ საკონტროლო მოწყობილობების გარეშე და შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებდნენ.

დ.სარაჯიშვილი რუსეთის იმპერიაში კონიაკის პირველი სპეციალური ქარხნის დამაარსებლად და კონიაკის სამრეწველო წარმოების პიონერად ითვლება. 1888 წლის ოქტომბერში თბილისში ამოქმედდა სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა. მის მიერ დაარსებული თბილისის ქარხანა რუსეთის

<sup>147</sup> *Д.З. Сараджев, Тифл. 1905, გვ.1*

<sup>148</sup> *სცსა, ფ. 371, ს. 181, ფურც. 22-23.*

<sup>149</sup> *Фаврично-заводская промышленность России, 1897. С. 922. Список фабрик и заводов Европейской России, 1903, с. 680.*

<sup>150</sup> *Сведения о производительности заводов Хубларова с братьями в Тифлисе. Тиф. 1901, გვ.3*

იმპერიის პირველი სრულყოფილი, სპეციალიზებული ქარხანა იყო.<sup>151</sup>

იგი აღიჭურვა სპეციალურად შეეცარიიდან მიღებული საკონიაკე სპირტსახდელი აპარატით, რომელიც 41 ვედროს ტევადობის იყო და შედგებოდა დეფლექტაციური ცილინდრის, ორი თეფშისა და კლაკნილა მაცივრისაგან.<sup>152</sup> ქარხანაში ყველა პირობა იყო შექმნილი საიმისოდ, რომ საუკეთესო ხარისხის საკონიაკე სპირტი მიღებულიყო. ამ სპირტის წარმოებისათვის კახეთისა და ქართლის საუკეთესო ხარისხის ღვინოები გამოიყენებოდა. გამოხდის შედეგად მიიღებოდა 55-58 გრადუსი სიმაგრის სპირტი. ამ სპირტს ინახავდნენ მცირე ზომის – 20 ვედროს ტევადობის მუხის კასრებში, რომელიც საქართველოს მაღალმთიან რაიონებში საგანგებოდ კონიაკის დაძველებისთვის შერჩეული და კარგად გამომშრალი მუხისაგან მზადდებოდა. იმისათვის, რომ მუხის მერქანს დამახასიათებელი სურნელი შეენარჩუნებინა, მისგან კასრებს ყოველგვარი დამღვლერისა და ორთქლში გატარების გარეშე ამზადებდნენ.<sup>153</sup>

ქარხანაში ყველა პირობა იყო შექმნილი საიმისოდ, რომ საუკეთესო ხარისხის საკონიაკე სპირტი მიეღოთ. ამ სპირტის წარმოებისათვის სარაჯიშვილი დიდმის, კახეთის, ყიზლარის და სხვა მამულებში დაწურული საუკეთესო ხარისხის საკუთარი წარმოების მასალას იყენებდა. შოგომონოვი და ხუბლაროვი ამ მიზნით ერევისა და ელიზავეტპოლის მამულების ღვინოებს იყენებდნენ.<sup>154</sup>

სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანაში ხდებოდა წარმოებისათვის საჭირო ღვინომასალის შერჩევა და მისი გამოცდა. ზუსტდებოდა და იხვეწებოდა კონიაკის დაყენებისა და დაკუპაუების ტექნოლოგია, აკვირდებოდნენ და ადგენდნენ სპირტის ვარგისიანობას, კონიაკის დამზადების პროცესში ითვალისწინებდნენ მისი წარმოებისათვის საჭირო ყველა წესს. მთავალსაზრისით, ეს ქარხანა ერთგვარ ლაბორატორიად იქცა.

სარაჯიშვილის წარმოების მასშტაბების შესახებ წარმოდგენას იძლევა ცხრილი № 2.6.

---

<sup>151</sup> *Д. Сапарджеев 1905 გვ. 6*

<sup>152</sup> *იქვე, გვ. 7*

<sup>153</sup> *მირიანაშვილი მ. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში. თბ. 1980, გვ.89*

<sup>154</sup> *იქვე, გვ.92*



ცხრილი №2.6<sup>155</sup>

დ. სარაჯიშვილის ქარხნის წილი სარექტიფიკაციო ქარხნების საერთო პროდუქციაში (1896-1903 წწ.)

წლები	თბილისის ქარხნების რაოდენობა	პროდუქციის საერთო ღირებულება (მან.)	სარაჯიშვილის ქარხნის პროდუქციის ღირებულება (მან.)	სარაჯიშვილის ქარხნის წილი თბილისის ქარხნებში (%)
1896	3	415 738	273 898	65
1897	3	328 269	197 406	60
1898	3	258 179	142 496	55
1899	3	518 012	197 775	38
1900	3	736 416	299 604	40
1901	3	679 481	374 968	55
1902	3	703 485	404 065	57
1903	3	678 020	387 775	57

ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა, რომ თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნებში 1896 წლის მომდევნო ორ წელს – 1898 წლის ჩათვლით წარმოებული პროდუქციის რაოდენობის მცირდება. აღნიშნულ პერიოდში ანალოგიური ვარდნა შეინიშნება სარაჯიშვილის წარმოებაშიც. ამ კონკრეტული პერიოდისათვის თბილისის არცის მწარმოებლები იბრძოდნენ რუსეთის ბაზრის დასაპყრობად. რუსეთში მათ მიერ წარმოებული პროდუქციის

<sup>155</sup> მირიანაშვილი მ. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში. თბ. 1980 გვ. 20

გასაღება ჭირდა, რადგან იქ ძირითადად მოიხმარდნენ უკვე ცნობილსა და მყარად დამკვიდრებულ რუსულსა და საზღვარგარეთულ ნაწარმს, რომელთან კონკურენციასაც ვერ უძლებდა საქართველოში წარმოებული პროდუქცია. მწარმოებლების ბრძოლა რუსეთის ბაზრის დაპყრობისათვის დიდად შეაფერხა 1900 წელს შემოდებულმა ახალმა სააქციზო წესებმაც, რომელმაც გააორმაგა არყის წარმოებაზე გაწეული ხარჯები. დადგენილი წესებით სააქციზო თანხა დამზადებულ 1 ვედრო არყის პროდუქტზე 1 მანეთიდან 2 მანეთამდე გაიზარდა.<sup>156</sup>

არყის წარმოებისთვის ერთგვარ შემაფერხებელ ფაქტორად ის მოვლენაც იქცა, რომ აღნიშნულ პერიოდში სპირტისა და არყის მწარმოებლებმა მთელი ყურადღება კონიაკის წარმოებაზე გადაიტანეს. ამ ფაქტორთა გამო დაიწყო პროდუქციის შემცირება და წარმოების დაქვეითება. ასევე საგულისხმოა, რომ სარაჯიშვილის წარმოებას დარგში იმდენად მოზრდილი წილი ჰქონდა (ეს ცხრილის მონაცემებიდანაც ჩანს) რომ მისი წარმოების ვარდნა აუცილებლად ახდენდა გავლენას მთლიანად თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნებში წარმოებული არყის მოცულობაზე.

როგორც ცხრილში წარმოდგენილი სტატისტიკური მასალიდან ჩანს, 1899 წლიდან აღმავლობა აღინიშნება როგორც ზოგადად საქართველოს სარექტიფიკაციო ქარხნებში, ასევე კონკრეტულად სარაჯიშვილის წარმოებაშიც. ეს აღმავლობა აშკარაა და 1899 წლიდან 1902 წლამდე სტაბილურია. სარაჯიშვილის წარმოებისა და ზოგადად საქართველოს ანალოგიური მონაცემები (ზრდისა, თუ დაქვეითების სურათი) ამჯერადაც ერთმანეთს ემთხვევა.

სარაჯიშვილის წარმოების მაღალი დონე დადასტურდა 1900 წლის პარიზის საერთაშორისო გამოფენასა და 1901 წ. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, სადაც სარაჯიშვილის არყის ნაწარმი ოქროს მედლით დაჯილდოვდა.<sup>157</sup> მანამდე, 1889 წელს, პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე სარაჯიშვილის ქარხნის პროდუქცია ორი ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა. ამავე წელს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე – ორი ოქროს

<sup>156</sup> მირიანა შვილიძე *მ. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში. თბ. 1980, გვ. 71*  
<sup>157</sup> *Д. Сапаридзе, 1901 გვ. 13*

მედლით.<sup>158</sup>

მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა, რომელიც საქართველოს არეის წარმოებაში 1900 წლიდან კვლავ დაიწყო, ეს წარმატებები არ იყო სტაბილური.

---

<sup>158</sup> იქვე, გვ. 12

### თავი III

## უცხოური კაპიტალი თბილისის გუბერნიაში XIX ს. და XX ს. დასაწყისში

### 3.1 ბერმანული კაპიტალი თბილისის გუბერნიაში

XIX ს. 60-იან წლებში რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გაუქმებამ გზა გაუხსნა ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას. როგორც რუსეთში, ასევე ამიერკავკასიაში. ამ მოვლენამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია მთელი იმპერიის მასშტაბით. კაპიტალიზმის განვითარების დაჩქარებისთვის შეიქმნა ფრიად ხელსაყრელი პირობები, თუმცა მხოლოდ სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, თუნდაც წიაღისეულ სიმდიდრეთა სიუხვე ვერ უზრუნველყოფდა მრეწველობისა და ზოგადად ეკონომიკის ცალკეული დარგების სწრაფ აღმავლობას. საჭირო იყო მნიშვნელოვანი ოდენობით თავისუფალი კაპიტალი, რომელიც ნაკლებად გააჩნდა როგორც ადგილობრივ, ასევე რუსეთის ბურჟუაზიას. რუსეთის ხელისუფლებამ სცადა თავის თავზე აეღო სოფლის მეურნეობის, ასევე მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, საბანკო საქმის განვითარება, რაც წარუმატებელი აღმოჩნდა. ამ წარუმატებლობით იყო განპირობებული, რომ მეფის მთავრობა ყველანაირად უწყობდა ხელს უცხოური კაპიტალის შემოსვლას და უცხოელ მეწარმეთა დამკვიდრებას ამიერკავკასიაში.

ადგილობრივი და რუსული კაპიტალის სისუსტით სარგებლობდნენ უცხოური კაპიტალის წარმომადგენლები და საკმაოდ მყარად იკიდებდნენ ფეხს ამიერკავკასიის მრეწველობის წამყვან დარგებში – მანგანუმის, სპილენძის, ნავთობის წარმოებაში. ეს თავის მხრივ ხელს უწყობდა ამიერკავკასიაში საშინაო ბაზრის ჩამოყალიბებას, რომელიც რუსეთის ბაზრის შემადგენელი ნაწილი იყო.

XXს.-ის დამდეგისათვის უკვე დასრულებული იყო მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის შექმნა. დედამიწა ძირითადად გადაინაწილეს წამყვანმა კოლონისტმა ქვეყნებმა – ინგლისმა, საფრანგეთმა, რუსეთმა. ახალგაზრდა, მსხვილი და მზარდი კაპიტალისტური ქვეყანა, როგორც იყო

გერმანია, თავს დაწაგრულად გრძნობდა და ამა თუ იმ ფორმით მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისკენ ისწრაფვოდა. არსებული ვითარების პირობებში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა კოლონიალიზმის არაპირდაპირ ფორმებს – სხვისი კოლონიების ტერიტორიებზე გერმანული დასახლებების შექმნას, ამა თუ იმ სახის ქონების შექმნას, კაპიტალის გატანას და ა.შ. იგი იძულებული იყო მიემართა რთული ტაქტიკური მანევრებისათვის და გამოეძებნა ექსპანსიის მოქნილი მეთოდები. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას ინსახურებდა ბერლინი–ბადდადი–ბოსფორის რკინიგზის მშენებლობა, რომელიც უნდა ქცულიყო გერმანიის ეკონომიკური შეღწევის მთავარ არტერიად არა მხოლოდ თურქეთში, არამედ მცირე და შუა აზიაში. ამ სტრატეგიაში მოიაზრებოდა გერმანიის პოზიციების გამტკიცება კავკასიაში და ბრიტანეთის ინდოეთში. ამ გენერალური გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ გერმანული მონოპოლიები, პოლიტიკური აგენტურა, დიპლომატია და სამხედრო წრეები.

გერმანული კაპიტალი, ისევე, როგორც ზოგადად უცხოური კაპიტალი, რომელიც რუსეთში შემოდიოდა XIX ს.-ის მეორე ნახევრიდან, მიზნად ისახავდა მაქსიმალური მოგების მიღებას. ამ დროისათვის რუსეთში საკუთარი კაპიტალის დაგროვების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და ამდენად უცხოური კაპიტალის შემოდინებით რუსეთის იმპერიაში ხელი ეწყობოდა ეკონომიკის განვითარებას. იმისათვის, რომ უცხოელ კაპიტალისტებს მაქსიმალური მოგება მიეღოთ, შემოჰქონდათ უახლესი ტექნიკა და ტექნოლოგიები. ამასთანავე, ვინაიდან უცხოეთიდან მაღალკვალიფიკაციური მუშახელის შემოყვანა ძალზე ძვირი ჯდებოდა, უცხოური, მათ შორის გერმანული კაპიტალის მეშვეობით ხდებოდა პროფესიული მომზადება, რაც ეკონომიკას ნაწილობრივ მაინც უვსებდა კვალიფიციური კადრების დეფიციტს, მათ შორის საქართველოშიც.

XIX-ს-ის 90-იანი წლებიდან სწრაფად ვითარდება გერმანიის საგარეო ვაჭრობა. 1890 წლისთვის იგი შეადგენდა 7,5 მლრდ. მარკას ოქროთი, 1900 წლისთვის იგი 10 მლრდ. მარკამდე გაიზარდა, ხოლო 1913 წელს მიაღწია 12 მლრდ. მარკას. ასეთი ზრდის მიუხედავად, გერმანიის საგარეო ვაჭრობის ბალანსი მაინც პასიური რჩებოდა. შემოტანილი ნედლეულისა და პროდუქციის ღირებულება მნიშვნელოვნად ჭარბობდა სამრეწველო საქონლის ექსპორტის

ღირებულებას.<sup>159</sup>

XIX ს-ის 80-იანი წლების დასაწყისასი გერმანიის ინვესტიციებმა საზღვარგარეთ 5 მლრდ. მარკას მიაღწია.<sup>160</sup> 1893 წელს – 10, ხოლო 1905 წლისთვის – 15-18 მლრდ. მარკას.<sup>161</sup> ამ პერიოდისთვის არსებობს განსხვავებული მონაცემებიც და ზუსტი ციფრის დადგენა ჭირს.

რაც შეეხება გერმანიისა და საქართველოს სამეურნეო ურთიერთობებს, გერმანელთა მხრივ საქართველოთი დაინტერესება XIX ს. შუა ხანებიდან შეიმჩნევა. გერმანულმა კაპიტალმა XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში ფირმა “სიმენსი და ჰალსკეს”, სამთამადნო სააქციო საზოგადოებების – “გელზენკირხენისა,” “გერმანიის კაიზერის”, სააქციო საზოგადოება “ზინგერის”, და ასევე უამრავი წვრილი საწარმოს სახით მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

არსებითია ის გარემოება, რომ გარდა აღნიშნული პერიოდისა, საუკუნეების განმავლობაში გერმანიისა და საქართველოს ჰქონდათ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ურთიერთობებიც, რომლებიც ძირითადად სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის იყო. ზოგჯერ მას კომერციული მიმართულებაც ჰქონდა, კერძოდ, ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან, მთელი შუასაუკუნეების მანძილზე საქართველო იმყოფებოდა სავაჭრო გზაჯვარედინზე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. ამ გზების ერთი განშტოება, რომელიც მცირე აზიიდან ხმელთაშუა და შავი ზღვის გავლით აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა, სწორედ საქართველოზე გადიოდა და ეს ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარაგნო – “აბრეშუმის დიდი გზა” ჩინეთს ევროპასთან აკავშირებდა. ამ გზით საქართველოში მრავალგზის ჩამოსულან ევროპელი და მათ შორის გერმანელი ვაჭრები.<sup>162</sup>

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად, XVI-XVII საუკუნეებში ევროპელებმა უპირატესობა საოკეანო გზებს მიანიჭეს და სახმელეთო-სატრანსპორტო ვაჭრობაც შენედა. აქედან გამომდინარე, საქართველომაც,

<sup>159</sup> Лукин-Антонов Н.М. \_ Очерки по новейшей истории Германии 1890-1914 гг. М. 1925, გვ. 37.

<sup>160</sup> Кучинский Ю. \_ История условия труда в Германии. М. 1949 г. гв. 1

<sup>161</sup> Fis H. \_ Europe the World's Banker \_ 1870-1914. New Haven 1930 p.70

<sup>162</sup> D \_ გველეხიანი რ. გერმანია-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები.

როგორც “აბრეშუმის დიდი გზის” ერთ-ერთმა მონაკვეთმა მნიშვნელობა დაკარგა.

XVIII-XIX საუკუნეებში საქართველოთი გერმანელთა დაინტერესება სამეურნეო ინტერესებმა განაპირობა, განჩნდა ინტერესი საქართველოს ბუნებრივი წიაღისეული სიმდიდრეებისადმი. 1779-1783 წლებში საქართველოს მეფე – ერეკლე II-ის კარზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იაკობ რეინგსი, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს სამთამადნო წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებას, თოფის წამლის ევროპული წესით წარმოებას, ზარბაზნების ჩამომსხმელი “ქარხნის” დაარსებას, ქართული სასტამბო – პოლიგრაფიული მეურნეობის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, ი. რეინგსმა (რომელსაც საქართველოში იაკობ ბეის სახელით მოიხსენიებდნენ) მეფის სასახლის ერთ-ერთ დარბაზში გახსნა “საბატონიშვილო სკოლა”, სადაც ბატონიშვილებს თვითონ და თბილისელი კათოლიკე პატრები ასწავლიდნენ. მათ პირველად შემოიღეს უცხო ენების: ფრანგულის, გერმანულის, იტალიურის, ლათინურის სწავლება. რეინგსის დახმარებით გაიზარდა ჯარის რაოდენობა, დადგინდა ჯარში სამსახურის ვადა, უღუფა, ჯამაგირი ისე, როგორც ეს გერმანულ ჯარში იყო. გაფართოვდა თბილისის ზარაფხანა, სადაც 1832 წლამდე იჭრებოდა ქართული ფული. მანვე წვლილი შეიტანა საქართველოში ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებაში. მიმოწერა გამართა ავსტრიასა და პოლონეთთან, მოიწვია იქაური ხელოსნები, რომლებმაც მრავალი სიახლე შემოიტანეს.

XIX ს-ში დაიწყო გერმანელთა გადმოსახლება ამიერკავკასიაში, რომელიც გარდა ზემოთ აღწერილი პოლიტიკური სტრატეგიისა, მიზეზთა კომპლექსმა განაპირობა. მაგ. აკად. პ. გუგუშვილი საქართველოში გერმანელ კოლონისტთა გამოჩენას ეკონომიკური მიზეზებით ხსნის და რელიგიური ფაქტორი მხოლოდ საბაბად მიაჩნია. ის, რომ რელიგიური ფაქტორი არა საბაბი, არამედ გადმოსახლების საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზი უნდა ყოფილიყო, დამაჯერებლად საბუთდება პროფ. ა. ცინცაძის მიერ; კერძოდ, 1817-1818 წლებში საქართველოში პირველი გერმანული კოლონიების დამაარსებელნი ძირითადად იყვნენ ვიურტენბერგიდან და ბადენიდან. სწორედ აქ არსებობდა ღრმად

ფესვგადგმული სეპარატული რელიგიური მოძღვრება, რომელიც ბიბლიის საფუძველზე აქცენტს აკეთებდა აპოკალიფსზე, ანუ ქრისტეს მეორედ მოსვლაზე და მის მიერ ათასწლოვანი სამეფოს შექმნის შესახებ. მათი მოძღვარნი აპოკალიფსისთვის მზადებას და სულიერი განწმენდის შესაძლებლობას ხედავდნენ აღმოსავლეთით გადასახლებაში და თავიანთ მიმდევრებს მოუწოდებდნენ მაღალმთიან ამიერკავკასიაში გადასახლებისკენ, სადაც მათი მოსაზრებით შესაძლებელი იქნებოდა განკითხვის დღისაგან თავის გადარჩენა. ამგვარი რელიგიური შეხედულებების პროპაგანდისათვის ისინი იდევნებოდნენ გერმანიის ოფიციალური ეკლესიისაგან. ამას თან დაერთო ეკონომიკური შევიწროება და პოლიტიკური უფულებობით გამოწვეული უკმაყოფილება. კავკასია და განსაკუთრებით ქრისტიანული საქართველო მათ ამ წინააღმდეგობებისაგან თავის დასხნის ერთ-ერთ ახალ სოციალურ გარემოდ დასახეს, სადაც საბოლოოდ მოხდა კიდევ მათი პიროვნული და სამეურნეო-კულტურული ადაპტირება.

რუსეთის ხელისუფლება არ იყო წინააღმდეგი ამ გადმოსახლების, მაგ. გენერალ ერმოლოვს, რომელიც 1816 წ. კავკასიის მთავარმმართველად დაინიშნა, მიაჩნდა, რომ ქართველებს მეურნეობის გაძღოლის უნარი არ შესწევდათ, ანუ არ ჰქონდათ სამეურნეო კულტურა და რომ კარგი იქნებოდა იგი სხვებისგან, ამ შემთხვევაში გერმანელებისგან ესწავლათ. თუმცა საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ სამეურნეო კულტურის მწვავე დეფიციტს სხვებზე არანაკლებად თავად რუსეთი განიცდიდა. თანხები, რომელიც ახალ მიწებზე კოლონისტების მოწვობაზე იხარჯებოდა, საკმაოდ სოლიდური იყო (სამი ათასი მანეთი საშუალოდ თითო ოჯახი). 1810 წელს და უფრო ვრცელი სახით 1816 წელს გამოიცა კანონი ხაზინის მიერ აღნიშნული ხარჯების შეწყვეტის შესახებ. მიუხედავად ამისა, მთავრობამ გერმანელთა ამიერკავკასიაში დასახლებისად თავდაპირველად 100 000 მან. მაინც გაიღო.<sup>163</sup>

ვიურტემბერგელთა პირველი ჯგუფი 31 ოჯახის ოდენობით (181 კაცი) 1817 წ. სექტემბერში უკვე თბილისში იყო. ამ კოლონისტებისათვის მთავრობამ მიწები

---

<sup>163</sup> სცხს, მია, ფონდი 75, საქმე 578/171. ფ. 1-29; ფონდი 151, საქმე 3/19, 1821-1835 წწ. ფ. 516.



თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სართიჭალის მახლობლად გამოყო. თითოეულ ოჯახზე გათვალისწინებული იყო 60 დესეტინა მიწა. მათთვის საცხოვრებელი ბინების ასაშენებლად გენერალმა სტალმა (მთავარმმართველ ერმოლოვის მოადგილემ) დაასაქმა ჯარისკაცები, ხოლო სანამ სახლებს ააშენებდნენ, ახალმოსახლენი სოფ. მარტყოფში დააბინავეს.

1818 წლის დასაწყისისთვის ყველა გერმანელი დაასახლეს შემდეგ ადგილებში:

1. 1817 წ. ჩამოსული 31 ოჯახი მარიენფელდში მდ. იორთან სართიჭალაში, თბილისიდან 35 ვერსის მანძილზე. თითოეულ ოჯახს მისცეს 35 დესეტინა სახნავი, აგრეთვე საძოვრები, ტყეები;

2. 1818 წ. ვიურტემბერგიდან ჩამოსული 17 ოჯახი (148) კაცი დასახლდა პეტერსდორფში, მარიენფელდიდან ნახევარი ვერსის მანძილზე, შემდეგ ეს ორი კოლონია გაერთიანდა;

3. 23 ოჯახი (99კაცი) დასახლდა ალექსანდერსდორფში, თბილისის ჩრდილო-დასავლეთით მაშინდელი დიდუბის სახაზინო მიწებზე (665 დესეტინა);

4. კოლონისტების ერთი ნაწილი (49 ოჯახი, 200 კაცი), რომლებმაც იცოდნენ სხვადასხვა ხელობა, დასახლდა კუკიაზე (თბილისში);

5. 65 ოჯახი (307 კაცი) დასახლდა ელიზაბეტტალში – მდ. ალგეთის ხეობაში სამაჩყეთის სახაზინო მიწებზე;

6. 102 ოჯახი (350კაცი) – მდ. მაშავერას ხეობაში ეკატერინენფელდში, თბილისიდან 60 ვერსის მანძილზე;

7. 91 ოჯახი (237კაცი) – ანენფელდში, შამქორის სახაზინო მიწებზე, თბილისიდან 155 ვერსის მანძილზე;

8. 130 ოჯახი (501 კაცი) – ელენდორფში, განჯის მახლობლად.<sup>164</sup>

ჩამოსახლებული გერმანელები ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით უპირატესობებით სარგებლობდნენ, მაგალითად, იღებდნენ სახელმწიფო დახმარებას, თავისუფლდებოდნენ ვალის გადახდისაგან, იხდიდნენ სხვებთან შედარებით ნაკლებ გადასახადს, მათზე გაიცემოდა ადგილობრივ მოსახლეობაში

---

<sup>164</sup> სცხს. მია, ფონდი 75, საქმე №250, 1839-50 წწ. ფურც. 40.

უფასოდ მოკრებილი ხორბალი. გერმანელებს უპირატესობა მიანიჭეს ჩამოსახლებულთა შორისაც. მაგალითად, ირანიდან და თურქეთიდან საქართველოში ჩამოსახლებულ სომხებს მისცეს 6 დესეტინა მიწა 1 ოჯახზე; თურქეთიდან ჩამოსახლებულ ბერძნებს – 3 დესეტინა, ხოლო გერმანელებს – 35 დესეტინა მიწა. (უშუალოდ თბილისში დასახლებულ გერმანელ ხელოსნებს – 2 დესეტინა).

1842 წ. საქართველოში გერმანელთა კიდევ 10 ოჯახი ჩამოვიდა, რომლებიც ფრეიდენტალში (აბასთუმანთან) დასახლდნენ, კოლონისტთა ეს ჯგუფი სავარგულების უკმარისობის გამო უკმაყოფილონი დარჩნენ და მათი უმრავლესობა მარიენფელდთან გადასახლდა.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ნამდვილად ცდილობდა ჩამოსახლებულ გერმანელთა ყოველმხრივ დახმარებას, არსებობდა მთელი რიგი მიზეზებისა, რომელიც ხელს უშლიდა მათ სამეურნეო აქტიურობას და ზოგადად ახალ გარემოსთან ადაპტაციას. კერძოდ, 1. საქართველოს ტრადიციულ მტერთა თარეშის ჯერ კიდევ სრულად აულაგმავობა; 2. საქართველოს მიწებზე საკუთრების უფლების გაურკვეველობა, რის გამოც მიწის ერთსა და იმავე ნაკვეთზე ხშირად პრეტენზიას აცხადებდნენ ცალკე მემამულეები, ცალკე ხაზინა და ცალკე ეკლესია; 3. კოლონისტებისათვის უჩვეულო ჰავა და გარემო და 4. დაბრკოლება, რომელიც მათივე მისტიკურ-რელიგიური შეხედულებებიდან მომდინარეობდა. საქმე ეხება კოლონისტებს შორის ერთხანს მიწენარებულ სეპარატულ მოძრაობას, რომელიც კვლავ გამწვავდა 1832 წელს,<sup>165</sup> შემდეგ 1835 წელს, განსაკუთრებით კი – 1843 წელს,<sup>166</sup> როდესაც სეპარატისტთა ლიდერები უკვე ნიშნავდნენ დღეს (30 მაისს), როდესაც უნდა დაეტოვებინათ კოლონიები და “უზენაესი ძალების” შთაგონებით პალესტინაში უნდა გამგზავრებულყვნენ. ამ მოძრაობის ცენტრი იყო ეკატერინენფელდი.

რელიგიურ საკითხებზე დავაში გართულნი უყაირათობას იჩენდნენ არა მხოლოდ სოფლად დასახლებული კოლონისტები, არამედ თბილისში (კუკიაზე)

---

<sup>165</sup> АСКАК, VIII, № 161-163, გვ. 229-232.

<sup>166</sup> АСКАК, IX, № 573 გვ. 680-691.

დასახლებულებიც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა ხელობის ოსტატები იყვნენ. ამ დროს კი თბილისში დიდი მოთხოვნა არსებობდა კვალიფიციურ ოსტატებზე და ყოველი რიგიანი ოსტატის შრომა ძვირად ფასობდა.

მთავრობა რა თქმა უნდა ხანგრძლივად ვერ შეეგუებოდა კოლონისტების ამგვარ ყოფას. გენერალმა ნეიდგარდტმა მათგან მოითხოვა დავალიანების დაფარვა, როდესაც ამ ხერხმაც არ გაჭრა, მთავარსარდალმა ბრძანება გასცა ისინი სამხედრო ძალებით შეეჩერებინათ.<sup>167</sup> ამავე წლის აგვისტოში მთავრობის შეგონებით სეპარატისტებმა სამი კაცი მიაგლინეს პალესტინაში, მათი იქ დასახლების შესაძლებლობების გასარკვევად. მივლინებულები იმავე წელს დაბრუნდნენ და მოიტანეს ინფორმაცია, რომ შეუძლებელი იყო პალესტინაში გადასახლება. ამის შემდეგ გერმანელი კოლონისტები თანდათან დამშვიდდნენ და გული დაუდეს სამეურნეო ცხოვრებას. ისინი ევანგელისტურ მოძრაობას მიეკედლნენ და შრომასაც უფრო მუყაითად მოჰკიდეს ხელი. ამრიგად, გერმანელებმა, რომლებიც მთელი ოცდახუთი წლის მანძილზე “ჩემოდნებზე ისხდნენ”, სამეურნეო ცხოვრებას ხელი ორმოცდაათიან წლებში მოჰკიდეს. ჩამოსახლებულმა გერმანელებმა საკმაოდ გააქტიურეს სამეურნეო ცხოვრება და დაიწყეს სამეწარმეო საქმიანობა.

საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო გერმანელთა ინტერესები ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში. მომრავლდა ახალშენები, სადაც კომპაქტურად სახლდებოდნენ გერმანელები. კოლონისტებს ხელისუფლება დიდად უწყობდა ხელს, მათ მრავალჯერ გადაეცათ თანხა დაუბრუნებელი სესხის, თუ დახმარების სახით იმისათვის, რომ შეეძინათ შენობა-ნაგებობები მეწარმეობის დასაწყებად, წისქვილები, არხები და ა.შ. მათ ფეხი მოიკიდეს საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისშიდა თბილისის შემოგარენში, ამას მოწმობს 1886 წლის მონაცემები. კერძოდ, თბილისის გუბერნიაში აღირიცხებოდა 1984, ხოლო მთლიანად საქართველოში 3455 გერმანელი. გერმანელებმა ხელი მიჰყვეს ხელოსნობას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც XIX ს. 60-იან წლებში გატარდა საამქრო რეფორმა და სახელოსნოები ერთიან საქალაქო

---

167 АСКАК, IX, № 573, гв. 695-700.

მმართველობას დაუქვემდებარეს. გერმანელი ხელოსნები ერთიანდებოდნენ ამქარში უპირატესად როგორც უსტაბაშები, ან მისი კანდიდატები. მაგალითად, კოტრინმა შექმნა ეტლების მკეთებელთა ამქარი, ბემლერს ეკუთვნოდა გერმანელ მფრეკმეთა, ხოლო კლოტცს გერმანელ მეფუნთუშეთა ამქარი.<sup>168</sup>

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს “სიმენსისა და ჰალსკეს” ფირმა, რომელიც გერმანიაში ელექტროტელეგრაფის დამფუძნებლად ითვლება. მას განსაკუთრებული წარმატებები ჰქონდა ელექტროგანათების შემოღების შემდეგ, ასევე, ერთერთი პირველთაგანი იყო კაპიტალის გატანაში. მან ამიერკავკასიაში თავისი საქმიანობა XIX ს. 50-იან წლებში სატელეგრაფო ხაზების გაყვანით დაიწყო. სატელეგრაფო ხაზების გაყვანა რუსეთის ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა, რათა კავშირი დამყარებინა კავკასიის სხვადასხვა რეგიონში განლაგებული ჯარის ნაწილების სარდლობასთან სწრაფი კონტაქტებისთვის. სამხედრო უწყებამ ეს საქმე “სიმენსისა და ჰალსკეს” დააფარა. მან სატელეგრაფო ხაზი გაიყვანა თბილისიდან კოჯრის მიმართულებით. ეს ხაზი 1858 წლის ივლისში ამუშავდა და პირველი იყო ამიერკავკასიაში. ამ ხაზის შემდეგ ამოქმედდა კავკასიის სხვა სატელეგრაფო ხაზებიც: თბილისი–ფოთის (ბორჯომის განშტოებით), თბილისი–სტავროპოლის, თბილისი–ბაქოს, კავკასია–სპარსეთის, კავკასია–თურქეთის და ასევე, ინდოეთ–ევროპის სატელეგრაფო ხაზი თბილისზე გავლით.<sup>169</sup>

სიმენსების მიერ ამ რეგიონში გაყვანილი სატელეგრაფო ხაზების მეშვეობით გერმანიის კაპიტალისტები გაცილებით სრულყოფილ ცნობებს იღებდნენ აქ სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის შესახებ.

XIX ს. 70-იანი წლებისათვის თითქმის მთელი კავკასია დაიფარა ტელეგრაფის ქსელით. ყველა მოზრდილ ქალაქს ჰქონდა სატელეგრაფო კავშირი სხვა ქალაქებთან. 1865 წელს სატელეგრაფო კავშირი დამყარდა თბილისსა და თეირანს შორის, გარდა ამისა, თბილისის საშუალებით თეირანი უკავშირდებოდა მოსკოვსა და პეტერბურგს, მათი მეშვეობით კი ევროპას.<sup>170</sup>

“სიმენსმა და ჰალსკემ” საქართველოში მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი არა

<sup>168</sup> D. მანჯგალაძე გ. “გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში” თბ. 1970.

<sup>169</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>170</sup> იქვე, გვ. 36.

მხოლოდ სატელეგრაფო ხაზების მშენებლობაში, არამედ ეკონომიკის სხვადასხვა დარგებშიც: სპილენძისა და ნავთობის წარმოებაში, კობალტისა და ძვირფასი ლითონების მოპოვებაში. მისი დამსახურებაა ასევე ამიერკავკასიაში ელექტროსადგურების მშენებლობა. ამ მშენებლობით ამიერკავკასიისა და საქართველოში სულ უფრო მეტად მოიხმარდნენ ელექტროენერგიას და შესაბამისად, იზრდებოდა მოთხოვნა ელექტროტექნიკურ საქონელზეც. „სიმენსმა და ჰალსკემ“ დაიწყო მნიშვნელოვანი რაოდენობით ელექტროტექნიკური საქონლის შემოტანა და წარმატებით ვაჭრობდა.

გარდა მსხვილი კაპიტალისა, საქართველოში დაინტერესებულნი იყვნენ კერძო პირებიც. 60-იანი წლების ზემოთ ნახსენებ საამქრო რეფორმამდე, 1852 წელს პრუსიელმა კარლ მეიციწერმა თბილისის მახლობლად, მდ. ვერაზე სოფ. დრეში გახსნა მაუდის საფეიქრო სარეწი. მეიციწერის ვარაუდით, მაუდი უნდა ეწარმოებინა უმთავრესად კავკასიის ცალკე კორპუსის არმიისათვის. მისი ვარაუდით, სრული დატვირთვის პირობებში ამ „ფაბრიკაში“ უნდა ემუშავა 269 კაცს. „ფაბრიკას“ ჰქონდა მატყლის სარეცხი, საპენტი, საშრობი, დამხარისხებელი, სართავი და საფეიქრო საამქროები. სართავსა საფეიქრო საამქროებში მხოლოდ მეორეხარისხოვან მატყლს ამუშავებდნენ, ხოლო დახარისხების შემდეგ მიღებული პირველხარისხოვანი მატყლი განკუთვნილი იყო საექსპორტოდ უცხოეთისა და მოსკოვის ბაზრებისათვის.

“ფაბრიკის” ნაწარმის მთავარი მომხმარებელი სამხედრო უწყება უნდა ყოფილიყო, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მესარეწესთან დადებული ხელშეკრულება – კავკასიის ცალკე კორპუსისათვის შიდა რუსეთში არსებული ფასების მიხედვით ამ სარეწის მიერ მაუდის მიწოდების შესახებ – გააუქმეს, რადგან ეს დააზარალებდა რუსეთის შიდა გუბერნიებში არსებულ იგივე პროფილის ფაბრიკებს, რომლებიც მაუდს ასევე არმიისათვის ამზადებდნენ. მომდევნო წლებში ამ მაუდის „ფაბრიკამ“ კვლავ ვერ მიაღწია იმას, რომ არმიის მაუდის მიმწოდებელი გამხდარიყო, მიუხედავად იმისა, რომ ეს მაუდი გაცილებით იაფი დაუჯდებოდა ხაზინას, ვიდრე რუსეთის გუბერნიებიდან შემოტანილი.

მინისტრი მიზანშეუწონლად მიიჩნევდა დრეს ფაბრიკისთვის წლიურად

90 არშინი მაუდის შეკვეთას და მან ამ თხოვნაზე შესაბამისი რეზოლუცია დაადო: „... по мнению моему едва ли удобно допустить, чтобы промышленности означённого края было оказываемого поощрение в ущерб промышленности внутренних губерний”<sup>171</sup> ამ წინააღმდეგობათა გამო, რამდენიმე წლის შემდეგ, 1860 წ. ეს ფაბრიკა დაიხურა.

მეცნერის წარმოებაში იყო მანუფაქტურული და ფაბრიკული წარმოების ელემენტები. ხელით წარმოებას საკმაოდ მოზრდილი ადგილი ეჭირა, აქ საფეიქრო საამქროში მოქმედებდა 9 ხელის დგიმი (საქსოვი დაზვის დეტალი) და 2 მექანიკური დგიმი.

XIX ს-ის 60-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ლითონდამამუშავებელ საწარმოთა რაოდენობა. მომრავლდა ასევე ის საწარმოები, სადაც სხვა კომპონენტებთან (უმთავრესად ხის მასალებთან) ერთად იყენებდნენ ლითონის დეტალებს. გერმანელთა მიერ მოწოდებული ამგვარი ლითონდამამუშავებელი საწარმოები ძირითადად თბილისში იყო განლაგებული. ამ საწარმოებს დიდი სახელოსნოების სახე უფრო ჰქონდათ, ვიდრე ფაბრიკა-ქარხნებისა.

1860 წლიდან თბილისში არსებობდა ერნსტ ზომერის მექანიკური სახელოსნო, რომელიც ლითონის სახვადასხვა ნაკეთობებს აწვდიდა როგორც თვით ქალაქს, ისე მთელს ამიერკავკასიას. სახელოსნოში 10 ქარგალი და 12 შეგიდი მუშაობდა,<sup>172</sup> სახელოსნო ამზადებდა სახვადასხვა სახის მანქანა – იარაღებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ სახელოსნოს მიერ დამზადებული სიმინდის საფხენელი ხელის მანქანა, 50 ც. ოდენობით. 1862 წელს სოფლის მეურნეობის სამმართველომ აღნიშნული მანქანები საწარმოს შეუკვეთა, თითოეული 30 მანეთად. ამავე წელს, საშემოდგომო გამოფენაზე ეს მანქანა წარადგინეს და მოწონება დაიმსახურა, რის შედეგადაც ზომერმა თავისი წარმოება მნიშვნელოვნად გააფართოვა.

ამავე პერიოდში მოქმედებდა გოტლიბ გენინგენის საწარმო, სადაც 9 ოსტატი იყო დასაქმებული და ლითონის სხვადასხვა სახის ნაკეთობებს

<sup>171</sup> ЦГИАЛ, док. 1268. оп. 7, д №350, 1835 г. л. 25

<sup>172</sup> ხოშტარია ე – მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს საქართველოში. თბ. 1966. გვ. 129.

ამზადებდა. იგი წელიწადში 6000 მანეთამდე ღირებულების პროდუქტს უშვებდა.<sup>173</sup>

60-იანი წლების ბოლოსათვის მექანიკური სახელოსნო გახსნა პრუსიელმა ვილჰელმ ფრანკენმა. საწარმოში საქმიანობდა 15 მუშა და ძირითადად მზადდებოდა სასოფლო სამეურნეო იარაღები და მანქანები, რომელთა საერთო ღირებულება წელიწადში 6-7 ათასი მანეთი იყო. 70-იან წლებში ეს სახელოსნო ფრანკენის ქვრივის – ლუიზა ფრანკენის ხელში გადავიდა, თუმცა გარკვეული სიძნელეების მიუხედავად სახელოსნო წარმატებით განაგრძობდა მუშაობას.

1883 წელს თბილისში მექანიკური სახელოსნო გახსნა ემანუელ შვარცმა. თვით შვარცი ფიზიკურად ამ სახელოსნოში არ მუშაობდა, იგი სახელოსნოს ნაწარმით ვაჭრობდა. სახელოსნოში მუშაობდა 12 მუშა, მათ შორის 8 იყო მცირეწლოვანი. სახელოსნოში წარმოებული წლიური პროდუქციის მოცულობა იყო 10 000 მან.<sup>174</sup>

მოგვიანებით, 1900 წელს, ამავე პროფილის შედარებით მსხვილი საწარმო გახსნა ბეჟლემ. ამ საწარმოში ერთი წყაროს ცნობით 13-14, ხოლო მეორეთი – 21 მუშა მუშაობდა. წლიური პროდუქციაც ერთ შემთხვევაში ნახევნებია 5-6 ათასი მან, ხოლო მეორეში – 10 000 მან. 1901 წლიდან ამ საწარმოში გაზის ძრავაც ამოქმედდა.<sup>175</sup>

ზემოაღნიშნულ მექანიკურ საწარმოებში მანქანა-იარაღებთან ერთად მზადდებოდა რკინა-კავეული, სხვადასხვა სახის ფურნიტურა, კლიტეები, საყოფაცხოვრებო საგნები და სხვა. გერმანელთა სახელოსნოები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ავეჯის წარმოებაშიც. 1846 წელს ფრიდრიხ ზაიტცერმა თბილისში დააარსა ავეჯის სახელოსნო, რომელიც შემდგომ თანდათან გაფართოვდა და 80-იანი წლებისათვის კაპიტალისტურ საწარმოდ იქცა. საწარმოში ხისა და ლითონის ნაწილებისაგან ამზადდებდნენ ყოველგვარ ავეჯს და მაღალი ხარისხის პარკეტს. აქ ამ დროისათვის მუშაობდა 40 მუშა მათ შორის–15 მცირეწლოვანი. ფაბრიკის ყოველწლიური პროდუქცია 40 000 მან. აღწევდა.

<sup>173</sup> იქვე, გვ. 137

<sup>174</sup> Гулишамбаров ОФЗТ губернии, Тб.1888. გვ. 184-185.

<sup>175</sup> ხომტარია ე. – დასახ. ნაშრომი. გვ. 133

1877წ ავეჯის სახელოსნო გახსნა რენცმა. აქ მზადდებოდა კარ-ფანჯრები, მაგიდები, სკამები, კარადები. საწარმოში 6 კაცი მუშაობდა, რომლებიც წლიურად 7000 მანეთის პროდუქციას უშვებდნენ. 1900 წლისთვის აქ დასაქმებული იყო 24 კაცი, ხოლო წლიური ბრუნვა იყო 11 000 მან.<sup>176</sup>

ეტლების წარმოებაში ყურადღებას იქცევს მეორე გილდიის ვაჭარი კოტრინი, რომელმაც გაამსხვილა თავისი სახელოსნო და 1884 წელს საწარმო დააარსა. იგი წელიწადში ამზადებდა 10 ეტლსა და 40 საზიდარს – 10 400 მან. ღირებულების პროდუქციას. კოტრინის საწარმოში 20-24 კაცი მუშაობდა. საწარმო მდებარეობდა თბილისის გერმანელთა კოლონიაში, კოტრინის საკუთარ სახლში.<sup>177</sup>

ეტლების დამამზადებელი, შედარებით მცირე, სახელოსნო ჰქონდა დ. მეიერს. აღსანიშნავია, რომ ამ საწარმოებში იშვიათად იყენებდნენ მექანიკურ ძრავებს, თუმცა ისინი იყენებდნენ მრავალი სახის ხელსაწყო-იარაღებს და მრავალნაირ მოწყობილობას–სახარატო დაზგებს, ბურღებს, სამჭედლო ქურებს და სხვა, რაც მუშებისა და ოსტატების სათანადოდ დასპეციალებას და კვალიფიკაციას მოითხოვდა. თავისი ხასიათით ეს საწარმოები ძირითადად კაპიტალისტურ, მარტივი ტიპის კოოპერატიულ საწარმოებს წარმოადგენდნენ. მათ დიდ უმრავლესობას მანუფაქტურის სახე ჰქონდა, სადაც შრომა დანაწილებული იყო.

შედარებით მსხვილი იყო ბეპლეს სამჭედლო-მექანიკური საწარმო, სადაც თავდაპირველად მექანიკურ ძრავას იყენებდნენ. ამ საწარმოს 900-იან წლებში აშკარად ქარხნის სახე ჰქონდა, დასაქმებული იყო 20-ზე მეტი მუშა და მისმა წლიურმა ბრუნვამ 14000 მან. შეადგინა.<sup>178</sup>

საკმაოდ მოზრდილი იყო ვუდერლიხის რკინა-კავეულის საწარმო, სადაც საუკუნის მიწურულისათვის მუშათა რაოდენობა 12-დან 25-მდე გაიზარდა და 25 000 მანეთის ნაწარმი მზადდებოდა.

მაღალი ხარისხის ინსტრუმენტებს ამზადებდა ანდერეგის საინსტრუმენტო სახელოსნო. აქ 10-მდე ოსტატი მუშაობდა და წლიური პროდუქციის ღირებულება

<sup>176</sup> Гулишамбаров Ст. *იქვე*, გვ. 187-189

<sup>177</sup> მანჯგალაძე ვ. D – “გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში” თბ. 1970

<sup>178</sup> *იქვე*



700 მანეთს შეადგენდა.

აღნიშნული საწარმოები, რომელთა უმრავლესობასაც, მსხვილი, გაფართოებული სახელოსნოების სახე ჰქონდათ, ფართოდ იყენებდნენ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სიახლეებს, სხვადასხვა სახის გაუმჯობესებულ იარაღებს. მათ უმრავლესობაში შრომა დანაწილებული იყო. ზოგიერთ მათგანში მოგვიანებით მექანიკური ძრავებიც გამოიყენეს. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ აღნიშნული სახელოსნოები თავის ხასიათით მანქანურ წარმოებაზე გარდამავალ საწარმოებს წარმოადგენენ. კაპიტალისტური ტიპის მოზრდილი სახელოსნოები, რომლებსაც გერმანელი კოლონისტები აარსებდნენ, თავისუფალი იყო ტრადიციული ამქრული ორგანიზაციისაგან.

გერმანელმა მეწარმეებმა, რომელთა სახელოსნოები XIX ს. 30-იანი, განსაკუთრებით კი 40-იანი წლებიდან არსდება, ერთგვარი წვლილი შეიტანეს საქართველოსა და ამიერკავკასიაში მანქანური ელემენტების დანერგვაში. შემდგომში მათ საფუძველზე წარმოიქმნა ფაბრიკულ-ქარხნული საწარმოები.

ფ. მეიერმა 80-იან წლებში აამუშავა წისქვილები ორთქლის ძრავაზე. ამ წისქვილებში ადგილობრივი ხორბლისაგან იფქვებოდა სხვადასხვა ხარისხის 50 000 ფუთი ფქვილი – სულ 59 000 მან. ღირებულების. წისქვილი ალჭურვილი იყო ერთი ორთქლის ქვაბით და ორი წყლის ძრავით, აქ მუშაობდა 17 მუშა. წისქვილში წარმოებული პროდუქცია ადგილზე, თბილისის გუბერნიაში იყიდებოდა, რასაც თვითონ მეიერი უძღვებოდა.

ასევე ორთქლის წისქვილი, ოღონდ შედარებით წვრილმასშტაბური ჰქონდა პროსიელ ფედოროვიჩს, მისი წარმადობა წელიწადში საშუალოდ 1 000 მანეთის ღირებულების პროდუქცია იყო.<sup>179</sup>

მნიშვნელოვანია, რომ თბილისში შექმნილი იყო ზინგერის სახელოსნო. რუსეთის იმპერიაში “კომპანია ზინგერი” სააქციო საზოგადოების სახით 1897 წელს შეიქმნა, როდესაც მთავრობამ დაამტკიცა მისი წესდება. იურიდიულად მის დამაარსებლად ამერიკული ფირმა ითვლებოდა, მაგრამ მის საქმიანობას გერმანული ფირმის წარმომადგენლები განაგებდნენ. თბილისში იგი რუსეთის პოდოლსკის ქარხნის ერთგვარ ფილიალს წარმოადგენდა. “ზინგერის”

<sup>179</sup> როდონაია ნ. თბილისის მრეწველობა XIX ს. მეორე ნახევარში. თბ. 1961.

სახელოსნო თბილისში თავდაპირველად აწყობდა მანქანებს საზღვარგარეთისა და რუსეთიდან შემოტანილი ნაწილებით. შემდგომ სახელოსნო გააფართოეს და დაიწყო საკერავი მანქანების ცალკეული დეტალების დამზადება და მანქანების შეკეთება.<sup>180</sup>

მყიდველთა მოსაზიდად “ზინგერი” ფართოდ იყენებდა ძველი მანქანების ჩაბარების წესს, რაც უცხოეთში არსებული “ზინგერის” საზოგადოებებიდან გადმოიღეს. ამ წესის თანახმად, ახალი მანქანის შექენისას, ან უბრალოდ მყიდველის სურვილით, კომპანია იძენდა ნებისმიერი კლასისა და მოდელის ძველ მანქანებს. თუ შესაძლებელი იყო, მანქანებს არემონტებდნენ და ყიდდნენ უფრო დაბალ ფასებში, თუ არა და ვარგის ნაწილებს ხსნიდნენ და დანარჩენს ჯართად იყენებდნენ. “ზინგერი“ თავის საკერავ მანქანებს კრედიტით (განვადებითაც ყიდდა). იგი პირველ რიგში ცდილობდა მაღაზიის ხელმძღვანელობისა და აგენტების მეშვეობით თავისი კლიენტების კრედიტუნარიანობის დადგენას, აგროვებდნენ ცნობებს ყოველი მყიდველის ქონებისა და შემოსავლების შესახებ, არკვევდნენ, შეეძლო, თუ არა მას ყოველკვირეული, ან ყოველთვიური გადასახადი თანხის შეტანა. იმის გამო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მიწათმოქმედი იყო, საკერავი მანქანებით ვაჭრობა დამოკიდებული იყო მოსავალზე. კარგი მოსავლის პირობებში ისინი ზრდიდნენ შეკვეთებს მანქანებსა და მის ნაწილებზე, თუ არა და, მომმარაგებლებისგან ნაკლებ საქონელს ითხოვდნენ.

ეს კომპანია საკერავი მანქანებით ვაჭრობდა როგორც მაღაზიების, ასევე ე.წ. ამკრებების, იგივე აგენტების მეშვეობით, რომელთაც ეკრძალებოდათ ყოველგვარი სხვა საქმიანობის შეთავსება. მათ თავიანთ სამოქმედო უბანზე კარდაკარ უნდა ევლოთ და გაეყიდათ თვეში არანაკლებ ოთხი მანქანისა, ამასთან, უნდა გაესაღებინათ სათადარიგო ნაწილები და ძაფი, რომელსაც თან დაატარებდნენ.

პროფ. ა. ცერცვაძის გაანგარიშებით, “ზინგერის” საკერავი მანქანა განვადებით 85 მანეთად იყიდებოდა, მისი თვითღირებულება კი იყო 17 მანეთი. ამავე სისტემის ფეხის საკერავი მანქანა განვადებით ღირდა 125 მანეთი, ხოლო

---

<sup>180</sup> D. ცერცვაძე აგერმანია-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები. თბ. 1999.

მისი თვითღირებულება 21 მანეთამდე იყო. <sup>181</sup>

კომპანია “ზინგერმა” 1908 წელს გახსნა გოლოვინის პროსპექტზე მდებარე მთავარი მაღაზია.

საქართველოში ლუდის წარმოების განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ გერმანელებს, რომელთა დასახლებებიც საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისის გუბერნიაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, XIX ს. დასაწყისიდან ჩნდება. მათ ხელისუფლებისაგან საგანგებო ხელშეწყობა ჰქონდათ, რათა შეგუებოდნენ გარემო პირობებს და გამოეჩინათ სამეურნეო აქტიურობა. თავდაპირველად, ჩამოსახლებულ გერმანელებს სამეურნეო საქმიანობაში რაიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა არ გამოუჩენიათ. ჩამოსახლებიდან ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ ისინი შესამჩნევად გააქტიურდნენ და ხელი მოჰკიდეს მეწარმეობას, უპირატესად აწყობდნენ მექანიკურ სახელოსნოებს, ლუდსახარშებს, აწარმოებდნენ ყველს, კარაქს და ა.შ.

1850 წ. გერმანულ კოლონიაში მადერმა დაარსა ლუდსახარში, სადაც საკმაოდ მდარე ხარისხის შავ ლუდს ამზადებდნენ. იგი ადგილობრივ კოლონისტებს შორის საღებოდა. თბილისში ლუდის წარმოებას სტიმული განსაკუთრებით 1865 წლიდან მიეცა, როდესაც ვეტცელმა მოაწყო ლუდსახარში და დაიწყო ბავარიული ლუდის წარმოება. წარმატება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ვეტცელმა შეძლო ახალი ქვითკირის შენობა აეგო და გერმანიიდან მოეწვია გამოცდილი სპეციალისტი, რის შედეგადაც შესანიშნავი ლუდის დამზადება დაიწყო. ვეტცელის წარმოება იმდენად წარმატებული იყო, რომ მეწარმეობის სტიმული სხვა გერმანულ კოლონისტებსაც მიეცათ.

ასევე გერმანულ კოლონიებში დიტრიხმა და გუტბროდმა გახსნეს ლუდსახარშები. შემდგომში გუტბროდმა გაყიდა თავისი ლუდსახარში, რომელიც ლორთქიფანიძემ იყიდა და როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ წარმატებული წარმოებაც ააწყო. დიტრიხს ლუდის საწარმოს გარდა ლუდის მოზრდილი სავაჭროებიც ჰქონდა. დიტრიხმა და მადერმა 90-იან წლებში თავის საწარმოებში დანერგეს ტექნიკური სიახლეები და ლუდი უფრო კონკურენტუნარიანი გახადეს. ლუდის წარმოების გარდა, 1879 წელს მადერმა

---

<sup>181</sup> იქვე, გვ. 82

ლიმონათის “ქარხანაც” აამუშავა, სადაც 6 მუშა მუშაობდა და საშუალო წლიური პროდუქციის რაოდენობა იყო 7 500 მან.<sup>182</sup>

ლუდის წარმოებას უშუალოდ უკავშირდება ყინულის წარმოება და განიხილება, როგორც უშუალოდ მისი დანამატი. ამიერკავკასიის მასშტაბით ყინულის წარმოება მხოლოდ თბილისში არსებობდა და იგი ფარმაცევტ ზემელს ეკუთვნოდა. ხელოვნური ყინულის წარმოებას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ 1887 წ. თბილისში ერთობ თბილი ზამთარი იყო და აღნიშნულმა საწარმომაც მთელი ზამთარი და ზაფხული სრული დატვირთვით იმუშავა. მომდევნო წელს მან მთლიანად შეწყვიტა არსებობა. ერთი წლის შემდეგ ყინულის წარმოებისათვის საჭირო ყველა მოწყობილობა შეიძინა ვინმე დროგლავმა ქუთაისის ლუდის ქარხნისათვის. აქვე დავებნთ, რომ ზემელი ცნობილი იყო, როგორც ფარმაცევტი და მისი სამეწარმეო საქმიანობა იმ მხრივაც იმსახურებს ყურადღებას, რომ იგი სახელგანთქმულ მინერალურ წყლებს ამზადებდა. მანამდე ამიერკავკასიაში მინერალური წყლების ხელოვნურად დამზადების ტრადიცია თითქმის არ არსებობდა. ზემელი აწარმოებდა: ვიშის, კარლსბადის, ობერზალცბურგის, ემის, მწარე უნგრულს, მუავე რკინა-პიროფოსფორის, ზელტერის სამკურნალოს, ნიტროლითიუმის მინერალურ წყლებს. გარდა ამისა, იგი სხვა მინერალურ წყლებზეც ღებულობდა შეკვეთებს. მისი ხელოვნური მინერალური წყლების საწარმოში 5 მუშა მუშაობდა და წლიურად საშუალოდ 6 000 მან. პროდუქციას ქმნიდნენ. ზემელმა ასევე სცადა დაემზადებინა სხვადასხვა ხილის წვენებიც: ანანასის, მსხლის, ლიმონის, ჟოლოსა და ვანილის, თუმცა ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

ზემელის მიერ ყინულის წარმოების შეჩერების შემდეგ, თბილისში აღმოცენდა ახალი ყინულის მწარმოებელი საწარმო ვეტცელის მიერ. მის წარმოებაში ყინული მზადდებოდა ნახშირმუავას შესქელებით, რომელიც თავის მხრივ მიიღებოდა ნატრიუმის მარილისაგან. წარმოების მოწყობა ვეტცელს 30 000 მან. დაუჯდა. აქ ჰქონდათ საქვაბე და ორთქლის მანქანა 30 ცხ. ძალით. საწარმოო სიმძლავრეები უზრუნველყოფდა დღეღამეში 200 ფუთი ყინულის დამზადებას. ვეტცელს ფუთი ყინულის წარმოება 10 კაპ. უჯდებოდა და ყოველ

<sup>182</sup> Гулицамбаров Ст. ОФЗТ губернии, кк 35-36

100 ფუთ ყინულზე 20 ფუთი საწვავი (მაზუთი) იხარჯებოდა.<sup>183</sup> ყინულის საწარმო დიდი წარმატებით მუშაობდა და ემსახურებოდა არა მხოლოდ თავად ვეტცელის ლუდის წარმოებას, არამედ ის მრავალრიცხოვან კერძო შეკვეთებსაც აკმაყოფილებდა. აღსანიშნავია, რომ ამგვარი საწარმოების წარმატება დიდად იყო დამოკიდებული ზამთრის ხანგრძლივობასა და სიმკაცრეზე. მკაცრი ზამთრის შემთხვევაში მყიდველები ახერხებდნენ ყინულის დამარაგებას და ყინულის ქარხანა ზაფხულშიც კი თითქმის უმუშევარი რჩებოდა. რბილი ზამთრის დრის კი შეკვეთები დიდად იზრდებოდა.

ვეტცელმა ყინულის საწარმო იმ მიზნით შექმნა, რათა საკუთარი ლუდის სარდაფი ყინულით უზრუნველყო, თუმცა შემდგომ მან უპირატესობა მიანიჭა სარდაფებში თანაბარი ტემპერატურის შენარჩუნების მეთოდს და მათს კეთილმოწყობას. ამ მიზნით მან თბილისში საკუთარი ლუდის ქარხანასთან მოაწყო ვრცელი სარდაფები, რომელიც აგურის სვეტებს ეყრდნობოდა და აგურითვე იყო მოპირკეთებული. ამგვარ სარდაფებში შესაძლებელი იყო ლუდის ექვსი თვით დაყოვნება.

ვეტცელი თბილისში სამი ხარისხის ლუდს აწარმოებდა. ესენი იყო: Lager –Bier, Export-Bier, Bock-Bier. სხვა ლუდის მწარმოებლები მხოლოდ ერთი ხარისხის ლუდის წარმოებას სჯერდებოდნენ. ბევრგან მზადდებოდა ე.წ. ნახევარლუდი, მაგრამ ის გასაყიდად არ იყო განკუთვნილი, არამედ მხოლოდ ადგილობრივი მუშებისთვის.

ვეტცელს ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო წინადადებებიც ჰქონდა. მაგალითად, რკინიგზის ხელმძღვანელობას შესთავაზა მიეცათ მისთვის უფლება, რომ ამიერკავკასიის რკინიგზაზე ემოძრავა მის საგანგებოდ აღჭურვილ ვაგონს, რომლითაც ბაქოდან შემოიტანდა საწვავს, ბაქოს კი მიაწვდიდა სანაცვლოდ ლუდს ერთის პირობით, რომ ლუდს მიაწვდიდა საწვავის ტარიფით. ვეტცელმა ამ შეთავაზებაზე უარი მიიღო, რადგან რკინიგზის ხელმძღვანელობამ არ ჩათვალა იგი მომგებიანად.

გერმანელ კოლონისტთაგან გარდა ვეტცელისა, განსაკუთრებით სანიმუშო ქარხნები მოაწყეს და ფართომასშტაბიანი წარმოება აამოქმედეს მადერმა და

<sup>183</sup> *Ст. Гулишамбаров, ОФЗТ губерний Кз. 35-39, Т. 1888.*

დიტრიხმა. საგანგებოდ არის აღსანიშნავი, რომ დიტრიხის, მადერისა და ვეტცელის ქარხნები სისუფთავითა და აკურატულობით გამოირჩეოდნენ. მათ ჰქონდათ ქვითკირის შენობები საუკეთესოდ მოწყობილი სარდაფებითა და მაცივრებით. ვეტცელსა და მადერს გააჩნდათ საქვაბეები და მანქანური მოწყობილობა. გერმანელთა ლუდსახარშებში ძირითადად ადგილობრივი მუშახელი იყო დასაქმებული. მაგალითად, ვეტცელთან მუშაობდა 15, მადერთან – 14, დიტრიხთან კი 5 ადგილობრივი მუშა და თითოეულ მეწარმესთან ორ-ორი გერმანელი მუშა. სულ გერმანელთა მიერ დაარსებულ ლუდსახარშებში 1888 წლისთვის დასაქმებული იყო 40 კაცი. ეს მუშახელი უშუალოდ ქარხნის ტერიტორიაზე სახლობდა და თვიურად 15-25 მანეთამდე ანაზღაურებას იღებდა.<sup>184</sup>

XIX ს. ბოლოსთვის ლუდის მწარმოებლებს შორის ვეტცელის ქარხანა ყველაზე მეტად იყო დაწინაურებული და ლიდერად ითვლებოდა. აღნიშნულ პერიოდში თბილისში არსებული ლუდსახარშების მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ მონაცემები მოტანილია ცხრილში № 3.1-ში.

ცხრილის თვალის ერთი გადავლებითაც კი თვალსაჩინოა ვეტცელის აშკარა უპირატესობა. მიუხედავად იმისა, რომ ვეტცელის მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა 1883 წელთან შედარებით მომდევნო სამ წელს საკმაოდ კლებულობს, იგი ლუდის დანარჩენ მწარმოებლებთან შედარებით აშკარა უპირატესობას ინარჩუნებს. რაც დიდად განაპირობა მუდმივი განახლებისკენ სწრაფვამ და მართვის იმ მოქნილი მეთოდების გამოყენებამ, რაც ზემოთ უკვე იყო მიმოხილული. მის მიერ წარმოებული პროდუქციის შემცირება, როგორც ჩანს, კონკურენტი მეწარმეების გააქტიურებით არის განპირობებული, რომელიც სწორედ 1884 წლიდან ფიქსირდება.

წარმოებული პროდუქციის რაოდენობის მხრივ, მომდევნო – მეორე და მესამე ადგილებს იკავებენ მადერი და ლორთქიფანიძე, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა სტაბილურად იზრდება, თუმცა მომდევნო წელს მათ შესახებ ინფორმაცია აღარ მოიპოვება.

---

26. Сборник стат. сведений по Зак. краю. Часть 1, кз. 238

ლუდის ბაზარზე საკმაოდ წარმატებით იკიდებენ ფეხს კირიშნევი

და

ცხრილი №3.1

თბილისის ლუდსახარშების მიერ წარმოებული ლუდის ღირებულება

მეწარმეები	ბამოშვებული პრ. რაოდენობა (ვედრო)						
	წლები						
	1883	1884	1885	1886	1888	1889	1890
ვეტცელი <sup>185</sup>	63 943	57 516	51 935	62 000	65 000	73 000	95 000
მაღერი <sup>186</sup>	—	30 000	32 000	40 000	—	—	—
ლორთქიფა ნიძე <sup>187</sup>	—	26 000	27 000	35 000	—	—	—
დიტრინი <sup>188</sup>	—	—	6 000	7 000	—	—	—
კირიშნევი <sup>189</sup>	—	260	1 000	4 000	—	—	—
სულ	63 943	113 776	117 935	148 000	65 000	73 000	95 000

<sup>185</sup> Гулишамбаров СТ. ОФЗ. по Зак. Кр. , გვ 144, Тиф. 1894

<sup>186</sup> Гулишамбаров СТ. ОФЗ. Тифл. Губернии., გვ.132, Тиф. 1888

<sup>187</sup> იქვე

<sup>188</sup> იქვე

<sup>189</sup> იქვე

დიტრიხი. მათ შორის ყურადღებას იქცევს კირიშჩევი, რომლის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა პირველ (1884 წ.) წელს შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება – 260 ვედრო, თუმცა ყოველ მომდევნო წელს ამ ლუდსახარშიში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა ოთხმაგდება. მთლიანად, ლუდის წარმოებაში ზრდა 1883 წლიდან მომდევნო სამ წელს განუხრელია.

1888 წლიდან, ბაზრიდან კონკურენტების გასვლის შემდეგ, ვებტეკლმა თავისი წარმოების მაქსიმალური რაოდენობა – 65 000 ვედრო ლუდი აჩვენა, ხოლო 1990 წლისთვის მის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა უკვე 95 000 ვედროს აღწევს.

ამიერკავკასიის სარკინიგზო ხაზის მშენებლობისა და თბილისის სარკინიგზო სადგურის მოწყობის შედეგად თბილისის განაშენიანება დაიწყო სადგურის მიმდებარე ტერიტორიებისკენ. ამის შედეგად გერმანელთა კოლონია მალე ქალაქს შეერწყა. ლუდის მოხმარება თანდათან ადგილობრივ მოსახლეობაშიც გააქტიურდა. მოხმარების ზრდის კვალდაკვალ ლუდის წარმოების მოცულობაც გაიზარდა. საბოლოოდ, ლუდის წარმოება 1887 წლისთვის 1886 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა.

1864 წლის საგლეხო რეფორმის შემდგომ საქართველოში სასაქონლო მეურნეობები იქმნება მეცხოველეობაშიც, სადაც აქტიურად მონაწილეობდა გერმანული კაპიტალიც. განსაკუთრებით განვითარდა ყველის წარმოება.

თავდაპირველად 1862 წელს ალექსანდერსდორფის კოლონისტებისათვის ხელისუფლებამ შეეცადრიდან ყველის დამზადების ოსტატი მოიწვია. მას ხელფასს იმაში უხდიდნენ, რომ კოლონიაში დაემზადებინა ყველი და ეს ხელობა ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც ესწავლებინა. „გაიმართა შეეცადრული ყველის ქარხანა,<sup>190</sup> სადაც კოლონიის მოსახლეობა ყოველდღიურად აბარებდა რძეს, ხოლო მისგან დამზადებული ყველის რეალიზაციის შემდეგ იღებდნენ ფულს.

---

<sup>190</sup> გაზ. „კუთნის დედა“, 1864წ. № 1



ყველის დამამზადებელი კაპიტალისტური საწარმოები შექმნეს ბარონმა ფონ კუნენბახმა, ნილიგერმა, კეზელმა, ბარონ ფონ კუნენბახს ყველის წარმოების განვითარების საქმეში ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მას ამიერკავკასიაში ჩამოსვლისას არავითარი კაპიტალი არ გააჩნდა, მხოლოდ ხაზინის მიერ მიცემული შეღავათიანი პირობებით გამოყოფილი სესხის მეშვეობით შეძლო თავისი მეურნეობის მოწყობა. მან ალექსანდერსჰილფში დააარსა ძროხების ფერმა.

1863 წელს მთავრობას მიმართა თხოვნით, რომ მისთვის გამოეყოთ 5 000 მან. უპროცენტო სესხი, რაზეც მან თანხმობა მიიღო. საძროხე მეურნეობის საკვებით უზრუნველსაყოფად 16 წლის ვადით არენდით აიღო 2 600 დესეტინა მიწა, რაშიც 14 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა 800 მან., ხოლო მომდევნო ორ წელს კი – 1 000 მან.<sup>191</sup>

კუნენბახმა თავდაპირველად 90 სული ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი შეიძინა. სტარტი წარმატებული აღმოჩნდა და ხელისუფლებამ მისი შემდგომი ხელშეწყობის მიზნით შეეცარიიდან 16 სული (13 სული ძროხა და 3 სული ხარი) გაუმჯობესებული სარძევე ჯიშის პირუტყვი გამოიწერა, რაც მას 4794 მანეთი დაუჯდა ტრანსპორტირების ხარჯების გარეშე. გზაში 3 სული პირუტყვი დაეცა და საბოლოოდ კუნენბახმა 13 სული პირუტყვი მიიღო, რამაც დიდი სტიმული მისცა მის წარმოებას.<sup>192</sup>

კუნენბახმა მსხვილი კაპიტალისტური ტიპის საწარმო შექმნა და ამიერკავკასიაში პირველმა დაიწყო შვეიცარული ყველის წარმოება. მას ამიერკავკასიის ბაზარი უკვე აღარ აკმაყოფილებდა და დიდი რაოდენობით ნაწარმი გაჰქონდა რუსეთსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. ამ ქარხანაში იმდენად მაღალი ხარისხის ყველს ამზადებდნენ, რომ 1882 წელს მოსკოვის გამოფენაზე ექსპერტებმა არც კი დაიჯერეს, რომ კავკასიაში შესაძლებელი იყო ასეთი ყველის დამზადება და ამის გამო ის გამოფენაზე არ დაუშვეს. კუნენბახს ყოველწლიურად ბაზარზე გაჰქონდა 1000-1200 ფუთი შვეიცარული ყველი, ასევე, 300 ფუთზე მეტი კარაქი.<sup>193</sup>

<sup>191</sup> მანჯგალაძე ვ. D – “გერმანელი კოლონისტები საქართველოში”

<sup>192</sup> Ерицов А. Указатель соч. к изучению эк. быта гос. крестьян Зап. края 1874.

<sup>193</sup> Мачалов В.Д.- крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX в.М.1958.

1896 წლისთვის მის მეურნეობაში 41 მუდმივი მუშა მუშაობდა. ალექსანდერსდორფის საზოგადოებრივი ფერმა 1865წ აერთიანებდა 12 წევრს და ამზადებდა 85 ფუთ ყველს. მომდევნო წლებში გაიზარდა ამ ფერმის წევრთა და ასევე დამზადებული ყველის რაოდენობაც. მაგ: 1875წ. დაამზადა 448 ფუთი, 1885წ – 766; 1877წ. – 1181; 1890წ. – 1190; 1891წ. – 1341, ხოლო 1892წ . – 1541 ფუთი ყველი.<sup>194</sup> ამ წლებში ფერმაში ჰყავდათ 10 მუდმივი დაქირავებული მუშახელი.<sup>195</sup>

რაც შეეხება ვაჭრობას, გერმანელი კოლონისტები საშუამავლო ვაჭრობას თითქმის არ მისდევდნენ. ისინი ძირითადად საკუთარი ნაწარმის (ეს იქნებოდა ხელოსნური, თუ სასოფლო-სამეურნეო) რეალიზაციას ეწეოდნენ.

წარმატებების პარალელურად კუჩენბახის მეურნეობა საკმაოდ ხშირად ზარალდებოდა სხვადასხვა სახის ეპიზოტური პრობლემების გამო, რის შედეგადაც დიდი რაოდენობით პირუტყვი ეხოცებოდა. ასეთ შემთხვევებში მას ხელისუფლების მხრიდან ყოველთვის ჰქონდა მატერიალური ხელშეწყობა.

1882 წლისთვის კუჩენბახმა კვლავ მთავრობის მხარდაჭერით მოაწყო ევროპული შუშის ქარხანა, რომელიც თანამედროვე ტექნიკით იყო აღჭურვილი. იგი უშვებდა ღძისფერი, ნახევრადრძისფერი და მუქი მწვანე ფერის საკმაოდ მაღალი ხარისხის ბოთლებს. შუშის წარმოება გარდა ბოთლებისა, ამზადებდა სხვადასხვა ხარისხის და სიდიდის ლამპის შუშებსა და ლამპის რეზერვუარებს, სანათი მოწყობილობების აბაჟურებს, ჭიქებს, გრაფინებს, ქილებს, ასევე პირსაბანებს და სხვა.<sup>196</sup>

ცოტა ხანში ასევე შევიცარული ყველის ქარხანა გახსნა ნიდიგერმა, რომელსაც კომპანიონად ჰყავდა ორი გერმანელი კოლონისტი.

კუჩენბახის ყოფილმა ოსტატმა-ამეტრიმ შეიამხანაგა ორი გერმანელი და დაარსა ფაბრიკა. ვინაიდან ამ ამხანაგობას არ გააჩნდა მიწა პირად მფლობელობაში, იგი არენდით აიღო ადგილობრივი მიწის მესაკუთრის – ხუდადოვისაგან. მათ ჰყავდათ 320 ძროხა, ყოველწლიურად ამზადებდნენ 1200

---

<sup>194</sup> *Зулишамбаров. офз тифл. губернии. ст 37. Т. 1888*

<sup>195</sup> \**იქვე გვ. 207*

<sup>196</sup> *იქვე გვ. 147-150*

ფუთ ყველს და 200 ფუთ კარაქს. ეს პროდუქცია თბილისშივე სადღებოდა.<sup>197</sup> რაც შეეხება ნიდიგერისა და კეხელის ფაბრიკებს, პირველი მათგანი ყოველწლიურად უშვებდა 630 ფუთ ყველს და 100 ფუთ კარაქს, ხოლო მეორე – 250 ფუთ ყველს და 70 ფუთ კარაქს.<sup>198</sup>

ამეტრის, ნიდიგერისა და კეხელის ფაბრიკებში მხოლოდ დაქირავებული შრომა გამოიყენებოდა.

1908 წელს, თბილისის გუბერნიის გერმანელთა კოლონიაში (ელენენდორფში) იხსნება ორი კონიაკის ქარხანა. ერთი მათგანი ეკუთვნოდა ალმენდინგერს, მეორე – საზოგადოება “უნიონს”. “უნიონში” გაერთიანებული იყო 40-ზე მეტი გერმანელი წვრილი მევენახე. ქარხნების გახსნა უკანასკნელ წლებში ყურძნის კარგმა მოსავალმა და ღვინოზე ფასების ვარდნამ გამოიწვია (1907-1908 წწ. 1 ვედრო ღვინო 60 კაპ. ღირდა). დადგა ჭარბი და იაფფასიანი ღვინის უტილიზაციის საკითხი. ნედლეულად ორივე ქარხანა კარგი ხარისხის ღვინოს იყენებდა. სპირტის ერთი ნაწილი ხმარდებოდა ღვინის გამაგრებას, ნაწილს კი მუხის კასრებში აძველებდნენ.<sup>199</sup> 1908 წლისთვის ორივე ქარხანამ 214 971 გრ. სპირტი გამოხადა, ხოლო მომდევნო წელს – 238 398 გრადუსი.<sup>200</sup>

1909 წლიდან ყურძნის მოსავლიანობის კლების გამო ღვინის ფასიც გაიზარდა. ამ გარემოებამ აღნიშნული ქარხნების წარმოებაზეც იქონია გავლენა. 1910 წელს საზოგადოება “უნიონმა” 40 296 გრად. (12 078 მან.) კონიაკი ჩამოასხა, ალმენდინგერმა კი – 1175 გრად. (352 მან).<sup>201</sup> ალმენდინგერის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზება ამიერკავკასიის მასშტაბით ხდებოდა, ხოლო საზოგადოება “უნიონის” – გარდა ამიერკავკასიისა, მცირე პარტიებად რუსეთშიც გაჰქონდათ, კერძოდ, სტავროპოლის, პოდოლსკის, ჩერნიგოვის, კიევის და ეკატერინოსლავის გუბერნიებში, გაჰქონდათ ასევე ვარშავაშიც.

მოგვიანებით, 1914 წელს მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით საკონიაკე სპირტის წარმოება შეიზღუდა, გარდა ამისა, გაიზარდა სააქციზო

<sup>197</sup> Гулишамбаров Ст. ОФЗ по Зак. кр. гв. 139-152

<sup>198</sup> იქვე

<sup>199</sup> მირიანაშვილი მ. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში. თბ. 1980. გ. 105

<sup>200</sup> იქვე

<sup>201</sup> იქვე

გადასახადი 1 გრად. სპირტზე 7 კაპიკიდან 14 კაპიკამდე. იმის გამო, რომ სპირტის გაყიდვა შეიზღუდა, გაჭირდა მისი გასაღებაც. წარმოება შემცირდა და სპირტი ძირითადად სამედიცინო მომსახურებისთვის იგზავნებოდა.<sup>202</sup>

1912 წლის სტატისტიკური მონაცემებით: ალმენდინგერის წლიური პროდუქცია შეადგენდა – 5 015 მან., ხოლო ქარხანაში დასაქმებული იყო სულ 3 კაცი. ამავე პერიოდში “უნიონის” წლიური პროდუქციაა – 13 600 მან., დასაქმებულ მუშათა რაოდენობა კი – 3 კაცი. ეს უკანასკნელი მონაცემი ეჭვს იწვევს, თუმცა ამ საკითხზე უფრო სარწმუნო მასალები არ მოიპოვება.<sup>203</sup>

თბილისის გუბერნიაში არსებული გერმანელთა ორი ქარხნიდან წარმოებული პროდუქციის რაოდენობით, ხარისხითა და სავაჭრო ოპერაციების მასშტაბებით არც ერთი არ გამოირჩეოდა, მეტადრე, თუ შევადარებთ იმ დროისათვის მოქმედ სარაჯიშვილისა და სხვა არყისა და კონიაკის მწარმოებელთა მასშტაბებს. მიუხედავად ამისა, მათი წარმოება ყურადღებას უდავოდ იმსახურებს.

---

<sup>202</sup> იქვე, გვ.106

<sup>203</sup> Срисок фабрик и заводов Российской Империи, 1912, გვ. 248

### 3.2 სხვა ევროპული ქვეყნების კაპიტალი თბილისის ეკონომიკაში

საქმიანობის გააქტიურება იგრძნობოდა არა მხოლოდ გერმანელებს შორის, არამედ ზოგადად უცხოელების მხრიდანაც. მაგალითად, XIX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში არსებულ შედარებით მსხვილ საწარმოთაგან ყურადღებას იმსახურებს ფრანგი ვაჭრის – კასტელას მიერ თბილისში ხაზინის დახმარებით დაარსებული აბრეშუმსახვევი და სართავი “ფაბრიკა”. (კასტელა XIX ს. ზოგიერთ ცნობარში მოხსენიებულია, როგორც კოსტელი).

კასტელას მიერ დაარსებული საწარმოს მიმოხილვამდე, თუკი თვალს გადავაგვლებთ საფეიქრო დარგში არსებული მანუფაქტურების დაარსების კანონზომიერებას, თვალსაჩინო გახდება, რომ მათი წარმოქმნა–ამოქმედება დამოკიდებული იყო მეტროპოლიის ინტერესებსა და ნებაზე, ვინაიდან ამ მანუფაქტურების ფუნქცია უნდა ყოფილიყო იმპერიის ბაზრის მომარაგება მასალებითა და ნახევარფაბრიკატებით. მაგალითად, აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი და სართავი, ასევე მატყლის საპენტი და სართავი სარეწების დანიშნულება უნდა ყოფილიყო რუსეთის საფეიქრო ფაბრიკებისათვის აბრეშუმისა და მატყლის ნართის მიწოდება.

XIX ს-ის დასაწყისისთვის საქართველოში მეაბრეშუმეობის ძველთაგანვე ტრადიციული დარგი მთლიანად იყო დაცემული. რუსეთი დაინტერესდა ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის განვითარებით, რათა შესაძლებელი ყოფილიყო საკუთარი ფაბრიკების ადგილობრივი იაფი ნედლეულით უზრუნველყოფა. ამ შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლება ხელს უწყობდა მეაბრეშუმეობის დარგის აღორძინებას, თუმცა ეს ხელშეწყობა როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ ნედლეულის წარმოებას შეეხებოდა და არა მის გადაამუშავებას, ვინაიდან მეტროპოლიის ინტერესებში არ შედიოდა, რომ საქართველოში წარმოშობილიყო ნედლეულის გადამამუშავებელი ფაბრიკები. რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნით, კოლონიიდან უნდა გასულიყო ნედლეული მეტროპოლიის მრეწველობისთვის, რადგან თუკი კოლონიაში ხელს შეუწყობდა გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას და გამოუშვებდნენ მზა ნაწარმს, ამ შემთხვევაში კოლონია წაართმევდა მას ბაზარს. აქედან გამომდინარე, საქართველოში და ზოგადად ამიერკავკასიაში დასაშვები იყო ნედლეულის მხოლოდ პირველადი, ანუ ნაწილობრივი დამუშავება. ამის უფლებასაც რუსეთის ხელისუფლება მხოლოდ იმიტომ იძლეოდა, რომ დაუმუშავებელი ნედლეულის გადაზიდვა დიდ სატრანსპორტო ხარჯებსთან იყო დაკავშირებული, რაც მძიმე ტვირთად დააწვებოდა მის სუსტ ეკონომიკას. გარდა ამისა, მას არ ჰქონდა განვითარებული ინფრასტრუქტურა.

1804 წ. მთავარმმართველმა ციციანოვმა პეტერბურგში დააყენა საკითხი თბილისში ბამბეულის მანუფაქტურის გახსნის თაობაზე. 1806 წელს კი – საკითხი თბილისში ადგილობრივი მატყლის ბაზაზე მაუდის ფაბრიკის დაარსების შესახებ, რომელსაც კავკასიის ჯარის ნაწილები უნდა უზრუნველყო

შალეულის სამოსით. ციციანოვის შუამდგომლობანი ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაუკმაყოფილებელი დარჩა იმ მოსაზრებით, რომ კოლონიაში “ფაბრიკების დაარსება გამოიწვევდა ნედლეულზე ფასების ზრდას, გარდა ამისა, ამ “ფაბრიკების” სათანადო ინსტრუმენტებით, საღებავებითა და ოსტატებით უზრუნველყოფა ძვირი დაჯდებოდა, რაც თავის მხრივ გააძვირებდა ადგილობრივად წარმოებულ მაუდს იმაზე მეტად, ვიდრე რუსეთში წარმოებული მაუდის ადგილზე ჩამოტანა დაჯდებოდა.

მაუდის ფაბრიკის მოწყობის მცდელობა ჰქონდა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფრანგ კასტელას, რომელმაც 1823 წ. ხელისუფლებას სთხოვა თბილისში მაუდის საფეიქრო ფაბრიკისა და აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მოწყობა. ამასთანავე იგი ამ ფაბრიკის შესაბამისი ნედლეულით მომარაგების უფლებასაც ითხოვდა (მხედველობაში ჰქონდა ტიბეტური თხების მოშენება სანედლეულო ბაზის უზრუნველყოფის მიზნით). ამ უკანასკნელ თხოვნაზე მან რაიმე სახის გარკვეული პასუხი ვერ მიიღო ხოლო მაუდის ფაბრიკის მოწყობაზე კატეგორიული უარი ეთქვა იმავე მოსაზრებით, რაც მანამდე არსებობდა, ანუ თბილისის მაუდის საფაბრიკო წარმოებას შესაძლებელი იყო შეევიწროებინა მეტროპოლის მაუდის წარმოება. რაც შეეხება აბრეშუმის ფაბრიკას, მისი მოწყობა მიზანშეწონილად ჩათვალეს იმ შემთხვევაში, თუკი კასტელა მას მოაწყობდა იმ სახით, როგორც ეს იმჟამად იტალიასა და საფრანგეთში არსებობდა, ანუ წარმოება უნდა მოწყობილიყო მოწინავე ტექნოლოგიურ ბაზაზე. ასეთ შემთხვევაში რუსეთის ფაბრიკები თბილისურ ნართს მიიღებდნენ უფრო იაფად, ვიდრე მისი საზღვარგარეთიდან შემოტანა უჯდებოდათ. რუსეთის ხელისუფლება და განსაკუთრებით იქაური მეწარმეები მოიხიბლნენ კასტელას წინადადებით იმის შესახებ, რომ მას თბილისში, ბაქოსა და ყულევიში უნდა გაეხსნა სავაჭრო კანტორები, სადაც ის რუსეთში წარმოებული მაუდის რეალიზაციას აპირებდა. კასტელა ასევე აპირებდა ირანიდან და ლევანტიდან ვაჭრების მოზიდვას, რათა მათი მეშვეობით აღმოსავლეთის ბაზრებზე გასულიყო რუსული მაუდი, სადაც მისი ვარაუდით შეავიწროებდნენ იქ გაბატონებულ ინგლისურსა და ფრანგულ მაუდს.

როგორც უკვე აღინიშნა, 1823 წელს კასტელამ ითხოვა აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მოწყობა. მას ამავე წელს შეპირდნენ ათწლიანი პრივილეგიის მიცემას, მითუმეტეს, რომ კასტელა დამატებით პირობასაც იძლეოდა, რომ იგი ველს მოჰკიდებდა არა მხოლოდ ამიერკავკასიური ნართია ამოხვევას, არამედ ირანულისაც და ამ ნახევარფაბრიკატებით ის მოამარაგებდა რუსეთის აბრეშუმის საფეიქრო ფაბრიკებს. გარდა ამისა, ის პირობაც რჩებოდა ძალაში, რომ მის მიერ წარმოებული ნართი იმდენად ხარისხიანი იქნებოდა, რომ დაიწყებდა ვაჭრობას ევროპის მთავარ ბაზრებზეც და ევროპულ ანალოგიურ ნაწარმსაც თავისუფლად გაუწევდა კონკურენციას. კასტელა საევე ამტკიცებდა, რომ დაკვირვების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ესოდენ ხარისხიანი აბრეშუმის ნართის მიღება მხოლოდ საქართველოში იყო შესაძლებელი.

კასტელას “ფაბრიკას” უნდა დაერთო აბრეშუმი და გადაემუშაებინა საქსელ, მისაქსელ და ასევე საკერავ ძაფად, რომელიც მანამდე უცხოეთიდან შემოჰქონდათ. ამ წამოწყების მხარდასაჭერად კასტელა დაუახლოვდა ფინანსთა მინისტრს – კანკრინს, რომელიც ამ პერიოდში თითქმის მთლიანად განაგებდა იმპერიის კომერციულ ცხოვრებას.

1826 წ. კასტელას მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მიენიჭა უფლება, რომ ესარგებლა უცხოელი სტუმრის პრივილეგიებით, ან თუკი რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდოდა, ესარგებლა პირველი გილდიის ვაჭრის პრივილეგიებით – საგილდიო გადასახადის გარეშე. მომდევნო წელს იმპერატორისაგან სრულად და ყოველმხრივ დაკმაყოფილდა კასტელას თხოვნა და სარეწავისთვის გამოეყო 30 დესეტინა მიწა თბილისში, რომელზეც გარდა “ფაბრიკის” აშენებისა, უნდა გაემშენებინა თუთის ხე, ბამბა, შაფრანი, თამბაქო, ენდრო და სხვა სამღებრო და სარეწვი მცენარეები. გარდა ამისა, გამოეყო სხვადასხვა ადგილებში 2 000 დესეტინა მიწა, დესეტინის ღირებულება – 25 კაპიკად, რაც მას სჭირდებოდა იტალიელი, ფრანგი და სხვა სპეციალისტების დასასახლებლად.

ცნობილია კასტელას ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებელი – თავადი გოლიცინი, რომელმაც ნახევარი მლნ. მან. ასიგნებანი შეიტანა ამ წამოწყებაში და გარდა ამისა, თბილისში გამოგზავნა 18 ყმა თავისი მამულებიდან. ამ ყმებს თავისი შრომით უნდა გადაეხადათ საბატონო ბეგარა. ფაბრიკის სიახლოვეს აშენდა დასახლება, სადაც 200-მდე პატიმარი ქალი ჩამოსახლეს რუსეთიდან, რომლებსაც ხაზინა ინახავდა. ამ სრულიად მუქტი მუშახელის სრული განმკარგულებელი იყო საწარმოს მეპატრონე.

1828 წელს “ფაბრიკა” ამოქმედდა. აქ გამოიყენებოდა საფრანგეთიდან ჩამოტანილი დაზგები და მოწყობილობები. დაასაქმეს საფრანგეთიდან ჩამოყვანილი კვალიფიციური ოსტატები, თუმცა წარმოებაში ძირითადად ადგილობრივ მცხოვრებთაგან დაქირავებული მუშები მუშაობდნენ. ამ უკანასკნელთა რაოდენობა პერიოდულად ორმოცდაათსაც აღწევდა, ხოლო საშუალოდ 15-20 კაცს უტოლდებოდა. ზოგჯერ, ძირითადად კი დამხმარე სამუშაოებზე (დაზგების მოძრაობაში მოყვანა, ყაჭის დახარისხება, შეშის დაპობა და სხვ.) ტყვე თურქების და უმთავრესად რუსეთიდან ჩამოყვანილი პატიმარი ქალების შრომას იყენებდნენ.<sup>204</sup>

ამგვარი არათავისუფალი შრომის გამოყენება, როგორც არის პატიმარ ქალთა, ასევე ყმების ექსპლოატაცია, რუსეთის ქალაქებშიც გამოიყენებოდა, ხოლო საუკუნით ადრე, საფრანგეთსა და პრუსიაშიც. კასტელამ სახაზინო უწყებას სთხოვა, რომ მისთვის ვალად გამოეყოთ ნედლეული აბრეშუმის პარკის სახით. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მას გამოეყო კრედიტი არა

<sup>204</sup> პ. გუგუშვილი – მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში. თბ. 1939.

ნედლეულის, არამედ 30 000 მანეთის სახით. აბრეშუმსახვევ ფაბრიკაში მუშაობდა 12 დაზგა და წლიურად 500 ფუთზე მეტ აბრეშუმს ამუშავებდნენ, რომელიც ნაწილობრივ ადგილზე იყიდებოდა, ხოლო ნაწილობრივ მოსკოვში გადიოდა.<sup>205</sup>

1828 წ. “ფაბრიკის” მეპატრონე – კასტელა გარდაიცვალა. მის საწარმოს ახალი მემკვიდრე აღარ გამოუჩნდა. წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი რომ არ დაეკარგა, ხაზინა იძულებული გახდა ამ “ფაბრიკისათვის” თავად მოეკიდა ხელი. იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულიყო მოთხოვნა თვეში 80 ფუთი პარკის გადამუშავებაზე, საჭირო იყო დამატებით 40 დაზგა. კასტელას დაუმთავრებელი დარჩა საზეინკლო, ძაფსახვევი და სართავი საამქროები, რომელთა მოსაწყობადაც დამატებით გადაირიცხა საჭირო თანხა. მიუხედავად ამისა, ამ სარეწმა ხაზინის ხელში ვერ იმუშავა წარმატებით, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ დანიშნული მოხელეები თაღლითობდნენ და თავად ითვისებდნენ შემოსავალს, ხაზინას კი მხოლოდ ხარჯების დაფარვა უწევდა. შემდეგ აქ ჩამოყალიბდა “აბრეშუმსახვევი სასწავლო სახელოსნო”, რომელიც უნდა მომსახურებოდა კვალიფიციური კადრების მომზადებას ამიერკავკასიის საფეიქრო წარმოებისათვის.

1830 წლისათვის კავკასიის მთავარმმართველად პასკევიჩი დაინიშნა, რომელსაც საერთოდაც მიზანშეუწონლად მიიჩნდა კოლონიებში ფაბრიკების და ქარხნების შექმნა და მისი სტიმულირება. იგი ფინანსთა მინისტრს – კანკრინს წერდა: “აქ ფაბრიკებისა და ქარხნების დამაარსებელთათვის პრივილეგიების მინიჭება არც უნდა ხდებოდეს; რადგან მე მგონია კიდევ გადაუწყვეტელია საკითხი საქართველოში ფაბრიკებისა და ქარხნების (განსაკუთრებით ზოგიერთის) წაქეზების სარგებლიანობის შესახებ. ხომ არ უნდა გუყურებდეთ საქართველოს როგორც კოლონიას, რომელიც უნდა აწოდებდეს უხეშ მასალას (ნედლეულს) აბრეშუმს, ბამბას და სხვ. ჩვენს ფაბრიკებს და მიჰქონდეს რუსეთიდან მანუფაქტურული ნაკეთობანი? წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში ამგვარი მანუფაქტურების დაარსებით ბუნებრივად ხომ არ შესუსტდება მისი კავშირი რუსეთთან? რუსეთის მიერ ამიერკავკასიის პროვინციებში ჯარის შენახვაზე დახარჯულ კაპიტალსაც არ ექნება მაშინ შესაძლებლობა დაბრუნდეს რუსეთში.”<sup>206</sup>

ხელისუფლების მხრიდან ამგვარი მიდგომის შედეგად, კასტელას “ფაბრიკა”, რომლის ბაზაზეც სასწავლო სახელოსნო არსებობდა, გადააკეთეს ეახარმებად ჯარისათვის, ხოლო არსებული იარაღები და მოწყობილობები მიჰყიდეს “მეაბრეშუმეობისა და მესარეწეობის კავკასიურ საზოგადოებას”, რომელიც იმ ხანებში დაარსდა. ამ საზოგადოების ხელშიც წარუმატებელი

<sup>205</sup> პ. გუგუშვილი – კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ. 1941.

<sup>206</sup> გუგუშვილი პ. კავ. წარმოშობა და განვითარება საქართველოში. თბ. 1941. გვ. 354



აღმოჩნდა საქმე და თანდათან სართავი და სახვევი ინსტრუმენტების და იარაღების გაყიდვა იწყეს კერძო პირებზე. საბოლოოდ, ეს ინსტრუმენტები მოელს ამიერკავკასიაში მიმოიფანტა. 50-იანი წლების დასაწყისისთვის აბრეშუმსახვევი სარეწის არსებობა მთლიანად იქნა მივიწყებული.

მეწარმეობის ამ დარგისათვის კასტელას წამოწყება წარუმატებლობის მიუხედავად, მაინც სარგებლიანი იყო. ამ წამოწყებამ ხელი შეუწყო კაპიტალისტური წარმოების განვითარებას. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა და შრომა დანაწილებული იყო, იგი წარმოადგენდა მანუფაქტურის ტიპის მსხვილ საწარმოს მანქანური წარმოების ელემენტებით.

საქართველოში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების კვლადაკვალ გააქტიურდა საქალაქო ცხოვრება. გაჩნდა მოთხოვნილება შრომის საშუალებათა (ინსტრუმენტების) დამამზადებელი წარმოების მოწყობისა. ეს განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან იგრძნობოდა. 1850 წელს თბილისში მცხოვრებმა შვეიცარიელმა შტიუსემ მეფისნაცვალ ვორონცოვს სთხოვა 2 დესეტინა მიწა თბილისში მექანიკური საწარმოს მოსაწყობად.<sup>207</sup> იმავე წელს ვორონცოვის განკარგულებით მას მისცეს 4819 კვადრატული საუენი მიწის ნაკვეთი თბილისსა და ნავთლულს შორის – მირზაბათში აღნიშნული საწარმოს მოსაწყობად.<sup>208</sup>

მომდევნო, 1851 წ. იანვარში შტიუსემ ვორონცოვს სესხად სთხოვა 10 000 მან. მექანიკურ-სამსხმელო ქარხნის მოსაწყობად, რომელიც ამიერკავკასიას ძლიერ ესაჭიროებოდა.<sup>209</sup> იგი ვაღდებულებას იღებდა, რომ საწარმოს ერთ წელიწადში მოაწყობდა. ვორონცოვი დათანხმდა შტიუსეს თხოვნას. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ ასევე სავსებით მოიწონა შტიუსეს წინადადება და თავისი წევრების – ანდრეევსკის, მაქსიმოვიჩისა და ივანიცკის შემადგენლობით შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა განეხილა შტიუსეს პროექტი და მეთვალყურეობა გაეწია ქარხნის მოწყობისათვის.

შტიუსემ კომისიასთან დადო კონდიცია (ხელშეკრულება), რომლის თანახმადაც: 1) ვაღდებულებას იღებდა ხელშეკრულების დამტკიცებიდან 1 წელიწადში მოეწყო მექანიკურ-სამსხმელო წარმოება; 2) შტიუსე ითხოვდა 10 000 მანეთს უპროცენტოდ, 5 წლის ვადით, რის შემდეგაც დაიწყებდა მის გადახდას და 10 წლის ვადაში დაფარავდა; 3) ქარხნის მთელი მოწყობილობანი: მანქანები, ინსტრუმენტები, საქარხნო ნაგებობანი მიწით და საჭირო მასალები ხაზინის სესხის საწინდრად ითვლებოდა; 4) ფული შტიუსეს უნდა მიეღო საჭიროების მიხედვით; 5) ქარხნისთვის საჭირო მანქანები და ინსტრუმენტები შტიუსეს საზღვარგარეთიდან უნდა შემოეტანა საბაჟო გადასახადის გარეშე; 6) თუ

<sup>207</sup> სცსა ფონდი, აღწერა 1, საქმე 39, ფურც. 11

<sup>208</sup> იქვე, ფურც. 14.

<sup>209</sup> სცსა, ფონდი 241, აღწერა 3, საქმე 39, ფურც. 1.

შტიუსე სიკვდილის, ან ავადმყოფობის შემთხვევაში ვერ მოაწყოდა ქარხანას, მაშინ ამ საქმეში პასუხისმგებელი იქნებოდა მისი ნათესავი, ასევე შვეიცარიელი – ლუდვიგ ლეიტცინგერნი; 7) იმის გამო, რომ კომისიამ საწარმოს უფრო ფართო მასშტაბით მოწყობა მოითხოვა, ამიტომ შტიუსესათვის დამატებით უნდა მიეცათ სესხად 5 000 მან.<sup>210</sup>

კონდიცია დამტკიცდა და შტიუსე შეუდგა ქარხნის მოწყობას. მან ავსტრიიდან (ვენიდან) გამოიწერა სათანადო ოსტატები და მანქანა-ინსტრუმენტები, რომელიც 1852 წლის დასაწყისში მიიღო თბილისში. 1852 წლის დასაწყისში საწარმოს მოწყობა ძირითადად დამთავრებული იყო. მას მხოლოდ სამსხმელო ღუმელი და ცხენისძრავა აკლდა. ეს იყო პირველი კერძო მექანიზებული ქარხანა, რომელშიც უცხოეთიდან შემოტანილი მანქანა-დანადგარები დამონტაჟდა.

ქარხანა ორი ძირითადი შენობისგან შედგებოდა: სამსხმელო და მექანიკური. მათ ასაგებად დაიხარჯა 7 404 მან; ვენაში მანქანა-ინსტრუმენტების საყიდლად დაიხარჯა 2 069 მან; თბილისამდე მათი ჩამოტანისათვის – 1 775 მან; სხვადასხვა საჭიროებისათვის და მთლიანად სულ დაიხარჯა 11 935 მან.<sup>211</sup> ამის გარდა შტიუსემ მიიღო ფული თუჯის, რკინის და სხვათა საყიდლად. 1852 წ. 15 აგვისტოს თბილისის მექანიკურმა ქარხანამ მუშაობა დაიწყო.<sup>212</sup>

1853 წლის მაისში საწარმო აღწერეს თბილისის გუბერნიის არქიტექტორმა ბელოიმ, ნადვორნი სოვეტნიკმა – ბლომბერგმა და ინჟინერ-ტექნოლოგმა – ლემკულმა. აქვე დავძენთ, რომ ლემკული, რომელიც მანამდე შტიუსეს ქარხნის ტექნოლოგიურ პროცესებს აკონტროლებდა, მოგვიანებით, ისე მომრავლდა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი ქარხნები, რომ საჭირო გახდა მისთვის ამ ფაბრიკა-ქარხნების ტექნიკური ზედამხედველის თანამდებობა ჩაებარებინათ.

ლემკულის ქარხანა შედგებოდა: 1) კრამიტით დახურული ორსართულიანი ქვითკირის შენობისაგან (სიგრძე – 12,3 საჟენი, სიგანე – 5,3 საჟენი). ამავე შენობაში იყო განთავსებული მექანიკური განყოფილება. ამ განყოფილების ქვედა სართულზე იყო მოწყობილი თუჯის სადურგლო, საზეინკლო და სახარატო მოწყობილობანი. აქვე იდგა ერთი რუსული ღუმელი. ზედა სართული ეკავა სამზარეულოსა და საკუჭნაოს. 2) მექანიკური განყოფილების გვერდით ქვის ერთსართულიან ფლიგელში (სიგრძე – 24 საჟენი, სიგანე – 4 საჟენი) მოთავსებული იყო სამსხმელო განყოფილება, გარდა ამისა, აქ იყო სარდაფი, საჯინიბო, 1 ცხენძრავა დანადგარების ასაძრავად, სამჭედლო და სხვა. სამსხმელო განყოფილებაში იყო 2 სამსხმელო ღუმელი: ერთი დიდი, მეორე

<sup>210</sup> სცსა, ფონდი 10, საქმე 39, ფურც. 10-13.

<sup>211</sup> იქვე, ფურც. 49-50.

<sup>212</sup> იქვე, ფურც. 63.

პატარა.<sup>213</sup>

ვენის თაბორის ფაბრიკიდან გამოწერილ მანქანებსა და ინსტრუმენტებს შორის, სახარატო ნაწილში, იყო 1 დიდი მწარხავი თუჯის დაზვით (რომლის სიგრძე იყო 18 ფუთი, ხოლო სიგანე – 19 დუიმი) და სახარატო დაზვა. სამსხმელო ბრძმედებს შეედლოთ ჩამოესხათ წელიწადში 4 000 ფუთამდე თუჯი.<sup>214</sup> ქარხანა მთლიანად (ნაგებობები, მანქანები, ინსტრუმენტები და სხვ.) შეფასებულ იქნა 21 243 მანეთად.<sup>215</sup> თბილისის ეს სამსხმელო-მექანიკური წარმოება როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოწყობილი იყო “მეტად ზუსტი ნაკეთობის მანქანებით”.<sup>216</sup>

შტიუსეს სამსხმელო-მექანიკური ქარხნის მუშაობაზე წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი №3.2

**ცხრილი №3.2**

**შტიუსეს სამსხმელო-მექანიკური ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქცია**

წლები	გამოშვებული პროდუქცია (მან.)			
	სახაზინო დაკვეთით	კერძო დაკვეთით	ჩამოსხმული თუჯი (ფუთი)	სულ
1852	1 355	4 320	633	5 675
1853	7 199	3 959	1 297	11 158
1854	11 837	4 267	2 176	16 164
1855	3 191	3 460	—	6 651

<sup>213</sup> იქვე, ფურც. 105.

<sup>214</sup> იქვე, ფურც. 112-117.

<sup>215</sup> Акты Т\_X, გვ. 887.

<sup>216</sup> სცხა, ფონდი 10, საქმე 39, ფურც. 105

ქარხანამ მუშაობის დაწყების წელს (1852წ.) აწარმოა: სახაზინო დაკვეთით – 1 355 მანეთის, ხოლო კერძო დაკვეთით – 4 320 მან. პროდუქცია. სულ 1852 წელს საწარმომ გამოუშვა 5 675 მან. პროდუქცია. ასევე, საწარმოში ჩამოასხეს 633 ფუთი თუჯი. ამოქმედების პირველი წლისათვის ეს მაჩვენებლები საკმაოდ შთამბეჭდავია. თუმცა არსებობს ასევე განსხვავებული ცნობაც, რომლის მიხედვითაც ამავე წელს საწარმომ გამოუშვა 10 000 მან. პროდუქცია.<sup>217</sup>

1853 წელს ქარხანამ სახაზინო დაკვეთით აწარმოა 7 199 მან., ხოლო კერძო დაკვეთით 3 959 მან., სულ – 11 158 მან. როდუქცია, ანუ სახაზინო დაკვეთების მატება აშკარაა და ეს ტენდენცია მომდევნო – 1854 წელსაც არანაკლები ტემპით გაგრძელდა, როცა ეს დაკვეთები 11 837 მანეთამდე გაიზარდა. 1854 წელს მხოლოდ სახაზინო დაკვეთების ღირებულებამ გადააჭარბა წინა წელს ქარხნის მიერ წლიურად წარმოებული მთელი პროდუქციის ღირებულებას. მეტნაკლები მდგრადობა შეინიშნება კერძო დაკვეთებშიც, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო კლებას.

ზოგადად კი, 1852–1854 წლებში ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა სტაბილურად მატულობდა. იგივე შეიძლება ითქვას ჩამოსხმული თუჯის რაოდენობაზეც, მისი მატების ტემპი ფრიად შთამბეჭდავია, ყოველ მომდევნო წელს წარმოებული თუჯის რაოდენობა თითქმის ორმაგდება.

1855 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა (უარყოფითი თვალსაზრისით) ქარხნისათვის. აქ სახაზინო დაკვეთით – 3 191 მან., კერძო დაკვეთით – 3 460 მან., სულ კი 6 651 მან. პროდუქცია გამოუშვეს. საწარმოო მაჩვენებელთა ვარდნის პროცესი მომდევნო, 1856 წელსაც გაგრძელდა, ამის გამო წარმოების პატრონი იძულებული გახდა დაქირავებული მუშების ნაწილი გაეშვა და საერთოდ, წარმოება შეემცირებინა.<sup>218</sup>

1855 წლამდე არსებული მაჩვენებლების მიხედვით ქარხნის წარმატებები აშკარაა. ქარხანა შეკვეთებს მთელი ამიერკავკასიიდან ღებულობდა. საწარმო ამზადებდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ასევე არემონტებდა მათ. რკინისა და თუჯის დამუშავება საწარმოს მეტად ძვირი უჯდებოდათ, ვინაიდან ნედლეულის იმპორტირება რუსეთიდან ხდებოდა.

<sup>217</sup> იქვე, ფურც. 106–113.

<sup>218</sup> ЦИИЛ, ф. 1 268, on 44 (1 854 г.), д. 2 426. л. 173.

1852 წ. გერმანელთა კოლონიის – ეკატერინენფელდის ახლოს (მდ. მაშავერას ხეობაში), სახაზინო მიწაზე აღმოჩნდა რკინის მადანი, რომლის დამუშავებასაც შტიუსე ბრძმელების მოწყობით შეეცადა, თუმცა ვერ შეძლო მისი განხორციელება. კერძოდ, შტიუსემ მადნის ღირსება ქარხანაში შეამოწმა, გამოღნობის შედეგად მიღებულ იქნა “60% ძალიან კარგი თუჯი”, მაგრამ ქარხანამდე მისი ტრანსპორტირება ძვირი ჯდებოდა, ასევე, დნობის პროცესი მოითხოვდა დიდი რაოდენობით ნახშირს, რის გამოც შტიუსემ მიატოვა იგი. ამავე დროს ქარხნის წარმატებას ხელი შეუშალა ყირიმის ომმა, რომლის პერიოდშიც შორეული ადგილებიდან ნედლეულის – რკინის, ნახშირის ტრანსპორტირება გაძვირდა, რადგან ისედაც მწირი ინფრასტრუქტურა ძირითადად საომარ პროცესებში ჩართეს; ამას ისიც დაემატა, რომ ცხოვრების გაძვირების გამო, შეკვეთები შემცირდა, რაც ცხადად აისახა 1855 წლის მაჩვენებლებში.

საწარმოო ხარჯების შემცირების მიზნით, შტიუსემ განიზრახა, რომ ცხენძრავა, რომელსაც დანადგართა ასაძრავად იყენებდა, მეტად ხარჯიანი იყო და საჭირო იყო მისი წყლის ბორბლით შეცვლა, რომელიც მტკვარზე უნდა მოეწყო. მისი ანგარიშით, ამით საწარმოო ხარჯები “ყოველწლიურად შემცირდებოდა 3 000 მანეთამდე”, ხოლო ბრძმედის მოქმედება გაორმაგდებოდა.<sup>219</sup> შტიუსეს მიერ ბორბლის ამოქმედების შესახებ ცნობები აღარ მოიპოვება.

1856 წლიდან შტიუსეს უნდა დაეწყო ხაზინიდან მიღებული 15 000 მან. სესხის გადახდა. მან რამდენჯერმე ითხოვა გადახდის გადავადება, მთავრობა აკმაყოფილებდა მის თხოვნას. 1860 წ. შტიუსემ თბილისში, მდ. მტკვარზე მოაწყო დიდი ზომის ამერიკული სისტემის საფქვავი წისქვილი.<sup>220</sup> მის მოსაწყობად მან სასურსათო უწყებიდან 40 000 მან. სესხი აიღო. ამრიგად, სესხის სახით მას მიღებული ჰქონდა 55 000 მან. საფქვავი წისქვილი უწყვეტად და კარგად მუშაობდა. ამ საწარმოში შემოსული თანხით იგი იხდიდა მთლიანად აღებულ

---

<sup>219</sup> იქვე, ფურც. 114-117.

<sup>220</sup> იქვე.

სესხს. 1868 წლისთვის მას გადახდილი ჰქონდა 23 898 მან.<sup>221</sup> ამავე წელს შტიუსე გარდაიცვალა და წისქვილი გადავიდა ე.წ. კოლეჟსკი ასესორის – შმიდტის ხელში, მან გააგრძელა დარჩენილი ვალის გადახდაც.

რაც შეეხება სასხმელ-მექანიკურ ქარხანას, მას რეფორმამდელ ხანაში მუშაობა არ შეუწყვეტია. 1861 წლის უწყისში თუჯსასხმელის და საფქვავე წისქვილის (რომელიც შტიუსეს ეკუთვნოდა) მიერ გამოშვებული პროდუქცია ერთადაა აღრიცხული.<sup>222</sup> თუჯსასხმელი და საფქვავე წისქვილი ერთ საწარმოო ერთეულად არის ჩათვლილი იმავე უწყისში (*Чужинно-домашний завод с мукомольной мельницей*).<sup>223</sup> ცხადია, შტიუსეს საწარმოები იგულისხმება. 1857 წ. თბილისის თუჯსასხმელმა საწარმომ 21 000 მან. პროდუქცია გამოუშვა.<sup>224</sup> 1858 წელს 10 000 მან.,<sup>225</sup> 1860 წელს – 10679 მან.,<sup>226</sup> 1861 წელს საფქვავე წისქვილთან ერთად – 16 679 მან. პროდუქცია.<sup>227</sup> 1862 წელს თუჯსასხმელმა საწარმომ გამოუშვა 2 000 მან, ხოლო საფქვავემა წისქვილმა – 39 000 მან. პროდუქცია.<sup>228</sup>

1864 წლიდან შტიუსეს თუჯსამსხმელო ქარხანა მოიხსენიება, როგორც, თბილისის მექანიკურ-საზეინკლო სახელოსნო, რომელმაც გამოუშვა 6 000 მან. პროდუქცია,<sup>229</sup> მომდევნო, 1865 წელს კი 10 000 მანეთის.<sup>230</sup>

თბილისში შტიუსეს გარდა “თუჯის ქარხანა” ჰქონდა პოლკოვნიკ ყორღანოვსაც. მექანიკურ-საზეინკლო სახელოსნოებზე მოთხოვნა თბილისში დღითიდღე იზრდებოდა და მათ მომრავლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ტიპის სახელოსნოებში მზადდებოდა სამრეწველო და სასოფლო - სამეურნეო იარაღები. ამგვარი წარმოების საშუალებათა მწარმოებელი სახელოსნოები კი სრულ მანუფაქტურულ საწარმოებს წარმოადგენდნენ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, იგულისხმება შტიუსეს საწარმო, შრომა დანაწილებული იყო

<sup>221</sup> ЦГИАЛ, ф. 1 268 . оп. 10 (1862), д. 134. л. 10.

<sup>222</sup> საქ. ცხსა, ფონდი 10, საქმე 30, ფურც. 168.

<sup>223</sup> ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, (1862), д. 134, л. 134.

<sup>224</sup> იქვე

<sup>225</sup> იქვე, აღ. 9 (1858), ს. 311. ფ. 27.

<sup>226</sup> იქვე, აღ. 10 (1860), ს. 170. ფ. 63.

<sup>227</sup> იქვე, (1861), ს. 228. ფ. 118.

იქვე, (1862), ს. 134. ფ. 93.

<sup>229</sup> იქვე, (1863), ს. 108. ფ. 10.

<sup>230</sup> იქვე, (1865), ს. 127. ფ. 67.

საფეხურების მიხედვით. ბურღს, სახარატო დაზგას, საჭრელს, თავ-თავისი მუშები ჰყავდა, რომელთა შორისაც არსებობდა იერარქია დახელოვნების ხარისხის მიხედვით. თბილისის მექანიკური თუჯსახსმელი საწარმო დაქირავებული შრომითა და შრომის ამგვარი დანაწილებით კაპიტალისტური საწარმო იყო.

1865 წ. თბილისში მსხვილი მექანიკური “ქარხანა” ამუშავა ინგლისელმა რუქსმა, მანვე მოგვიანებით (1887 წ.) ააშენა თუჯსახსმელი საამქროც. გარდა ამისა, 1881 წ. თბილისში ამუშავდა თუჯსახსმელი ქარხანა, რომელიც რ. ო. რენკვისტის ხელში გადავიდა. ამ ქარხანაში მოქმედებდა: რვა ცხენისძალიანი ლოკომობლი, 1 ბრძმედი, 3 სახარატო დაზგა, 2 ვენტილატორი, 1 ხრახნის საჭრელი, 1 სარანდავი დაზგა და სხვა მექანიკური დაზგები. რენკვისტის ქარხანა თავდაპირველად გადაამუშავებდა უცხოეთიდან იმპორტირებულ თუჯს, ორიოდე წლის შემდეგ გადავიდა რუსულ ნედლეულზე. 1880-იან წლებში იგი უშვებდა წლიურად 10–20 ათასი ფუთ თუჯის და 5–10 ათასი ფუთი რკინის სხვადასხვა ნაკეთობას. იგი ძირითადად ამიერკავკასიის რკინიგზის შეკვეთებზე მუშაობდა. ამ ხანებში მისი წლიური პროდუქციის ღირებულება 70–150 ათას მანეთს აღწევდა. აქ დაახლოებით 120-მდე კაცი მუშაობდა, ხოლო სამუშაო დრო 10,5 საათს გრძელდებოდა.<sup>231</sup>

1879 წელს თბილისში ფრანგი ქვეშევრდომის – ა. ტოლეს მიერ ამუშავდა თამბაქოს ფაბრიკა. აქ დასაქმებული იყო 22 მუშა, აქედან 10 ოსტატი და 12 მუშა. 1880 წელს საწარმოში დამზადდა 1 240 980 ც. პაპიროსი, 40 000 ც. სიგარა, 110 ფუთი და 26,5 გირვანქა თუთუნის, სულ 22 450 მანეთისა. ამავე წელს შეიძინეს 774 ფუთი ადგილობრივი თამბაქო და 65 ფუთი და 11 გირვანქა იმპორტული; ერთი ფუთი ადგილობრივი თამბაქო შეიძინეს 10 მანეთად, ხოლო ამავე რაოდენობის იმპორტული თამბაქო – 150 მანეთად. საწარმოში იდგა 4 თამბაქოს საჭრელი დაზგა. ტოლეს ფაბრიკის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე ხდებოდა.<sup>232</sup>

XIX ს 30-40-იანი წლებიდან თბილისში გაიზარდა მოთხოვნა მაღალი

<sup>231</sup> პ. გუგუშვილი – კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ. 1941.

<sup>232</sup> Гулишамбаров, ОФЗТ губернии Тб.1888, гв.108

ხარისხის სტეარინის სანთლებზე. იზრდებოდა სტეარინის ადგილობრივ სარეწებში წარმოებული ქონის სანთლები დაბალი ხარისხის იყო და სტეარინის სანთლები ყაზანიდან შემოჰქონდათ.

1943 წელს ხელისუფლების ხელშეწყობით გერმანულ შულცს სტეარინის სანთლის ფაბრიკის მოსაწყობად მიეცა პრივილეგიები და 5 წლის ვადით გამოუყვეს სახაზინო მიწის ფართობი. ამ მეწარმის მიერ აწყობილი წარმოების შესახებ საარქივო მონაცემები აღარ მოიპოვება, თუმცა ცნობილია, რომ მის შემდგომ წარმოებას დაეუფლა დეზოლმი, ხოლო ამის შემდგომ წარმოების მფლობელი ხდება ტოლე. ტოლემ იზრუნა წარმოების გადაიარაღებაზე და აღჭურვა იგი ორი ორთქლის მანქანით და ავტოკლავით, რომელთა მეშვეობითაც მან შეძლო 12 000 ფუთი ქონი გადაემუშაებინა. ამ ტექნოლოგიით მას უფრო მეტის გადამუშავების შესაძლებლობაც ჰქონდა. ტოლეს მიერ წარმოებული პროდუქცია იმდენად ხარისხიანი იყო, რომ 1882 წელს იგი წარადგინეს მოსკოვის მანუფაქტურული ნაწარმის გამოფენაზე, სადაც მის მიერ წარმოებულმა პროდუქციამ მედალი მიიღო.

რკინიგზის გახსნის შემდეგ აღმოსავლეთი საქართველო დასავლეთ საქართველოს, ხოლო მისი გავლით რუსეთს დაუკავშირდა. მიმოსვლისა და ტვირთების ბრუნვის დაჩქარებას უკავშირდება ამ დარგში (ისევე, როგორც სხვა დანარჩენში), კონკურენციის გამძაფრება. ტოლეს მიერ წარმოებულ საქონელს კონკურენციას უწევდა რუსეთიდან შემოტანილი საქონელი. ტოლემ შეცვალა ტაქტიკა და თუკი მანამდე მის მიერ წარმოებული საქონელი საკმაოდ ძვირად ფასობდა, იძულებული გახდა თავისი საქონელი იმპორტირებულზე 2-3 კაპიკით იაფად გაეყიდა. მაგალითად: რუსეთის “ნევის ამხანაგობის” სანთლები ღირდა – 26 კაპიკი, კრესტოვნიკოვების ყაზანიდან – 24 კაპ., ოდესის – 18 კაპ., ხოლო ტოლესი – 23 კაპ. 1883 წელს ტოლემ აწარმოა 3 400 ფუთი სანთელი, 1884 წელს – 3 500, 1885 წელს – 4 460 და 1886 წელს – 5 000 ფუთი.<sup>233</sup>

სანთლის წარმოებასთან ერთად თბილისში განვითარდა საპნის წარმოებაც. საპნის სარეწები თბილისში ადრეულ პერიოდშიც, საქართველოს მონარქების დროსაც არსებობდა, ხოლო 1843 მის წარმოებას ხელი მოკიდა

<sup>233</sup> Гулицамбаров Ст. ОФЗТ губернии, Тб. 1888 гв. 98



შულცმა, ხოლო მოგვიანებით – 60-იანი წლების ბოლოს დეზოლმმა. მას სტეარინის წარმოებისას რჩებოდა 46 %-მდე ოლეუმი, რომლის უტილიზაციის მიზნით წამოიწყო საპნის წარმოება. ამ წარმოების პატრონი მომდევნო ეტაპზე ხდება ტოლე. თავდაპირველად საპნის წარმოება, მისი მაღალი ფასის მიუხედავად, იზრდებოდა. მომდევნო ეტაპზე, თანდათან გაიზარდა კონკურენცია სხვა ადგილობრივი მწარმოებლების მხრიდან, რამაც განაპირობა ტოლეს მიერ წარმოებულ საპონზე ფასების ვარდნა, შემცირდა ასევე წარმოებული პროდუქციის რაოდენობა. მაგ. 1883 წელს წარმოებულ იქნა 33 000 ფუთი საპონი, 1884 წელს – 24 000 ფუთი, 1885 წელს – 20 300 ფუთი, ხოლო 1886 წელს – 21 000 ფუთი.<sup>234</sup>

თუკი ტოლე თავდაპირველად საპნის საწარმოებლად იყენებდა ოლეუმს, ქონს, და ნატრიუმის მჟავას, იმის გამო, რომ დაეძლია კონკურენცია, დაიწყო წარმოებული საქონლის იმ ინგრედიენტების გამრავალფეროვნება, რომელსაც იყენებდა, მაგალითად, ინგლისიდან იწერდნენ ქოქოსის ცხიმს, რომლის ერთი ფუთის ღირებულება იყო 6 მან. და 50 კაპ. ინგლისიდანვე დაიწყეს ნატრიუმის მჟავას გამოწერა, ფუთის ღირებულება – 3 მან და 20 კაპ., კანიფოლი – 2 მანეთად.

ტოლეს წარმოებაში 20 კაცი მუშაობდა და ყველა ადგილობრივი მუშახელი იყო. ისინი კარგად იყვნენ დახელოვნებულები და ძვირადღირებულ უცხოელ მუშახელს წარმატებით ცვლიდნენ.<sup>235</sup> მალე წარმოების მუშახელისათვის ცნობილი გახდა ტოლეს ფირმის საიდუმლო რეცეპტურა და ამ რეცეპტურის მიხედვით, კუსტარული წესით დაიწყეს საპნის დამზადება. მართალია იგი გაცილებით დაბალი ხარისხის იყო, ვიდრე ტოლეს საფაბრიკო ნაწარმი, მაგრამ სამაგიეროდ გაცილებით იაფი ღირდა და სოფლებში წარმატებით საღებოდა.

თბილისში არსებობდა ერთადერთი შოკოლადის “ფაბრიკა”, რომელიც ეკუთვნოდა ფრანგ დიუფურს. ამ ერთადერთ ფაბრიკაში რა თქმა უნდა შოკოლადიც მზადდებოდა, მაგრამ უპირატესად სხვადასხვა სახის კანფეტებსა და საკონდიტრო საწარმს (მაგ. ნამცხვრებს) ამზადებდნენ. საკონდიტროში 1886

---

<sup>234</sup> იქვე, გვ. 112-113  
<sup>235</sup> იქვე.

წელს მუშაობდა 10 კაცი და წელიწადში 1 000 ფუთი სხვადასხვა სახის ნაწარმი იწარმოებოდა, სულ 25 000 მანეთის ღირებულების. თითქმის ამგვარივე საკონდიტრო საწარმო, ოღონდ შედარებით მცირე მასშტაბის ჰქონდა ასევე ფრანგ ლოტს.<sup>236</sup>

უცხოელების ამგვარი გააქტიურება თბილისსა და ზოგადად საქართველოში იმაზე მეტყველებს, რომ კაპიტალისტური ევოლუცია აქტიურად მიმდინარეობდა. XIX ს. მეორე ნახევარი თბილისის ისტორიაში მისი ბურჟუაზიულ ქალაქად ჩამოყალიბების პერიოდია, მისი მრეწველობა განვითარების კაპიტალისტურ სტადიაზე გადავიდა.

---

<sup>236</sup> იქვე, გვ. 139

## დ ა ს კ ვ ნ ა

1. XIX ს. 20–30–იანი წლების საქართველოში ხელსაყრელი პირობები იქმნება ბურჟუაზიული გარდაქმნებისათვის. კაპიტალისტური სასაქონლო–ფულადი ურთიერთობების და საწარმოო განვითარების შედეგად თანდათან ჩამოყალიბდა ეროვნული ბაზარი, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო;

2. 1821 წ. რუსეთის ხელისუფლების მიერ ამიერკავკასიაში შეღავათიანი ტრანზიტის შემოღების მიზანი იყო კონტინენტური ევროპის ფაბრიკული საქონლის ირანში მიზღვავება, იქ კონკურენციულ ბრძოლაში ინგლისის დამარცხება და ამიერკავკასიის ბაზრის გაწმენდა აღმოსავლური და ადგილობრივი საქონლისაგან. ეს პოლიტიკა არ აღმოჩნდა ეფექტიანი, ქართველმა ვაჭრებმა ისარგებლეს ამით და რუსულ ბაზარზე ადგილობრივ საქონელს ყიდდნენ, ხოლო ამოღებული ფულით არა რუსული, არამედ ევროპული საქონელი შემოჰქონდათ. იაფმა და ხარისხიანმა ევროპულმა სააქონელმა კი ადგილობრივ ბაზარზე რუსული საქონელი შეავიწროვა;

3. საქართველოში ეკონომიკური განვითარების ამ ეტაპზე სავაჭრო ოპერაციებში დაბანდებულ კაპიტალს უფრო მაღალი მოგება მოჰქონდა, ვიდრე საქალაქო, ან სასოფლო მეურნეობაში. ქართველი ფეოდალური არისტოკრატია, მათ მიმართ აშკარა მტრობას იჩენდა, არა მხოლოდ ეკონომიკური ანტაგონიზმის გამო, არამედ იმიტომაც, რომ სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლების ეროვნული სიტყრელის გამო მათი სოციალური ინტერესები ხშირად არ ემთხვეოდა ქართულ ეროვნულ ინტერესებს;

4. კაპიტალისტურ სარეწებში ადრეულ ეტაპზე სახვადასხვა კატეგორიის მუშახელი ჰყავდათ. ჭარბობდა მუშახელი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მოწყვეტილი საკუთარ მეურნეობას. შედარებით ნაკლებად, მაგრამ ასევე იყენებდნენ თავისუფალ, ან ექსპროპრირებულ მუშებს;

5. საქართველოში მანუფაქტურების შედარებით მცირე ნაწილი გადაიქცა ფაბრიკა-ქარხნებად. უფრო ხშირად ფაბრიკა-ქარხნების მოწყობა-

დაარსება ხდებოდა არა არსებული მანუფაქტურული საწარმოების გარდაქმნით არამედ სრულიად დამოუკიდებლად;

6. რუსეთში, 60-იან წლებში გატარდა ფინანსური რეფორმა და საკრედიტო სისტემის კაპიტალისტური რეორგანიზაცია, რომელიც საქართველოზეც გავრცელდა. კერძოდ, დაიწყო კაპიტალისტური კრედიტის განვითარება. კარედიტზე მოთხოვნის ზარდამ განაპირობა საკრედიტო დაწესებულებათა დაარსება. ამ რეფორმამ დააჩქარა საქართველოს (და სხვა კოლონიების) რუსეთთან ეკონომიკური ინტეგრაცია;

7. XIX ს. 70-იანი წლებიდან XIX ს. ბოლომდე საქართველოში შეინიშნება უბანიზაციის ტემპის დაჩქარება. ამ პროცესს განსაკუთრებით ხელი შეუწყო ამიერკავკასიის რკინიგზის დასრულებამ. 1897 წლისთვის საქართველოს ქალაქებში ცხოვრობდა 305,8. კაცი. ქალაქებში მცხოვრებთა უმრავლესობა – 52,5 % თბილისში იყო თავმოყრილი. მრეწველობა ყველაზე მეტად განვითარებული იყო სამ ქალაქში: თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში;

8. საფაბრიკო-საქარხნო წარმოების განვითარებამ მოთხოვნა გაზარდა კავლიფიციურ კადრებსა და სპეციალისტებზე. ხელოსნურ, წვრილ კაპიტალისტურ და მანუფაქტურულ საწარმოთა კვალიფიციურ მუშაკთა უმეტესობას გარედან (რუსეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან) მოსული კადრები წარმოადგენდნენ. ისინი ეუფლებოდნენ კიდევ წვრილი წარმოების მრავალ ახალ სფეროს. ძირითადად ხელისუფლების შემწევობით დაიწყო სხვადასხვა სახის სახელოსნო-სასწავლებლებისა თუ პროფესიული, ასევე დაწყებითი სკოლების დაარსება. შესაბამისად, დაიწყო ახალი ტექნიკური კადრების კონტინგენტის ჩამოყალიბება. ადგილობრივი სკოლების გარდა, ბევრი განათლებას რუსეთში იღებდა;

9. 1864 წ. რეფორმამდელ საქალაქო მეურნეობაში წამყვანი ძალა იყო ამქრული ხელოსნობა. 1865 წ. კანონმდებლობით ამქარი საქალაქო ადმინისტრაციას დაექვემდებარა. ამის შედეგად დაიწყო ტრადიციული ხელოსნობის დეგრადაცია და გაფართოვდა ამქარსგარე ხელოსნობის მასშტაბი, სადაც დასაქმებულები იყვნენ დაქირავებული მუშები;

10. XIX ს. 30-იან წ. იყო მცდელობა, დაენერგათ შაქრის წარმოება. ამ წარმოებას თაოსნობდნენ ზუბალაშვილები, რომლებსაც მსხვილი სავაჭრო კაპიტალი გააჩნდათ. მიუხედავად იმ შედეგებისა, რასაც მათ ხელისუფლება უწევდათ ეს წარმოება წარმატებით ვერ ამოქმედდა. როგორც ჩანს, ადგილობრივი შაქრის მეწარმეთათვის გაცილებით იოლი გამდიდრების საშუალება იყო შედეგათიან პირობებში შემოტანილ ნედლეულზე მუშაობა, ვიდრე ადგილობრივი სანედლეულო ბაზის შექმნა;

11. ღვინის ტრადიციულ ქვეყანაში ღუდის წარმოებამ კარგა ხანს ვერ მოიკიდა ფეხი. წარმატებული აღმოჩნდა გერმანელი კოლონისტებისა და ადგილობრივი მეწარმის – ლორთქიფანიძის მიერ დაარსებული ღუდსახარშები. მიუხედავად იმისა, რომ წარმოებული ღუდი საკმაოდ დაბალი ხარისხის იყო, სოლიდური ფასი (1.2-1.6 მან.) ღირდა. იმპორტირებული ღუდი თბილისის ბაზარზე ადგილობრივს სერიოზულ კონკურენციას ვერ უწევდა;

12. საქალაქო ცხოვრებისა და მშენებლობის გააქტიურებამ ჯერ კიდევ რეფორმამდელ პერიოდში, წარმოშვა მექანიკურ სარეწოთა არსებობის აუცილებლობა. ამგვარ სარეწოთა შორის აღსანიშნავია თბილისის სახაზინო საწახნაგო ფაბრიკა, სადაც დაქირავებული მუშები მუშაობდნენ. აქ წარმოებული პროდუქციის ნაწილი საექსპორტოდ პეტერბურგში იგზავნებოდა;

13. რეფორმამდელ საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში თავილი მასშტაბებით ყურადღებას იპყრობს აგურისა და საპნის სარეწოები, დაწინაურდა ასევე ტყავის, კრამიტისა და არყისსახდელი სარეწოები;

14. მიუხედავად იმისა, რომ საგლეხო რეფორმა საქართველოში 1864 წ. მემამულეთა ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით გატარდა, მან მაინც შეუწყო საფუძვლიან ცვლილებებს ხელი. გლეხებმა მიიღეს რა პირადი თავისუფლება, საშუალება მიეცათ შეეძინათ ქონება, წამოეწყოთ ვაჭრობა, ან მეწარმეობა;

15. რეფორმის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სარკინიგზო მშენებლობა, რომლითაც საქართველოს მრეწველობაში

დაიწყო ახალი ხანა, შეიძლება ითქვას, ნამდვილი სამრეწველო გადატრიალება. ინფრასტრუქტურულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის დაჩქარებულ განვითარებას;

16. ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურების შედეგი იყო ბანკების წარმოშობა. საბანკო საქმიანობის გააქტიურების კვალდაკვალ ბანკიდან ფეოდალური არისტოკრატია, თანდათან იდევნებოდა, ხოლო ვაჭრები და კაპიტალისტები სულ უფრო მეტად ეუფლებოდნენ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას. მიმდინარე საფინანსო პროცესებმა საბოლოოდ შეუწვეს ხელი მემამულური მიწათმფლობელობის რღვევას და კაპიტალისტურის დამკვიდრებას არა მხოლოდ ქალაქად, არამედ სოფლადაც;

17. XIX ს. ბოლოსთვის თბილისში შესამჩნევი ხდება მსხვილ საწარმოთა აღმოცენება, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი სავაჭრო კაპიტალის მეშვეობით ფუნდებოდა. ამგვარ წარმოებაში მოიაზრება ტყავის, მიტკლის, თამბაქოს, ალკოჰოლური სასმელების და სხვათა წარმოება;

18. ადელხანოვის ფირმას დედაქალაქის მრეწველობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა, როგორც კაპიტალისტური მრეწველობის ფლაგმანს. მისი ტყავის, ფეხსაცმლისა და ჩულეულის ფაბრიკაში მუდმივად ინერგებოდა მოწინავე ტექნიკა. იგი მარაგდებოდა ძირითადად ადგილობრივი ნედლეულით, ასევე მოიხმარდნენ იმპორტირებულ მასალებს. ადელხანოვის მზა ნაწარმი გარდა საქართველოსი, სადღებოდა თითქმის მთელ რუსეთსა და მის საიმპერიო სივრცეში;

19. აღნიშნულ პერიოდში ბამბეულის მოზრდილი სართავ-საქსოვი ფაბრიკა ეკუთვნის მირზოევს, რომელმაც სავაჭრო კაპიტალის უდიდესი ნაწილი სამრეწველო კაპიტალად აქცია. მისი ფაბრიკა ძირითადად აღჭურვილი იყო ინგლისური მანქანა-დანადგარებით და სპეციალისტებიც ინგლისიდან ჰყავდა მოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ მისი წარმატებები არ იყო სტაბილური, საწარმო თბილისის და არა მარტო თბილისის ეკონომიკის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოდ ითვლება;

20. თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობას საქართველოში, კერძოდ თბილისში საფუძველი XIX ს. 50-იან წლებში ჩაეყარა. ამ დროს თამბაქოს საწარმოებს შორის ყურადღებას იქცევს ენფიანჯიანცისა და ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკები, რომლებიც თავდაპირველად მანუფაქტურული ტიპის საწარმოებს წარმოადგენდნენ, ხოლო 80-90-იანი წლების დასაწყისისთვის მათ უკვე კაპიტალისტური ფაბრიკების სახე მიიღეს, მოგვიანებით კი თამბაქოს ზოგიერთი საწარმო მსხვილ სააქციო საზოგადოებებად ერთიანდება;

21. რუსეთის იმპერიაში კონიაკის პირველი სპეციალური სამრეწველო ქარხანა თბილისში გაიხსნა 1888 წ. იგი მრეწველს დ. სარაჯიშვილს ეკუთვნოდა. იგი სხვა დანარჩენი ანალოგიური ქარხნებისაგან მკვეთრად გამოირჩეოდა მასშტაბებით, ნედლეულის შერჩევით, გამოსდის თავისებურებებით და კონიაკის დაყენების ტექნოლოგიის რთული პროცესების სრულად დაცვით. მისმა საქმიანობამ ბიძგი მისცა კონიაკის წარმოების განვითარებას რუსეთის იმპერიაში. მისი ნაწარმი იმპორტირდებოდა რუსეთის იმპერიისა და სზღვარგარეთის ბაზარზე;

22. უცხოური კაპიტალის წარმომადგენლები, სარგებლობდნენ ადგილობრივი და რუსული კაპიტალის სისუსტით და ამიერკავკასიის და საქართველოს ბაზარზე საკმაოდ მყარად იკიდებდნენ ფეხს. მათ შორის ყურადღებას იქცევს გერმანული კაპიტალი. იმისათვის, რომ მაქსიმალური მოგება მიეღოთ, შემოჰქონდათ უახლესი ტექნიკა და ტექნოლოგიები;

23. ხელისუფლება სახელმწიფო დახმარებებით ხელს უწყობდა ჩამოსახლებულ გერმანულ კოლონისტებს. მათ ხელი მიჰყვეს ხელოსნობას, განსაკუთრებით 1865 წ. საამქრო რეფორმის შემდგომ. მათ დაამკვიდრეს ახალი ხელოსნური დარგები, მაგ. ეტლების წარმოება, მეძეხვეობა, მეკასრეობა და ა.შ;

24. მსხვილი სახელოსნოების დაარსების გარდა, საქართველოში შემოსული იყო მსხვილი გერმანული კაპიტალიც, მაგ. „სიმენსი“, „ზინგერი“, „გელზენკირხენი“, და სხვ. რომელიც წარმატებით მოღვაწეობდა არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოსა და ზოგადად რუსეთის იმპერიაში;

25. თბილისში არა მხოლოდ გერმანელების საქმიანობის გააქტიურება იგრძნობოდა, არამედ სხვა ევროპელი მოქალაქეების მხრიდანაც. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს კასტელას მიერ დაარსებული აბრეშუმის ფაბრიკა და შტიუსეს საწახნაგო ფაბრიკა. ასევე ტოლეს სანთლისა და საპნის წარმოებები.

26. XIX ს. მეორე ნახევარი თბილისის ეკონომიკის ისტორიაში მისი ბურჟუაზიულ ქალაქად ჩამოყალიბების პერიოდია. მისი მრეწველობა განვითარების კაპიტალისტურ სტადიაზე გადავიდა.



### ბამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. D\_ მანჯაღაძე ბ. “გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში” თბ. 1970.
2. D\_ მირიანაშვილი მ. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში. თბ. 1980 გვ. 20
3. D\_ ცერცვაძე ა. გერმანია – საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები. (1817-1917 წწ.) 1999 წ.
4. ბაზ. “გუბნიის დედა”, № 1 1864წ.
5. ბაზ. “დროება”, №17 1866.
6. ბაზ. „დროება”, №24 1869
7. ბაზ. “დროება”, №22 1871
8. ბაზ. “დროება” №24, 1872
9. ბაზ. “დროება” № 110 1875
10. ბაზ. “დროება” №88 1881
11. ბაზ. “დროება” № 42. 1883.
12. ბაზ. “ივერია”, №66. 1888.
13. ბაზ. “ივერია”, №111 1891.
14. ბაქრაძე ბ. საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება, ზოგიერთი საკითხის სწორი გაგებისათვის – თსუ შრომები. ტ. 100, 1963
15. ბამყრელიძე ბ. – ხელოსნობა თბილისში, თბ. 1926 წ.
16. ბობოლაძე დ. კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830-1864 წწ.), თბ. 1969.
17. ბუბუშვილი პ. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ.1941.
18. ბუბუშვილი პ. მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში. თბ. 1939.
19. ბუბუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს., ტ IV, წ. I, თბ., 1965, გვ.
20. ბუბუშვილი პ. საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში, თსუ შრომები, ტ. XVI. 1940.
21. ბუბუშვილი პ. ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ამიერკავკასიაში მე-19 საუკუნეში, თბ. 1937.
22. ბულიშაშვილი სტ. ზოგიერთი რამ ჩვენს ეკონომიკის მდგომარეობაზე, „დროება” №24, 1872. ეძვერაძე ლ. სოციალ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ბურჟუაზიული ეკოლუცია საქართველოში. 1986. გვ. 84,
23. მანჯაღაძე ბ. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში. თბ 1970.
24. მაჯღ-ოს-საღტანე, “ქალაქ თბილისის აღწერა”, თბ. 1971
25. მ. მირიანაშვილი დ. სარაჯიშვილის სახსოვრდ. თბ. 1981
26. ნიკოლაძე ნ. – მირზოევის მიტკლის საქსოვი ფაბრიკა თბილისში. გაზ. “დროება” № 48, 1871.
27. ნიკოლაძე ნ. – მირზოევის მიტკლის საქსოვი ფაბრიკა თბილისში. გაზ. “დროება”, №24, 1872.

28. როლონაია ნ. თბილისის მრეწველობა XIX ს. მეორე ნახევარში. თბ.1961.
29. სამსონაძე მ. საქართველოში სამრეწველი განვითარება XIX ს. რეფორმამდე ხანაში. 1968.  
სეხნიაშვილი ც. ეკონომიკის ისტორია, ნაწ. I, 2000 წ.
30. შმიკაშვილი პ. – რამდენიმე სიტყვა მირზოევის ფაბრიკაზედ – გაზ.“დროება” №3 1872.
31. ლუღუშაშვილი მ. საქართველოს ეკონომიკა XIX დასაწყისში.სეხნიაშვილი ც. „ეკონომიკის ისტორია“, ნაწ. I თბ. 2000 წ. (თანაავტორი)
32. ყიფიანი ნ.– სახელოსნო შკოლა ტექნიკური საზოგადოებისა – გაზ.“დროება” №3, 1872.
33. ცინცაძე ღ. კაპ. მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში, თბ. 1979.
34. ჭავჭავაძე ი., თხზ. ტ. VI. 1953.
35. ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. IX, 1957.
36. ჭიჭინაძე ზ., მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში, თბ.1909
37. ხოშტარია ე. დამუშავებითი მრეწველობა საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში. თ . 1958.
38. ხოშტარია ე. დამუშავებელი მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს. 30-60-იან წლებში ისტორიის ინსტ. შრომები, ტ. III, თბ. 1958.
39. ხოშტარია ე. მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში. თბ. 1966.
40. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თბ. 1930 წ.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (სცსია)

1. სცსია, ფ. 4, საქ. 2.
2. სცსია, ფ. 17, საქ. 486.
3. სცსია, ფ. 17, საქ. 640.
4. სცსია, ფ. 17, საქ. 3574.
5. სცსია, ფ. 17, საქ. 8954.
6. სცსია, ფ. 17, საქ. 8977.
7. სცსია, ფ. 17, საქ. 9004.
8. სცსია, ფ. 204, საქ. 654.
9. სცსია, ფ. 240, საქ. 1291.
10. სცსია, ფ. 370, საქ. 150.
11. სცსია, ფ. 204, საქ. 654.
12. სცსია, ფ. 370, საქ. 207.
13. სცსია, ფ. 414, საქ. 10.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი

14. სცსა ფ. 2, საქ. 39
15. სცსა, ფ. 2, საქ. 3109.

16. სცსა, ფ. 7, საქ. 437
17. სცსა, ფ. 7, საქ. 489
18. სცსა, ფ. 7, საქ. 2 229.
19. სცსა, ფ. 10, საქმე 30.
20. სცსა, ფ. 10, საქ. 39
21. სცსა, ფ. 10, საქ. 1823.
22. სცსა, ფ. 10, საქმე 1835.
23. სცსა, ფ. 12, საქ. 1460.
24. სცსა, ფ. 17, საქ. 2283.
25. სცსა, ფ. 204, საქ. 563.
26. სცსა, ფ. 370, საქ. 409.
27. სცსა, ფ. 204, საქ. 591.
28. სცსა, ფ. 204, საქ. 592.
29. სცსა, ფ. 370, საქ. 940.
30. სცსა, ფ. 370, საქ. 947.
31. სცსა, ფ. 371, საქ. 181.
32. სცსა, ფ. 371, საქ. 206.
33. სცსა, ფ. 416, საქ. 800.
34. ხელოვნების ინსტიტუტის ვიზუალიზაცია, № 2513–16.

1. Газ.«Кавказ», № 17. 1854.
2. Газ. "Кавказ", # 116, 1875.
3. `Кавказский календарь` на 1872 г.
4. `Кавказский календарь` на 1875 г.
5. `Кавказский Календарь`, на 1887г .
6. Ахвердов Ю. Тифлиссские Амкары. Т. 1883 г.
7. Бендианишвили А. Аграрные отношения в Грузии в 1890-1917 гг. Тб. 1965г.
8. Варзар, Список фабрик и заводов Российской Империи. 1912г.
9. Гнедич А.Г., Обзор промышленности фабрично-заводс горнозаводской губерний и областей Кавказского края, составлено в Гулишамбаров Ст. Обзор Фабрик и Заводов Тифлисской губернии, Т. 1888  
Гулишамбаров Ст. ОФЗ по Зак. краю. Тиф. 1892г.
10. Гулишамбаров Ст. ОФЗ по Зак. краю. Тиф. 1894г.
11. Ерицов А. Указатель соч. к изучению эк. быта гос. крестьян Зак. края.1874г.
12. Кучинский Ю. История условия труда в Германии. М. 1949 г.
13. Лукин-Антонов Н.М. Очерки по новейшей ист. Германии 1890-1914 гг. М. 1925г.
14. .Мачалов В.Д. Крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX в.М.1958г.
15. Никифоров Н. эк.быть Немецких колонистов в Закавказском Крае. м. 1885 г.
16. Сараджев Д.З., Тифл. 1901г.
17. Сараджев Д.З., Тифл. 1905г.
18. Акты, т. X, стр. 160.
19. Акты т. X, стр. 887.
20. Краткий очерк истории возникновения, развития и современ. положенип акц. общества кожевенного и войлочного производства на Кавказе Г.Г. Адельханова. Т.1901.
21. Сборник сведения о Кавказе, т. VII, Тифлис, 1880. 1886г

22. Сборник статистических сведений по Закавказскому краю, часть I, Т. 1902.
23. Сборник статистических сведений по Закавказскому краю, часть I, Т. 1902
24. Сведения о производительности заводов Хубларова с братьями в Тифлисе. Т. 1901г..  
Список фабрик и заводов Европейской России, 1903
25. Фабрично-заводская промышленность России, 1897.

#### ЦЕНТРАЛЬНЫЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ ИСТОРИЧЕСКИЙ АРХИВ ГРУЗИИ

1. ЦГИАГ, ф. 31, д. 888.
  2. ЦГИАЛ. Ф. 225, д. 1479.
  3. ЦГИАЛ Ф. 1263, д. 4525.
  4. ЦГИАЛ, ф. 1268, д. 134.
  5. ЦГИАЛ, ф. 1268, д. 137.
  6. ЦГИАЛ, ф. 1268, д. 142.
  7. ЦГИАЛ, ф. 1268, д. 170.
  8. ЦГИАЛ, ф. 1268, д. 350.
  9. ЦГИАЛ, ф. 1 268, д. 2 426.
- 
1. Dr. Gogitshashwili, Das Gewerbe in Georgien (under besondere Berücksichtigung der primitiven Betriebsformen. Tübingen, 1901, s. 120 \*1873г. \_
  2. Fis H. \_ Europe the World's Banker \_ 1870-1914. New Haven 1931

## იბეჭდება ავტორის მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 03.07.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.09.2009. ქალაქის  
ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77



Verba volant,  
scripta manent